სააქციო საზოგადოება

„თიბისი ლიზინგი“

(საიდენტიფიკაციო ნომერი: 205016560)

ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი

საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი ადგენს ობლიგაციების საბოლოო პირობებს და წარმოადგენს ობლიგაციების ემისიის საბოლოო პროსპექტის განუყოფელ ნაწილს.

აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს 10,000,000 (ათი მილიონი) აშშ დოლარის ჯამური ნომინალური ღირებულების ფიქსირებული საპროცენტო სარგებლის და „ობლიგაციების შეთავაზების პირობების“ შესაბამისად განსაზღვრული უფლების, მათ შორის გამოსყიდვის ოფციის უფლების მქონე, არასუბორდინირებული, არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების შეთავაზების პირობებს. განაღდების (დაფარვის) ვადა: გამოშვებიდან 36 თვის შემდეგ. თითოეული ობლიგაციის ნომინალური ღირებულებაა 1,000 აშშ დოლარი. ობლიგაციების გამოშვების თარიღია 2026 წლის 24 ნოემბერი.

ფასიანი ქაღალდის დასახელება:	სს „თიბისი ლიზინგი“ („**ემიტენტი**“, “**კომპანია**“) არაუზრუნველყოფილი, არასუბორდინირებული ობლიგაციები („**ობლიგაციები**“)
ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია:	სს „თიბისი ლიზინგი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 205016560) იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, №76მ ტელ.: (+995 32) 2 212 27 77 ელ.ფოსტა: info@tbcleasing.ge ვებ-გვერდი: https://www.tbcleasing.ge/
განთავსების აგენტის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	შპს „თიბისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204929961) მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7 ტელ.: (+995 32) 227 27 33 ელ.ფოსტა: info@tbccapital.ge ვებ-გვერდი: https://www.tbccapital.ge/ge
პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	საქართველოს ეროვნული ბანკი 0114 თბილისი, საქართველო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1 ტელ.: (+995 32) 240 64 06 ელ.ფოსტა: info@nbg.gov.ge ვებ-გვერდი: www.nbg.gov.ge
ემისიის სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი	GE 2700605654 - 1 - 10
ემისიის საერთაშორისო რეგისტრაციის ნომერი ISIN	GE 2700605654
პროსპექტის დამტკიცების თარიღი:	9 დეკემბერი 2025

პროსპექტის მოქმედების ვადა	კანონმდებლობის შესაბამისად, წინასწარი პროსპექტის დამტკიცებიდან 12 თვე, თუმცა არაუგვიანეს 2026 წლის 24 ნოემბრისა

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულებების შესახებ.

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი:

სს „თიბისი ლიზინგი" (ს/ნ: 205016560)

ხელმოწერილია სს „თიბისი ლიზინგის სახელით:

ხელმომწერი:

სახელი: გაიოზ გოგუა

თანამდებობა: დირექტორი

ხელმოწერა:

თარიღი: 18 ნოემბერი 2026

ხელმომწერი:

სახელი: მერი ჩაჩანიძე

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა:

თარიღი: 18 ნოემბერი 2026

ხელმოწერილია შპს „თიბისი კაპიტალის" სახელით:

ხელმომწერი:

სახელი: ოთარ შარიქაძე

თანამდებობა: დირექტორი

ხელმოწერა:

თარიღი: 18 ნოემბერი 2026

ინფორმაცია ობლიგაციების შესახებ

ობლიგაციების ძირითადი მახასიათებლები:

ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი (კუპონი)	ობლიგაციაზე საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება მისი ნომინალური ღირებულებიდან და შეადგენს წლიურად 7.25%-ს. საბოლოო საპროცენტო განაკვეთის (კუპონი) დადგენა ხდება ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან გამომდინარე (Book-building).
ობლიგაციების ამორტიზაციის პირობები	ობლიგაციების ძირი თანხის გადახდა სრულად მოხდება ობლიგაციების დაფარვის თარიღში.
სარგებლის (პროცენტის) დარიცხვა და გადახდა	ობლიგაციებს პროცენტის სახით დაერიცხება საპროცენტო სარგებელი ზემოთ მითითებული განაკვეთით ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღამდე. პროცენტის დარიცხვა მოხდება წელიწადში 360 დღის საფუძველზე (30/360 ISMA). ობლიგაციებზე დარიცხული პროცენტი გადაიხდება წელიწადში ოთხჯერ, 24 თებერვალს, 24 მაისს, 24 აგვისტოსა და 24 ნოემბერს. დარიცხული პროცენტის პირველი გადახდა მოხდება 2027 წლის 24 თებერვალს.
ობლიგაციების ვალუტა	ობლიგაციები დენომინირებულია აშშ დოლარში.
ობლიგაციებთან დაკავშირებული უფლებები და შეზღუდვები	„ობლიგაციების პირობებით“ განსაზღვრულის გარდა, პროსპექტით არ არის გათვალისწინებული ობლიგაციებთან დაკავშირებული რაიმე განსაკუთრებული უფლებები და შეზღუდვები.
ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევის ნებისმიერი შეზღუდვა	ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა შეზღუდული არ არის.
გამოსყიდვის ოფცია	„ემიტენტს“ არ ექნება ობლიგაციების გამოსყიდვის უფლება ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან 12 (თორმეტი) თვის მანძილზე. გამოშვების თარიღიდან 12 (თორმეტი) თვის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს გამოშვების თარიღიდან 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში „ემიტენტს“ უფლება ექნება გამოისყიდოს ობლიგაციები გამოსყიდვის ფასად, რომელიც შეადგენს ნომინალური ღირებულების 101.00%-ს დამატებული „ვადამდე გამოსყიდვის თარიღზე“ დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). გამოშვების თარიღიდან 24 (ოცდაოთხი) თვის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს გამოშვების თარიღიდან 33 (ოცდაცამეტი) თვის ვადაში „ემიტენტს“ უფლება ექნება გამოისყიდოს ობლიგაციები გამოსყიდვის ფასად, რომელიც შეადგენს ნომინალური ღირებულების 100.25%-ს დამატებული „ვადამდე გამოსყიდვის თარიღზე“ დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). გამოშვების თარიღიდან 33 (ოცდაცამეტი) თვის შემდეგ „ემიტენტს“ გამოსყიდვა შეეძლება გამოსყიდვის ფასად, რომელიც შეადგენს ობლიგაციების ნომინალური ღირებულების 100.00%-ს დამატებული „ვადამდე გამოსყიდვის თარიღზე“ დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ემიტენტის / ობლიგაციების საკრედიტო რეიტინგი	„ემიტენტს“ მინიჭებული აქვს შემდეგი რეიტინგი: • Fitch Ratings - BB / პოზიტიური საკრედიტო პერსპექტივით
ობლიგაციების დაფარვის თარიღი	ობლიგაციების დაფარვა, ანუ მისი ძირითადი თანხის და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა მოხდება - 2029 წლის 24 ნოემბერს.
ცენტრალური დეპოზიტარის საკონტაქტო ინფორმაცია	სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ: 204935400) მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის 71. მე-10 ბლოკი ტელეფონი: (+995 32) 2 50 02 11 ელ. ფოსტა: info@gcsd.ge
სავაჭროდ დაშვება	„ემიტენტს“ გამიზნული აქვს ობლიგაციების განთავსების შემდგომ განაცხადით მიმართოს „საქართველოს საფონდო ბირჟას“ ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე. მენეჯმენტის შეფასებით, ბირჟის ლისტინგში დაშვებისთვის „კომპანია“ აკმაყოფილებს ყველა პირობას (საკუთარი კაპიტალის მოცულობა გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა და ა.შ). საფონდო ბირჟის წესებთან შესაბამისობის ნაწილს შეაფასებს საფონდო ბირჟა. ლისტინგის პირობები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: GSE | Listing Rules
ობლიგაციების კლასი და სტატუსი	ობლიგაციები წარმოადგენს „კომპანიის“, არაუზრუნველყოფილ, არასუბორდინირებულ ვალდებულებას. ყველა ობლიგაციას აქვს თანაბარი, იდენტური სამართლებრივი სტატუსი, ერთმანეთთან რაიმე უპირატესობის გარეშე.
დივიდენდების პოლიტიკა	გთხოვთ, გაეცნოთ კომპანიის დივიდენდის გაცემის პოლიტიკას, რომელიც აღწერილია პროსპექტის ქვეთავში - „დივიდენდის პოლიტიკა“.

ინფორმაცია შეთავაზების შესახებ:

შეთავაზება	10,000,000 (ათი მილიონი) აშშ დოლარის ჯამური ნომინალური ღირებულების სასესხო ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები), დაფარვის ვადით 24 ნოემბერი, 2029 წელი.
ობლიგაციების განთავსების მინიმალური მოცულობა	1 ობლიგაცია
ინსტრუმენტი	კუპონური ობლიგაცია (ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სასესხო ფასიანი ქაღალდი).
ობლიგაციის ნომინალური ღირებულება	1,000 (ათასი) აშშ დოლარი.
ობლიგაციების რაოდენობა	10,000 (ათი ათასი) ცალი.
მთლიანი ემისიის ნომინალური ღირებულება	10,000,000 (ათი მილიონი) აშშ დოლარი.
გამოშვების ფასი	ობლიგაციის ნომინალური ღირებულების 100%.
ემისიის დამტკიცების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი, აქციონერისა და დირექტორატის გადაწყვეტილებები	ობლიგაციების ემისია ავტორიზებულ იქნა 2025 წლის 20 ნოემბრის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით.
ობლიგაციის გამოშვების თარიღი	ობლიგაციები გამოშვებული იქნება 2026 წლის 24 ნოემბერს.
ობლიგაციების გადავადებული განთავსების თარიღი	ნებისმიერი თარიღი ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან შეთავაზების დასრულების თარიღამდე, როდესაც ხდება ობლიგაციის განთავსება გადავადებული განთავსების ფასით.
ობლიგაციების გადავადებული განთავსების ფასი	ობლიგაციების ნომინალურ ღირებულებას დამატებული ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან ობლიგაციების გადავადებულ განთავსების თარიღამდე დარიცხული სარგებელი.
შეთავაზების პერიოდის თარიღი	დროის მონაკვეთი წინასწარი პროსპექტის დამტკიცების შემდეგ, ამავე პროსპექტის და რელევანტური წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტის საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან შეთავაზების დასრულების თარიღამდე, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელი იქნება ფასიანი ქაღალდების შეძენა.
შეთავაზების დასრულების თარიღი	შეთავაზების პერიოდის დასრულების თარიღად განისაზღვრება ისეთი თარიღი, რომელზეც დადგება ერთ-ერთი შემდეგი ფაქტი: ა) ემისიის პროსპექტის მოქმედების ვადის გასვლა; ბ) საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების სრულად განთავსება; გ) საჯარო შეთავაზების შეწყვეტა.

ობლიგაციების დაფარვის თარიღი	ობლიგაციების დაფარვა, ანუ მისი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა მოხდება 2029 წლის 24 ნოემბერს.
ობლიგაციების ვალუტა	ობლიგაციები დენომინირებულია აშშ დოლარში.
ფასიანი ქაღალდების რიგითობა კაპიტალის სტრუქტურაში გადახდისუუნარობის/გაკოტრების შემთხვევაში	„ემიტენტის“ გადახდისუუნარობის/ გაკოტრების შემთხვევაში, ობლიგაციონერები ჩაითვლებიან არაუზრუნველყოფილ კრედიტორებად და დაკმაყოფილდებიან გადახდისუუნარობის მასიდან, როგორც არაუზრუნველყოფილი კრედიტორები. ,,რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული რიგითობა შემდეგია: ა) გაკოტრების რეჟიმის ხარჯები (რომელიც თავის მხრივ მოიცავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავით გათვალისწინებული პროცესის ხარჯებს; გაკოტრების მმართველის ანაზღაურებას; და საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯს, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში წარმოშობილი შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ხარჯს, ქონების მართვის ხარჯს, აგრეთვე მმართველის გადაწყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯს); ბ) სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ მოვალის მიმართ წარმოშობილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები; გ) პრეფერენციული მოთხოვნები; დ) პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები; ე) არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი გადასახადების თანხა, რომლებსაც ,,რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 104(1) პუნქტის სხვა ქვეპუნქტები არ მოიცავს - ამ (არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების) კატეგორიას მიეკუთვნება ობლიგაციონერთა მოთხოვნები. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვრცლად „პროსპექტის“ ქვეთავებში „ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისთვის“ და „ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების კაპიტალის სტრუქტურაში ცვლილებებისა და გადახდისუნარიანობის/ გაკოტრების შემთხვევის შესახებ“ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე და 105-ე მუხლები.
კალკულაციის და გადახდის აგენტი	შპს „თიბისი კაპიტალი“ (ს/ნ: 204929961)
დეფოლტი	

	თუ ადგილი ექნება „დეფოლტის შემთხვევას“ ობლიგაციონერებს შეუძლიათ პროსპექტით განსაზღვრული პირობებით მიმდინარე მოთხოვნები გამოაცხადონ ვადამოსულად და მოითხოვოს „ემიტენტისაგან“ „ობლიგაციების“ დაუყოვნებლივ განაღდება და ძირითადი თანხის (ნომინალის) 100 პროცენტისა და დარიცხული საპროცენტო სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა (იხილეთ პროსპექტის თავი *„ობლიგაციების პირობები“*).
შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება	„ემიტენტი“ შეთავაზებიდან მიღებულ წმინდა სახსრებს სრულად გამოიყენებს სალიზინგო პორტფელის გასაზრდელად. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ სექცია *„შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება“.*
წმინდა სახსრები	გამოშვებული ობლიგაციების სრულად განთავსების შემთხვევაში, ობლიგაციებიდან მიღებული წმინდა სახსრები (მართვის, განთავსების საკომისიოების და ლისტინგის ხარჯების გამოკლების შემდეგ, თუმცა სხვა ხარჯების გამოკლებამდე) არ იქნება გამოშვებული ობლიგაციების მთლიანი ნომინალური ღირებულების 98.5%-ზე ნაკლები.
რეალიზაციის და გასხვისების შეზღუდვები	ობლიგაციების შეთავაზება მოხდება მხოლოდ საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
მარეგულირებელი კანონმდებლობა	საქართველოს კანონმდებლობა.
იურისდიქცია	„პროსპექტიდან“ გამომდინარე და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოებისათვის მიმართვის გზით, წინამდებარე „პროსპექტით“ განსაზღვრული წესით.
ობლიგაციების განთავსების ხელშეკრულების ძირითადი პირობები	ხელშეკრულება ავალდებულებს განთავსების აგენტს უზრუნველყოს ობლიგაციების განთავსება მხოლოდ არაგარანტირებულ საფუძველზე. განთავსების აგენტის მოვალეობაა დაეხმაროს „ემიტენტს“ ობლიგაციების განთავსებისთვის საჭირო დოკუმენტების მომზადებაში (მათ შორის ობლიგაციების ემისიის პროსპექტი), შეასრულოს განთავსების აგენტის ფუნქცია და „კომპანიას“ გაუწიოს ობლიგაციების გამოშვებასთან, რეალიზაციასთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული კონსულტაციები.
განთავსების საკომისიო	განთავსებასა და შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა საკომისიოები არ აღემატება განთავსებული ობლიგაციების 1.5%-ს. განთავსების საკომისიოს სრულად ფარავს „ემიტენტი“ და ინვესტორებზე არ იქნება დაკისრებული არანაირი განთავსების ხარჯი.

ინვესტორებზე დაწესებული შესაძლო გადასახადები

ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხდება ემიტენტის მიერ სრულად და შეთავაზების ფარგლებში ინვესტორს არ დაეკისრება რაიმე სახის ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯი.

2026 წლის ნოემბერში Fitch Ratings-ის მიერ რეიტინგის პერსპექტივაში ცვლილების შეტანის შესახებ

2026 წლის 16 ნოემბერს საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Fitch Ratings-მა სს „თიბისი ლიზინგის" რეიტინგის პერსპექტივა სტაბილურიდან პოზიტიურით შეცვალა, ხოლო გრძელვადიანი ემიტენტის რეიტინგი (Long-Term Issuer Default Rating) „BB" დონეზე შეინარჩუნა. სს „თიბისი ლიზინგის" რეიტინგის პერსპექტივის ცვლილება უკავშირდება Fitch Ratings-ის მიერ „ემიტენტის" 100%-იანი მფლობელის, სს „თიბისი ბანკის", რეიტინგის პერსპექტივის სტაბილურიდან პოზიტიურამდე გაუმჯობესებას, რაც 2026 წლის 12 ნოემბერს გამოცხადდა. თავის მხრივ, ამ ცვლილებას წინ უძღოდა 2026 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგის პერსპექტივის ანალოგიურად გაუმჯობესება.

Fitch Ratings-ის შეფასებით, სს „თიბისი ლიზინგის" საკრედიტო რეიტინგზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სს „თიბისი ბანკისგან" მოსალოდნელი მხარდაჭერა. ეს მოლოდინი ეფუძნება სს „თიბისი ბანკის" მიერ სს „თიბისი ლიზინგის" 100%-იან მფლობელობას, საერთო ბრენდს, ჯგუფის ფარგლებში მჭიდრო კავშირსა და ფინანსური მხარდაჭერის შესაძლებლობას. ამასთან, სს „თიბისი ლიზინგის" მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობამ შესაძლოა სს „თიბისი ბანკის" რეპუტაციას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს.

Fitch Ratings-ის სრული განცხადება და სარეიტინგო გადაწყვეტილების დეტალები ხელმისაწვდომია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

პროსპექტში არსებითი ცვლილების შეტანის შესახებ

2025 წლის 3 დეკემბერს, სარეიტინგო სააგენტო Fitch Ratings-მა უცვლელად, BB კატეგორიით განსაზღვრა კომპანიის საკრედიტო რეიტინგი, ხოლო კომპანიის საკრედიტო რეიტინგის უარყოფით პერსპექტივა შეცვალა სტაბილური პერსპექტივით.

ვინაიდან საკრედიტო რეიტინგის განახლება მოხდა წინასწარი პროსპექტის ეროვნულ ბანკში წარდგენის შემდეგ, აღნიშნული გარემოების ასახვის მიზნით, 2025 წლის 24 ნოემბერს დამტკიცებულ პროსპექტში შევიდა არსებითი ცვლილება. არსებითი ცვლილების ჭრილში დაკორექტირდა ქვეთავები „ კომპანიის საკრედიტო რეიტინგის მოკლე მიმოხილვა" და „კომპანიის საკრედიტო რეიტინგი". არსებითი ცვლილება მხოლოდ უკავშირდებოდა კომპანიის საკრედიტო რეიტინგის პერსპექტივის ცვლილებას, სხვა შინაარსის ცვლილებას ადგილი არ ჰქონია. განახლებული ინფორმაციისთვის გთხოვთ, იხილოთ ემისიის პროსპექტის შესაბამისი ქვეთავები.

დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

საქართველოს ეროვნული ბანკი * NATIONAL BANK OF GEORGIA 203824148

დამტკიცების თარიღი:

20 ნოემბერი, 2026 წელი.

სააქციო საზოგადოება
„თიბისი ლიზინგი“
(საიდენტიფიკაციო ნომერი: 205016560)

არასუბორდინირებული, არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების ემისიის პროგრამის პროსპექტი

60,000,000 (სამოც მილიონ) დოლარამდე ჯამური ნომინალური ღირებულების პირდაპირი, არასუბორდინირებული ობლიგაციები გამოშვებული ერთი ან რამდენიმე ემისიით, ფიქსირებული საპროცენტო სარგებლის მქონე კუპონურ ობლიგაციებად. თითოეული ემისიისთვის (პირველი ემისიის თარიღს აზუსტებს აღნიშნული ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების დოკუმენტი, ხოლო შემდგომი ემისიების სავარაუდო გამოშვების თარიღი დაზუსტდება შესაბამისი შეთავაზების დოკუმენტის საშუალებით) თითო ობლიგაციის ნომინალური ღირებულება გამოშვებისას: 1,000 (ათასი) ერთეული შესაბამის ვალუტაში; შესაბამისი ემისიის ვალუტა დაზუსტდება მისი „შეთავაზების პირობების დოკუმენტით“ და შესაძლოა იყოს ერთ-ერთი შემდეგთაგანი: ევრო ან აშშ დოლარი. თითოეული ემისიისთვის ფასი გამოშვებისას: ნომინალური ღირებულების 100% (ასი პროცენტი); ობლიგაციების გამოშვების დეტალური პირობები, როგორიცაა შესაბამისი ემისიის ჯამური მოცულობა, დენომინაცია, პროცენტის გადახდის სიხშირე, გამოშვების ზუსტი თარიღი, ვადიანობა და წლიური განაკვეთი განისაზღვრება წინამდებარე პროსპექტითა და შესაბამისი ემისიის „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტებით“. ობლიგაციების კუპონის გადახდის სიხშირე განისაზღვრება, როგორც ერთ-ერთი მოცემულთაგან: ა) ყოველთვიური; ბ) კვარტლური; გ) ნახევარწლიური; ვადიანობა განისაზღვრება როგორც ერთ-ერთი მოცემულთაგან: 1) 1 წლიანი; 2) 2 წლიანი; 3) 3 წლიანი; 4) 4 წლიანი; 5) 5 წლიანი. ობლიგაციების ნომინალურ ღირებულებაზე დასარიცხი პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი დგინდება პოტენციური ინვესტორებისათვის ობლიგაციების შეთავაზების პროცესში, ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად). პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი უნდა იყოს შესაბამის წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტში (რომელიც მიეწოდება პოტენციურ ინვესტორებს შეთავაზების პროცესში) მითითებული ზღვრის ფარგლებში. თითოეული საჯარო შეთავაზების ფარგლებში, დაუშვებელია შეთავაზების (Book-building-ის) დაწყება, წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტის საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარდგენისა და აღნიშნული დოკუმენტის გასაჯაროების გარეშე. ამასთან, წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტით განსაზღვრულ ფარგლებში საბოლოო საპროცენტო განაკვეთის (კუპონის) ფორმირება არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას და საჭიროებს მხოლოდ და მხოლოდ საბოლოო პროსპექტში ასახვას.

ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას.

სს “თიბისი ლიზინგი“ (შემდგომში **„კომპანია“, „თიბისი ლიზინგი“** ან **„ემიტენტი“**) პასუხისმგებელია წინამდებარე პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაზე. „კომპანიის“ ხელთ არსებული ინფორმაციით (რომლის სიზუსტის დასადასტურებლადაც კომპანიამ მიმართა ყველა გონივრულად შესაძლო ძალისხმევას), წინამდებარე პროსპექტში მოყვანილი მონაცემები ეფუძნება ფაქტებს და არ არის გამოტოვებული იმგვარი ინფორმაცია, რომელსაც შეეძლო მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა ინფორმაციის უტყუარობასა და სისრულეზე. ამასთან, წინამდებარე პროსპექტში შესულია „კომპანიისთვის“ ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რომელიც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი:

სს „თიბისი ლიზინგი" (ს/ნ: 205016560)

პასუხისმგებელი პირის განცხადება

პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ: *„ემიტის პროსპექტით წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია მათთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და მათ შეფასებით აღნიშნული არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე".*

ხელმოწერილია სს „თიბისი ლიზინგის სახელით:

ხელმომწერი:

სახელი: გაიოზ გოგუა

თანამდებობა: დირექტორი

ხელმოწერა:

თარიღი: 8 ოქტომბერი 2025

ხელმომწერი:

სახელი: თორნიკე გოგიჩაიშვილი

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა:

თარიღი: 8 ოქტომბერი 2025

ხელმოწერილია სს „თიბისი კაპიტალის" სახელით:

ხელმომწერი:

სახელი: ოთარ შარიქაძე

თანამდებობა: დირექტორი

ხელმოწერა:

თარიღი: 8 ოქტომბერი 2025

<u>მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინვესტორთათვის:</u>

ამ დოკუმენტის კითხვის გაგრძელებამდე, პოტენციური ინვესტორი ჯერ უნდა გაეცნოს წინამდებარე დათქმას. დათქმა ეხება თანდართულ პროსპექტს (შემდგომში **„პროსპექტი“**) და, შესაბამისად, პოტენციური ინვესტორი, უპირველეს ყოვლისა, გულდასმით უნდა გაეცნოს მას. პროსპექტის გაცნობით და მისი გამოყენებით (მათ შორის, ინვესტირების მიზნით), ინვესტორი თანხმობას აცხადებს, რომ დაექვემდებარება და შეასრულებს ქვემოთ მოცემულ პირობებს (დროდადრო მათში შეტანილი შესწორებებისა და ცვლილებების ჩათვლით).

პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანო:
საქართველოს ეროვნული ბანკი - მის. N1 ზვიად გამსახურდიას სანაპირო, თბილისი 0114, საქართველო. ტელ: 2 406 406. ელ-ფოსტა: info@nbg.gov.ge ვებ-გვერდი: https://nbg.gov.ge/

პასუხისმგებლობის შეზღუდვა:

ამასთანავე, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც შესაძლოა ცალსახად იქნას გათვალისწინებული შესაბამისი კანონმდებლობით, არც ერთი პირი, გარდა ემიტენტისა, მათ შორის, ემიტენტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, ფინანსური დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, არც განთავსების აგენტი, კალკულაციისა და გადახდის აგენტი, ცენტრალური დეპოზიტარი (შემდგომში - „ცენტრალური დეპოზიტარი“ ან „დეპოზიტარი“), კომპანიის სხვა მრჩეველები ან მათთან დაკავშირებული რომელიმე პირი, ან მათი რომელიმე დირექტორი, მრჩეველი ან აგენტი არ არიან პასუხისმგებელნი წინამდებარე პროსპექტის შინაარსზე, მასში წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობაზე ან სისრულეზე, ან მათ მიერ ან მათი სახელით კომპანიასთან დაკავშირებით წინამდებარე პროსპექტში გაკეთებულ რომელიმე განცხადებაზე ან წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან და შეთავაზებასთან დაკავშირებულ წინამდებარე პროსპექტში გამჟღავნებულ ნებისმიერ ინფორმაციაზე. შესაბამისად, განთავსების აგენტი და კომპანიის მრჩევლები არ იღებენ არანაირ კანონისმიერ თუ სხვაგვარ პასუხისმგებლობას წინამდებარე პროსპექტთან ან პროსპექტში მითითებულ მათ რაიმე განცხადებასთან დაკავშირებით.

მოცემული შეთავაზების მიზნებისთვის, განთავსების და კალკულაციისა და გადახდის აგენტი მოქმედებს ექსკლუზიურად „ემიტენტისთვის“, ის არ წარმოადგენს არცერთ სხვა პირს მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით და არ მიიჩნევს არცერთ სხვა პირს (მიუხედავად იმისა, ამგვარ პირს მიღებული აქვს თუ არა წინამდებარე პროსპექტი) თავის კლიენტად მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, განთავსების და კალკულაციისა და გადახდის აგენტი არ არის ვალდებული გაუწიოს ვინმეს, გარდა „კომპანიისა“, მომსახურება ან მისცეს რჩევა შეთავაზებასთან ან წინამდებარე დოკუმენტში მითითებულ რაიმე ოპერაციასთან ან გარიგებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე პროსპექტი არ წარმოადგენს და ვერ იქნება გამოყენებული შეთავაზების მიზნით რომელიმე ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი ქმედება ნებადართული არ არის, ან რომელიმე ისეთი პირისადმი, რომლისთვისაც ამგვარი შეთავაზება უკანონოა. არც ერთ იურისდიქციაში (საქართველოს გარდა) არ ხორციელდება არანაირი ქმედება წინამდებარე „პროსპექტში“ განსაზღვრული „ობლიგაციების“ შეთავაზებისთვის ნებართვის მისაღებად, ან პროსპექტის (ან „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული სხვა შეთავაზების მასალების) გასავრცელებლად.

პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ *“როდესაც ხდება მესამე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამოყენება, მითითებულია წყარო და გაკეთებულია დათქმა, რომ ეს ინფორმაცია სწორადაა გადამუშავებული. ამ ინფორმაციიდან არ არის გამოტოვებული მათთვის ცნობილი მნიშვნელოვანი ფაქტები, რაც ინფორმაციას არაზუსტსა და შეცდომაში შემყვანს გახდიდა“.*

ინვესტორის დადასტურება: „პროსპექტი“ ინვესტორს მიეწოდება მისივე თხოვნის საფუძველზე, იმ პირობით, რომ იგი უდასტურებს (i) განთავსების აგენტს - შპს „თიბისი კაპიტალს“: (ს/ნ 204929961), მის: საქართველო, თბილისი 0102,

მარჯანიშვილის N7, ტელ: (+995 32) 277-27-33; ელ-ფოსტა: info@tbccapital.ge (შემდგომში **„განთავსების აგენტი“**) და (ii) „**ემიტენტს**“ - სს „თიბისი ლიზინგი“, რომ ინვესტორი (ა) იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ და არ არის ამერიკის მოქალაქე (აშშ-ს 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტის „S” რეგულაციით განსაზღვრული მნიშვნელობით) და (ბ) იმყოფება გაერთიანებული სამეფოს და ევროპის ეკონომიკური სივრცის გარეთ, და (გ) არის პირი, რომლისთვისაც წინამდებარე პროსპექტი შეიძლება კანონიერად იქნეს მოწოდებული იმ იურისდიქციის კანონების შესაბამისად, სადაც იგი იმყოფება.

იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე პროსპექტი ინვესტორს მიეწოდა ელექტრონული ფორმით, „კომპანია“, განთავსების აგენტი ან/და რომელიმე მათთან აფილირებული პირი არ იქნება რაიმე სახით ვალდებული ან პასუხისმგებელი (i) ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმატით გავრცელებული პროსპექტის ვარიანტებს შორის არსებულ რაიმე სხვაობაზე ან/და კომპიუტერული პროგრამის ვირუსებისაგან ან (ii) სხვა დამაზიანებელი ელემენტებისაგან დაცვაზე, რაც შესაძლოა გამოწვეულ იქნას ელექტრონული ფორმატით დოკუმენტების მიწოდებით განპირობებული ცვლილებით მათი გადაგზავნის პროცესში. პროსპექტზე წვდომის განხორციელებით, ინვესტორი თანხმობას აცხადებს მის ელექტრონული ფორმით მიღებაზე.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, უპირატესობა ენიჭება „საქართველოს ეროვნული ბანკის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ/გასაჯაროებულ პროსპექტს.

პროსპექტის წარდგენიდან მის დამტკიცებამდე „კომპანიის“ ოპერაციებში არსებითი (მატერიალური) ცვლილება არ მომხდარა, ხოლო თუკი რამე მსგავსი ცვლილება მოხდება დამტკიცებიდან შეთავაზებამდე, პროსპექტში შესაბამისად განახლდება.

ნაბეჭდი სახით პროსპექტი ხელმისაწვდომია განთავსების აგენტისადმი მიმართვის საფუძველზე.

შეზღუდვა: თუ პირმა წინამდებარე დოკუმენტზე წვდომა მოიპოვა ზემოაღნიშნული დათქმებისა და შეზღუდვების მიუხედავად და გაუთვალისწინებლად, იგი არ არის უფლებამოსილი შეიძინოს წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული რომელიმე ფასიანი ქაღალდი.

დამტკიცებულია საქართველოს
ეროვნული ბანკის მიერ

დამტკიცების თარიღი

Ekaterine Mikabadze 01017014956
Digitally signed by Ekaterine Mikabadze
Date: 2025.12.09 15:43:08

---

9 დეკემბერი, 2025 წელი.

სარჩევი

პროსპექტის ზოგადი მიმოხილვა 8

შესავალი 8

მოკლე ინფორმაცია ემიტენტის შესახებ 11

მოკლე ინფორმაცია სექტორთან დაკავშირებით 12

ემიტენტის ორგანიზაციული სტრუქტურის მიმოხილვა 14

ემიტენტის მენეჯმენტი და ჯგუფის ძირითადი მმართველი გუნდი 14

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 15

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 15

საბრუნავი კაპიტალი 16

ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები 16

კომპანიის საკრედიტო რეიტინგის მოკლე მიმოხილვა 22

მიღებული სახსრების გამოყენება 23

მოკლე ინფორმაცია ემიტენტის ბიზნესისა და შეთავაზებული ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი მატერიალური რისკ ფაქტორების შესახებ 24

ემიტენტის აუდიტორები და პროსპექტში ჩართული მესამე პირები ან ექსპერტები: 25

სარეგისტრაციო დოკუმენტი 27

რისკის ფაქტორები 28

I. ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ემიტენტის საქმიანობისთვის 28

II. ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია ინდუსტრიასა და ეკონომიკისათვის 38

III. ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისთვის 49

შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება 54

ძირითადი საქმიანობა 55

კომპანიის მიმოხილვა და განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენები 55

კომპანიის ბიზნესმოდელი 58

ბიზნეს პროცესისა და ხარისხის კონტროლის პროცედურები 59

ბიზნესის სეზონურობა 62

ორგანიზაციული სტრუქტურა 62

სტრატეგია და ამოცანები 64

მარკეტინგული პროგრამა 66

ძირითადი მომხმარებლები და მომწოდებლები 67

ინფორმაცია მატერიალური ხელშეკრულებების შესახებ 67

კომპანიის საქმიანობაში გამოყენებული რესურსები და ტექნოლოგიები 68

დაზღვევა 68

ინვესტიციები 68

სასამართლო დავები 69
კომპანიის საკრედიტო რეიტინგი 69
კონკურენტული პოზიცია 72
ინდუსტრიის მიმოხილვა 74
საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა 80
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 80
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 93
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 94
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 102
ფინანსური რისკების მართვა 104
კაპიტალიზაცია და დავალიანება 122
მარეგულირებელი გარემო 137
მმართველი ორგანო და მენეჯმენტი 147
დაკავშირებული მხარის გარიგებები 162
სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებული დოკუმენტების ჩამონათვალი 164
მნიშვნელოვანი ინფორმაცია 165
ობლიგაციების პირობები 169
ობლიგაციების დაბეგვრა საქართველოში 195

პროსპექტის ზოგადი მიმოხილვა

შესავალი

ფასიანი ქაღალდის დასახელება:	სს „თიბისი ლიზინგი“ არასუბორდინირებული, არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები
ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია:	სს „თიბისი ლიზინგი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 205016560) **მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, №76მ** **ელ.ფოსტა:** info@tbcleasing.ge; ir@tbcleasing.ge **ვებ-გვერდი:** https://www.tbcleasing.ge/ **ტელ.:** (+995 32) 2 212 27 77
განთავსების აგენტის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	შპს „თიბისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204929961) **მისამართი:** ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7 **ელ. ფოსტა:** info@tbccapital.ge **ვებ-გვერდი:** www.tbccapital.ge **ტელ.:** +995 32 227 27 33
პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	საქართველოს ეროვნული ბანკი **მისამართი:** 0114 თბილისი, საქართველო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1 **ელფოსტა:** info@nbg.gov.ge **ვებ-გვერდი:** www.nbg.gov.ge **ტელ.:** (995 32) 240 6406
პროსპექტის დამტკიცების თარიღი:	9 დეკემბერი, 2025 წელი
პროსპექტის მოქმედების ვადა	კანონმდებლობის შესაბამისად, წინასწარი პროსპექტის დამტკიცებიდან 12 თვე, თუმცა არაუგვიანეს 2026 წლის 24 ნოემბრისა

მნიშვნელოვანი მითითებები:

ზოგადი მიმოხილვა წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს;

ინვესტორის მიერ ნებისმიერი გადაწყვეტილება ინვესტირების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს მთლიანი პროსპექტიდან და არა მხოლოდ ზოგადი მიმოხილვის ნაწილიდან გამომდინარე.

„ემიტენტს“ შესაძლებელია დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ ზოგადი მიმოხილვის რომელიმე ნაწილი შეცდომაში შემყვანია, არაზუსტია ან არ არის ძირითადი პროსპექტის შესაბამისი ან არ იძლევა ისეთ ძირითად ინფორმაციას, რაც უნდა დაეხმაროს ინვესტორებს მიიღონ გადაწყვეტილება, იმის შესახებ, დააბანდონ თუ არა სახსრები ამ შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებში;

ობლიგაციებში ინვესტირება საკმაოდ რისკიანია. ნებისმიერი ინვესტორი, რომელიც შეიძენს ობლიგაციებს, მზად უნდა იყოს მისი ინვესტიციის ეკონომიკური რისკიანობისათვის და გაითვალისწინოს, რომ მის მიერ შეძენილი ობლიგაციების ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის დაბრუნება დამოკიდებული იქნება ემიტენტის გადახდისუნარიანობაზე. ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობის შესაბამისად, პროსპექტში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს ამომწურავი, ასახავდეს კომპანიასთან, მის საქმიანობასთან, გამოსაშვებ ფასიან ქაღალდებთან

დაკავშირებულ ყველა არსებით ინფორმაციას, იყოს გადმოცემული მოკლედ, გასაგები ენით და იძლეოდეს მისი მარტივად გაანალიზების საშუალებას. კომპანიის ან/და განთავსების აგენტის მიერ შეთავაზებასა და განთავსებასთან დაკავშირებით მოწოდებული რაიმე/ნებისმიერი სხვა ინფორმაცია არ არის გამიზნული ობლიგაციებში კაპიტალდაბანდებასთან დაკავშირებული რისკების სრულფასოვნად ან დამოუკიდებლად შეფასებისათვის. ყველა ინვესტორმა თავად უნდა შეაფასოს შესაბამისი პოტენციური რისკები. გარდა ამისა, ინვესტორმა შესაძლოა დაკარგოს მთლიანი ინვესტირებული თანხა ან მისი ნაწილი.

პროსპექტი და მასში მოყვანილი ინფორმაცია შესაძლოა დაექვემდებაროს შესაბამის შესწორებას და დამატებას გარემოების ცვლილებიდან გამომდინარე, რისი ასახვაც ხდება საბოლოო პროსპექტში (მაგ. საპროცენტო განაკვეთის დაზუსტება, ტექნიკური ხარვეზის გასწორება, ემისიის მოცულობის დაზუსტება, და ა.შ.). აღნიშნულის თაობაზე „ემიტენტი“ მოახდენს ინვესტორთა ინფორმირებას კანონით დადგენილი წესით. აქ აღნიშნული „ობლიგაციების“ გაყიდვა, ან „ობლიგაციების“ ყიდვის საჯარო შეთავაზება არ შეიძლება გაკეთდეს მანამ, სანამ არ მოხდება პროსპექტის დამტკიცება „საქართველოს ეროვნული ბანკის“ მიერ.

ამ პროსპექტით განსაზღვრული „ობლიგაციების“ შეთავაზება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. აღნიშნული არ წარმოადგენს შეთავაზებას ობლიგაციების ნასყიდობაზე ნებისმიერ იმ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი შეთავაზება ჩაითვლება უკანონოდ.

არც „კომპანია“ და არც განთავსების აგენტი არ აკეთებენ არანაირ განცხადებას და არ იძლევიან რაიმე გარანტიას ობლიგაციების პოტენციური ან ფაქტიური მყიდველების მიმართ, ამ უკანასკნელთა მიერ „ობლიგაციებში“ ინვესტირების კანონიერების შესახებ რომელიმე საინვესტიციო ან მსგავსი კანონმდებლობის მიხედვით, რომელსაც ექვემდებარება ან შესაძლოა დაექვემდებაროს ამგვარი მყიდველი.

არცერთი პირი არ არის უფლებამოსილი „კომპანიის“ ან განთავსების აგენტის სახელით გასცეს რაიმე ისეთი ინფორმაცია, ან გააკეთოს რაიმე განცხადება, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე პროსპექტში და ნებისმიერი ასეთი ინფორმაცია ან განცხადება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს „კომპანიის“ ან განთავსების აგენტის მიერ ნებადართულად. წინამდებარე პროსპექტის მიწოდება ან მასთან დაკავშირებული „ობლიგაციების“ რეალიზაცია არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს აღქმული იმგვარად, რომ წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების თარიღიდან „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებები არ განხორციელებულა.

წინამდებარე პროსპექტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც იურიდიული, საინვესტიციო, საქმიანი ან საგადასახადო რჩევა. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას, ყველა ინვესტორმა კონსულტაციები საჭიროებისამებრ უნდა გაიაროს საკუთარ მრჩევლებთან და თავად განსაზღვროს, რამდენად კანონიერია მის მიერ ამ პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შეძენა შესაბამისი საინვესტიციო კანონების ან მსგავსი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი ნორმების ფარგლებში.

გაფრთხილება

ობლიგაციების ემისიის პროსპექტი მარტივი დოკუმენტი არ არის და შესაძლებელია რთული იყოს ინვესტორისთვის ამ პროსპექტით შეთავაზებული პროდუქტის სწორად აღქმა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას ინვესტორები უნდა დაეყრდნონ საკუთარ ანალიზს „კომპანიასთან“, „ობლიგაციებთან“, შემოთავაზებულ პირობებთან, სარგებელსა და რისკებთან მიმართებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, იხილეთ თავი „რისკის ფაქტორები“.

ყველა პოტენციურმა ინვესტორმა უნდა განსაზღვროს „ობლიგაციებში“ კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა საკუთარი გარემოებების გათვალისწინებით. პროსპექტით გათვალისწინებული ემისია საჯაროა, ამასთან ყველა პოტენციურ ინვესტორს უნდა:

i. გააჩნდეს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება „ობლიგაციების“, მათში კაპიტალდაბანდების სარგებლისა და რისკების, ასევე წინამდებარე პროსპექტში და ნებისმიერ შესაბამის შესწორებაში მოყვანილი ინფორმაციის ჯეროვანი შეფასებისთვის;
ii. გააჩნდეს შესაბამის ანალიტიკურ ინსტრუმენტებზე წვდომა და ცოდნა, რათა შეაფასოს „ობლიგაციებში“ კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა და ამგვარი ინვესტიციის გავლენა მის მთლიან საინვესტიციო პორტფელზე მისი კონკრეტული ფინანსური გარემოების კონტექსტში;
iii. გააჩნდეს საკმარისი ფინანსური რესურსები და ლიკვიდური პოზიცია „ობლიგაციებში“ კაპიტალდაბანდების ყველა რისკის ასაღებად, მათ შორის, როდესაც ძირითადი ნაწილისა და პროცენტის ვალუტა (ქართული ლარი ან აშშ დოლარი) განსხვავდება იმ ვალუტისაგან, რომელშიც ინვესტიციებს იზიდავს ან ახორციელებს პოტენციური ინვესტორი;
iv. შეეძლოს „ობლიგაციების“ შეთავაზების პირობების სრულყოფილი გაგება და ის უნდა იცნობდეს შესაბამისი ფინანსური ბაზრის მახასიათებლებს;
v. გააჩნდეს შესაძლებლობა შეაფასოს (თავად ან ფინანსური მრჩევლის დახმარებით) ეკონომიკური, საპროცენტო განაკვეთის და სხვა ფაქტორების შესაძლო განვითარების სცენარები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მის ინვესტიციებზე და შესაბამისი რისკის აღების შესაძლებლობაზე.

აღნიშნული ჩანაწერი ატარებს მხოლოდ გამაფრთხილებელ ხასიათს და არ მოიაზრებს „ემიტენტის“ პასუხისმგებლობის შეზღუდვას.

მოკლე ინფორმაცია ემიტენტის შესახებ

„კომპანიის“ იურიდიული და კომერციული დასახელება არის სააქციო საზოგადოება „თიბისი ლიზინგი“, საიდენტიფიკაციო ნომერი - 205016560 . იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, №76მ. რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო. მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა. დაარსების თარიღი - 22/09/2003.

სს თიბისი ლიზინგი 2003 წელს დაარსდა სს თიბისი ბანკის მიერ, რითიც თიბისი ჯგუფმა მომხმარებელს სესხებისგან განსხვავებული დაფინანსების წყარო შესთავაზა. კომპანია წლიდან წლამდე ვითარდებოდა და 2013 წლიდან სალიზინგო ბაზრის ლიდერი გახდა და მას შემდეგ ინარჩუნებს ლიდერობას.
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავს 2,500-მდე კლიენტი, რომელთა შორის არიან კორპორაციული კლიენტები, მცირე და საშუალო საწარმოები, სტარტაპები და ფიზიკური პირები. თიბისი ლიზინგი მომხმარებელს სთავაზობს სალიზინგო პროდუქტების და დამატებითი საკონსულტაციო მომსახურების ფართო არჩევანს, მათ შორის ფინანსურ ლიზინგს, საოპერაციო ლიზინგს, გაყიდვას და უკულიზინგს.

კომპანიას აქვს სხვადასხვა დასახელების პროდუქტები, რომელიც მორგებულია როგორც იურდიულ, ასევე ფიზიკურ პირებზე. იურდიულ პირებში კომპანიის პორტფელი გადანაწილებულია კორპორატიულ დიდი ზომის კლიენტებზე, მცირე და საშუალო ბიზნესზე და ასევე მიკრო ბიზნესის წარმომადგენლებზე მთელი საქართველოს მასშტაბით, რომელთა მომსახურება ხდება სათაო ოფისიდან. ფიზიკური პირებისთვის შექმნილია სპეციალური სერვის ცენტრები საქართველოს რამდენიმე ქალაქში, კერძოდ: თბილისში, რუსთავში, ბათუმსა და ქუთაისი.

2024 წლის მდგომარეობით კომპანიის ლიზინგის პორტფელი ბიზნეს და საცალო სეგმენტებზე შემდეგნაირად ნაწილდება:



კომპანიის ფუნქციური და ორგანიზაციული მახასიათებლები:

- ლიზინგის სტრუქტურიდან გამომდინარე, ყოველგვარი დამატებითი უზრუნველყოფის გარეშე, მხოლოდ თანამონაწილეობის საფუძველზე, აქტივის მიზნობრივი დაფინანსება;
- მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე შემუშავებული და საერთაშორისო პრაქტიკასთან ადაპტირებული სწრაფი და მოქნილი ბიზნეს პროცესები;
- მოძრავი აქტივების მართვისა და ფინანსირების სფეროში ჩამოყალიბებული ექსპერტიზა;
- თიბისი ბანკის ეკოსისტემაში ინტეგრაცია და მისი არხების საშუალებით მომსახურების გაყიდვის შესაძლებლობა;
- ლიზინგის, როგორც აქტივის საუკეთესო და ხელმისაწვდომი ალტერნატიული ფინანსირების საშუალების ლოიალური მომხმარებლების ბაზა, რომელიც ყოველწლიურად იზრდება;

- დივერსიფიცირებული ფინანსური რესურსები, რომლებიც ცვალებად გარემოში ადაპტირების საშუალებას აძლევს კომპანიას;

მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ - „ძირითადი საქმიანობა“.

მოკლე ინფორმაცია სექტორთან დაკავშირებით

საქართველოს სალიზინგო სექტორში რამდენიმე მსხვილი და საშუალო კომპანია ოპერირებს. ძირითადი კომპანიებს შორის არიან თიბისი ლიზინგი, ბბ ლიზინგი, ტერა ლიზინგი, თეგეტა ლიზინგი და ა. შ. ასევე, საქართველოს ბაზარზე ოპერირებენ კომპანიები, რომლებიც თავის ძირითად საქმიანობასთან ერთად საკუთარ კლიენტებს დამატებით სთავაზობენ სალიზინგო პროდუქტებს - მიკრობანკი კრისტალი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი, შპს მოგო და ა. შ.

სალიზინგო სექტორის პორტფელი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სალიზინგო სექტორის მთლიანმა პორტფელმა 677.5 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 36%-ით მეტია. გაანალიზებულ პერიოდში, სალიზინგო პორტფელი მაღალი ზრდის ტემპით ხასიათდებოდა 2017-2019 წლებში, ხოლო კოვიდ პანდემიის და პოსტ-პანდემიურ პერიოდში სალიზინგო პორტფელი შემცირდა (დეკ-2020: -12% წ/წ, დეკ-2021: -4% წ/წ). 2023 წლის ბოლოსთვის, ლარში დენომინირებული სალიზინგო პორტფელი წინაპანდემიურ პერიოდთან შედარებით აღდგენილია და ზრდას განაგრძობს.

გრაფიკი 1: სალიზინგო პორტფელი საქართველოში და პორტფელის წლიური ზრდა



წყარო: სს თიბისი ლიზინგი, კომპანიის მონაცემები

საქართველოს სალიზინგო სექტორში ბაზრის ლიდერი და ყველაზე მაღალი საბაზრო წილის მქონე კომპანიაა სს თიბისი ლიზინგი, რომლის წილი 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით 86%-ს შეადგენს.

გრაფიკი 2: ბაზრის წილის დინამიკა, %, პერიოდის ბოლოს



წყარო: სს თიბისი ლიზინგი, კომპანიის მონაცემები

განვითარების სამომავლო პოტენციალი

სალიზინგო სფეროს განვითარება გარკვეულწილად კავშირშია საქართველოს ბიზნეს სექტორის აქტივობასთან და როგორც ახალდარეგისტრირებული ისე აქტიური ბიზნეს სუბიექტების რაოდენობასთან.

აქტიურ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა წლიდან წლამდე მზარდია და 2024 წლისთვის 247.1 ათასი აქტიური ბიზნეს სუბიექტი შეადგინა.

ამავე პერიოდში მზარდია ახლადრეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების წლიური რაოდენობა. ამ მხრივ მკვეთრი ზრდა შეინიშნება 2022 წლიდან, რაც დაკავშირებულია რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ მიგრანტების შემოდინებასთან და მათ მიერ საქართველოში ბიზნეს აქტივობის დაწყებასთან.

გრაფიკი 3: მოქმედ ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა და ახლადრეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა, 000



წყარო: საქსტატი

მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ - „ინდუსტრიის მიმოხილვა“.

ემიტენტის ორგანიზაციული სტრუქტურის მიმოხილვა

ემიტენტის ჯგუფის სტრუქტურა პროსპექტის შედგენის თარიღისთვის შემდეგნაირად გამოიყურება:



პროსპექტის შედგენის თარიღისთვის კომპანიის აქციონერი არის სს „თიბისი ბანკი“, რომელსაც ეკუთვნის კომპანიის კაპიტალის 100%-იანი წილი. საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფი“ (TBC Bank Group PLC) არის გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული საჯარო სააქციო საზოგადოება, რომელიც სს „თიბისი ბანკის“ სააქციო კაპიტალის 99.88%-ს ფლობს და ამრიგად წარმოადგენს „თიბისი ლიზინგის“ საბოლოო მშობელ საწარმოს.

მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ - „ორგანიზაციული სტრუქტურა“.

ემიტენტის მენეჯმენტი და ჯგუფის ძირითადი მმართველი გუნდი

გაიოზ გოგუა (ს/ნ 01001032462) – გენერალური დირექტორი

ნუგზარ ლოლაძე (ს/ნ 01017027477) – ფინანსური დირექტორი

ზურაბ გუგუშვილი (ს/ნ 01024020098) – კომერციული დირექტორი

გიორგი მაისურაძე (ს/ნ 01024022547) – რისკების მართვის დირექტორი

„ემიტენტის“ კორპორატიული მართვის წყობის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ „მმართველი ორგანო და მენეჯმენტი“.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ცხრილში შეჯამებულია „კომპანიის“ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ძირითადი ინდიკატორები, რომელიც ეფუძნება „აუდიტირებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებს“ 2023 და 2024 წლებისათვის და და „შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებს“ 2024 და 2025 წლების ნახევარწლიური რეპორტებისთვის. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფასს“-ის (IFRS) შესაბამისად. 2023 და 2024 წლებისათვის მომზადებული წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებებისათვის აუდიტორის დასკვნის ტიპი არის **არამოდიფიცირებული**.

ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და დამატებითი დეტალები იხილეთ „საოპერაციო და ფინანსურ მიმოხილვაში“.

პროსპექტში აღწერილი ინფორმაციის გარდა, 2025 წლის 30 ივნისის შემდეგ და პროსპექტის წარდგენის თარიღამდე არ მომხდარა სხვა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც შეიძლება მატერიალური იყოს „ემიტენტის“ გადახდისუნარიანობის შესაფასებლად.

შერჩეული ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები[1]

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

(ათას ლარში)	2025 6 თვე არააუდიტი-რებული	2024 6 თვე არააუდიტი-რებული	2024 აუდიტი-რებული	2023 აუდიტი-რებული
ფინანსური შემოსავალი ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან	53,574	44,048	91,465	71,837
საპროცენტო ხარჯი	(22,894)	(18,152)	(37,710)	(30,485)
სხვა სალიზინგო შემოსავალი/ხარჯი	(7,955)	(6,020)	(12,620)	(10,115)
წმინდა სალიზინგო შემოსავალი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემდეგ	**19,978**	**17,657**	**38,080**	**29,237**
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(10,159)	(6,845)	(17,186)	(13,092)
სხვა შემოსულობა/ხარჯები	546	(252)	2,160	583
წლის წმინდა მოგება	**10,365**	**10,560**	**23,054**	**16,728**
სხვა სრული შემოსავალი:	-	-	-	(1,091)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	**10,365**	**10,560**	**23,054**	**15,637**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(ათას ლარში)	30 ივნ 2025 არააუდიტი-რებული	31 დეკ 2024 აუდიტი-რებული	31 დეკ 2023 აუდიტი-რებული
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	108,339	66,868	57,326
სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები	124,412	119,196	27,191
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	479,616	436,564	368,287
სხვა ფინანსური აქტივები	53,630	29,002	29,624
სხვა აქტივები	36,926	25,303	32,024
მთლიანი აქტივები	**802,923**	**676,933**	**514,452**
ვალდებულებები			
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	465,386	356,288	255,898
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	114,856	114,656	103,127
სუბორდინირებული სესხები	48,469	49,676	42,184
სხვა ვალდებულებები	67,091	59,557	34,541
მთლიანი ვალდებულებები	**695,802**	**580,177**	**435,750**
საკუთარი კაპიტალი			
სულ საკუთარი კაპიტალი	**107,121**	**96,756**	**78,702**

[1] სრული 2024 და 2023 წლებისთვის გამოყენებულია აუდიტირებული რიცხვები, თუმცა გარკვეული ველები წარმოადგენს აუდიტირებულ რეპორტში წარმოდგენელი ველების გაერთიანებას / ჯამს

სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	**802,923**	**676,933**	**514,452**

საბრუნავი კაპიტალი

კომპანიის საბრუნავი კაპიტალი (მოკლევადიან აქტივებს მინუს მოკლევადიანი ვალდებულებები) და მიმდინარე კოეფიციენტი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემული პერიოდების მიხედვით:

(ათას ლარში)	**30 ივნ 2025**	**31 დეკ 2024**	**31 დეკ 2023**
მოკლევადიანი აქტივები	418,410	314,803	244,614
მოკლევადიანი ვალდებულებები	337,494	160,390	132,263
საბრუნავი კაპიტალი	**80,916**	**154,413**	**112,351**
მიმდინარე კოეფიციენტი	**124.0%**	**196.3%**	**184.9%**

კომპანიის საბრუნავი კაპიტალი 2025 წლის 30 ივნისის, 2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 80,916, 154,413 და 112,351 ათასი ლარი, შესაბამისად. აღნიშნული პერიოდებისთვის კომპანიის მიმდინარე კოეფიციენტი შეადგენდა 124.0%, 196.3% და 184.9%, შესაბამისად.

"ემიტენტის" საბრუნავი კაპიტალი საკმარისი მისი მიმდინარე ოპერაციების დასაფინანსებლად. ობლიგაციებიდან მოზიდული სახსრები სრულად მოხმარდება სალიზინგო პორტფელის ზრდას - შესაბამისად, მისი გავლენა საბრუნავ კაპიტალზე სუბიექტურია.

ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები

ქვემოთ წარმოდგენილი კოეფიციენტები 2024 და 2023 წლებზე დათვლილია აუდიტირებული რიცხვების გამოყენებით ხოლო 2024 წლის შუალედური ანგარიშგების რიცხვები აღებულია არააუდიტირებული მენეჯერული ანგარიშგებებიდან. თავად კოეფიციენტები არ არის წარმოდგენილი ფასს-ის შესაბამისად, არ არის აუდიტირებული და არ არის „ემიტენტის" ოპერაციული ეფექტურობის საზომი ფასს-ის მიხედვით.

„ემიტენტი" თვლის, რომ შემდეგი ინდიკატორები ინვესტორებს აწვდის სასარგებლო ინფორმაციას და ინვესტორები შეძლებენ „კომპანიის" ფინანსური მდგომარეობისა და საოპერაციო შედეგების, ასევე მისი აქტივების ხარისხისა და ბიზნესის ძირითადი ასპექტების შეფასებას. გასათვალისწინებელია, რომ „ემიტენტის" მიერ კოეფიციენტების დათვლის მეთოდოლოგია შეიძლება განსხვავდებოდეს სხვა კომპანიების მიერ მსგავსი ინდიკატორების გამოყენებისა და კალკულაციისგან.

		30 ივნ 2025 LTM* პრო-ფორმა(2)**	30 ივნ 2025 LTM* პრო-ფორმა(1)**	30 ივნ 2025 LTM*	31 დეკ 2024	31 დეკ 2023
	ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები					
1	საპროცენტო ვალდებულებებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი	7.42	6.66	5.89	5.40	5.13
2	არასუბორდინირებული საპროცენტო ვალდებულებებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი	6.97	6.20	5.44	4.89	4.59
3	პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (ICR)	n.a	n.a	1.57	1.62	1.53
4	მთლიანი ვალის კოეფიციენტი (ობლიგაციის კოვენანტი ლიმიტით „<= 91%")	82.2%	80.6%	78.6%	77.2%	78.4%
5	მთლიანი უზრუნველყოფილი ვალის კოეფიციენტი	60.0%	65.6%	72.3%	69.6%	69.8%
	მომგებიანობის კოეფიციენტები					
6	უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE)	n.a	n.a	23.3%	26.3%	23.6%
7	უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA)	n.a	n.a	3.4%	3.9%	3.6%
8	ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი (ROCE)	n.a	n.a	5.3%	5.2%	5.8%
9	საერთო მოგების მარჟა (Gross profit margin)	n.a	n.a	40.0%	41.6%	40.2%
10	წმინდა სალიზინგო შემოსავლის მარჟა (Net Lease Income Margin)	n.a	n.a	43.6%	45.0%	42.9%

11	წმინდა სალიზინგო შემოსავლის მარჟა ჰეჯირების ხარჯის გამოკლებით	n.a	n.a	44.8%	41.7%	41.3%
12	შემოსავლიანობა სალიზინგო პორტფელზე	n.a	n.a	22.7%	22.3%	21.6%
13	დანახარჯები მოზიდულ სახსრებზე	n.a	n.a	8.1%	8.1%	8.6%
14	საპროცენტო განაკვეთის სპრედი	n.a	n.a	14.6%	14.1%	12.9%
15	საპროცენტო განაკვეთის სპრედი ჰეჯირების ხარჯის გამოკლებით	n.a	n.a	14.8%	13.4%	12.6%
16	წმინდა მოგების მარჟა (Net profit margin)	n.a	n.a	22.6%	25.2%	23.3%
17	ხარჯი-შემოსავალთან (CIR)	n.a	n.a	20.3%	18.8%	18.2%
18	აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი	n.a	n.a	15.0%	15.4%	15.6%
	ლიკვიდურობის კოეფიციენტები					
19	ლიკვიდური აქტივები/მთლიანი აქტივები	11.6%	12.7%	14.0%	9.9%	13.1%
20	ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები	33.3%	33.3%	33.3%	41.7%	50.9%
	ხარისხის კოეფიციენტები					
21	საკრედიტო ზარალის დონე	n.a	n.a	2.2%	2.1%	2.1%
22	რისკის მართვის ხარჯი (COR)	n.a	n.a	1.2%	1.3%	1.7%
23	უმოქმედო პორტფელი მთლიან პორტფელთან	n.a	n.a	5.6%	3.6%	3.4%
24	უმოქმედო პორტფელი მთლიან პორტფელთან (შეწყვეტილი ხელშეკრულებების გათვალისწინებით)	n.a	n.a	20.0%	15.3%	18.1%
25	Par 30 მთლიან პორტფელთან	n.a	n.a	12.6%	15.0%	15.2%
26	Par 90 მთლიან პორტფელთან	n.a	n.a	5.5%	3.5%	3.1%
27	პორტფელის რესტრუქტურზაციის კოეფიციენტი	n.a	n.a	-0.02%	0.16%	0.29%
28	პორტფელის ჩამოწერის კოეფიციენტი	n.a	n.a	0.6%	0.5%	0.6%
29	LTV კოეფიციენტი (ჯამური)	n.a	n.a	71.8%	73.6%	75.6%
30	LTV კოეფიციენტი (ზედმეტად უზრუნველყოფილი პორტფელისთვის)	n.a	n.a	63.0%	63.3%	67.1%
31	LTV კოეფიციენტი (არასრულად უზრუნველყოფილი პორტფელისთვის)	n.a	n.a	138.6%	140.2%	120.8%

**LTM* *კოეფიციენტების კალკულაციისას გამოყენებულია საბალანსო მუხლები 30 ივნისის მდგომარეობით, ხოლო მოგება-ზარალისა და ფულადი ნაკადების მუხლები დათვლილია ბოლო 12 თვის კუმულაციური შედეგებით.*

****პრო-ფორმა კოეფიციენტები*** *მოიცავს წინამდებარე პროსპექტით გათვალისწინებულ (1) „ობლიგაციების“ პირველი ტრანშით 30 მილიონ დოლარამდე ღირებულების ობლიგაციების ემისიას და (2) ჯამურად 60 მილიონ დოლარამდე ღირებულების ობლიგაციების ემისიას, საიდანაც მოზიდული სახსრები სრულად მოხმარდება სალიზინგო პორტფელის ზრდას. შესაბამისად, კოეფიციენტების კალკულაციისას 1-ელ შემთხვევაში 30 მილიონით ხოლო მე-2 შემთხვევაში 60 მლნ დოლარით იზრდება აქტივები და ვალდებულებები, ხოლო კაპიტალი უცვლელია.*

პრო-ფორმა კოეფიციენტების კალკულაციის მიზნებისთვის კორექტირებები განხორციელებულია მხოლოდ საბალანსო უწყისში წარმოდგენილ მაჩვენებლებზე, ხოლო მოგება-ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობის და სხვა რიცხვები წარმოდგენილია უცვლელად. მოგება-ზარალისა და ფულადი სახსრების მოძრაობის მონაცემები არ დაკორექტირებულა, ვინაიდან ემისიის ეფექტი აღნიშნულ მაჩვენებლთან მიმართებით არის სუბიექტური. <u>ისეთი კოეფიციენტები, რომელთა ეფექტების ჩვენებაც არარელევანტურია ან სუბიექტურ დაშვებაზეა დამოკიდებული, არ არის კორექტირებული ემისიის ეფექტით და აღნიშნულია “n.a.” მაჩვენებლით.</u>

ამასთან სალიზინგო პორტფელის ზრდის პარალელურად მისი შემცირება მოხდება გადახდებით, რომლებიც ემიტენტის ბიზნეს ოპერაციების შესაბამისად - მიმართული იქნება მიღებული საპროცენტო ვალდებულებების დასაფარად. შესაბამისად მოსალოდნელია, რომ ლიზინგებზე გადახდების გათვალისწინებით სალიზინგო პორტფელისა და აღებული საპროცენტო ვალდებულებების პორტფელის ზრდის მაჩვენებელი არ იქნება რადიკალურად განსხვავებული წინა პერიოდებისგან.

ზოგადი შენიშვნები:

- **საპროცენტო ვალდებულებები** გამოითვლება როგორც - "ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები" + „გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები" + "სუბორდინირებული სესხები" + "სალიზინგო ვალდებულებები"
- **EBIT** გამოითვლება როგორც - „წმინდა სალიზინგო შემოსავალი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემდეგ (საპროცენტო ხარჯის დაკლებამდე)" + „საკრედიტო ზარალის რეზერვი სხვა ფინანსური აქტივებისთვის" + „ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები" + „სხვა შემოსავალი"
- **EBT** გამოითვლება როგორც - EBIT დაკლებული საპროცენტო ხარჯი
- **ჩადებული კაპიტალი** გამოითვლება როგორც - „მთლიანი აქტივები" – „მოკლევადიანი ვალდებულებები"
- **საოპერაციო შემოსავალი** გამოითვლება როგორც - "ფინანსური შემოსავალი ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან" + "ამონაგები საოპერაციო ლიზინგიდან"

შენიშვნა შერჩეულ კოეფიციენტებზე:

- **მთლიანი უზრუნველყოფილი ვალის კოეფიციენტი -** მთლიანი უზრუნველყოფილი ვალის კოეფიციენტი 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 72.3%-ს და 2024 წლის 31 დეკემბრის მაჩვენებელთან მიმართებით გაიზარდა 2.7 პპ-ით, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მაჩვენებელთან მიმართებით 2.5 პპ-ით. 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, აღნიშნული მაჩვენებლის ზრდა გამოწვეულია უზრუნველყოფილი ვალის 23.2%-იანი ხოლო აქტივების 18.6%-იანი ზრდით.
  2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უზრუნველყოფილი ვალი 2023 წლის 31 დეკემბერთან შედარებით გაიზარდა 31.2%-ით ხოლო აქტივები - 31.6%-ით, შედეგად უზრუნველყოფილი ვალის კოეფიციენტი შემცირდა 0.2 პპ-ით.

- **წმინდა მოგების მარჟა (Net Profit Margin) -** წმინდა მოგების (LTM) მარჟა 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 22.6%-ს და 2024 წლის მაჩვენებელთან მიმართებით შემცირებულია 2.6 პპ-ით, ხოლო 2023 წლის მაჩვენებელთან მიმართებით გაზრდილია 0.7 პპ-ით.
  2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით (LTM) წმინდა მოგების მარჟის შემცირება გამოწვეულია LTM წმინდა მოგების შემცირებით, რომელიც შეადგენს 22,859 ათას ლარს და 2024 წლის მაჩვენებელთან მიმართებით შემცირდა 0.8%-ით. აღნიშნული შემცირება მეტწილად გამოწვეულია ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯების 19.3%-იანი ზრდით და ვალუტის კონვერტაციიდან მიღებული წმინდა ზარალით.
  2024 წლის მდგომარეობით წმინდა მოგების მარჟა შეადგენს 25.2%-ს და 2023 წლის მაჩვენებელთან მიმართებით გაზრდილია 1.9 პპ-ით. აღნიშნული ზრდა გამოწვეულია წმინდა მოგების ზრდით, 2024 წლის განმავლობაში წმინდა მოგება გაიზარდა 37.8%-ით რაც უმეტესად გამოწვეულია წმინდა სალიზინგო შემოსავალის 31.7%-იანი.

- **ლიკვიდური აქტივები/მთლიანი აქტივები -** ლიკვიდური აქტივები/მთლიანი აქტივები მაჩვენებელი 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 14.0%-ს და 2024 წლის 31 დეკემბრის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 4.1 პპ-თი, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მაჩვენებელთან შედარებით 0.9 პპ-თი.
  2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, აღნიშნული მაჩვენებლის ზრდა გამოიწვია ლიკვიდური აქტივების 68.0%-ით ზრდამ, კერძოდ ფულის და ფულის ექვივალენტების ზრდამ - რომლის მთავარი მიზეზიც პერიოდის განმავლობაში მოზიდული საპროცენტო ვალდებულებებია.
  2024 წლის მდგომარეობით, აღნიშნული მაჩვენებელი 2023 წელთან მიმართებით შემცირდა 3.2 პპ-თი, აღნიშნული შემცირება უმეტესად გამოწვეულია ჯამური აქტივების 31.6%-იანი ზრდით - რომლის მთავარი მიზეზიც ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსების ზრდაა.

- **ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები** - 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ლიკვიდური აქტივები შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან შეადგენს 33.3%-ს და 2024 წლის მაჩვენებელთან მიმართებით შემცირებულია 8.4 პპ-ით ხოლო 2023 წლის მაჩვენებელთან მიმართებით შემცირებულია 17.6 პპ-ით.
  2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, აღნიშნული მაჩვენებლის ზრდა გამოწვეულია მოკლევადიანი ვალდებულებების 110.4%-იანი და ლიკვიდური აქტივების 68.0%-იანი ზრდით.
  2024 წლის მდგომარეობით აღნიშნული მაჩვენებლის შემცირება გამოწვეულია მოკლევადიანი ვალდებულების 0.7%-იანი შემცირებით და პარალელურად ლიკვიდური აქტივების 21.3%-იანი ზრდით.

- **უმოქმედო პორტფელი მთლიან პორტფელთან** - უმოქმედო პორტფელი მთლიან პორტფელთან 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 5.6%-ს და 2024 წლის 31 დეკემბრის მაჩვენებელთან მიმართებით გაზრდილია 2.0 პპ-ით, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მაჩვენებელთან მიმართებით გაზრდილია 2.2 პპ-ით.
  2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, აღნიშნული მაჩვენებლის ზრდა გამოწვეულია უმოქმედო პორტფელის 72.5%-იანი ხოლო ჯამური მთლიანი ფინანსური ლიზინგზე მოთხოვნების 10.0%-იანი ზრდით.
  2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული მაჩვენებლის ზრდა გამოწვეულია უმოქმედო პორტფელის 25.1%-იანი ხოლო ჯამური მთლიანი ფინანსური ლიზინგებზე მოთხოვნების 18.6%-იანი ზრდით.

- **უმოქმედო პორტფელი მთლიან პორტფელთან (შეწყვეტილი ხელშეკრულებების გათვალისწინებით)** - უმოქმედო პორტფელი მთლიან პორტფელთან (შეწყვეტილი ხელშეკრულებების გათვალისწინებით), 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 20.0%-ს და 2024 წლის 31 დეკემბრის მაჩვენებელთან მიმართებით გაზრდილია 4.7 პპ-ით, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მაჩვენებელთან მიმართებით გაზრდილია 1.9 პპ-ით.
  2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, აღნიშნული მაჩვენებლის ზრდა გამოწვეულია ჯამურად უმოქმედო პორტფელის (როგორც აქტიურ ისე შეწყვეტილ ლიზინგებში) 49.1%-იანი ზრდით. ამავე პერიოდის განმავლობაში გროსს ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთვონებისა და გროსს სხვა ფინანსური აქტივების ჯამი გაზრდილია მხოლოდ 14.0%-ით.
  2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული მაჩვენებლის შემცირება გამოწვეულია უმოქმედო პორტფელის 2.9%-ით კლებით და პარალელურად გროსს ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთვონებისა და გროსს სხვა ფინანსური აქტივების ჯამის 14.5%-იანი ზრდით. იხილეთ „საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა“ - ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.

- **Par 90 მთლიან პორტფელთან** - Par 90 მთლიან პორტფელთან 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 5.5%-ს და 2024 წლის 31 დეკემბერთან მიმართებით გაზრდილია 2.0 პპ-ით, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბერთან მიმართებით 2.4 პპ-ით.
  2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, აღნიშნული მაჩვენებლის ზრდა გამოწვეულია Par 90 პორტფელის 75.4%-ით ზრდით და ჯამურ მთლიან ფინანსურ ლიზინგებზე მოთხოვნების მხოლოდ 10.0%-იანი ზრდით.
  2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული მაჩვენებლის ზრდა გამოწვეულია Par 90 პორტფელის 30.1%-ით ზრდით და ჯამურ მთლიან ფინანსურ ლიზინგებზე მოთხოვნების 18.6%-იანი ზრდით.

მოცემულ სექციაში აღრეწილი ცვლილებების მიზეზები დეტალურად იხილეთ ქვეთავში *“საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა”.*

ძირითადი კოეფიციენტების გამოთვლის მეთოდოლოგია:

ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები :

1. **საპროცენტო ვალდებულებებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი** - საპროცენტო ვალდებულებები შეფარდებული საკუთარ კაპიტალთან;
2. **არასუბორდინირებული საპროცენტო ვალდებულებებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი** - არასუბორდინირებული საპროცენტო ვალდებულებები შეფარდებული საკუთარ კაპიტალთან;
3. **პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (ICR)** – EBIT შეფარდებული საპროცენტო ხარჯთან;
4. **მთლიანი ვალის კოეფიციენტი (ობლიგაციის კოვენანტი ლიმიტით „<=" 91%")** - საპროცენტო ვალდებულებები შეფარდებული მთლიან აქტივებთან
5. **მთლიანი უზრუნველყოფილი ვალის კოეფიციენტი** - მიღებული უზრუნველყოფილი საპროცენტო ვალდებულებები (სალიზინგო ვალდებულებების გარდა) შეფარდებული მთლიან აქტივებთან;

მომგებიანობის კოეფიციენტები:

6. **უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE)** - წლის წმინდა მოგება შეფარდებული ბოლო ორი პერიოდის საშუალო კაპიტალთან;
7. **უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA)** - წლის წმინდა მოგება შეფარდებული ბოლო ორი პერიოდის საშუალო მთლიან აქტივებთან;
8. **ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი (ROCE)** - EBT შეფარდებული ბოლო ორი პერიოდის საშუალო ჩადებულ კაპიტალთან;
9. **საერთო მოგების მარჟა (Gross profit margin)** - წმინდა სალიზინგო შემოსავალი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემდეგ შეფარდებული საოპერაციო შემოსავალთან;
10. **წმინდა სალიზინგო შემოსავლის მარჟა (Net Lease Income Margin)** - წმინდა სალიზინგო შემოსავალი შეფარდებული საოპერაციო შემოსავალთან;
11. **წმინდა სალიზინგო შემოსავლის მარჟა ჰეჯირების ხარჯის გამოკლებით** - წმინდა სალიზინგო შემოსავლისა და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან წმინდა ზარალის სხვაობა შეფარდებული საოპერაციო შემოსავალთან;
12. **შემოსავლიანობა სალიზინგო პორტფელზე** - ფინანსური შემოსავალი ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან შეფარდებული ბოლო ორი პერიოდის საშუალო ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან (მთლიანი);
13. **დანახარჯები მოზიდულ სახსრებზე** - საპროცენტო ხარჯი შეფარდებული ბოლო ორი პერიოდის საშუალო საპროცენტო ვალდებულებებთან;
14. **საპროცენტო განაკვეთის სპრედი** - შემოსავლიანობა სალიზინგო პორტფელზე გამოკლებული დანახარჯები მოზიდულ სახსრებზე;
15. **საპროცენტო განაკვეთის სპრედი ჰეჯირების ხარჯის გამოკლებით** - (შემოსავლიანობა სალიზინგო პორტფელზე გამოკლებული (წარმოებული ფუნანსური ინსტრუმენტებიდან წმინდა ზარალის ფარდობა ბოლო ორი პერიოდის საშუალო ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან (მთლიანი))) გამოკლებული დანახარჯები მოზიდულ სახსრებზე;
16. **წმინდა მოგების მარჟა (Net profit margin)** - წლის წმინდა მოგება შეფარდებული საოპერაციო შემოსავალთან;
17. **ხარჯი-შემოსავალთან (CIR)** - ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები შეფარდებული საოპერაციო შემოსავალთან;
18. **აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი** - საოპერაციო შემოსავალი შეფარდებული ბოლო ორი პერიოდის საშუალო მთლიან აქტივებთან;

ლიკვიდურობის კოეფიციენტები:

19. **ლიკვიდური აქტივები/მთლიანი აქტივები** - ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისა და მოთხოვნები ბანკების მიმართ ჯამი შეფარდებული მთლიან აქტივებთან;
20. **ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები** - ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისა და მოთხოვნები ბანკების მიმართ ჯამი შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან;

ხარისხის კოეფიციენტები:

21. **საკრედიტო ზარალის დონე** - ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების საკრედიტო ზარალის რეზერვის შეფარდება ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებთან (მთლიანი);
22. **რისკის მართვის ხარჯი (COR)** - საკრედიტო ზარალის რეზერვის მთლიანი ხარჯი (ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე საკრედიტო ზარალის რეზერვისა და საკრედიტო ზარალის რეზერვი სხვა ფინანსური აქტივებისთვის ჯამი) შეფარდებული ბოლო ორი პერიოდის საშუალო მთლიან პორტფელთან (ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და სხვა ფინანსური აქტივების ჯამი);
23. **უმოქმედო პორტფელი მთლიან პორტფელთან** - მთლიანი სესხების ნაწილს რომელთა ვადაგადაცილება მეტია 90 დღეზე პლუს არაჯანსაღი რესტრუქტურიზებული სესხების ნაწილი რომელთა ვადაგადაცილება ნაკლებია 90 დღეზე შეფარდებული ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებულ მოთხოვნებითან (მთლიანი);
24. **უმოქმედო პორტფელი მთლიან პორტფელთან (შეწყვეტილი ხელშეკრულებების გათვალისწინებით)** - მთლიანი სესხების ნაწილს რომელთა ვადაგადაცილება მეტია 90 დღეზე პლუს არაჯანსაღი რესტრუქტურიზებული სესხების ნაწილი რომელთა ვადაგადაცილება ნაკლებია 90 დღეზე პლუს სხვა ფინანსური აქტივები შეფარდებული მთლიან პორტფელთან (ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და სხვა ფინანსური აქტივების ჯამი);

25. **Par 30 მთლიან პორტფელთან** - მთლიანი სესხების ნაწილი რომელთა ვადაგადაცილება მეტია 30 დღეზე შეფარდებული ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან (მთლიანი);
26. **Par 90 მთლიან პორტფელთან** - მთლიანი სესხების ნაწილი რომელთა ვადაგადაცილება მეტია 90 დღეზე შეფარდებულიფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან (მთლიანი);
27. **პორტფელის რესტრუქტურიზაციის კოეფიციენტი** - პერიოდის განმავლობაში რესტრუქტურიზებული პორტფელის შეფარდება ბოლო ორი პერიოდის საშუალო ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან (მთლიანი);
28. **პორტფელის ჩამოწერის კოეფიციენტი** - პერიოდის განმავლობაში ჩამოწერილი პორტფელის შეფარდება ბოლო ორი პერიოდის საშუალოფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან (მთლიანი);
29. **LTV კოეფიციენტი** - ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები (მთლიანი) შეფარდებული უზრუნველყოფის საგნის სამართლიან ღირებულებასთან;
30. **LTV კოეფიციენტი (ზედმეტად უზრუნველყოფილი პორტფელისთვის)** - ისეთი ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები (მთლიანი), რომლებიც არასრულად არის უზრუნველყოფილი - შეფარდებული შესაბამის უზრუნველყოფის საგნის სამართლიან ღირებულებასთან;
31. **LTV კოეფიციენტი (არასრულად უზრუნველყოფილი პორტფელისთვის)** - ისეთი ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები (მთლიანი), რომლებიც ზედმეტად არის უზრუნველყოფილი - შეფარდებული უზრუნველყოფის საგნის სამართლიან ღირებულებასთან;

კომპანიის საკრედიტო რეიტინგის მოკლე მიმოხილვა

2025 წლის 3 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას მინიჭებული აქვს საკრედიტო რეიტინგი Fitch Ratings-ის მიერ, რომელიც არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული სარეიტინგო სააგენტო. კომპანიის გრძელვადიანი რეიტინგი არის 'BB' სტაბილური პერსპექტივით, რაც საქართველოში მოქმედ არასაბანკო ფინანსურ ინსტიტუტებს შორის ყველაზე მაღალი საკრედიტო რეიტინგია, ხოლო მოკლევადიანი რეიტინგი არის 'B'.

კომპანიის საკრედიტო რეიტინგი ბოლოს შეიცვალა 2025 წლის 3 დეკემბერს და გახდა 'BB' სტაბილური პერსპექტივით, როცა 2025 წლის ივნისის მდგომარეობით კომპანიის რეიტინგი იყო 'BB' ნეგატიური პერსპექტივით. რეიტინგის ცვლილების მთავარი მიზეზი იყო სარეიტინგო სააგენტოს მიერ საქართველოს სუვერენული რეიტინგის პერსპექტივის ცვლილება ნეგატიურიდან სტაბილურამდე, რისი გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ქვეყნის საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მნიშვნელოვანი ზრდა. 2025 წელს რეიტინგის ცვლილებასთან დაკავშრებით დეტალური ინფორმაციის სანახავად გთხოვთ, იხილოთ თანდართული ბმული Fitch Revises JSC TBC Leasing's Outlook to Stable' Affirms at 'BB'

კომპანიის საკრედიტო რეიტინგი ასევე შეიცვალა 2024 წლის 13 დეკემბერს და გახდა 'BB' ნეგატიური პერსპექტივით, როცა 2024 წლის აპრილის მდგომარეობით კომპანიის რეიტინგი იყო 'BB' სტაბილური პერსპექტივით. რეიტინგის ცვლილების მთავარი მიზეზი იყო სარეიტინგო სააგენტოს მიერ საქართველოს სუვერენული რეიტინგის პერსპექტივის ცვლილება სტაბილურიდან ნეგატიურამდე, რაც გამოწვეული იყო პოლიტიკური და მმართველობითი რისკებით და მათი პოტენციურად ნეგატიური გავლენით საქართველოს საბანკო სექტორზე. 2024 წელს რეიტინგის ცვლილებასთან დაკავშრებით დეტალური ინფორმაციის სანახავად გთხოვთ, იხილოთ თანდართული ბმული - Fitch Revises TBC Leasing's Outlook to Negative; Affirms at 'BB'.

წარსულში, მნიშვნელოვანი ცვლილება კომპანიის საკრედიტო რეიტინგში იყო 2023 წლის 19 მაისს, როცა რეიტინგი შეიცვალა 'BB' სტაბილურ პერსპექტივად (2022 წლის 5 ივლისის მდგომარეობით - 'BB-' სტაბილური პერსპექტივით იყო). ამ ცვლილებაში დიდი როლი ითამაშა კომპანიის SSR (Shareholder Support Rating)-ის გაუმჯობესებამ, რომელიც 2022 წლის 5 ივლისს იყო 'BB-', ხოლო 2023 წლის 19 მაისს გაუმჯობესდა 'BB'-მდე. აღნიშნული ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ „ემიტენტის" საკრედიტო რეიტინგზე გავლენა აქვს მისი მშობელი კომპანიის საკრედიტო რეიტინგს.

2024 წლის 12 დეკემბერს, „ემიტენტის" მშობელი კომპანიის, „თიბისი ბანკის" საკრედიტო რეიტინგი შეიცვალა 'BB' სტაბილური პერპექტივიდან 'BB' ნეგატიურ პერსპექტივამდე. აღნიშნული ცვლილება შეეხო 7 ქართულ კომერციულ ბანკს და განმაპირობებელი მიზეზი ქვეყნის სუვერენული რეიტინგის პერპექტივის ცვლილება იყო. მას შემდეგ „თიბისი ბანკის" რეიტინგი არ განახლებულა და პროსპექტის შედგენის თარიღისთვის შეადგენს - 'BB' ნეგატიური პერსპექტივით.

2023 წელს რეიტინგის ცვლილებასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის სანახავად, გთხოვთ იხილოთ თანდართული ბმული - Fitch Upgrades TBC Leasing to 'BB'; Outlook Stable.

კომპანიის საკრედიტო რეიტინგის დინამიკა წლების განმავლობაში მოცემულია ცხრილში:

ქვემოთ მოცემულია სააგენტოს მიერ კომპანიის ბოლოს განახლებული საკრედიტიო რეიტინგის (რომელიც გაუმჯობესებულია 'BB' სტაბილური პერსპექტივამდე) ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორები. (წყარო Fitch Revises JSC TBC Leasing's Outlook to Stable' Affirms at 'BB').

შენიშვნა: *თითოეული ტერმინის დეტალური განმარტებისთვის/კალკულაცის სანახავად, გთხოვთ, იხილოთ Fitch-ის მეთოდოლოგია.*

დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვეთავში *„კომპანიის საკრედიტო რეიტინგი".*

მიღებული სახსრების გამოყენება

„ემიტენტი“ გეგმავს ჯამური 60,000,000 (სამოც მილიონ) დოლარამდე ნომინალური ღირებულების ობლიგაციების გამოშვებას. მიღებული წმინდა შემოსავალი გამოყენებული იქნება კომპანიის სალიზინგო პორტფელის გასაზრდელად. „ობლიგაციების“ პირველი ტრანშის სახით, „ემიტენტი“ 30,000,000 (ოცდაათ მილიონ) დოლარს მოიზიდავს.

დეტალური ინფორმაცია „ობლიგაციების“ გამოშვებიდან მიღებული სახსრების გამოყენების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ თავში - „შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება“.

მოკლე ინფორმაცია ემიტენტის ბიზნესისა და შეთავაზებული ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი მატერიალური რისკ ფაქტორების შესახებ

I. მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ემიტენტის საქმიანობისთვის

- *კომპანიის უუნარობამ, მოიზიდოს საკმარისი ფულადი სახსრები ოპერირებისთვის, ბიზნესისთვის დამახასიათებელმა ლიკვიდურობის რისკმა, ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობამ და ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების მერყეობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და მის მომავალ ოპერაციებზე.*
- *იმ შემთხვევაში, თუ ემიტენტს ექნება იმაზე მეტი ვალდებულება, ვიდრე მას შეუძლია მოემსახუროს და ამასთან, ვერ შეინარჩუნებს ლიკვიდურობის ჯანსაღ პოზიციას და ვერ მოახერხებს აქტივების შესაბამისად მართვას, შესაძლოა დადგეს გადახდისუუნარობისა და ლიკვიდურობის რისკის წინაშე.*
- *მაკონტროლებელი აქციონერის მხრიდან მხარდაჭერის შეწყვეტა ან შემცირება მომავალში უარყოფითად აისახება კომპანიის ლიზინგის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციულ შედეგებზე.*
- *აქტივების ხარისხის მნიშვნელოვანმა გაუარესებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნეს საქმიანობაზე.*
- *ფინანსური ლიზინგის აქტივების შესაძლო გაუფასურების ზარალის რეზერვი შეიძლება არ იყოს საკმარისი მომავალი საკრედიტო დანაკარგების დასაფარავად.*
- *კომპანიის სტრატეგიის და მისი საქმიანობის წარმატებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია სალიზინგო აქტივების ზრდა.*

II. მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია ინდუსტრიასა და ეკონომიკისათვის

- *პოლიტიკურმა და სამთავრობო არასტაბილურობამ საქართველოში შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკასა და კომპანიის ბიზნესზე.*
- *რეგიონულმა დაძაბულობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ ეკონომიკაზე და კომპანიის ბიზნესზე.*
- *კომპანია შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს მისი მომხმარებლების, მომწოდებლების და მარეგულირებლის მხრიდან.*

III. მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისთვის

- *ინვესტორებმა, რომელთა ფინანსური საქმიანობა დენომინირებულია ობლიგაციების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში ან ფულად ერთეულში, ობლიგაციებზე შესაძლოა მიიღონ ნაკლები პროცენტი ან ძირითადი თანხა, ვიდრე ელიან, გაცვლის კურსებში რყევების ან სავალუტო ოპერაციების რეგულირების შედეგად.*
- *ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს.*
- *ობლიგაციების პირობები შეიძლება შეიცვალოს ან გაუქმდეს, ხოლო უმრავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას შესაძლოა დაექვემდებაროს ყველა მფლობელი, მათ შორის ისინი, ვინც დარჩებიან უმცირებაში.*
- *ობლიგაციების არსებული ფინანსური შეზღუდვები შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს და ვერ დაიცვას ინვესტორები.*
- *ობლიგაციებს გააჩნია გამოსყიდვის ოფცია (call option), რაც გარკვეული რისკების მატარებელია ინვესტორთათვის.*

› *საქართველოს კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციებზე, მათ შორის საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათ რეგისტრაციაზე და ობლიგაციების ფლობიდან მიღებული სარგებელის დაბეგვრაზე.*

ემიტენტის აუდიტორები და პროსპექტში ჩართული მესამე პირები ან ექსპერტები:

„ემიტენტის“ 2024 და 2023 ფინანსური წლების აუდიტორი: შპს „ბიდიო აუდიტი“ (ს/ნ 205145403), მისამართი: თბილისი, თარხნიშვილს 2, ვერე ბიზნეს ცენტრი, ტელ: +995 32 218 81 88, ვებ-გვერდი: https://www.bdo.ge.

პროსპექტში წარმოდგენილი პერიოდების მანძილზე არ მომხდარა „კომპანიის“ ფინანსური აუდიტორის ცვლილება.

შეთავაზებაში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირები/მხარეები:

„ემიტენტის“ დეპოზიტარი: სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ: 204935400), მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის 71. მე-10 ბლოკი, ტელ.: +995 32 250 02 11. ვებ-გვერდი: gcsd.ge

სარეიტინგო კომპანია: Fitch Ratings. მისამართი: 33 Whitehall St. ელ-ფოსტა: https://www.fitchratings.com/contact.

„ემიტენტის“ განთავსების, კალკულაციისა და გადახდის აგენტი: შპს „თიბისი კაპიტალი“ (ს/ნ: 204929961); ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7; იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N11; ელ.ფოსტა: info@tbccapital.ge; ტელ.: (+995 32) 227 27 33; ვებ-გვერდი: tbccapital.ge; რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო; მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა.

შპს „თიბისი კაპიტალი“ („**განთავსების აგენტი**”), მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად, შეუთანხმდა „კომპანიას“, რომ დაეხმარება მას „ობლიგაციების“ განთავსებაში, **არაგარანტირებული (Best Effort) საფუძვლით**, საუკეთესო ძალისხმევის გამოყენებით.

ინვესტორებზე დაწესებული შესაძლო გადასახადები

ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხდება „ემიტენტის“ მიერ სრულად და შეთავაზების ფარგლებში ინვესტორს არ დაეკისრება რაიმე სახის დამატებითი დანახარჯი.

შეთავაზებასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტი

„ემიტენტი“, „ემიტენტის“ აუდიტორები და პროსპექტის მომზადებაში ჩართული მესამე მხარეები (გარდა „განთავსების აგენტისა“) ან ექსპერტები არ არიან დაკავშირებული მხარეები და მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი. ამასთანავე, „განთავსების აგენტი“, ემიტენტის აუდიტორები თედა პროსპექტის მომზადებაში ჩართული მესამე მხარეები ან ექსპერტები არ არიან დაკავშირებული მხარეები და მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

› **კავშირი „ემიტენტსა“ და „განთავსების აგენტს“ შორის**

წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის „განთავსების აგენტსა“ და „გადახდის და კალკულაციის აგენტს“ წარმოადგენს შპს „თიბისი კაპიტალი“, რომელიც „ემიტენტთან“ აფილირებული პირია. კერძოდ, შპს „თიბისი კაპიტალი“ და „ემიტენტის“ 100%-იან მესაკუთრეს წარმოადგენს სს „თიბისი ბანკი“. მიუხედავად იმისა, რომ პოტენციური ინვესტორების მხრიდან ასეთი კავშირი შეიძლება ჩაითვალოს გარკვეულ რისკ ფაქტორად, ემიტენტი მიიჩნევს, რომ ამგვარი რისკი არ არის არსებითი, იმის გათვალისწინებით, რომ „განთავსების აგენტისა“ და „ემიტენტის“ მმართველ ორგანოთა წევრები ერთმანეთისგან სრულად განცალკევებულია და მოცემულ ტრანზაქციასთან

დაკავშირებული ყველა ხელშეკრულება დადებულია არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, კომეციულ საფუძველზე.

- **კავშირი განთავსების აგენტსა და პოტენციურ ინვესტორს შორის**

არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება სს „თიბისი ბანკი“, რომელიც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკია და რომელიც აფილირებულია განთავსების აგენტთან, კერძოდ განთავსების აგენტი სს „თიბისი ბანკის“ პირდაპირი შვილობილი კომპანიაა. ამავდროულად, სს „თიბისი ბანკის“ კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო ბიზნესის დირექტორი ჯგუფის დონეზე ზედამხედველობას უწევს „განთავსების აგენტს“. ჩამოთვლილმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, „განთავსების აგენტსა“ და სს „თიბისი ბანკს“ შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი შემცირებულია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) განთავსების აგენტს კანონმდებლობით მოეთხოვება, რომ როგორც სს „თიბისი ბანკს“, ასევე ყველა ინვესტორს მოექცეს თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;

(ბ) თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შეძენაზე ვიდრე ამ „პროსპექტით“ არის გათვალისწინებული და განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მიიღებს თავად „ემიტენტი“ და არა „განთავსების აგენტი“.

- **კავშირი „ემიტენტსა“ და პოტენციურ ინვესტორს შორის**

არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება სს „თიბისი ბანკი“, რომელიც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკია და რომელიც აფილირებულია ემიტენტთან, კერძოდ „ემიტენტი“ სს „თიბისი ბანკის“ პირდაპირი შვილობილი კომპანიაა. მიუხედავად იმისა, რომ პოტენციური ინვესტორების მხრიდან ასეთი კავშირი შეიძლება ჩაითვალოს გარკვეულ რისკ ფაქტორად, ემიტენტი მიიჩნევს, რომ ამგვარი რისკი არ არის არსებითი, იმის გათვალისწინებით, რომ „ემიტენტისა“ და „პოტენციური ინვესტორის“ იმ მმართველ ორგანოთა წევრები, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებენ „ობლიგაციების“ შესყიდვაზე ერთმანეთისგან სრულად განცალკევებულია და მოცემულ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება მიღებული იქნება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი

სს „თიბისი ლიზინგი“ (ს/ნ: 205016560)

პასუხისმგებელი პირის განცხადება

პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ: *„პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია მათთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და მათი შეფასებით ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.“*

„ემიტენტის“ 2024 და 2023 ფინანსური წლების აუდიტორი: შპს „ბიდიო აუდიტი“ (ს/ნ 205145403), მისამართი: თბილისი, თარხნიშვილს 2, ვერე ბიზნეს ცენტრი, ტელ: +995 32 218 81 88, ვებ-გვერდი: https://www.bdo.ge.
პროსპექტში წარმოდგენილი პერიოდების მანძილზე არ მომხდარა „კომპანიის“ ფინანსური აუდიტორის ცვლილება.

სარეიტინგო კომპანია: Fitch Ratings. მისამართი: 33 Whitehall St. ელ-ფოსტა: https://www.fitchratings.com/contact.

შეთავაზების განხორციელებაში ჩართული პირები:

„ემიტენტის“ განთავსების, კალკულაციისა და გადახდის აგენტი: შპს „თიბისი კაპიტალი“, ს/ნ: 204929961; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7; იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N11; ელ.ფოსტა: info@tbccapital.ge; ტელ.: (+995 32) 227 27 33; ვებ-გვერდი: tbccapital.ge;

„ემიტენტის“ დეპოზიტარი: სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ 204935400), მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის 71. მე-10 ბლოკი, ტელ.: +995 32 250 02 11. ვებ-გვერდი: gcsd.ge

„ობლიგაციებში“ ინვესტიცია გარკვეულ რისკებს გულისხმობს. ინვესტიციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებამდე „ობლიგაციების“ პოტენციურმა მყიდველებმა ყურადღებით უნდა წაიკითხონ წინამდებარე პროსპექტი. პროსპექტში წარმოდგენილ სხვა ინფორმაციასთან ერთად, პოტენციურმა ინვესტორებმა „ობლიგაციებში“ ინვესტირებამდე საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ, საკუთარი ფინანსური მდგომარეობისა და საინვესტიციო მიზნების გათვალისწინებით, ქვემოთ აღწერილი რისკები. ქვემოთ აღწერილ ნებისმიერ რისკს შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი გავლენა „კომპანიის“ საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და მუშაობის შედეგებზე, ასევე - „ობლიგაციების“ საბაზრო ღირებულებაზე. გარდა ამისა, ქვემოთ მოცემულია რისკის ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვანია „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული საბაზრო რისკების შეფასებისთვის, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „ობლიგაციების“ საბაზრო ღირებულებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ „კომპანიას“ მიაჩნია, რომ ქვემოთ აღწერილი რისკის ფაქტორები წარმოადგენს „ობლიგაციებში“ ინვესტირებასთან დაკავშირებულ ძირითად რისკებს, შეიძლება არსებობდეს ან წარმოიშვას ისეთი დამატებითი რისკები, გაურკვევლობები ან არაპროგნოზირებადი გარემოებები, რომლებიც „კომპანიამ“ არ მიიჩნია მნიშვნელოვნად ან რომელთა არსებობის შესახებ „კომპანიას“ არ აქვს ინფორმაცია. ნებისმიერმა ასეთმა რისკმა, გაურკვევლობამ ან გარემოებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ ბიზნესის ოპერირებაზე და ქვემოთ აღწერილის მსგავსი უარყოფითი გავლენა იქონიოს. შესაბამისად, „ობლიგაციების“ ფლობასთან დაკავშირებით ქვემოთ მითითებული რისკები არ არის ამომწურავი.

I. ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ემიტენტის საქმიანობისთვის ლიკვიდობასა და დაფინანსებასთან დაკავშირებული რისკები

1. **კომპანიის უუნარობამ, მოიზიდოს საკმარისი ფულადი სახსრები ოპერირებისთვის, ბიზნესისთვის დამახასიათებელმა ლიკვიდურობის რისკმა, ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობამ და ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების მერყეობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და მის მომავალ ოპერაციებზე.**

კომპანიის ლიკვიდურობაზე და საბრუნავ კაპიტალზე მოთხოვნებს განაპირობებს ლიზინგზე მოთხოვნა, კერძოდ მომხმარებლის მხრიდან სალიზინგო პროდუქტზე მოთხოვნის ზრდა ან კლება. კომპანიის მომავალი ფუნქციონირების მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი უნარი, მართოს ამ ბიზნესისთვის დამახასიათებელი ლიკვიდურობის რისკები. კომპანია ლიკვიდობის რისკების მართვას ახერხებს დივერსიფირებული დაფინანსების არხებით - კერძოდ, (i) ადგილობრივი ინსტიტუციური ინვესტორებისგან მოზიდული სახსრებით (ii) კაპიტალის ბაზრებზე გამოშვებული ფასიანი ქაღალდებითა და (iii) საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან მიღებული სახსრებით.

თუ კომპანიის ოპერაციებიდან მიღებული ფულადი ნაკადები არ იქნება საკმარისი მიმდინარე ფულადი საჭიროებების დასაფინანსებლად, კომპანიას, ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, შესაძლოა მოუხდეს დამატებითი საკრედიტო ინსტრუმენტების, ასევე, დამატებითი კაპიტალის პოტენციური წყაროების მოძიება. ასევე, ეკონომიკის ან ინდუსტრიის დაღმასვლამ შეიძლება პრობლემური ლიზინგის დონე გაზარდოს. ვალის ამოღების მნიშვნელოვანი გაუარესება გავლენას მოახდენს ფულის ნაკადებსა და საბრუნავ კაპიტალზე და ასევე უარყოფითად იმოქმედებს კომპანიისთვის მისაცემი დაფინანსების ღირებულებაზე ან ხელმისაწვდომობაზე.

თუ კომპანიის ფინანსური რესურსები არ იქნება საკმარისი ფინანსებზე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, კომპანიას დამატებითი ფულადი სახსრების მოზიდვა მოუწევს. 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობისთვის კომპანიის დავალიანების კაპიტალთან ფარდობის კოეფიციენტი (სუბორდინირებული სესხების ჩათვლით) 5.9x-ს შეადგენს ხოლო სუბორდინირებული სესხების გამოკლებით - 3.7x-ს.

კომპანიამ შესაძლოა ვერ მოიზიდოს საკმარისი დამატებითი ფულადი სახსრები ბიზნესისთვის ხელსაყრელი პირობებით. თუ კომპანია ვერ შეძლებს ფულის მოზიდვას, მნიშვნელოვნად შეიზღუდება მისი შესაძლებლობა,

დააფინანსოს მიმდინარე ოპერაციები, ისარგებლოს სტრატეგიული უპირატესობებით ან სხვაგვარად მოახდინოს რეაგირება პოტენციური კონკურენციის ზეწოლაზე, რაც მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას იქონიებს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა და ფულად ნაკადებზე. 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიის მოსალოდნელი ლიკვიდურობის გეპი შეადგენს დადებით 76,465 ათას ლარს, ხოლო მიმდინარე კოეფიციენტი 124.0%-ს.

ფინანსური რისკის მართვის შიდა პროცედურები და გაცვლითი კურსისადმი მოწყვლადობის მინიმუმამდე შემცირების უწყვეტი პრაქტიკა, რაც უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დაფინანსების ჰეჯირების გზით ხდება, შესაძლებლობას აძლევს კომპანიას, მართოს ლიკვიდურობის პოტენციური პრობლემები. თუმცა, მომავალში, კომპანიის უუნარობამ, მართოს ლიკვიდურობის რისკი, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს მის ოპერაციებზე. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ წინამდებარე პროსპექტის ქვეთავები *„ფინანსური რისკების მართვა“ – „ლიკვიდურობის რისკი“ და „განაცხადი საბრუნავი კაპიტალის შესახებ“.*

2. არსებულმა და მომავალმა კოვენანტებმა შესაძლოა ფინანსური და საოპერაციო შეზღუდვები დააწესოს კომპანიის საქმიანობაზე.

კომპანიის არსებული დაფინანსების პირობები შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე ჩვეულებრივ შემზღუდავ ვალდებულებას, რომლებიც ეხება ლევერიჯს, ბიზნესის პროფილის შეცვლას, კონტროლის შეცვლას, დივიდენდების გადახდის პოლიტიკას, აქტივების შეძენას, რეალიზაციას, პორტფელის გირავნობას და სხვა. ამ ვალდებულებებმა შეიძლება შეზღუდოს კომპანიის შესაძლებლობა, დააფინანსოს თავისი ოპერაციები ან განახორციელოს კაპიტალური ხარჯები, შესყიდვები ან სხვა ინვესტიციები მომავალში.

არსებული და მომავალი დაფინანსების ხელშეკრულებით განსაზღვრულ რომელიმე ასეთ ვალდებულებასთან შეუსაბამობა შეიძლება დეფოლტად ჩაითვალოს, რაც კრედიტორებს, სხვა უფლებებთან ერთად, აძლევს უფლებას, შეწყვიტონ მომავალი კრედიტის ხელმისაწვდომობა, გაზარდონ საპროცენტო განაკვეთი დაუფარავ ვალზე ან/და შეამცირონ დაუფარავი ვალდებულებების დაფარვის ვადა. მომავალში ვალდებულების მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში კომპანია დადგება იმ რისკის წინაშე რომ შესაძლოა დაარღვიოს არსებული კოვენანტი, რაც გამოიწვევს კრედიტორისგან დაფინანსებაზე წვდომის შეზღუდვას და არსებული დაფინანსების გამოთხოვას. დეტალური ინფორმაციისთვის ემიტენტის არსებულ კოვენანტებზე იხილეთ ქვეთავი *„კაპიტალიზაცია და დავალიანება“.* მომავალში ვალდებულებების ზრდის გამო, ნებისმიერი ასეთი დეფოლტი სერიოზულ უარყოფით გავლენას იქონიებს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

3. იმ შემთხვევაში, თუ ემიტენტს ექნება იმაზე მეტი ვალდებულება, ვიდრე მას შეუძლია მოემსახუროს და ამასთან, ვერ შეინარჩუნებს ლიკვიდურობის ჯანსაღ პოზიციას და ვერ მოახერხებს აქტივების შესაბამისად მართვას, შესაძლოა დადგეს გადახდისუუნარობისა და ლიკვიდურობის რისკის წინაშე.

ემიტენტიმიმდინარე ემისიიდან მოზიდულ სახსრებს სრულად სალიზინგო პორტფელის გასაზრდელად გამოიყენებს. აქედან გამომდინარე, მას დამატებით წარმოეშვება 60,000,000 მილიონი დოლარის ღირებულების ახალი დავალიანება, რის შედეგადაც მთლიანი სესხების კაპიტალთან ფარდობის მაჩვენებელი 7.4x-ს შეადგენს (ჯამურად 60 მილიონი დოლარის ობლიგაციების ემისიის პრო-ფორმა ეფექტი 2025 წლის 30 ივნისი). გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული პრო-ფორმა შეიძლება ჩაითვალოს არაზუსტ ინდიკატორად, რადგან სალიზინგო პორტფელის ზრდა, გაუნაწილებელი მოგების გავლით, გამოიწვევს საკუთარი კაპიტალის ზრდასაც - რაც თავის მხრივ, იქონიებს ეფექტს აღნიშნულ კოეფიციენტზე.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანია სწორად ვერ მართავს სასესხო პორტფელს, შესაძლოა დადგეს ლიკვიდურობისა და გადახდისუუნარობის რისკის წინაშე. აღსანიშნავია, რომ ობლიგაციების პროსპექტით განსაზღვრული პირობებით, კომპანიას ეზღუდება დამატებითი ვალდებულებების აღება იმ შემთხვევაში, თუ იგი ვერ შეასრულებს გარკვეულ კოვენანტებს. მეტი დეტალისთვის იხილეთ - *„ობლიგაციების გამოშვების პირობები“ - 2.6.1. „ვალდებულებები“.*

4. მაკონტროლებელი აქციონერის მხრიდან მხარდაჭერის შეწყვეტა ან შემცირება მომავალში უარყოფითად აისახება კომპანიის ლიზინგის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციულ შედეგებზე.

კომპანია მნიშვნელოვან მხარდაჭერას იღებს მისი 100%-იანი წილის მფლობელისგან, სს თიბისი ბანკისგან. კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს თიბისი ბანკთან თანამშრომლობით, აღნიშნულს თავის მხრივ მომხმარებელთა ფართო წრე, ძლიერი მარკეტინგული და პროექტების განხილვის მნიშვნელოვანი რესურსი აქვს. კომპანიის საკრედიტო პოზიციაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თიბისი ბანკი. ეს ფაქტორი ხელს უწყობს კომპანიის ფინანსური სახსრების მოზიდვის ხარჯების შემცირებას, მისი დაფინანსების არხების გაფართოებას და განამტკიცებს მის პოზიციას სხვადასხვა გარიგების დადების დროს. თუ თიბისი ბანკის მხარდაჭერა კომპანიის მიმართ არსებითად შეიცვლება ან გაუარესდება სს თიბისი ბანკის რეიტინგი, ამან შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე. აღნიშნული რისკი დაიტენტიფიცირებული აქვს სარეიტინგო სააგენტოს. იხილეთ - *„რეიტინგის განმსაზღვრელი ფაქტორები“.*

5. საკრედიტო რეიტინგის კლებამ შესაძლოა გაზარდოს კომპანიის მიერ ფულადი სახსრების მოზიდვის ხარჯი და კომპანიას გაურთულოს მომავალში ახალი ფულადი სახსრების მოზიდვა ან ვადამოსული ვალდებულებების განახლება.

საკრედიტო რეიტინგის კლებამ, რომელიც, მათ შორის, შესაძლებელია გამოწვეული იყოს მაკონტროლებელი კომპანიის საკრედიტო რეიტინგის კლებით, ასეთი ფაქტის დადგომის შემთხვევაში, შესაძლოა გაზარდოს კომპანიის მიერ ფულადი სახსრების მოზიდვის ხარჯს. გარდა ამისა, კომპანიისთვის უფრო რთული და ძვირი იქნება იმ ვალების განახლება, რომელთა დაფარვის ვადაა დამდგარი. საკრედიტო რეიტინგის კლებამ და უუნარობამ, განაახლოს ვადამოსული ვალდებულებები, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე. აღნიშნული რისკი დაიტენტიფიცირებული აქვს სარეიტინგო სააგენტოს. იხილეთ - *„რეიტინგის განმსაზღვრელი ფაქტორები“.*

საკრედიტო რისკები

6. აქტივების ხარისხის მნიშვნელოვანმა გაუარესებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნეს საქმიანობაზე.

კომპანიის სამომავლო განვითარების სტრატეგია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მისი სალიზინგო პორტფელის შესაბამის ზრდაზე. აქედან გამომდინარე, კომპანიას გააჩნია აქტივების ზრდასთან ერთად მათი ხარისხის შენარჩუნებისა და ეფექტურად მართვის რისკი. კომპანიის სალიზინგო პორტფელის უდიდესი ნაწილი ფინანსური ლიზინგის პორტფელისგან შედგება. თუ კომპანია ვერ შეძლებს აქტივების ზრდასთან ერთად პორტფელის ხარისხის შენარჩუნებას აღნიშნულმა შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის შედეგებზე და მის სამომავლო პერსპექტივაზე. აქტივების ხარისხთან დაკავშირებით რიკსი დაიდენტიფიცირებული აქვს სარეიტინგო სააგენტოს - კერძოდ, Fitch Ratings ხაზს უსვამს კომპანიის მაღალ რისკ-აპეტიტსა და ერთგვაროვან ბიზნეს მოდელს. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავები: *„რეიტინგის განმსაზღვრელი ფაქტორები“, „ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები“, „საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა“.*
ასევე, კომპანიის სალიზინგო პორტფელის ხარისხი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმ ეკონომიკურ სფეროებში განვითარებულ მოვლენებზე, რომლებშიც მისი მომხმარებლები ეწევიან ბიზნეს საქმიანობას. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის სალიზინგო პორტფელი საკმაოდ დივერსიფიცირებული და მრავალდარგობრივია, ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება აღნიშნულ სფეროებში შეიძლება არსებითად უარყოფითად აისახოს კლიენტების ოპერაციებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე, რაც, თავის მხრივ, უარყოფით გავლენას მოახდენს მათ მიერ ფინანსური ვალდებულებების შესრულებაზე და კომპანიის ფინანსურ თუ საოპერაციო შედეგებზე.

კომპანიას გარდა აქტიური სალიზინგო პორტფელისა ბალანსზე აღრიცხული აქვს „სხვა ფინანსური აქტივები“, რომლებიც წარმოადგენს შეწყვეტილ ხელშეკრულებებს. 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, სხვა ფინანსური

აქტივების (ნეტო) ფარდობა ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან (ნეტო) 11.2%-ია და 2024 წლის 31 დეკემბრის შემდეგ ეს ფარდობა გაზრდილია 4.5 პროცენტული პუნქტით, ხოლო უმოქმედო პორტფელისა და შეწყვეტილი ხელშეკრულებების ჯამის ფარდობა ჯამურ კორტფელთან 20.0%-ს შეადგენს, რაც 14.4 პროცენტული პუნქტით მეტია ვიდრე NPL კოეფიციენტი, რომლის კალკულაციაშიც არ გაითვალისწინება შეწყვეტილი ხელშეკრულებები. 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით გროსს სხვა ფინანსური აქტივების შეფარდება გროსს ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან არის 18.0% და წინა დასრულებულ პერიოდთან შედარებით გაზრდილია 4.1 პროცენტული პუნქტით (31.12.2024 - 13.8%). თვითონ გროსს სხვა ფინანსური აქტივები 2025 წლის განმავლობაში გაზრდილია 43.0%-ით (26,531 ათასი ლარით) - აღნიშნული ზრდა კავშირშია ბოლო წლების განმავლობაში ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების ზრდასთან, კერძოდ, რაც უფრო დიდი მოცულობის ზრდა ფიქსირდება ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებულ მოთხოვნებში, მით მეტია სხვა ფინანსურ აქტივებში ზრდა. 2025 წლის განმავლობაში "კომპანიამ" ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან სხვა ფინანსურ აქტივებში გადაიტანა 6 მატერიალური ხელშეკრულება, რომლებიც გროსს სხვა ფინანსური აქტივების ნაზრდის 83%-ს შეადგენდნენ. 2025 წლის განმავლობაში სხვა ფინანსური აქტივები (ნეტო) გაზრდილია 84.9%-ით (მეტით ვიდრე გროსს სხვა ფინანსური აქტივები), რისი მიზეზიც სხვა ფინანსურ აქტივებად ახალდაკლასიფიცირებული პორტფელის მაღალი უზრუნველყოფის დონე და შესაბამისად დაბალი ECL-ია ("ზედმეტად უზრუნველყოფილი" პორტფელი).

კომპანიის აქტივებში სხვა ფინანსური აქტივების წილის ზრდამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს მის მომგებიანობაზე და ჯამურად კომპანიის აქტივების ხარისხის მაჩვენებლებზე.
რისკი ნაწილობრივ შემსუბუქებულია იმით, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ კომპანია იწყებს აქტივის დასაკუთრების პროცედურას, რის შედეგადაც აღნიშნული აქტივები ან რეალიზდება ბაზარზე, ან ხელახლა გაიცემა ლიზინგის პირობებით („რელიზინგი"). აღნიშნული პრაქტიკა საშუალებას აძლევს კომპანიას მინიმუმამდე დაიყვანოს ზარალი.

7. კომპანიის სალიზინგო აქტივები და ფინანსური უზრუნველყოფა ან გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფენ ლიზინგს, შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი, ან შესაძლოა აღნიშნული აქტივების საბაზრო ღირებულება არსებითად შემცირდეს და კომპანიამ ამ ან სხვა მიზეზით სრულად ვერ მოახდინოს მათი რეალიზება.

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე კომპანია მის ხელთ არსებულ სალიზინგო აქტივებს განიხილავს როგორც უზრუნველყოფას და მხოლოდ განსაკუთრებულად მაღალრისკიან შემთხვევებში მოითხოვს მომხმარებლისგან დამატებით უზრუნველყოფას, რაც უმეტეს შემთხვევაში უძრავ ქონებას წარმოადგენს. 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიის სალიზინგო პორტფელის ჯამური LTV კოეფიციენტი 71.8%-ს შეადგენს, დამატებითი ინფორმაცია იხილეთ წინამდებარე პროსპექტის ქვეთავში *„ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები"*. სალიზინგო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკონტრაქტო პირობების დარღვევის შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილია, გაყიდოს ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივი. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია სალიზინგო ხელშეკრულების გაფორმების პროცესში ამოწმებს უზრუნველყოფაში დაგირავებულ ქონებას, მისი ღირებულება შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს კომპანიისგან დამოუკიდებელი ფაქტორების ზემოქმედებით, როგორებიცაა მიყენებული ზიანი, ჭარბი მიწოდება, დევალვაცია ან ბაზარზე არსებული მოთხოვნის შემცირება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი რისკი არსებობს კომპანიის გარანტორთა ფინანსური მდგომარეობის თუ გადახდისუნარიანობის მნიშვნელოვან გაუარესებასთან დაკავშირებით. აღნიშნულის შედეგად, შეიძლება არსებითად შემცირდეს ის თანხები, რომლებიც კომპანიას უნდა ამოეღო შესაბამისი გარანტიებით. არ არსებობს გარანტია იმისა, რომ სალიზინგო ხელშეკრულების პერიოდში გარანტორთა ფინანსური მდგომარეობა მოულოდნელად არ გაუარესდება. მსგავსი მოვლენების განვითარების შემთხვევაში კომპანიას შესაძლოა მოუწიოს შესაძლო დანაკარგის რეზერვების მნიშვნელოვნად გაზრდა ან აქტივების ჩამოწერა, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება კომპანიის სამომავლო გეგმებზე, მის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უზრუნველყოფის დასაკუთრების ან/და მისი შემდგომი რეალიზაციის პროცესი შეიძლება დროში საკმაოდ გაიწელოს აქტივის არალიკვიდურობის თუ სხვა მიზეზის გამო.

8. პოტენციური მსესხებლების საკრედიტო რისკის სამართლიანად შეფასებასთან დაკავშირებულმა სირთულეებმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საკრედიტო პორტფელის ხარისხზე.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას აქვს ლიზინგის დამტკიცების წინასწარ გაწერილი პოლიტიკა და პროცედურები და გააჩნია დამტკიცების სხვადასხვა დონის კომიტეტები (დამტკიცების პროცედურების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ *„ლიზინგის პროცესი“ და „ბიზნეს პროცესისა და ხარისხის კონტროლის პროცედურები“*). მან შეიძლება ვერ შეძლოს თითოეული პოტენციური კლიენტის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის და მისი გადახდისუნარიანობის სწორად შეფასება. გადაწყვეტილებები ნაწილობრივ ემყარება იმ ინფორმაციას, რომელსაც ლიზინგის განაცხადის შემომტანი წარმოადგენს.

პოტენციურმა კლიენტმა შესაძლოა თაღლითური გზით წარმოადგინონ არასწორი ინფორმაცია და თუ ეს თაღლითობა შეუმჩნეველი დარჩა, საკრედიტო კომიტეტმა შესაძლოა ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით არასწორად განსაზღვროს მომხმარებლის საკრედიტო რისკები. პოტენციური მომხმარებლების საკრედიტო რისკის არასწორად შეფასება - მოხდება ეს მომხმარებლის არასათანადოდ შეფასების თუ მომხმარებლის მიერ თაღლითურად წარმოდგენილი არასწორი ინფორმაციის გამო - შესაძლოა სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

ამის დასაბალანსებლად, საკრედიტო რისკების მართვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი დანაკარგების ადეკვატური რეზერვის შექმნა და პორტფელის დივერსიფიკაციაა.

9. ფინანსური ლიზინგის აქტივების შესაძლო გაუფასურების ზარალის რეზერვი შეიძლება არ იყოს საკმარისი მომავალი საკრედიტო დანაკარგების დასაფარავად.

კომპანია ანგარიშგებისთვის იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს ("ბასს") და მათ შესაბამისად ქმნის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული აქტივების შესაძლო გაუფასურების ზარალის რეზერვს. 2017 წლის ბოლოდან კომპანიამ დანერგა ფასს 9. კომპანიის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული აქტივების გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება მისი შიდა რეზერვირების პროცედურებისა და პოლიტიკების თანახმად, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა მომხმარებლების საქმიანობის სფეროს მახასიათებლები, მომხმარებლების გადახდისუნარიანობა, ეკონომიკური გარემო და მისი ზოგადი ტენდენციები, შესაბამისი უზრუნველყოფებისა და გარანტიების ღირებულება.
იქიდან გამომდინარე, რომ ბასს-ის თანახმად მომავალი საკრედიტო რისკების შეფასება საჭიროებს მნიშვნელოვან განსჯასა და მიახლოებას, კომპანიამ შესაძლოა სათანადოდ ვერ შეაფასოს მომავალი რისკები და, შესაბამისად, მის მიერ შეფასებული რეზერვი არ იყოს ფაქტობრივი საკრედიტო დანაკარგების დასაფარავად. ამას გარდა, კომპანიის მიერ შექმნილი რეზერვი შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს იმ შემთხვევებშიც, თუ საქართველოს ან რეგიონის ეკონომიკაში გაუთვალისწინებელი არსებითი უარყოფითი რყევები მოხდება, ან თუ სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენები უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მომხმარებლების ბიზნესზე ან ზოგადად ბაზარზე. აღნიშნული რისკების მატერიალიზების შემთხვევაში, კომპანიას შეიძლება დასჭირდეს დამატებითი რეზერვის შექმნა, რაც თავის მხრივ არსებითად უარყოფითად აისახება მის საქმიანობაზე, საოპერაციო თუ ფინანსურ შედეგებზე.

10. კომპანიის სადაზღვევო ანაზღაურებამ შესაძლოა სრულად არ აანაზღაუროს პოტენციური ვალდებულებები ან დანაკარგები.

კომპანია ლიზინგის მიმღებებისგან კონტრაქტით გაწერილი პირობის თანახმად, ითხოვს, რომ მათ აუნაზღაურონ და დააზღვიონ ისეთი ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას შეიძლება წარმოექმნას სალიზინგო აქტივების გამოყენების და მათი ექსპლუატაციის, აგრეთვე ქონებისთვის მიყენებული ზიანის და დანაკარგის გამო. შესაბამისად, მომხმარებლები ვალდებულები არიან, შეიძინონ შესაბამისი დაზღვევა სადაზღვევო კომპანიებისგან ან სხვა შემთხვევაში კომპანია დააზღვევს მათ ნაცვლად ლიზინგით გაცემულ აქტივებს, ხოლო სადაზღვევო პრემიის ანაზღაურება მომხმარებელ მოუწევს.
კომპანიის პორტფელის 100% დაზღვეულია კომპანიის მხრიდან. კომპანია რისკების დასაზღვევად შემდეგი ტიპის დაზღვევებს იყენებს: Casco (ავტოტრანსპორტი/ავტომობილები), Cpm (სამშენებლო მანქანა-დანადგარები), Pro (უძრავი ქონება), Mb (მანქანა-დანადგარების მწყობრიდან გამოსვლა), EE (ელექტრონული მოწყობილობები). აღნიშნული დაზღვევის ტიპები ფარავს ისეთ რისკებს, როგორიც არის საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები, ხანძარი, აფეთქება, სტიქიური მოვლენები, მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, თუმცა არ ფარავს აქტივის გაუჩინარების რისკს.
სადაზღვევო პოლისის ვადა თავის მხრივ სალიზინგო კონტრაქტის იდენტური უნდა იყოს. კომპანია თავის მხრივ რისკების თავიდან ასაცილებლად კონკრეტული საფრთხის შესაბამისი მიტიგაციისთვის მომხმარებელთან

გაფორმებულ ხელშეკრულებაში წერს გარკვეული ტიპის შეზღუდვებს სალიზინგო აქტივის გამოყენებასთან დაკავშირებით. კომპანია ლიზინგის საგანს აზღვევს აქტივის მოწოდებიდან, მის კლიენტთან არსებობის სრულ ეტაპზე, შესაბამისად თუ ლიზინგის ხელშეკრულება შეწყდა და მოხდა აქტივის ჩამორთმევა, რომელიც დასაკუთრებული იქნება კომპანიის მართვაში არსებულ ტერიტორიაზე, ესეთ აქტივებზე წყდება აქტივის დაზღვევა. აღნიშნული ზომების გატარების მიუხედავად არ არსებობს იმის გარანტია, რომ აღნიშნული ნაბიჯები ეფექტური აღმოჩნდება ან, რომ კომპანიას არ წარმოექმნება შემდგომი პრეტენზიები. შესაბამისად, მომხმარებლები ვალდებულები არიან, შეიძინონ შესაბამისი დაზღვევა სადაზღვევო კომპანიებისგან.
ამასთან, არ არსებობს იმის გარანტია, რომ ლიზინგის მიმღებების მიერ შესყიდული დაზღვევა ან/და კომპანიის მიერ გაწეული რომელიმე პირობითი დაზღვევა ადეკვატური ან საკმარისი იქნება იმისათვის, რომ დაფაროს ყველა სახის პრეტენზია, რომელიც შეიძლება მომავალში კომპანიის წინაშე წარმოიქმნას. ნებისმიერ არსებით სადაზღვევო დანაკარგის აუნაზღაურებლობამ ან ლიზინგის მიმღების მხრიდან მისი ვალდებულების არ აღიარებამ შეიძლება შეამციროს კომპანიის შემოსავლები, წარმოუქმნას დამატებითი ვალდებულებები და არსებითად უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, მის გადახდისუნარიანობასა და სამომავლო გეგმებზე.

11. აქტივების ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებული რისკები.

კომპანია ზოგადად აქტიურად თანამშრომლობს კვალიფიციურ და სანდო მომწოდებლებთან. მიუხედავად ამისა, პორტფელის აქტივების გარკვეული ნაწილი, მეორადი აქტივებისგან შედგება; რიგ შემთხვევებში მომხმარებელს ნაკლებად ცნობილი მწარმოებელი უფრო შეღავათიან ფასს სთავაზობს. აღნიშნულ შემთხვევებში მნიშვნელოვანია შესაბამის აქტივის სანდო და რეალური შეფასება. საოპერაციო მიზნებისთვის აქტივს აფასებს კომპანიის შემფასებელთა ჯგუფი. მიუხედავად აღნიშნული ჯგუფის კვალიფიციურობისა, არსებობს რისკი, რომ მათ მიერ დადგენილი ღირებულებები, არ ემთხვეოდეს აქტივის სამართლიან ღირებულებას. ამას გარდა, ჩამოწერილი აქტივების შეფასების მიზნით კომპანია დამოუკიდებელი შემფასებლების მომსახურებას იყენებს. ამ შემთხვევაშიც არსებობს იმის რისკი, რომ აღნიშნული შეფასება სრული სიზუსტით არ ასახავდეს აქტივების სამართლიან ღირებულებას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საშემფასებლო საქმიანობა საქართველოში არ რეგულირდება, გარდა კომერციული ბანკებისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაწერილი რეგულაციისა. ეს კი თავის მხრივ დამატებით რისკს წარმოქნის აქტივების ღირებულების სწორ და სამართლიან შეფასებასთან დაკავშირებით.

12. კლიენტების კონცენტრაციის რისკი.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიის პორტფელის 21% ტოპ ათ კლიენტზეა კონცენტრირებული. ამასთან, კომპანიამ შეიძლება გააზრებულად ან გაუაზრებლად გასცეს აქტივები ლიზინგით ერთი და იმავე აქციონერის დაქვემდებარებაში არსებული კომპანიების ჯგუფებზე, რითიც კიდევ უფრო გაზარდოს კონცენტრაცია და შესაბამისად პორტფელის კონცენტრაციის რისკიც.

13. სექტორული კონცენტრაციის რისკი.

რისკების მიტიგაციისთვის აუცილებელია დივერსიფიცირებული სალიზინგო პორტფელის ქონა. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია მუდმივად ცდილობს აღნიშნული მრავალფეროვანი პორტფელის შენარჩუნებას შეიმჩნევა გარკვეული სექტორების შედარებით მაღალი კონცენტრაცია სალიზინგო პორტფელში. 2025 წლის 30 ივნისისთვის ბიზნეს პორტფელში სამი ტოპ-სექტორია: ინფრასტრუქტურის განვითარება, ვაჭრობა და საცალო ვაჭრობა, რომლებშიც კონცენტრაცია შესაბამისად ასე ნაწილდება: 24%, 21% და 13%.

საოპერაციო რისკები

14. კომპანიის რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემების გაუმართავობის შემთხვევაში, კომპანიამ შეიძლება ვერ მოახერხოს ყველა რისკის ეფექტური მიტიგაცია.

კომპანიის ბიზნესის განვითარებასთან ერთად იმატებს იმ რისკების ოდენობა და კომპლექსურობა, რომლებიც კომპანიის საქმიანობასთან არის დაკავშირებული. კომპანია მუდმივ რეჟიმში მუშაობს მისი რისკების მართვის სისტემის დახვეწაზე, თუმცა მაინც არსებობს იმის რისკი, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მისი ყველა არსებითი რისკის ეფექტურ მიტიგაციას. კომპანიას მკაცრად აქვს გაწერილი რისკის მართვის პოლიტიკა და განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდება ახალი დარგის დამატებას ან ახალ მომხმარებელთან ურთიერთობის დამყარებას. მიუხედავად ამისა ახალი პროდუქტების დანერგვისა თუ ახალი მომხმარებლის შეძენის ფონზე, კომპანიამ შეიძლება ვერ მოახერხოს ყველა პოტენციური რისკის იდენტიფიცირება და შეფასება.

კომპანიის რისკების მართვის და შიდა კონტროლის პოლიტიკამ შესაძლოა ეფექტიანად ვერ შეამციროს ყველა ტიპის არსებითი რისკები, მათ შორის გაუთვალისწინებელი რისკები და ის რისკები, რომელთა შესახებ კომპანიას არ აქვს ინფორმაცია. კომპანიის მიერ ჩამოყალიბებული სხვადასხვა წესები და პროცედურები შეიძლება არ იყოს სრულად ეფექტიანი. კომპანიის რისკის მართვის ან შიდა კონტროლის პროცესებში ნებისმიერი სახის არსებითმა დარღვევამ ან ჯამურმა არსებითმა დარღვევამ შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და საქმიანობის შედეგებზე.

15. კომპანიის საქმიანობის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მისი საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების სათანადო ფუნქციონირებაზე.

საინფორმაციო ტექნოლოგიების მუდმივ განვითარებასთან ერთად იზრდება იმ რისკების კომპლექსურობაც, რომლებიც შეიძლება განაპირობებდნენ საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების შეფერხებას და მათ დარღვევას. აღნიშნული სისტემების დარღვევის საფრთხეები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: კომპიუტერული ვირუსები, არაავტორიზებული წვდომები, სერვერის ფიზიკური დაზიანება და კომპიუტერული პროგრამის ან აპარატურის გაუმართაობა. შეფერხებამ აღნიშნულ სისტემებში შეიძლება ხელი შეუშალოს მომხმარებლების სწრაფ მომსახურებას, სწორ ანგარიშგებას, მომხმარებლის პირადი ინფორმაციის დაცვას. ნებისმიერი მსგავსი შეფერხება უარყოფითად აისახება კომპანიის რეპუტაციაზე და იწვევს მომხმარებლის ნდობის შემცირებას კომპანიის ბიზნესის მიმართ. აღნიშნული რისკის მატერიალიზებამ შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა თუ ფულად ნაკადებზე. შესაძლოა კომპანიამ ფინანსური თუ სხვა შეზღუდვების გამო ვერ შეძლოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების შემდგომი განვითარება, პროგრამული უზრუნველყოფის დახვეწა და დაცვის სისტემების სრულყოფა. აღნიშნული არსებითად უარყოფით გავლენას იქონიებს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა და მის ფულად ნაკადებზე.

16. კომპანიამ შესაძლოა დროულად ვერ აღმოაჩინოს ან თავიდან ვერ აიცილოს მისი თანამშრომლების ან მესამე პირების მიერ თაღლითობის ან სხვა არასათანადო საქციელის ჩადენა.

კომპანიას გააჩნია რისკი მესამე მხარის ან თანამშრომლების მიერ ჩადენილ თაღლითობასთან ან სხვა არასათანადო საქციელთან დაკავშირებით. კომპანიამ შესაძლოა დროულად ვერ აღკვეთოს ან ვერ აღმოაჩინოს ეს დარღვევები. აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს მატერიალური ფინანსური ზიანი კომპანიისთვის ან/და ხელისუფლების ორგანოების მხრიდან მისთვის არსებითი სანქციების დაკისრება. ფინანსურ ზარალთან ერთად მოსალოდნელია რეპუტაციის დაზიანება. ყოველივე აღნიშნულმა კი ერთად ან ცალ-ცალკე შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის სამომავლო გეგმებზე და მის საქმიანობაზე. კომპანიას დანერგილი აქვს შესაბამისი რისკების მართვის სისტემები, საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემები და შიდა კონტროლის პროცედურები. აღნიშნული მიზნად ისახავს, მუდმივ რეჟიმში აკონტროლოს კომპანიის ოპერაციები, უზრუნველყოს მისი შესაბამისობა მოქმედ კანონებსა თუ რეგულაციებთან. მიუხედავად ამისა, არსებობს რისკი, რომ აღნიშნული სისტემები არ აღმოჩნდეს ეფექტური ან/და საკმარისი და კომპანიამ დროულად ან საერთოდ ვერ მოახერხოს დარღვევების ან საეჭვო გარიგებების იდენტიფიცირება.

ამასთან, შესაბამისი პრევენციული ზომების გატარების მიუხედავად მესამე მხარის ან თანამშრომლის მიერ თაღლითობის ან სხვა არასათანადო საქციელის ჩადენის შესაძლებლობა სრულად არ ექვემდებარება კომპანიის

კონტროლს და გარდა არსებობს რისკი, რომ კომპანიამ ვერ მოახერხოს აღნიშნული ქმედებების პრევენცია. ამასთან, არსებობს რისკი, რომ კომპანიამ ვერ აღმოაჩინოს უკვე ჩადენილი დარღვევა. ზემოთაღნიშნული რისკების მატერიალიზებამ შესაძლოა არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ცდილობს დარწმუნდეს კლიენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ნამდვილობაში. არსებობს რისკი, რომ კლიენტმა გააყალბოს მისი ფინანსური უწყისები და არასწორი ინფორმაცია წარმოადგინოს მისი საქმიანობის შესახებ.

17. გამყიდველის/მომწოდებლის რისკი.

კომპანია აქტივებს შეისყიდის მხოლოდ კარგი რეპუტაციისა და სანდო მომწოდებლებისგან. თითოეული ნასყიდობის კონტრაქტი განსხვავდება მოწოდების ვადის, მდებარეობის და გადახდის პირობების მიხედვით, თუმცა ძირითადად კომპანია ცდილობს აქტივის მოწოდებამდე მხოლოდ ნაწილი თანხა გადარიცხოს ან გახსნას აკრედიტივი. ძირითადად აკრედიტივის გამოყენება ხდება ისეთ სალიზინგო ურთიერთობებზე, სადაც უცხოური მომწოდებელია, ხოლო ადგილობრივი მომწოდებლების შემთხვევაში თანხების გადახდა ხდება ძირითადად აქტივების მოწოდების შემდეგ, მხოლოდ მსხვილ და სანდო მომწოდებლების შემთხვევაში თანხა ირიცხება ნაწილობრივ ავანსად. მიუხედავად ამისა, არ არსებობს გარანტია, რომ წინასწარი გადახდის მიღების შემდეგ მომწოდებელი აუცილებლად მოაწოდებს კომპანიას შესყიდულ აქტივს ან რომ მოწოდებული აქტივი დააკმაყოფილებს წინასწარ გაწერილ სპეციფიკურ პარამეტრებს. აღნიშნული რისკი მთლიანად კომპანიის რისკია, რომელიც განსაზღვრულია წინასწარ გადახდილი თანხით, თუმცა აღნიშნული ყოველი მომწოდებლებისთვის განსხვავებულია. მიუხედავად ამისა, არ არსებობს გარანტია, რომ წინასწარი გადახდის მიღების შემდეგ მომწოდებელი აუცილებლად მოაწოდებს კომპანიას შესყიდულ აქტივს ან რომ მოწოდებული აქტივი დააკმაყოფილებს წინასწარ გაწერილ სპეციფიკურ პარამეტრებს. აღნიშნული რისკი მთლიანად კომპანიის რისკია, რომელიც განსაზღვრულია წინასწარ გადახდილი თანხით, თუმცა აღნიშნული ყოველი მომწოდებლებისთვის განსხვავებულია. მიუხედავად კონტრაქტში გაწერილი შესაბამისი პირობებისა აღნიშნული რისკის მატერიალიზების მცირე შანსი მაინც არსებობს.

18. სხვა საოპერაციო რისკები.

იურიდიული ან სხვა საოპერაციო რისკი - კომპანიის თანამშრომლებმა შეიძლება შეცდომა დაუშვან ხელშეკრულების შედგენისას, აქტივების დაზღვევისას, მომხმარებლისათვის აქტივის გადაცემისას ან სხვა საოპერაციო ქმედებებთან დაკავშირებით.

საბაზრო რისკები

19. კომპანიას გააჩნია აქტივებისა და ვალდებულებების რისკის პოზიცია საპროცენტო განაკვეთის ჭრილში.

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მას გააჩნია აქტივებისა და ვალდებულებების რისკის პოზიცია საპროცენტო განაკვეთის ჭრილში. საპროცენტო აქტივებისა ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთის არსებით შეუსაბამობას შეუძლია წმინდა საპროცენტო მარჟის მნიშვნელოვანი შემცირება - რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება კომპანიის ბიზნესსა და მისი საოპერაციო საქმიანობის შედეგებზე. აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვეთავში *„ფინანსური რისკების მართვა“ – „საპროცენტო განაკვეთის რისკი“.* კომპანია მუდმივ რეჟიმში უყურებს შეუსაბამობის დონეს და მიმართავს სხვადასხვა ზომებს აღნიშნული რისკის სამართავად, თუმცა არ არსებობს იმის გარანტია, რომ კომპანიის მიერ მიღებული ზომები იქნება საკმარისი და კომპანია არ აღმოჩნდება მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის შეუსაბამობის რისკის პოზიციაში.

20. კომპანიას გააჩნია აქტივებისა და ვალდებულებების რისკის პოზიცია უცხოური ვალუტის ჭრილში. ამ მიზნით იგი ახდენს სავალუტო რისკის ჰეჯირებას, რაც დაკავშირებულია დამატებით ფინანსურ ხარჯებთან. სავალუტო ბაზარზე კურსის სამომავლო ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს აღნიშნული ხარჯების ზრდა.

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მას გააჩნია რისკი აქტივებისა და ვალდებულებების რისკის პოზიცია უცხოური ვალუტების ჭრილში. საპროცენტო აქტივებისა ვალდებულებების უცხოური ვალუტების არსებით შეუსაბამობას შეუძლია წმინდა საპროცენტო მარჟის მნიშვნელოვანი შემცირება. რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება კომპანიის ბიზნესსა და მისი საოპერაციო საქმიანობის შედეგებზე. აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვეთავში *„ფინანსური რისკების მართვა“ – „სავალუტო რისკი“.* კომპანია მუდმივ რეჟიმში უყურებს შეუსაბამობის დონეს და მიმართავს სხვადასხვა ზომებს აღნიშნული რისკის სამართავად, თუმცა არ არსებობს იმის გარანტია, რომ კომპანიის მიერ მიღებული ზომები იქნება საკმარისი და კომპანია არ აღმოჩნდება მნიშვნელოვანი უცხოური ვალუტების შეუსაბამობის რისკის პოზიციაში.

21. კომპანია სალიზინგო სექტორში ინარჩუნებს მნიშვნელოვნად დიდ ბაზრის წილს კონკურენტებთან შედარებით.

კომპანია საქართველოში მოქმედ სალიზინგო კომპანიებს შორის 86%-იანი ბაზრის წილით ლიდერობს 2025 წლის ივნისის მდგომარეობით და ასევე, 70%-ზე მეტი წილი უჭირავს ბაზარზე 2021 წლიდან მოყოლებული. სამომავლოდ, შესაძლოა სალიზინგო სექტორში გამოჩნდეს ახალი კონკურენტი და „ემიტენმა“ ვეღარ შეძლოს ბაზრის წილის შენარჩუნება არსებულ დონეზე. ასეთი ცვლილება შეიძლება უარყოფითად აისახოს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა და მის ფულად ნაკადებზე.

რეპუტაციული რისკები

22. კომპანიის საქმიანობაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს საკონტრაქტო მოთხოვნებს, საჩივრებს, სასამართლო განხილვებს და სხვა ტიპის ნეგატიურ საჯარო ინფორმაციას.

კომპანიის საქმიანობაზე და მის რეპუტაციაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს მასზე გავრცელებული ნეგატიური საჯარო ინფორმაცია. კომპანიის ბიზნესზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სხვადასხვა საკონტრაქტო მოთხოვნებმა, საჩივრებმა და სასამართლო პროცესებმა. ნებისმიერმა ასეთმა სასამართლო პროცესმა, საჩივარმა, საკონტრაქტო მოთხოვნამ ან ნეგატიურმა საჯარო ინფორმაციამ შესაძლოა სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან/და ფულად ნაკადებზე. ნებისმიერი შედეგის დადგომის მიუხედავად თავად სასამართლო პროცესის წარმოება, მოპასუხეობა, საკმაოდ დიდ დროს, ყურადღებასა და ძალისხმევას მოითხოვს კომპანიის მენეჯმენტისგან. ამასთან თვითონ სამართალწარმოების პროცესი საკმაოდ დიდ თანხებს უკავშირდება. მენეჯმენტის ყურადღების ყოველდღიური ბიზნეს საქმიანობიდან გადართვამ ან სასამართლო წარმოების მნიშვნელოვანმა ხარჯებმა შეიძლება არსებითად უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ბიზნეს საქმიანობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიის საქმიანობაზე ვრცელდება მარეგულირებელი საქმისწარმოებაც და კომპანია შეიძლება მნიშვნელოვნად დააზარალოს მარეგულირებელ საქმისწარმოებაში მოქმედი კანონების, წესებისა და რეგულაციების არასწორმა ინტერპრეტაციამ. მათ შორის იმ მარეგულირებელ საქმისწარმოებაში, რომლის მხარეც ის არ არის. ნებისმიერი ზემოთაღნიშნული რისკის მატერიალიზებამ შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა თუ ფულად ნაკადებზე.

სტრატეგიული განვითარებასთან დაკავშირებული და სხვა რისკები

23. კომპანიის შემდგომი საქმიანობა და მისი სტრატეგიის წარმატებული განხორციელება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მის უნარზე, მოიზიდოს და შეინარჩუნოს უმაღლესი რგოლის მენეჯმენტი და საკვანძო თანამშრომლები.

გარემო, რომელშიც კომპანია საქმიანობას ეწევა საკმაოდ კონკურენტულია. ამასთან, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანიის წარმატებული საქმიანობისთვის და მისი შესაბამისი მართვისთვის აუცილებელია მაღალი დონის სპეციფიკური ცოდნა და შესაბამისი გამოცდილება. კომპანიის შემდგომი წარმატება დამოკიდებულია მისი უმაღლესი რგოლის მენეჯმენტის გუნდის და საკვანძო თანამშრომლების მიერ შესრულებულ სამუშაოსა და მათ მიღებულ სტრატეგიულად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე. აღსანიშნავია, რომ კომპანიის უმაღლესი დონის მენეჯმენტის თითოეულ წევრს აქვს საქართველოს ფინანსურ ან ლიზინგის ინდუსტრიაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. ისინი ფლობენ კომპანიის ბიზნესის ძირითადი მიმართულებების, მომხმარებლებისა და

კონკურენტების, ასევე ბიზნესთან დაკავშირებული კანონების შესახებ საფუძვლიან და საკვანძო ცოდნას. აქედან, გამომდინარე კომპანიისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს აღნიშნული კადრების შენარჩუნებას და მომავალში მისი გუნდის მსგავსი კადრებით შევსებას. მიუხედავად, იმისა რომ კომპანია მუდმივად ზრუნავს თანამშრომლების მოტივირებაზე და მათ შენარჩუნებას, არ არსებობს გარანტია რომ საკვანძო თანამშრომლები შეიძლება ნებაყოფლობით არ შეწყვეტენ კომპანიაში მუშაობას ან დატოვებენ თავიანთი პოზიციებს ისეთი მიზეზების გამო, რომლებიც სცილდება კომპანიის კონტროლის ფარგლებს. აღნიშნულმა, შესაძლოა ზიანი მიაყენოს კომპანიის საქმიანობას და შეაფერხოს სტრატეგიის წარმატებულად განხორიციელების პროცესი. კომპანიის მიერ მსგავსი საკვანძო თანამშრომლების ჩანაცვლების ძებნის პროცესი შესაძლოა დროში გაიწელოს, რაც თავის მხრივ გააუარესებს კომპანიის ფინანსურ თუ საოპერაციო მდგომარეობას. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიის საქმიანობის წარმატება ასევე დამოკიდებულია მის უნარზე, მოიზიდოს და შეინარჩუნოს კვალიფიციური თანამშრომლები, კომპანიას შეიძლება დასჭირდეს მაღალი ანაზღაურების და სხვა სარგოების შეთავაზება საკვანძო თანამშრომლებს შესანარჩუნებლად ან მოსაზიდად. აღნიშნული სარგებელი შესაძლოა არაპროგნოზირებადი სახით ან შემოსავლის ზრდის ტემპზე უფრო ჩქარი ტემპით გაიზარდოს. აღნიშნულს თავის მხრივ შეუძლია არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და მისი საქმიანობის შედეგებზე.

24. კომპანიის სტრატეგიის და მისი საქმიანობის წარმატებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია სალიზინგო აქტივების პორტფელის ზრდა, რასაც შეიძლება ხელი შეუშალოს სალიზინგო პროდუქტის ალტერნატივების გაჩენამ.

კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს მისი საპროცენტო შემოსავლები ფინანსური ლიზინგისა და უკულიზინგის საქმიანობიდან.

კომპანიის სალიზინგო აქტივების პორტფელის ზრდა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია კომპანიისგან დამოუკიდებელ ფაქტორებზე, როგორებიცაა საქართველოში ან რეგიონში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა ან სხვა მაკროეკონომიკური ფაქტორები, მაგალითად, მშპ-ს ზრდა, ინფლაციის დონისა და საპროცენტო განაკვეთების მერყეობა, სალიზინგო კანონმდებლობისა თუ სამთავრობო რეგულაციების ცვლილებები, ან ბაზარზე არსებული მოთხოვნა მიწოდების მნიშვნელოვანი ცვლილებები. სალიზინგო ბაზრის პორტფელის მშპ-სთან ფარდობა ბოლო 5 წლის განმავლობაში შემცირებულია 0.21 პროცენტული პუნქტით (2024: 0.74%, 2019: 0.95%). ამასთან, ბაზარზე იზრდება ისეთი ალტერნატიული ფინანსური ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობა, მაგალითად როგორებიცაა ავტომობილის დაფინანსების პროგრამები და განვადებები, რომლებიც ზოგჯერ უფრო მოქნილ პირობებს სთავაზობენ კლიენტებს. აღნიშნული ტენდენცია ზრდის კონკურენტულ ზეწოლას სალიზინგო კომპანიებზე, განსაკუთრებით იმ სეგმენტებში, სადაც პროდუქტი ადვილად ჩანაცვლებადია. შედეგად, „ემიტენტს“ შეიძლება შეექმნას პორტფელის ზრდის შენელებისა და მარჟების შემცირების რისკი, რაც უარყოფითად აისახება მის მოგებიანობასა და ბაზრის პოზიციაზე.

25. ემიტენტის დედა კომპანია TBC Bank Group PLC-ის აქციები სავაჭროდ დაშვებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე, რაც გარკვეულ შეზღუდვებსა და მოთხოვნებთან არის დაკავშირებული.

ემიტენტის დედა კომპანია TBC Bank Group PLC აქციები სავაჭროდ დაშვებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე, რაც გარკვეულ შეზღუდვებსა და მოთხოვნებთან არის დაკავშირებული. არსებობს რისკი, რომ დედა კომპანიამ TBC Bank Group PLC ვერ მოახერხოს ზემოთაღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილება, რაც რეპუტაციულ რისკს შეუქმნის მას და შესაძლოა უარყოფითად აისახოს ემიტენტზეც, როგორც მის შვილობილზე. ასევე, არსებობს რისკი, რომ ჯგუფზე დაწესებულმა შეზღუდვებმა ბირჟისა თუ ინვესტორების მიერ (მაგ: დათქმები სესხებზე, სხვადასხვა პოლიტიკასთან შესაბამისობა (compliance)) გავლენა იქონიოს ემიტენტზე და მის მაჩვენებლებსა თუ გეგმებზე.

II. ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია ინდუსტრიასა და ეკონომიკისათვის

ინდუსტრიისა და ეკონომიკისათვის დამახასიათებელი რისკები

ეკონომიკური არასტაბილურობისა და ინვესტირების რისკი მაღალია ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორიც საქართველოა

26. პოლიტიკური და სამთავრობო არასტაბილურობა საქართველოში მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას მოახდენს ადგილობრივ ეკონომიკასა და კომპანიის ბიზნესზე.

1991 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირიდან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტრანსფორმაცია განიცადა ფედერალური სოციალისტური სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფი რესპუბლიკიდან დამოუკიდებელ, სუვერენულ დემოკრატიამდე.

საქართველო არაერთი გამოწვევის წინაშე დგას, რომელთაგან ერთ-ერთი შემდგომი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარება და სტაბილური შიდა პოლიტიკური ვითარების უზრუნველყოფაა, რომლის დაზიანებაც, ლარის კურსის მერყეობისა და კაპიტალის გადინების რისკის მატერიალიზების მნიშვნელოვანი კატალიზატორი შეიძლება გახდეს. ბიზნესისა და ინვესტორებისთვის ხელსაყრელი რეფორმების გატარება შესაძლოა აღარ გაგრძელდეს ან პროცესმა უკუსვლა განიცადოს; ასევე, ასეთი რეფორმები და ეკონომიკური ზრდა შესაძლოა შეფერხდეს რაიმე ისეთი ცვლილებით, რომელიც ქვეყნის ხელისუფლების ქმედუნარიანობასა თუ სტაბილურობაზე იქონიებს გავლენას, ან/და პრეზიდენტის, პარლამენტისა თუ სხვა ინსტიტუტების მიერ სარეფორმო პოლიტიკის გატარებაზე უარის თქმის შედეგად.

2010, 2013 და 2018 წლებში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში, რომლებიც ითვალისწინებდა პარლამენტის მმართველობითი უფლებამოსილების გაფართოებას, საქართველოს პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებების გაზრდას და პრეზიდენტის ფუნქციების მნიშვნელოვან შეკვეცას. საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტის ან პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებების ნებისმიერმა შემდგომმა ცვლილებამ შესაძლოა შეამციროს ნდობა ხსენებული ინსტიტუტების მიმართ ან სხვაგვარი უარყოფითი შედეგი მოუტანოს პოლიტიკურ კლიმატს საქართველოში.

2020 წლის ოქტომბერ-ნოემბერში (პარლამენტის არჩევნები მოიცავდა 31 ოქტომბერს ჩატარებულ I ტურს და 21 ნოემბერს გამართულ II ტურს) ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში ქართულმა ოცნებამ 150 წევრიან პარლამენტში მიიღო 90 მანდატი და უმრავლესობა დააკომპლექტა, თუმცა ოპოზიციური სპექტრი პარლამენტში არ შევიდა და საპროტესტო რეჟიმში გადავიდა. პოლიტიკური დაძაბულობის გასანეიტრალებლად ორმხრივ მოლაპარაკებებში აქტიურად იყვნენ ჩართული ევროკავშირისა და აშშ-ს წარმომადგენლები, რომელთაც მიაღწიეს შეთანხმებას და 2021 წლის გვიან გაზაფხულზე პარლამენტში ყველა პარტია შევიდა. მოკლევადიანმა პოლიტიკურმა კრიზისმა, რომელიც 2020 წლის ნოემბრიდან დაიწყო გარკვეული გავლენა იქონია ეკონომიკურ და საინვესტიციო აქტივობაზე. ამასთან, 2021 წლის ივლისში პრესის წარმომადგენლებზე თავდასხმამ და მმართველი პარტიის მიერ ევროკავშირის ეგიდით გაფორმებული 2021 წლის 19 აპრილის ხელშეკრულებიდან გასვლამ პოლიტიკური ვითარება კვლავ დაძაბა.

საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის პროტესტი მოჰყვა 2024 წლის გაზაფხულზე, საქართველოს პარლამენტის მიერ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღებას. ამას თან დაერთო ოპოზიციის მიერ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების გაყალბებულად გამოცხადება და ოთხი ოპოზიციური პარტიიდან სამის მიერ მანდატებზე უარის თქმა, 28 ნოემბერს კი ხელისუფლების მიერ ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებების 2028 წლის ბოლომდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გამოცხადება, რასაც მასობრივი საპროტესტო აქციები და პროტესტსი მონაწილეთა და საპოლიცო ძალებს შორის დაპირსიპირება მოჰყვა. პოლიტიკური დაძაბულობისა და არჩევნებთან დაკავშირებული ნეგატიური მოლოდინებით გამოწვეული დეპოზიტების უცხოურ ვალუტაში მასობრივი კონვერტაციების ფონზე, წლის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა უცხოური ვალუტის რეზერვებიდან 917 მილიონი აშშ დოლარი გაყიდა, თუმცა ნოემბერ-დეკემბერში უკვე ადგილი ჰქონდა ეროვნული ბანკის მიერ რეზერვების შესავსებად სავალუტო ბაზარზე აშშ დოლარის შესყიდვას. ამასთან, განსაკუთრებით 2024 წლის ბოლოსა და 2025 წლის დასაწყისში, ზემოხსენებული პროცესების გარკვეული უარყოფითი გავლენა აშკარა იყო ადგილობრივ ეკონომიკურ აქტივობასა და ტურისტულ შემოდინებებზეც. იმ ფონზე, რომ ანტისამთავრობო პროტესტი და ხელისუფლების მხრიდან შემდგომი

საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება კვლავ გრძელდება, პოლიტიკურ გარემოში გაურკვევლობა ჯერაც ნარჩუნდება. შესაბამისად, ნებისმიერმა შემდგომმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე, მათ შორის საინვესტიციო კლიმატსა და კერძო ბიზნესის საქმიანობაზე.

27. არსებობს დამატებითი რისკის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ისეთ განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებას, როგორიც საქართველოა.

ინვესტორებმა, რომლებიც ინვესტიციას ახორციელებენ ისეთ განვითარებად ბაზრებში როგორიც საქართველოა, უნდა გაითვალისწინონ, რომ ამგვარი ბაზრები, განვითარებულ ბაზრებთან შედარებით, უფრო მაღალი რისკებით ხასიათდება. მათ შორისაა მნიშვნელოვანი სამართლებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური რისკები. აღნიშნული მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ბაზარზე არსებული ეკონომიკური მდგომარეობის ცვალებადობის სიხშირით. ამასთან, განვითარებადი ბაზრებისთვის დამახასიათებელია შეზღუდული ლიკვიდურობა, ვიწრო საექსპორტო ბაზა, მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის დეფიციტი და ხშირი ცვლილებები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და მარეგულირებელ სფეროში. განვითარებადი ბაზრები სწრაფად იცვლება და ისინი განსაკუთრებით დაუცველი არიან საბაზრო პირობებისა და მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას მომხდარი ეკონომიკური კრიზისების წინაშე.

გარდა ამისა, საერთაშორისო ინვესტორების რეაქცია მოვლენებთან დაკავშირებით ზოგჯერ „ჯაჭვური ეფექტით“ ხასიათდება, როდესაც ინვესტორები უარყოფენ მთლიანად რეგიონს ან ინვესტიციის კლასს. თუ ადგილი ექნება ამგვარ ჯაჭვურ ეფექტს, საქართველოზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სხვა განვითარებად ბაზრებზე მომხდარმა ნეგატიურმა ეკონომიკურმა ან ფინანსურმა მოვლენებმა. საქართველომ წარსულში უკვე განიცადა ჯაჭვური ეფექტი, მათ შორის რუსეთის 1998 წლის ფინანსური კრიზისის, 2007-2008 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის, კოვიდ-19-ის პანდემიის, რუსეთ-უკრაინისა ომის შემდეგ და შესაძლებელია, რომ ქვეყანამ მსგავსი უარყოფითი ზეგავლენა მომავალშიც განიცადოს.

ამასთან, ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს ფინანსურმა და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ. აღნიშნულის რეალიზების შემთხვევაში ადგილი ექნება კაპიტალის გადინებას, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად დააზიანოს ფინანსური სისტემა და საბოლოოდ ეკონომიკა სტაგნაციაში გადაიყვანოს.

პროსპექტის წარდგენის თარიღისთვის, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ საქართველოსთვის მინიჭებულია შემდეგი რეიტინგი:

- Fitch Ratings – BB (Stable Outlook);
- Moody's – Ba2 (Negative Outlook);
- S&P Global Ratings – BB (Stable Outlook);

28. კომპანიის საქმიანობაზე შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ლარის არასტაბილურობამ აშშ დოლართან/სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით.

მიუხედავად იმისა, რომ ლარი სრულად კონვერტირებადი ვალუტაა, მისი საქართველოს ფარგლებს გარეთ კონვერტირებისთვის საერთოდ არ არსებობს სავალუტო ბაზარი. საქართველოში არსებობს ბაზარი ლარის სხვა ვალუტებში კონვერტირებისთვის, მაგრამ მისი მოცულობა მეტ-ნაკლებად შეზღუდულია.

წლების მანძილზე ლარის კურსი აშშ დოლარსა და ევროსთან მიმართებით მნიშვნელოვნად იცვლებოდა როგორც საგარეო შოკების, ასევე სეზონური ფაქტორების გამო. ამ კუთხით, ლარისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია თავად ევრო-დოლარის წყვილის დინამიკაც. საგარეო ფაქტორებიდან ასევე აღსანიშნავია: 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისი, 2015 წლის ნავთობის და ინდუსტრიული საქონლის ფასების გლობალური შოკი, რომელმაც გლობალურად ევროს შესუსტება და ძლიერი აშშ დოლარის ფაზაში გადასვლა განაპირობა, 2019 წელს რუსეთის მიერ პირდაპირი საჰაერო ფრენების აკრძალვა, 2020-2021 წლებში კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული პრობლემები (რა დროსაც გაცვლითმა კურსმა ისტორიულ მაქსიმუმს, 1 ევროზე 4.18 ლარს, 1 აშშ დოლარზე კი 3.48 ლარს მიაღწია), 2022 წელს რუსეთის შეჭრა უკრაინაში. რუსეთ-უკრაინის ომის საწყის ფაზაში ლარმა რეგიონის სხვა ვალუტებთან ერთად მოულოდნელი გაუფასურება დაიწყო. 2022 წლის 24 თებერვალსა და 10 მარტს შორის პერიოდში ლარი ევროსთან 9.1%-ით, დოლართან მიმართებით კი 12.8%-ით გაუფასურდა და 1 ევროს ღირებულებამ 3.74 ლარი, 1 დოლარის

ღირებულებამ კი 3.40 ლარი შეადგინა. მომდევნო თვეებში საქართველოს ეკონომიკამ აჩვენა მდგრადობა რეგიონული შოკის მიმართ და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინებისა და ქვეყნის შიდა აქტივობის დონე, რის შედეგადაც ლარმა გამყარების ტენდენცია შეიძინა და მისი ღირებულება, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ევროსთან 17.7%-ით, ხოლო აშშ დოლართან მიმართებით წლიურად 12.8%-ით გაიზარდა.

ლარის კურსზე ასევე დადებითი გავლენა ჰქონდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარებას, რაც გამოიხატა 2022 წლის განმავლობაში რეფინანსირების განაკვეთის 11.0%-მდე გაზრდით. ამასთან, მკვეთრად გაზრდილი სავალუტო შემოდინებების ფონზე, ეროვნულმა ბანკმა რეზერვები შეავსო - 2022 წლის განმავლობაში სებ-ის წმინდა სავალუტო შესყიდვამ 564.5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვების შევსება მაღალი საგარეო შემოდინებების პირობებში გაგრძელდა 2023 წელსაც - საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ბაზარზე 1,474 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა, ხოლო გაყიდა 194.9 მლნ აშშ დოლარი, რის შედეგადაც ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები წლიურად კიდევ 2.2%-ით, რეკორდულ 5.0 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა. პოლიტიკურად დაძაბული 2024 წლის განმავლობაში, ლარის მიმართ გაუარესებული მოლოდინებით გამოწვეული დეპოზიტების ეროვნულიდან უცხოურ ვალუტაში მოცულობითი კონვერტაციების ფონზე, ეროვნულ ბანკს კურსის ჭარბი მერყეობის შესარბილებლად სავალუტო რეზერვებიდან 917.4 მილიონი აშშ დოლარის გაყიდვა მოუწია, რომლის დიდი ნაწილიც საპარლამენტო არჩევნების წინ - სექტემბერ-ოქტომბერში განახორციელა. ამავდროულად, სებ-მა წლის განმავლობაში ბაზრისგან შეისყიდა 486.3 მილიონი აშშ დოლარი. 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით ინტერვენციების შედეგად ეროვნული ბანკის მთლიანი საერთაშორისო რეზერვები წინა წელთან შედარებით 11.2%-ით, 4.4 მილიარდ აშშ დოლარამდე შემცირდა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) შეფასებით, ადეკვატურობის ზღვარს ჩამოსცდა. რეზერვების შესავსებად, ეროვნული ბანკი გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში უცხოური ვალუტის შესყიდვას დაუბრუნდა, პოლიტიკური დაძაბულობის მომატების ფონზე კი, ლარი აშშ დოლართან მიმართებით წლიურად 4.4%-ით გაუფასურდა. შიდაპოლიტიკური გარემოს შედარებითი სტაბილიზაციის, გაუმჯობესებული საგარეო შემოდინებებისა და გლობალურად გაუფასურებული აშშ დოლარის ფონზე, 2025 წლის მარტი-ივლისის პერიოდში სებ-მა მნიშვნელოვნად გაზარდა სავალუტო შესყიდვების მასშტაბი და ბაზარზე დამატებით 1.3 მილიარდი აშშ დოლარი შეიძინა, რის შედეგადაც მთლიანი რეზერვების მოცულობამ კვლავ გადააჭარბა 5 მილიარდ დოლარს. ამასთან, 31 აგვისტოს მდგომარეობით, ლარის კურსი დოლართან მიმართებით 4.1%-ით გამყარდა.

გარდა რეზერვებისა, ლარის ნებისმიერი არასტაბილურობა დამოკიდებულია არაერთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორზე, მათ შორის, ეროვნული ბანკის მხრიდან ინფლაციის კონტროლზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (შემდგომში „საქსტატი“) შეფასებით, საქართველოში სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიური ინფლაცია 2020 წელს 5.2% იყო, 2021 წელს 9.6%, 2022 წელს 11.9%, 2023 წელს 2.5%, ხოლო 2024 წლის განმავლობაში საშუალო წლიურმა ინფლაციამ 1.1% შეადგინა. საკვებ პროდუქტებსა და ენერგომატარებლებზე გლობალურად გაზრდილი ფასების ფონზე, 2021 წლის გაზაფხულიდან ინფლაციურმა წნეხმა მნიშვნელოვნად მოიმატა და 2021 წლის ივლისში წლიურმა ინფლაციამ 11.9% შეადგინა. ინფლაციის ზრდის საპასუხოდ ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 2021 წლის მაისიდან 2022 წლის მარტის ჩათვლით პერიოდში, ჯამურად 300 საბაზისო პუნქტით 11.0%-მდე გაზარდა. 2022 წლის დასაწყისიდან, საკვებისა და ენერგომატარებლების რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული კიდევ უფრო გაზრდილი ფასების ფონზე ინფლაციამ ზრდა განაგრძო. 2022 წლის გაზაფხულიდან აღნიშნულ ფაქტორებს დაემატა ქირის ზრდაც, რაც მნიშვნელოვანწილად მიგრანტების მხრიდან უძრავ ქონებაზე გაზრდილი მოთხოვნით იყო განპირობებული. 2022 წელს საშუალო წლიურმა ინფლაციამ 11.9% შეადგინა. ხანგრძლივად მაღალი ინფლაციის საპასუხოდ ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 11.0%-იან ნიშნულზე 2023 წლის მაისამდე შეინარჩუნა. იყო პერიოდები, როცა ინფლაციის მაღალ დონეს მეტწილად საგარეო ფაქტორები განაპირობებდა, თუმცა იმ პერიოდებში მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება სებ-ს გარკვეულწილად დაეხმარა ინფლაციის დონის მართვაში. ხოლო საშინაო ფაქტორების კონტრიბუციის ზრდასთან ერთად, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა და სტაბილურად მყარი ლარი მნიშვნელოვნად ეხმარებოდა სებ-ს ინფლაციის მიზნობრივ დონესთან დაბრუნებაში. 2023 წლის მარტიდან ინფლაციამ მკვეთრი შენელება დაიწყო, რომელიც მაისიდან ჩამოსცდა 3.0%-იან მიზნობრივ დონეს და 2023 წლის დეკემბერში წლიურმა ინფლაციამ 0.4% შეადგინა. ინფლაციის შემცირებაზე ძირითადად გავლენა ჰქონდა გლობალურ ბაზრებზე საკვების და ნავთობის ფასების კლებას, ასევე საერთაშორისო ტრანსპორტირების ღირებულების შემცირებას, ლარის გამყარებას, მკაცრ მონეტარულ პოლიტიკასა და ფისკალური დეფიციტის შემცირებას. მას შემდეგ, რაც ინფლაცია მის მიზნობრივ დონეს ჩამოსცდა, ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მონეტარული პოლიტიკის შერბილება და 2023 წლის მაისიდან 2024 წლის ივნისამდე პერიოდში რეფინანსირების განაკვეთი ჯამურად 3.00 პროცენტული პუნქტით 8.00%-მდე შეამცირა. 2024 წლის მეორე ნახევრიდან, წინა წლის დაბალი საბაზო ეფექტისა და ადგილობრივი ინფლაციური წნეხის ფონზე, ინფლაციამ კვლავ ზრდა დაიწყო, და 2025 წლის აგვისტოს მდგომარეობით 4.6%-ს უტოლდება, რაც სებ-ის სამიზნე 3%-იან ნიშნულს გარკვეულწილად აღემატება. ინფლაციის მიზნობრივ დონეზე შენარჩუნებას მნიშვნელოვანი როლი აქვს ეკონომიკის სტაბილური

განვითარებისათვის. მაღალმა ინფლაციამ შეიძლება გამოიწვიოს სავალუტო და ფინანსური ბაზრების არასტაბილურობა, მომხმარებლების მსყიდველობითი უნარის დაქვეითება და მათი ნდობის შემცირება. ამ ყველაფერს კი შეუძლია განაპირობოს საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება და არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის კლიენტებზე, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება კომპანიაზე.

29. ვინაიდან კომპანია მხოლოდ საქართველოში ოპერირებს, ცვლილებებმა საქართველოს ეკონომიკაში მის საქმიანობაზე შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს.

კომპანია ოპერაციებს საქართველოში აწარმოებს და მთელი მისი შემოსავლები საქართველოდანაა. კომპანიის ოპერაციების შედეგებზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს საქართველოში მიმდინარე ან საქართველოსთან დაკავშირებული ფინანსური და ეკონომიკური მოვლენები, განსაკუთრებით საქართველოს ეკონომიკური აქტივობა, და ეს ზემოქმედება მომავალშიც გაგრძელდება. ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთი და ვალუტის გაცვლის კურსი, ასევე, უმუშევრობა, პირადი შემოსავალი და კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს კომპანიის პროდუქტებსა და სერვისებზე მომხმარებლის მოთხოვნაზე.

კოვიდ-19 პანდემიიდან მომდინარე კრიზისმა მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე, რაც მნიშვნელოვნად შეეხო ტურიზმის სექტორს, რომლის წილი საქართველოს ეკონომიკაში საგრძნობლად მაღალია. საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა 6.3%-ით შემცირდა 2019 წელთან შედარებით. ამასთან, კორონავირუსის პანდემიის მართვისთვის დაწესებული შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნის შედეგად, 2021 წლის მარტიდან საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღება დაიწყო და 2021 წელს საქართველოს ეკონომიკა 2020 წელთან შედარებით 10.6%-ით გაიზარდა, ხოლო 2019 წლის დონესთან შედარებით - 3.7%-ით. 2022 წლის დასაწყისში რუსეთ-უკრაინის ომმა გაზარდა ბუნდოვანება, შეფერხებები ვაჭრობაში და ნედლეულის ფასები, რამაც განსაკუთრებულად უარყოფითი გავლენა მოახდინა რეგიონზე. ომის მოსალოდნელმა უარყოფითმა შედეგებმა ქართულ ეკონომიკაზე გამოიწვია ეკონომიკის ზრდის მიმართ მოლოდინების გაუარესება. მიუხედავად ამისა, მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკონომიკამ მდგრადობა გამოავლინა რეგიონული შოკისადმი და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინებისა და ქვეყნისშიდა ეკონომიკური აქტივობის დონე, ზრდის მაჩვენებლებმა გაუმჯობესება დაიწყო. ტურიზმმა სტაბილური ტემპით დაიწყო აღდგენა ექსპორტის ზრდის პარალელურად, რაც, თავის მხრივ, ნედლეულზე მომატებული ფასებითა და მზარდი რეექსპორტით იყო განპირობებული. ადგილობრივ ბაზარზე ერთობლივი მოთხოვნა მყარი იყო, რასაც ხელს უწყობდა მთლიანი საკრედიტო პორტფელის ჯანსაღი ზრდა და ფისკალური დანახარჯები. საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, რეალური მშპ-ის წლიურმა ზრდამ 2022 წელს 11.0% შეადგინა, რაც ძირითადად რეკორდულად მაღალმა სავალუტო შემოდინებებმა განაპირობა. ამ შემოდინებების გარკვეული ნაწილი უკავშირდება რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან მიგრანტების მიერ კაპიტალის რეალოკაციას რეგიონში და მათ შორის საქართველოშიც. ზედიზედ ორწლიანი ორნიშნა ზრდის შემდეგ, სტაბილური საგარეო შემოდინებებისა და ინფლაციის სწრაფად შემცირების ფონზე, 2023 წელს ეკონომიკური ზრდა შედარებით ნორმალიზდა 7.8%-მდე, ხოლო 2024 წელს, მეტწილად კრედიტით დაფინანსებული შიდა მოხმარებისა და ტურიზმის ხარჯზე, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი კვლავ მნიშვნელოვნად, წლიურად 9.4%-ით გაიზარდა. შიდაპოლიტიკურმა დაძაბულობამ 2024 წლის ბოლოსა და 2025 წლის დასაწყისში ზომიერი გავლენა იქონია ადგილობრივ აქტივობასა და საგარეო შემოდინებებზე, თუმცა დაახლოებით 2025 წლის მარტიდან, ხარჯვის დინამიკაში მკვეთრი გაუმჯობესება შეინიშნება, ეკონომიკური ზრდა კი, საქსტატის წინასწარი მონაცემებით, კვლავ მაღალი რჩება და პირველ შვიდ თვეში საშუალოდ 8.0%-ს უტოლდება.

ამ ფონზე, საქართველოს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა კვლავ მნიშვნელოვანი საფრთხეების წინაშე დგას, მათ შორის გაცვლითი კურსის მერყეობის, ფინანსური სტაბილურობის შესუსტების, ინფლაციის, ბიუჯეტის შესრულებისა და კაპიტალის გადინების რისკების წინაშე. ამასთან, ეკონომიკური ზრდაზე უარყოფითად მოქმედებს ხშირი პოლიტიკური არასტაბილურობა, რამაც შეიძლება დააყოვნოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყანაში. საბაზრო კრიზისმა და ეკონომიკის გაუარესებამ საქართველოში შეიძლება მომხმარებლების მხრიდან დანახარჯების შემცირება გამოიწვიოს და სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოში კომპანიის მომხმარებელთა ლიკვიდურობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. არასტაბილურმა გლობალურმა ეკონომიკურმა გარემომ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და მაკროეკონომიკური რეფორმები მსოფლიო მასშტაბით, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე, რაც შესაბამისად უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონთან დაკავშირებული რისკები

30. რეგიონულმა დაძაბულობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ ეკონომიკასა და კომპანიის ბიზნესზე.

საქართველო რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს ესაზღვრება და ამ ქვეყნებთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები აქვს. გარდა ამისა, ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში მოქცეულია რუსეთის მიერ ოკუპირებული ორი სეპარატისტული ტერიტორია - აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი (ე.წ სამხრეთ ოსეთი). რეგიონსა და თითოეულ მოსაზღვრე ქვეყანაში პოლიტიკურმა დაძაბულობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, „კომპანიაზე“.

„გაყინულ“ კონფლიქტებს სამხრეთ კავკასიის რეგიონში დაძაბულობის კერების პერიოდული გაჩენა ახასიათებთ, რაც ძაბავს პოლიტიკურ გარემოს და გამოიხატება, მათ შორის, დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობაში საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას, ანდაც სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. კონფლიქტები ძირითადად ეთნიკური ხასიათისაა და ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე იღებს სათავეს. 1990-იან წლებში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტებსა და საომარ მოქმედებებში რუსეთის არაპირდაპირი ჩართულობის შემდეგ, საქართველოს ნატოსა (ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია) და ევროკავშირში ინტეგრაციისკენ მისწრაფებამ ქვეყნებს შორის დაძაბულობის ახალი კერა გააჩინა, ვინაიდან რუსეთი ღიად ეწინააღმდეგებოდა გეოპოლიტიკური სურათის შეცვლას აღმოსავლეთ ევროპაში. პოლიტიკური ურთიერთობების დაძაბვის ფონზე, 2006 წელს რუსეთმა საქართველოს სავაჭრო ემბარგო დაუწესა, 2008 წლის აგვისტოში კი რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების გადმოკვეთას ორ ქვეყანას შორის 5 დღიანი ომი მოჰყვა. ამავდროულად, რუსეთმა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა აფხაზეთი და ე.წ სამხრეთ ოსეთი და საკუთარი ჯარები განალაგა მათ ტერიტორიაზე. ამას ოკუპირებული ტერიტორიების საზღვრების ჩაკეტვა და ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში ე.წ მცოცავი ოკუპაცია მოჰყვა, პერიოდულად ფიქსირდება ე.წ მესაზღვრეების მიერ საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების გატაცებისა და წამების შემთხვევები.

თბილისში მიმდინარე მასობრივი ანტი-რუსული დემონსტრაციების ფონზე 2019 წლის 8 ივლისიდან რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით პირდაპირი საჰაერო ფრენები აიკრძალა, რამაც მნიშვნელოვნად დააზარალა ტურიზმის სექტორი. ამავდროულად, რუსეთიდან ტურისტული ნაკადების შემცირებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სავალუტო ბაზარზე. საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით რუსეთიდან პირდაპირი საჰაერო ფრენების აკრძალვით ქვეყანამ ტურიზმიდან დაახლოებით 300 მლნ აშშ დოლარით ნაკლები შემოსავალი მიიღო მოსალოდნელთან შედარებით. რუსეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი ფრენები 2023 წლის მაისში აღდგა. 2022 წელს, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, საქართველო შეუერთდა რუსეთზე დაწესებულ საერთაშორისო სანქციებს, თუმცა ხელისუფლებას არ შემოუღია დამატებითი შეზღუდვები, იმ მოტივით რომ ადგილობრივი ეკონომიკური სანქციები თავად საქართველოს ეკონომიკას დააზარალებდა.

შიდაპოლიტიკური კრიზისი, ოკუპირებულ ტერიტორიებსა და რუსეთთან ურთიერთობაში კვლავ არსებული დაძაბულობა, საგარეო პოლიტიკური კურსის გარშემო არსებული ბუნდოვანება, რუსეთ-უკრაინის ომისა და მისი შესაძლო დასრულების შემდეგ გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების მოლოდინი კვლავ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს და პოტენციურ საფრთხეებსაც წარმოქმნის საქართველოს და ზოგადად რეგიონის ეკონომიკური სტაბილურობისა და ბიზნეს და საინვესტიციო გარემოსათვის.

2022 წლის თებერვალში რუსეთის უკრაინაში შეჭრა საყურადღებო რისკის წყაროს წარმოადგენს საქართველოსთვის ეკონომიკური კუთხითაც. ამ ომმა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და დიდი ეკონომიკური ზარალი მიაყენა არამხოლოდ ომში ჩართული ქვეყნების ეკონომიკებს, არამედ - რეგიონსა და მსოფლიოს. ფართომასშტაბიანმა სამხედრო კონფლიქტმა და რუსეთისთვის დაწესებულმა თანმდევმა დასავლურმა სანქციებმა რეგიონული და გლობალური ეკონომიკა ნედლეულის ბაზრების, ვაჭრობისა და ფინანსური არხების გავლით დააზარალა. ომის დაწყებასთან ერთად საწვავისა და საკვების ფასები გაიზარდა, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ისედაც მზარდი ინფლაციის კიდევ უფრო გაზრდას. ფასებზე გაზრდილი წნეხის პასუხად, დასავლურმა ცენტრალურმა ბანკებმა გაზარდეს საპროცენტო განაკვეთები, რამაც გლობალური ფინანსური მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. გლობალური ვითარება შედარებით დასტაბილურდა 2024 წელს, როდესაც შემცირებული ინფლაცია საერთაშორისო ბაზრებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების დაწყების მიზეზი გახდა. საქართველო ღია ეკონომიკაა, რომელიც ჩართულია გლობალურ და რეგიონულ ეკონომიკურ პროცესებში. ამ ფონზე, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე პოზიტიურად აისახა სავაჭრო და მიგრაციული ნაკადების გადანაცვლება. გასულ წლებში მიგრაციის ეფექტის მნიშვნელოვანი დადებითი კონტრიბუციის ფონზე, რაიმე მიზეზით მიგრანტების მასობრივი გადინების შემთხვევაში ქვეყანაში ბიზნეს და ეკონომიკური გარემოს გაუარესების რისკი წარმოიქმნება. თუმცა, მეორე მხრივ, კონფლიქტის

სწრაფი მოგვარების შემთხვევაში, რუსეთისა და უკრაინის ეკონომიკური აქტივობის აღდგენას დადებითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზეც.

საქართველოს ეკონომიკისთვის რისკის მატარებელია სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობაც. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი აქტიურ დაპირისპირებებში გადაიზარდა 2016 და 2020 წლებში. 2023 წლის სექტემბერში, ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები აზერბაიჯანის მიერ მთიანი ყარაბაღის რეგიონზე სრული კონტროლის აღდგენით დასრულდა, რასაც 100,000-მდე ეთნიკურად სომეხი მოქალაქის მიერ რეგიონის დატოვება და სომხეთში გადასახლება მოჰყვა. დღეისთვის სომხეთი აღიარებს აზერბიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას მთიანი ყარაბაღის რეგიონის ჩათვლით და კონფლიქტის განახლების რისკი შემცირებულია, თუმცა სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრის გარშემო შეუთანხმებლობა კვლავ რჩება დაძაბულობის წყაროდ.

ამასთან, აღსანიშნავია 2023 წლის ოქტომბერში დაწყებული ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი და 2025 წლის ივნისში გამწვავებული ირან-ისრაელის დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთში, რომლის ფართომასშტაბიან ომში გადაზრდის რისკი შემცირებულია, თუმცა ესკალაციის ცალკეული შემთხვევები რეგიონში დაძაბულ ვითარებას კვლავ ინარჩუნებს. მსგავსი რისკის რეალიზებამ შესაძლოა გამოიწვიოს საერთაშორისო ბაზრებზე სურსათის, ნავთობის და სხვა ნედლეულის ფასების ზრდა, სატვირთო გადაზიდვების შეფერხება, შეანელოს მსოფლიო სავაჭრო ბრუნვა და გაზარდოს გლობალური რეცესიის ალბათობა. საქართველოს ეკონომიკაზე ამ პროცესების პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტები არსებითად უარყოფითი შესაძლოს აღმოჩნდეს - გამოიწვიოს ინფლაციის დაჩქარება, ლარის გაუფასურება, ფისკალური და ფინანსური მაჩვენებლების გაუარესება და საბოლოოდ ეკონომიკური ზრდის შემცირება.

ასევე, საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობაზე შეიძლება იმოქმედოს ნებისმიერმა ვითარებამ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- რუსეთთან საქართველოს ურთიერთობების, მათ შორის სასაზღვრო და ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებული ურთიერთობის, გაუარესება;
- ცვლილებები საქართველოს, როგორც ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყნის, მნიშვნელობაში;
- ცვლილებები საქართველოსთვის გაწეული დახმარების მოცულობაში ან ქართველი მწარმოებლების შესაძლებლობაში, ხელი მიუწვდებოდეთ მსოფლიოს საექსპორტო ბაზრებზე;
- რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაუარესება;
- რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

31. საქართველოს მეზობელი ბაზრების მკვეთრ დასუსტებას შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკა დივერსიფიცირებულია და არ იკვეთება მნიშვნელოვანი დამოკიდებულება მხოლოდ ერთ რომელიმე სავაჭრო პარტნიორზე, როგორც ღია ეკონომიკა, საქართველო მოწყვლადია გლობალური, განსაკუთრებით კი უშუალო სამეზობლოსა და მახლობელ რეგიონში არსებული შესაძლო ფინანსური, პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის მიმართ, რასაც შეუძლია გაზარდოს ინფლაციური წნეხი, უარყოფითად იმოქმედოს ქვეყანაში ინვესიტიციებზე, საგარეო შემოდინებებსა და ლარის გაცვლით კურსზე და შეაფერხოს ეკონომიკური ზრდა.

უშუალო მეზობლები - აზერბაიჯანი და სომხეთი ისტორიულად წარმოადგენდა ორ უდიდეს ბაზარს საქართველოს ექსპორტისათვის. საქსტატის მიხედვით, მათი წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში, 2023 წელს შეადგენდა 14.2%-სა და 12.9%-ს, 2024 წელს 11.0%-სა და 9.4%-ს, 2025 წლის პირველ შვიდ თვეში კი 10.4%-სა და 7.6%-ს, შესაბამისად. ბოლო წლებში, ორ მეზობელ სახელმწიფოში ეკონომიკური ვითარება განსხვავებულად განვითარდა. საქართველოს მსგავსად, მიგრაციული და კაპიტალის ნაკადის შედინებამ, სომხეთის ეკონომიკის ზრდას დამატებითი ბიძგი მისცა და 2022 წელს სომხური დრამის დაახლოებით 22.4%-ით გამყარებაც გამოიწვია აშშ დოლარის მიმართ. დრამი 2023 წელს, გაზრდილი გეოპოლიტიკური რისკების ფონზე 2.8%-ით გაუფასურდა, 2024 წლის განმავლობაში კი კვლავ აღიდგინა პოზიცია და დაახლოებით 2.1%-ით გამყარდა. ამის საპირისპიროდ, აზერბაიჯანის ეკონომიკა, 2020 წლიდან კერძო პირებისთვის დახურული სახმელეთო საზღვრის ფონზე, მნიშვნელოვნად დამოკიდებული დარჩა ნავთობის ინდუსტრიაზე. მათ

შორის გლობალური სასაქონლო ბაზრის მერყეობის გავლენით, აზერბაიჯანის ეკონომიკური ზრდა ბოლო წლებში შედარებით სუსტი იყო და 2023 წელს 1.4%, 2024 წელს კი 4.1% შეადგინა.

საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორად რჩება რუსეთიც. საქსტატის მიხედვით, რუსეთის წილი მთლიან ექსპორტში 2023 წელს 10.8%-ს, 2024 წელს 10.4%-ს, 2025 წლის პირველ შვიდ თვეში კი 10.7%-ს, ხოლო საქართველოს იმპორტში 2023 წელს 11.2%-ს, 2024 წელს 10.9%-ს, 2025 წლის შვიდ თვეში კი 10.5%-ს შეადგენდა. მსოფლიო სავალუტო ფონდის (IMF) შეფასებით 2022 წელს რუსეთის ეკონომიკა 1.2%-ით შემცირდა. ფონდისავე შეფასებით, რუსეთის ეკონომიკა დაახლოებით 3.6%-ით გაიზარდა 2023 წელს და მსგავსი ტემპი შეინარჩუნა 2024 წელსაც, თუმცა პოზიტიური ზრდა მნიშვნელოვნად განაპირობა სამხედრო სექტორის მაღალმა კონტრიბუციამ, რომელზე გაწეულმა საბიუჯეტო ხარჯებმაც 2023 წელს რუსეთის მთლიანი შიდა პროდუქტის 5.8%-ს მიაღწია. მერყეობას ინარჩუნებს რუსული რუბლიც, რომელიც ენერგომატარებლებზე დასავლური სანქციების შედეგად საბიუჯეტო შემოსავლების შემცირების ფონზე აშშ დოლართან მიმართებით 2023 წელს 22%-ით გაუფასურდა, 2024 წელს კი კურსის ვარდნამ თითქმის 19%-ს მიაღწია. ამის საპირსპიროდ, მიმდინარე წლის ხუთ თვეში, აშშ დოლარის გლობალურად დასუსტებისა და რუსეთსა და დასავლურ ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების მოლოდინების ფონზე, 31 აგვისტოს მდგომარეობით, რუსული რუბლი დოლართან მიმართებით 29%-ით გამყარდა, რაც ერთი მხრივ ნაწილობრივ შემაცირებს გაზრდილ ინფლაციურ წნეხს რუსეთში, თუმცა, მეორე მხრივ, ნავთობზე საერთაშორისო ფასების კლების გათვალისწინებით, დამატებითი დარტყმაა ნავთობის ექსპორტზე დამოკიდებული ეკონომიკასთვის.

საქართველოს იმპორტის უდიდეს წყაროდ რჩება თურქეთი. საქსტატის მიხედვით 2023 წელს თურქეთის წილი საქონლის მთლიან იმპორტში 16.5%-ს, 2024 წელს 16.3%-ს, ხოლო 2025 წლის პირველ შვიდ თვეში 15.1%-ს შეადგენდა. სოლიდური ეკონომიკური ზრდის ტემპის შენარჩუნების მიუხედავად, ბოლო წლებში თურქეთის მთავრობის არატრადიციულმა მაკროეკონომიკურმა პოლიტიკამ ქვეყანაში ჰიპერინფლაციური გარემო შექმნა და მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა თურქული ლირის მიმართ სანდოობასა და, შესაბამისად, გაცვლით კურსს. ლირა აშშ დოლართან მიმართებით 2019 წლის ბოლოდან 2023 წლის ბოლოსთვის თითქმის 400%-ით გაუფასურდა. 2023 წლიდან მეტად ტრადიციული მაკროეკონომიკური პოლიტიკის აღდგენისა და თურქეთის ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის 8.5%-დან 50.0%-მდე გაზრდის მიუხედავად, ლირის გაუფასურება 2024 წელსაც გაგრძელდა და დოლართან მიმართებით ღირებულების 16.3% დაკარგა. მაღალი საპროცენტო განაკვეთებისა და ინფლაციის ფონზე, 2024 წელს გამოიკვეთა ეკონომიკური ზრდის შედარებით შესუსტებაც, რომელიც მსოფლიო სავალუტო ფონდის შეფასებით 2023 წელს დაფიქსირებული 5.1%-დან 3%-მდე შემცირდა.

უშუალო სამეზობლოს გარდა, საქართველოს უმთავრესი სავაჭრო პარტნიორი ევროკავშირია, რასაც 2014 წელს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA) გაფორმებამაც შეუწყო ხელი. ევროკავშირზე 2023 წელს საქართველოს მთელი სასაქონლო იმპორტის 24.5%, ხოლო ექსპორტის 11.6% მოდიოდა, 2024 წელს 27.2% და 8.7%, 2025 წლის პირველ შვიდ თვეში კი 24.8% და 11.2%, შესაბამისად. ევროკავშირის წილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყანაში ფულადი შემოდინებების ისეთ წყაროებში როგორიცაა ფულადი გზავნილები და ტურიზმი. ევროკავშირიდან მიღებული გზავნილების წილი 2023 წელს საქართველოში გადმორიცხული თანხების 31.5%-ს, 2024 წელს 42.9%-ს, 2025 წლის პირველ შვიდ თვეში კი 44.5%-ს შეადგენდა. ეროვნული ბანკის შეფასებით, ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებში ევროკავშირის წილი 2023 წელს 13.3%-ს, 2024 წელს 12.9%-ს, 2025 წლის პირველ ნახევარში კი 14.1%-ს გაუტოლდა.

რეგიონის ქვეყნებზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულება და ამ ქვეყნებში შესაძლო პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევები საქართველოს შემდგომი ეკონომიკური ზრდისათვის პოტენციურ დაბრკოლებებს წარმოადგენს. მსგავსი გამოწვევების შედეგად შესაძლოა შემცირდეს საქართველოს სავაჭრო ბრუნვა, ქვეყანაში განხორციელებულ უცხოურ ინვესტიციები და დაზიანდეს ზოგადი ეკონომიკური სტაბილურობა. თავის მხრივ, მსგავსი განვითარება უარყოფითად

იმოქმედებს „კომპანიის“ საქმიანობაზე, შეამცირებს რა მომხმარებელთა მოთხოვნასა და შემოსავლებს, გაზრდის საოპერაციო ხარჯებს, გააუარესებს ზოგად ბინზესგარემოს ქვეყანაში და სხვ.

საკანონმდებლო და სასამართლო სისტემებთან დაკავშირებული რისკები

32. შესაძლოა თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციით, რასაც თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება მოითხოვს.

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას და ამოქმედდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ევროკავშირთან, რაც ითვალისწინებს ევროკავშირთან ორმხრივი ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მოსალოდნელია, რომ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელება წარმოქმნის ახალ შესაძლებლობებს ბიზნესისათვის, თუმცა შესაძლოა გამოწვევებიც შექმნას საწარმოებისათვის, საოჯახო მეურნეობებისა და სახელმწიფოსათვის. ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების განხორციელებისათვის საჭიროა, რომ საქართველომ მოახდინოს თავისი კანონმდებლობის შესაბამისობის დამყარება ევროკავშირის სავაჭრო და სექტორულ კანონმდებლობასთან, რაც გამოწვევებთან იქნება დაკავშირებული, განსაკუთრებით გარემოს დაცვისა და მომხმარებლის უსაფრთხოების, მათ შორის პროდუქტისა და ინფორმაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სფეროებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ემიტენტის საქმიანობის მიმართ არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების ჭრილში, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ან შესაძლოა შევიდეს კორპორაციული სამართლისა თუ ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობებში:

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“: 2021 წლის 02 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის ახალი რედაქცია („ახალი მეწარმეთა კანონი“), რომელიც ამოქმედდა 2022 წლის 01 იანვრიდან. განახლებული კანონმდებლობა მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს საწარმოთა რეგისტრაციის, სადამფუძნებლო დოკუმენტების, კორპორაციული მართვისა და სხვა საკითხების საკანონმდებლო რეგულაციაზე. საწარმოს ხელმძღვანელობასთან მიმართებით, კანონში ასევე მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი კორპორაციული მართვის თანამედროვე პრინციპები. განახლებული კანონის ფარგლებში ხდება კაპიტალის ტიპების გამიჯვნა, საქმიანი წერილის ცნების შემოტანა, განიმარტება დირექტორსა და საწარმოს შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივ ბუნება და ა.შ.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობა: ევროასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ხდება ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული კანონმდებლობის დაახლოება ევროპის კანონმდებლობასთან. მაგალითისთვის, 2020 წელს ძალაში შევიდა მთელი რიგი საკანონდმებლო ცვილებები, რომლებიც სწორედ ევროპის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზანს ემსახურებოდა, მათ შორის: წესი ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენებით ვაჭრობის, ბაზრის მანიპულაციისა და ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნების აკრძალვის შესახებ, ასევე შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებით დაიხვეწა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების გამჭვირვალობის ჩარჩო. განისაზღვრა მოთხოვნები მათ მიერ პერიოდული თუ მიმდინარე ანგარიშგებების წარდგენასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, რაც საქართველო 2000 წელს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი გახდა, იგი თანდათანობით ახდენდა თავისი სავაჭრო სფეროს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის ნორმებსა და პრაქტიკასთან. ბოლოდროინდელი ცვლილებები რეგულირებაში მოიცავს შრომის კოდექსში 2013 წელს შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც მიზნად ისახავდა საქართველოს შრომის სფეროში არსებული რეგულაციების დაახლოებას ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებებთან. აღნიშნული ცვლილებები დამსაქმებლებისგან მოითხოვდა ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების ანაზღაურებას, გაზრდილ კომპენსაციას სამსახურიდან გათავისუფლებისას (ერთიდან ორი თვის ხელფასის ოდენობით), მუშაკთა გაძლიერებულ უფლებებს დამსაქმებლების გადაწყვეტილებათა სასამართლოში გასაჩივრებისთვის, სამსახურიდან გათავისუფლების აკრძალვას მკაფიო მიზეზის გარეშე და გარანტირებულ საბაზისო სამუშაო პირობებს.

დამატებით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სხვა ცვლილებებს სამთავრობო პოლიტიკაში, მათ შორის ცვლილებებს ადრე გამოცხადებული სამთავრობო ინიციატივების განხორციელებაში ან მათდამი მიდგომაში. გარდა ამისა, ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ტვირთი დააკისროს

მარეგულირებელ უწყებებს, მათი რესურსები მიმდინარე რეფორმებიდან სხვა მიმართულებით გადაიტანოს და შეანელოს მათი ეფექტიანობა.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მისაღწევად ან სხვა განხორციელებული, რეგულირების სფეროში მოსალოდნელი ცვლილებების შედეგად კომპანიას შესაძლოა მოეთხოვოს მისი პოლიტიკისა და პროცედურების შეცვლა კანონებსა და რეგულაციებში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებებთან შესაბამისობის დასამყარებლად. მაგალითად, კომპანიამ ცვლილებები შეიტანა თავის შრომით ხელშეკრულებებში, რათა აესახა შრომის კოდექსში შეტანილი ზემოხსენებული ცვლილებები. კომპანია ელის, რომ მოხდება კიდევ ახალი ცვლილებები, თუმცა მას არ შეუძლია იმის პროგნოზირება, თუ რამხელა ზეგავლენას მოახდენს მასზე ეს ცვლილებები ან რამდენად შეძლებს შესაბამისობის დამყარებას ნებისმიერ ასეთ ცვლილებებთან.

33. საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებულმა ბუნდოვანებამ შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება ან კომპანიისთვის ჯარიმების დაკისრება. ასევე შესაძლებელია, შეიცვალოს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პოლიტიკა.

საქართველოში პირველი საგადასახადო კოდექსი 1997 წელს იქნა მიღებული, ხოლო ამჟამად მოქმედი საგადასახოდო კოდექსი 2010 წელსაა მიღებული და ძალაში 2011 წლის 1 იანვრიდან შევიდა. შედეგად, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების გაცილებით უფრო მოკლე გამოცდილება გააჩნია ვიდრე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, სადაც საგადასახადო კანონმდებლობის პრაქტიკა ათწლეულების და ზოგიერთ შემთხვევაში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა. აღნიშნული ფაქტი წარმოშობს გამოწვევებს კომპანიების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებით, რამდენადაც აღნიშნული მოთხოვნები ხშირად გაუგებარია და არსებობს მათი სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. შესაბამისად, კომპანიებისთვის არსებობს იმის რისკი, რომ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დასაცავად მათ მიერ განხორციელებულ ქმედებებს საგადასახდო ორგანოები ჩათვლიან არასათანადოდ.

გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობაში შედის ცვლილებები და შესწორებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უჩვეულო სირთულეები „კომპანიისა“ და მისი ბიზნესისთვის. ახალი საგადასახადო კოდექსი ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვარს. 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ე. წ. **„ესტონური მოდელი“,** რომლის საფუძველზეც საწარმოები გათავისუფლდნენ მოგების გადასახადისგან გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი ახორციელებენ დივიდენდის გაცემას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპისთვის „ესტონური მოდელი“ არ ვრცელდება საფინანსო სექტორზე. ამასთან, შეიცვალა „დღგ“-ს გადახდასთან დაკავშირებული რეგულაციები, მათ შორის, დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი გახდა ავანსები (გარდა გრძელვადიანი რეგულარული მომსახურების ფარგლებში გადახდილი ავანსებისა).

2018 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა ცვლილებები საგადასახადო კანონში საჯარო შეთავაზების გზით ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლის დაბეგვრასთან დაკავშირებით. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი და რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2023 წლის 1 იანვრამდე (რომელიც 2022 წლის ბოლოს გაგრძელდა 2026 წლის 1 იანვრამდე) საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი. ამასთან, კოდექსის 99-ე მუხლის თანახმად მოგების გადასახადისგან თავისუფლდება არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას და არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2026 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას.

2030 წლის დეკემბრამდე „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ახალი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის (გარდა აქციზისა) შემოღება ან არსებული გადასახადების განაკვეთების გაზრდა (ზოგიერთი გამონაკლისი შემთხვევის გარდა) შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით. თუმცა,

საქართველო საპარლამენტო დემოკრატიის მქონე ქვეყანაა და ხელისუფლების ცვლილებამ შეიძლება საგადახადო პოლიტიკის შეცვლა გამოიწვიოს. ამგვარი ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს გადასახადის განაკვეთის ზრდას, გადასახადების ადმინისტრირების ახალი ფორმების შემოღებას, არსებული შეღავათების გაუქმებას და სხვა. საგადასახადო კანონმდებლობაში ან სამთავრობო პოლიტიკაში ნებისმიერმა ამგვარმა ცვლილებამ შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს.

2022 წლის დეკემბერში დაკორექტირდა კორპორაციული დაბეგვრის მოდელი, რომელიც ეხება ფინანსურ ინსტიტუტებს და ძალაში შევიდა 2023 წლიდან. წინა საგადასახადო მოდელი, რომელიც ეფექტური იყო 2022 ფისკალური წლისათვის, მოიაზრებდა 15%-იან მოგების საგადასახადო განაკვეთს, რომელიც ერიცხებოდა ბანკების დასაბეგრ მოგებას (სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის). ბანკებისთვის არსებული კორპორაციული გადასახადი გაიზარდა 15%-დან 20%-მდე და ძალაში შევიდა 2023 წლის დასაბეგრი შემოსავლისთვის.

„კომპანია“ თვლის, რომ ის ამჟამად და წარსულშიც სრულად იცავდა საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებს,თუმცა არსებობს შესაძლებლობა, რომ საგადასახადო ორგანოები განსხვავებულ ინტერპრეტაციას მისცემენ კანონმდებლობის მოთხოვნებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიაზე“ გადასახადების ან ჯარიმების დაკისრება. არსებობს ასევე იმის რისკი, რომ „კომპანიას“ შესაძლებელია ჯარიმები და საურავები დაეკისროს რეგულარული საგადასახადო შემოწმების შედეგად.

ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობა და მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს მომავალში, მათ შორის, მთავრობის ცვლილების შედეგად. ამგვარმა ცვლილებებმა შეიძლება მოიცვას ახალი გადასახადების დაწესება ან გადასახადების გაზრდა „კომპანიის“ ან „კომპანიის“ კლიენტების მიმართ, რამაც შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.

34. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ, მათ შორის საქართველოში სახელმწიფოს ნებისმიერმა თვითნებურმა ან არათანმიმდევრულმა მომავალმა ქმედებამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება ზიანი მიაყენოს კომპანიის ბიზნესს.

საქართველოში ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია საბაზრო ეკონომიკის სათანადო ფუნქციონირებისათვის საჭირო ადეკვატური სამართლებრივი ბაზა. მხოლოდ ახლახანს ამოქმედდა რამდენიმე ფუნდამენტური სამოქალაქო, საგადასახადო და ადმინისტრაციული კანონი. (მაგალითად სისხლის სამართლის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედება, იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, მოგების გადასახადის ესტონური მოდელი). აღნიშნული კანონმდებლობის ახლახან მიღებამ და საკანონმდებლო სისტემის სწრაფად განვითარებამ გამოიწვია ეჭვები კანონების ხარისხში და აღსრულების საკითხში, ასევე გაურკვევლობა და არათანმიმდევრულობა მათ გამოყენებაში. გარდა ამისა, საქართველოს სასამართლო სისტემა განიცდის პროფესიონალთა ნაკლებობას და ამ სისტემაში სერიოზული რეფორმები მიმდინარეობს. მოსამართლეებსა და სასამართლოებს საქართველოში ზოგადად ნაკლები გამოცდილება აქვთ ბიზნესისა და კორპორატიული სამართლის სფეროში, ვიდრე სხვა ქვეყნებში, კერძოდ, ევროპის ქვეყნებში და ამერიკის შეერთებულ შტატებში. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა მნიშვნელოვანი საზიანო ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის ბიზნესზე, მის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე.

35. კომპანია შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს მისი კლიენტების, კრედიტორებისა და მარეგულირებლის მხრიდან.

კომპანიასთან დაკავშირებულია „სტეიკჰოლდერების“ ფართო წრე, რომელშიც მოიაზრებიან შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოები, სახელმწიფო, კლიენტები და კრედიტორები. იმ შემთხვევაში თუ კომპანია ვერ დააკმაყოფილებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს, რაც უარყოფითად აისახება მის რეპუტაციაზე და საოპერაციო საქმიანობაზე. პროსპექტის წარდგენის თარიღისთვის კომპანიას არ ჰქონია ისეთი სასამართლო დავები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებდნენ მის ფინანსურ მდგომარეობაზე თუ რეპუტაციაზე (მიმდინარე სასამართლო დავების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ ქვეთავი „სასამართლო დავები“), თუმცა, არ არსებობს იმის გარანტია, რომ ასეთი დავები მომავალში არ წარმოიშვება.

36. „კომპანია“ ანგარიშვალდებული საწარმოა, შესაბამისად, ექვემდებარება დამატებით რეგულაციების ანგარიშგებებს/რეპორტინგის წარდგენის კუთხით.

კომპანია წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული ობლიგაციების გამოშვებისას „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით („ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონი“) გათვალისწინებული ანგარიშვალდებული საწარმოა. ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი აწესებს გარკვეული თანხმობების აღებისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს ანგარიშვალდებული საწარმოებსთვის და აწესებს ანგარიშგების კონკრეტულ ვალდებულებებს. ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს, გამოაქვეყნოს ან/და მისი ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებულ მფლობელებს მიაწოდოს წლიური, ნახევარი წლის და მიმდინარე ანგარიშები. თუ ობლიგაციები ივაჭრება საქართველოს საფონდო ბირჟაზე, აღნიშნული ინფორმაცია უნდა გადაეცეს საქართველოს საფონდო ბირჟასაც. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ანგარიშვალდებულ საწარმოს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია.

დაინტერესებულ პირებთან გარიგებების დამტკიცების და ანგარიშგების მოთხოვნები კომპანიისათვის გახდება დამატებითი ტვირთი და შესაძლოა გავლენა იქონიოს მისი საქმიანობის ეფექტურობაზე. ამასთან, გარკვეულ შემთხვევებში, შესაბამისი თანხმობის არარსებობამ შეიძლება გამოიწვიოს გარიგების გაუქმება.

დამატებით ინფორმაცია მოცემულია პროსპექტის თავში - „ანგარიშვალდებული საწარმო“.

საზედამხედველო ჩარჩოსა და მოთხოვნებთან დაკავშირებული რისკები

37. ანტიმონოპოლიურმა რეგულაციებმა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე.

საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, ამასთან, ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების პირობებში მოსალოდნელია ანტიმონოპოლიური კანონის შემდგომი ცვლილებები. უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის მარტში არსებითი ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონში „კონკურენციის შესახებ“ („კანონი კონკურენციის შესახებ“).

2014 წლის აპრილში „კონკურენციის შესახებ“ კანონის საფუძველზე შეიქმნა კონკურენციის სააგენტო. კონკურენციის სააგენტო უფლებამოსილია, მონიტორინგი გაუწიოს კერძო ორგანიზაციების მიერ საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შესრულებას და აქვს უფლებამოსილება „კონკურენციის შესახებ“ კანონის დარღვევის შემთხვევაში კომპანიებს დააკისროს შესაბამისი ჯარიმები. ანტიმონოპოლიური რეგულაციების ცვლილებამ და სააგენტოს მიერ ამ რეგულაციათა აღსრულების პროცესის არაპროგნოზირებადმა ხასიათმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნესზე.

38. შეუსაბამობა "ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" 2019 წლის 30 ოქტომბრის საქართველოს კანონთან შეიძლება უარყოფითად აისახოს კომპანიის რეპუტაციაზე და ბიზნესის ფუნქციონირებაზე.

ბიზნესზე თანდაყოლილად ვრცელდება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკები. შესაბამისად, კომპანიას, მოეთხოვება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობისთვის არსებულ რეგულაციებთან შესაბამისობა, კომპანიას დანერგილი აქვს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიები და პოლიტიკა/პროცედურები შიდა კონტროლის ეფექტურად განსახორციელებლად. თუმცა, რიგ შემთხვევებში აღნიშნულმა ზომებმა შეიძლება ვერ აღკვეთოს საკანონმდებლო მოთხოვნების ყველა შესაძლო დარღვევა. თუ კომპანიაში არსებული ნებისმიერი პროცესი არ იქნა წარმართული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ყველა შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით, მასზე შესაძლოა გავრცელდეს სისხლის და ადმინისტრაციული სამართლის სანქციები და სხვა გამოსასწორებელი ზომები, მათ შორის: წერილობითი გაფრთხილება, უფლებამოსილი/პასუხისმგებელი პირის (ადმინისტრატორის) ხელმოწერის შეჩერება ან თანამდებობიდან გათავისუფლება, მაკონტროლებელი პირისათვის კონტროლის გაუქმება, გარკვეული ტიპის ოპერაციების/საქმიანობის აკრძალვა/შეზღუდვა, ფულადი ჯარიმა, დროებით ადმინისტრაციული რეჟიმი, ლიცენზიის ჩამორთმევა/რეგისტრაციის გაუქმება და ა.შ. ნებისმიერი სანქცია, გამოსასწორებელი ზომა ან გამოძიება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის კანონის სავარაუდო დარღვევისთვის შელახავს კომპანიის რეპუტაციას და სერიოზულ უარყოფით გავლენას იქონიებს ბიზნესზე, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, საოპერაციო საქმიანობის შედეგებზე, პერსპექტივებზე ან პოტენციურ ინვესტიციებზე.

III. ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისთვის

ობლიგაციების საბაზრო ფასთან, ლიკვიდურობასთან და სარგებელთან დაკავშირებული რისკები

39. ობლიგაციების საბაზრო ფასი შეიძლება ცვალებადი იყოს.

ობლიგაციების საბაზრო ფასი შეიძლება მნიშვნელოვნად მერყეობდეს ისეთი მიმდინარე ან მოსალოდნელი ცვლილებების საპასუხოდ, როგორებიცაა: კომპანიის საოპერაციო შედეგების ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ცვლილებები; კომპანიის კონკურენტების საოპერაციო შედეგების ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ცვლილებები; ბიზნესის არასახარბიელო განვითარება; კომპანიის მარეგულირებელი გარემოს ცვლილება; ფასიანი ქაღალდების ანალიტიკოსის ფინანსური შეფასების ცვლილება; ობლიგაციების დიდი რაოდენობით გაყიდვა ან მოსალოდნელი გაყიდვა; ასევე ბევრი სხვა ფაქტორი, რომელიც კომპანიაზე ახდენს გავლენას, მათ შორის საქართველოს ეკონომიკური და საბაზრო პირობები. გარდა ამისა, ბოლო წლებში გლობალური ფინანსური ბაზრების ფასმა და მოცულობამ მნიშვნელოვანი რყევები განიცადა. თუ ასეთი რამ მომავალშიც განმეორდა, ეს, კომპანიის საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობის და ოპერაციის შედეგების მიუხედავად, უარყოფითად იმოქმედებს ობლიგაციების საბაზრო ფასზე. თუ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი განვითარდება, არანაირი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ საქართველოში თუ სხვაგან განვითარებული მოვლენები არ გამოიწვევს ბაზარზე რყევებს ან ეს რყევები უარყოფით გავლენას არ მოახდენს ლიკვიდურობასა თუ ობლიგაციების ფასზე ან/და ეკონომიკური და საბაზრო პირობები რაიმე სხვა სახის უარყოფით გავლენას არ მოახდენს. თუ ობლიგაციებით ვაჭრობა მათი პირველადი გამოშვების შემდეგ ხდება, შესაძლოა ისინი შეთავაზების ფასთან შედარებით დისკონტირებულ ფასად გაიყიდოს იმ მომენტისათვის არსებული საპროცენტო განაკვეთის, მსგავსი ობლიგაციების ბაზრის, ზოგადი ეკონომიკური პირობების, კომპანიის ფინანსური პირობების ან სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს კომპანიის კონტროლს.

40. ობლიგაციებისთვის შესაძლოა არ არსებობდეს აქტიური სავაჭრო ბაზარი.

არ არსებობს იმის გარანტია, რომ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი განვითარდება. არც იმის გარანტია არსებობს, რომ განვითარების შემთხვევაში ამგვარი ბაზარი შენარჩუნდება. თუ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი არ განვითარდება ან განვითარდება და არ შენარჩუნდება, ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების ბაზარზე ან სავაჭრო ფასსა და ლიკვიდურობაზე ბევრი ფაქტორის გამო, რომელთა გარკვეული ნაწილი შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს კომპანიის კონტროლს. თუ ობლიგაციებით ვაჭრობა მათი პირველადი გამოშვების შემდეგ ხდება, შესაძლოა ისინი გაიყიდოს შეთავაზების ფასთან შედარებით დისკონტირებულ ფასად იმ მომენტისათვის არსებული საპროცენტო განაკვეთის, მსგავსი ობლიგაციების ბაზრის, ზოგადი ეკონომიკური პირობებისა და კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ უცხოური ვალუტით დენომინირებული ობლიგაციების სეგმენტის მეორადი ბაზრის მაჩვენებელი ლარით დენომინირებულს მნიშვნელოვნად აჭარბებს, აქტიური სავაჭრო ბაზარი ობლიგაციებით სავაჭროდ შესაძლოა არ არსებობდეს, მითუმეტეს ისეთ განვითარებად ეკონომიკებში როგორიც საქართველოა.

41. ინვესტორებმა, რომელთა ფინანსური საქმიანობა დენომინირებულია ობლიგაციების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში ან ფულად ერთეულში, ობლიგაციებზე შესაძლოა მიიღონ ნაკლები პროცენტი ან ძირითადი თანხა, ვიდრე ელიან, გაცვლის კურსებში რყევების ან სავალუტო ოპერაციების რეგულირების შედეგად.

კომპანია ობლიგაციებზე საპროცენტო სარგებელსა და ძირითად თანხას გადაიხდის დოლარში ან/და ევროში. ეს წარმოშობს ვალუტის კონვერტაციასთან დაკავშირებულ გარკვეულ რისკებს, თუ ინვესტორის ფინანსური საქმიანობა ან/და შემოსავალი ძირითადად დენომინირებულია ობლიგაციების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში ან ფულად ერთეულში („ინვესტორის ვალუტა“). ეს მოიცავს იმის რისკსაც, რომ ვალუტის კონვერტაციის კურსები შესაძლოა მნიშვნელოვნად შეიცვალოს (იგულისხმება ის ცვლილებებიც, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს ლარის დევალვაციამ ან ინვესტორის ვალუტის რევალვაციამ) და ასევე იმის რისკს, რომ ხელისუფლებამ, რომლის იურისდიქციაშიც არის კომპანიის ან ინვესტორის ვალუტა, შეიძლება დააწესოს ან შეცვალოს სავალუტო ოპერაციების რეგულირება.

ინვესტორის ვალუტის გამყარება დოლართან ან/და ევროსთან მიმართებით შეამცირებს (i) ობლიგაციებზე ინვესტორის ვალუტის ეკვივალენტურ შემოსავალს, (ii) ობლიგაციებზე გადასახდელი ძირითადი თანხის ინვესტორის ვალუტის ეკვივალენტურ ოდენობას და (iii) ინვესტორის ვალუტის ეკვივალენტურად ობლიგაციების საბაზრო ღირებულებას. ხელისუფლებამ და ფისკალურმა/ფულად-საკრედიტო სისტემაზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა შეიძლება დააწესონ (მსგავსი გამოცდილება არსებობს სხვა ქვეყნებშიც) სავალუტო ოპერაციების იმგვარი რეგულირება, რომელიც უარყოფით ზეგავლენას მოახდენს შესაბამის გაცვლით კურსზე. შედეგად, ინვესტორებმა ობლიგაციებზე შესაძლოა მიიღონ იმაზე ნაკლები საპროცენტო სარგებელი ან ძირითადი თანხა, ვიდრე ელიან.

ობლიგაციების უფლებებთან დაკავშირებული რისკები

42. ობლიგაციები წარმოადგენს pari passu ფასიან ქაღალდებს.

„ობლიგაციების პირობებში“ მითითებული ფინანსური შეზღუდვების გათვალისწინებით, კომპანიამდამატებით შეიძლება გამოუშვას ფასიანი ქაღალდები, რომლებიც რიგითობით გაუთანაბრდება ობლიგაციებს. ნებისმიერმა ამგვარმა ფასიანი ქაღალდების გამოშვებამ შესაძლებელია შეამციროს იმ თანხის ოდენობა, რომელიც ინვესტორებმა შესაძლებელია ამოიღონ ობლიგაციებთანდაკავშირებით, რამდენადაც დამატებითი ვალის წარმოშობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიისშესაძლებლობაზე დაფაროს ობლიგაციების ძირი თანხა და დარიცხული პროცენტი. აღნიშნულმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს ობლიგაციების მეორადი გაყიდვის ფასზე.

43. არსებობს ობლიგაციების ძირის და პროცენტის დაფარვის რისკი.

არსებობს რისკი, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო, კომპანიამ ვერ მოახერხოს პროსპექტით განსაზღვრული ობლიგაციის პროცენტების და/ან ძირის დაფარვა დროულად, მათი გადახდის ვალდებულების დადგომისთანავე ან ვერ დაფაროს საერთოდ.

44. ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს.

ობლიგაციებით ნაკისრი კომპანიის ვალდებულებები კომპანიის არაუზრუნველყოფილი ვალდებულებებია. შესაბამისად, ობლიგაციებთან დაკავშირებით კომპანიისთვის წაყენებული ნებისმიერი მოთხოვნა არ იქნება უზრუნველყოფილი. ,,რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, კანონმდებლობით, უზრუნველყოფილ კრედიტორებს გააჩნიათ უპირატესობა არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მიმართ მათ, ანუ უზრუნველყოფილი კრედიტორების, სასარგებლოდ დადებული უზრუნველყოფის საშუალებასთან მიმართებით. ემიტენტის არსებული სასესხო ვალდებულებები წარმოადგენს უზრუნველყოფილი კრედიტორების კატეგორიას, ხოლო „ობლიგაციონერთა“ მოთხოვნები მიეკუთვნება არაუზრუნველყოფილ მოთხოვნათა კატეგორიას. აღნიშნული კანონის მიხედვით, ემიტენტის გაკოტრების შემთხვევაში გადახდისუუნარობის მასა შემდეგი თანამიმდევრობით განაწილდება: ა) გაკოტრების რეჟიმის ხარჯები (რომელიც თავის მხრივ მოიცავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავით გათვალისწინებული პროცესის ხარჯებს; გაკოტრების მმართველის ანაზღაურებას; და საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯს, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში წარმოშობილი შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ხარჯს, ქონების მართვის ხარჯს, აგრეთვე მმართველის გადაწყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯს); ბ) სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ ემიტენტის მიმართ წარმოშობილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები; გ) პრეფერენციული მოთხოვნები - გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე გადასახდელი, 3 თვის ხელფასისა და შვებულების ხარჯების (გარდა მოვალის დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, აგრეთვე მათი ოჯახის წევრების ხელფასისა და შვებულების ხარჯებისა) ასანაზღაურებელი თანხები, საწარმოო ტრავმის გამო გადასახდელი თანხები (თითოეული კრედიტორისთვის – არაუმეტეს 1 000 ლარის ოდენობით); დ) პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები - სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე ბოლო 3 წლის შესაბამის საგადასახადო პერიოდზე წარმოშობილი, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული

არაპირდაპირი გადასახადების თანხები; ე) არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი გადასახადების თანხა, რომლებსაც ,,რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 104(1) პუნქტის სხვა ქვეპუნქტები არ მოიცავს - ამ კატეგორიას მიეკუთვნება „ობლიგაციონერთა“ მოთხოვნები. კომპანიის უნარი, დააკმაყოფილოს მსგავსი მოთხოვნები დამოკიდებული იქნება, სხვა ფაქტორებთან ერთად, მის ლიკვიდურობაზე, ზოგად ფინანსურ სიძლიერესა და აქტივების მოზიდვის შესაძლებლობაზე.

45. ობლიგაციებს სარგებელი ერიცხებათ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით.

წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული ობლიგაციებიწარმოადგენს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის (სარგებლის) მქონე სასესხო ფასიან ქაღალდებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ გამოშვების თარიღიდან დაფარვის თარიღამდე (თუ არ მოხდა მათი ვადამდელი დაფარვა ან გამოსყიდვა პროსპექტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად) წელიწადში რამდენჯერმე დაერიცხებათ სარგებელი ერთი და იმავე წლიური განაკვეთით ნომინალური ღირებულებიდან კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით. (თითოეული ემისიის გადახდის სიხშირე განისაზღვრება შესაბამისი „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“ და შესაძლოა იყოს ერთ-ერთ შემდეგთაგანი : 1) ყოველთვიური; 2) კვარტლური; 3) ნახევარწლიური;) მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაქტორს ინვესტორისთვის მოაქვს სტაბილუროობა და მას საშუალებას აძლევს უკეთესად განჭვრიტოს სამომავლოდ მისაღები სახსრები, არსებობს გარკვეული რისკები, რაც ობლიგაციონერებმა უნდა გაითვალისწინონ: თუ ბაზარზე მოხდა საპროცენტო განაკვეთების ზრდა, მაშინ ინვესტორებმა შეიძლება იმაზე ნაკლები შემოსავალი მიიღონ, ვიდრე ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფასიანი ქაღალდების შეძენის შემთხვევაში მიიღებდნენ. გასათვალისწინებელია, რომ ამ შემთხვევაში ობლიგაციონერებს შესაძლოა გაუჭირდეთ ობლიგაციებისმეორად ბაზარზე გადაყიდვა ზარალის მიღების გარეშე, ვინაიდან ინვესტორები დაინტერესებულები იქნებიან ბაზარზე იმ მომენტში არსებული მაღალგანაკვეთიანი ფასიანი ქაღალდებით.

46. ობლიგაციების გასხვისება ექვემდებარება გარკვეულ ტერიტორიულ/სხვა ქვეყნის ინვესტორებზე დაწესებულ შეზღუდვებს.

ობლიგაციების შეთავაზება და გასხვისება ხორციელდება მხოლოდ საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ პროსპექტის გავრცელება და ობლიგაციების შეთავაზება ზოგიერთ იურისდიქციაში ან ამ იურისდიქციის რეზიდენტი პირებისთვის ობლიგაციების მიყიდვა შესაძლოა შესაბამისი კანონმდებლობით იყოს აკრძალული ან შეზღუდული. შესაბამისად, დაუშვებელია წინამდებარე პროსპექტის გამოყენება ამგვარ იურისდიქციებში ან ამგვარი პირებისათვის ობლიგაციების შესათავაზებლად. პირები, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება წინამდებარე პროსპექტი და პოტენციური ინვესტორები ვალდებული არიან, თავად მოიპოვონ ინფორმაცია ამგვარი აკრძალვების შესახებ და უზრუნველყონ, რომ მათ მიერ ობლიგაციების შეთავაზება და გასხვისება საქართველოს ფარგლებს გარეთ აკმაყოფილებდეს ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის მოთხოვნებს შესაბამის იურისდიქციაში. ობლიგაციები არ ყოფილა და არ იქნება რეგისტრირებული აშშ-ის 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის (US Securities Act of 1933) (შემდგომში „აშშ-ის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი“) ან რომელიმე შტატის კანონმდებლობის საფუძველზე. პოტენციურ ინვესტორებს არ შეეძლებათ ობლიგაციების შეთავაზება ან რეალიზაცია გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც თავისუფლდება აშშ-ის ფასიანი ქაღალდების კანონის და რომელიმე შტატის ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგისტრაციის მოთხოვნებისგან ან/და იმ ოპერაციებში, რომლებიც არ ექვემდებარება აღნიშნულ მოთხოვნებს. პოტენციური ინვესტორების ვალდებულებაა, უზრუნველყონ, რომ მათ მიერ ობლიგაციების შეთავაზება და რეალიზაცია შეერთებულ შტატებსა თუ სხვა ქვეყნებში აკმაყოფილებდეს ფასიანი ქაღალდების შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

47. ობლიგაციების პირობები შეიძლება შეიცვალოს ან გაუქმდეს, ხოლო უმრავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას შესაძლოა დაექვემდებაროს ყველა მფლობელი, მათ შორის ისინი, ვინც დარჩებიან უმცირებაში.

არსებობს რისკი, რომ ობლიგაციების მფლობელთა განსაზღვრულმა უმრავლესობამ მიიღოს გადაწყვეტილება ობლიგაციების პირობების შეცვლასთან, გაუქმებასთან ან დეფოლტის გამოცხადებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით, მიუხედავად დარღვევების არსებობისა. აღნიშნული გადაწყვეტილება სავალდებულოა ყველა ობლიგაციის მფლობელისთვის და შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მინორიტარი მფლობელების ინტერესებზე. პროსპექტით გათვალისწინებულია ობლიგაციების მფლობელთა კრების მოწვევის მექანიზმი იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს მათ ინტერესებზე. ასეთ კრებაზე, საკმარისი რაოდენობის ხმების მქონე უმრავლესობას აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება პირობების შეცვლის ან გაუქმების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება სავალდებულოა ყველა მფლობელისთვის, რომლებიც ვალდებულნი არიან დაემორჩილონ და იმოქმედონ უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად (იხილეთ „ობლიგაციების გამოშვების პირობები“).

48. საკრედიტო ხელშეკრულებითა და ობლიგაციების პირობებით გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური დათქმები შეიძლება არ შესრულდეს.

კომპანიამ ან მისმა შვილობილმა შეიძლება ვერ უზრუნველყოს საკრედიტო ხელშეკრულებით ან ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული ფინანსური ან არა-ფინანსური დათქმების შესრულება. ამასთან, არ არსებობს იმის გარანტია, რომ კომპანია შეძლებს დასტურის წერილების მიღებას შესაბამისი მხარეებისგან, და რომ კრედიტორები არ აამოქმედებენ სასესხო ხელშეკრულების და ობლიგაციების „პროსპექტის“ ფარგლებში გათვალისწინებულ სანქციებს, რაც შესაძლოა გამოიხატოს ახალი დაკრედიტების გაცემაზე უარის თქმაში, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვაში, არსებული საკრედიტო დავალიანებების დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნაში და სხვა. აღნიშნული სანქციების ამოქმედებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო საქმიანობაზე.

49. ობლიგაციების არსებული ფინანსური შეზღუდვები შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს და ვერ დაიცვას ინვესტორები.

არსებული ფინანსური დათქმები და შემზღუდავი პირობები შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი იმისათვის, რომ ობლიგაციებში ინვესტიციები დაცული იყოს და შედეგად, ინვესტორებმა შეიძლება საერთოდ ვერ მიიღონ ან მიიღონ იმაზე ნაკლები ძირი თანხა ან პროცენტი, რასაც მოელოდნენ. ინფორმაცია ობლიგაციების ფინანსურ შეზღუდვებთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ სექციაში: „ობლიგაციების გამოშვების პირობები“.

50. ობლიგაციებს გააჩნია გამოსყიდვის ოფცია (call option), რაც გარკვეული რისკების მატარებელია ინვესტორთათვის.

ობლიგაციებს აქვთ გამოსყიდვის ოფცია, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მხრიდან აღნიშნული ოფციის გამოყენების შემთხვევაში, ობლიგაციონერები მიიღებენ პროსპექტის პირობებით განსაზღვრულ ფასს (ობლიგაციების პირობების 2.6.2. მუხლი - „გამოსყიდვა და ყიდვა“), რაც შესაძლოა იყოს ნაკლები, ვიდრე ობლიგაციონერები მიიღებდნენ ობლიგაციების დაფარვის ვადამდე ფლობის/სრული ხანდაზმის შემთხვევაში. არსებობს რისკი, რომ ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის შემცირების შემთხვევაში, კომპანიამ აღნიშნული ოფცია გამოიყენოს. ასეთ შემთხვევაში, ობლიგაციონერებს უფრო მცირე საპროცენტო განაკვეთების პირობებში მოუწევთ თანხების რეინვესტირება, რაც გულისხმობს, რომ ისინი ნაკლებ უკუგებას მიიღებენ თავიანთ ინვესტორებულ თანხებზე, ვიდრე მიიღებდნენ ობლიგაციების დაფარვის ვადამდე ფლობის/სრულის ხანდაზმის შემთხვევაში.

ობლიგაციების და მათი ფლობის საკანონმდებლო/მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებული რისკები

51. საქართველოს კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციებზე, მათ შორის საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათ რეგისტრაციაზე და ობლიგაციების ფლობიდან მიღებული სარგებელის დაბეგვრაზე.

ობლიგაციების გამოშვების პირობები ეფუძნება წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის მოქმედ საქართველოს კანონმდებლობას. არ არსებობს რაიმე გარანტია იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში, არსებულ ადმინისტრაციულ თუ სასამართლო პრაქტიკაში სამომავლოდ არ შევა/განხორციელდება რაიმე ცვლილება, რომელიც არსებითად უარყოფით გავლენას იქონიებს, მათ შორის, ობლიგაციების სამომავლო ემისიებზე, მათ რეგისტრაციაზე, განთავსებაზე, საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებაზე, გარიგებების დადებისა და ანგარიშსწორების პროცედურებზე როგორც საფონდო ბირჟაზე, ასევე - არასაბირჟო მეორად ბაზარზე. ამასთან, მომავალში ობლიგაციონერების მიერ ობლიგაციებიდან მიღებული სარგებლის დაბეგვრის რეჟიმის ცვლილებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციონერების მიერ მისაღები წმინდა შემოსავლის ოდენობაზე.

52. ინვესტორები უნდა დაეყრდნონ დეპოზიტარის კალკულაციის და გადახდის აგენტისა და, შესაბამის შემთხვევებში, ობლიგაციების ანგარიშის მწარმოებლის პროცედურებს.

კომპანია ობლიგაციებთან დაკავშირებულ ნებისმიერ გადახდას განახორციელებს იმ ობლიგაციონერების ან/და ანგარიშის მწარმოებლის სასარგებლოდ, განთავსების აგენტთან მათ საბროკერო ანგარიშზე გადარიცხვის გზით. ობლიგაციებთან დაკავშირებული გადასახდელების მიღებისას ობლიგაციონერი უნდა დაეყრდნოს დეპოზიტარის და, შესაბამის შემთხვევებში, ანგარიშის მწარმოებლის ამ „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ მიერ დადგენილ პროცედურებს. კომპანია არ კისრულობს არანაირ პასუხისმგებლობას ამგვარი პირების ჩანაწერების სიზუსტეზე. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ანგარიშსწორების დროს ემიტენტი პასუხისმგებლობას არ იღებს სხვა პირის მიერ დაშვებულ შეცდომაზე.

53. ობლიგაციებში კაპიტალდაბანდება გულისხმობს ინვესტიციის კანონიერებასთან დაკავშირებული მოსაზრებების გათვალისწინებას.

ცალკეული ინვესტორების საინვესტიციო საქმიანობა ექვემდებარება ინვესტიციების კანონიერების მარეგულირებელ კანონმდებლობასა და ნორმატიულ აქტებს, ან ცალკეული უწყებების ზედამხედველობას ან რეგულირებას. ყველა პოტენციურმა ინვესტორმა კონსულტაციები უნდა გაიაროს საკუთარ იურიდიულ მრჩეველთან იმის გადასაწყვეტად, თუ რამდენად და რა მოცულობით (i) არის ობლიგაციები მათთვის კანონიერი კაპიტალდაბანდება, (ii) შეიძლება ობლიგაციების გამოყენება გირაოს სახით სხვადასხვა ტიპის კრედიტის უზრუნველსაყოფად და (iii) ეხება სხვა შეზღუდვები ობლიგაციების შეძენას ან დაგირავებას. ფინანსურმა ინსტიტუტებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ საკუთარ იურიდიულ მრჩევლებთან ან შესაბამის მარეგულირებლებთან იმის დასადგენად, თუ როგორ კლასიფიცირდება ობლიგაციები მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ან მსგავსი რეგულაციების მიზნებისათვის.

54. ობლიგაციის შესყიდვის შესახებ განაცხადი შეიძლება დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან ობლიგაციების შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი ობლიგაციის შეძენაზე, ვიდრე ამ პროსპექტით არის გათვალისწინებული, მაშინ განაცხადების დაკმაყოფილება მოხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ემიტენტის გადაწყვეტილებისამებრ. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ან გააგრძელოს ობლიგაციების შესყიდვის პროცესში მონაწილეობა. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვეთავში: „ობლიგაციის გამოშვების პირობები“.

შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება

„ემიტენტი“ გეგმავს ჯამური 60,000,000 (სამოც მილიონ) დოლარამდე ნომინალური ღირებულების ობლიგაციების გამოშვებას. მიღებული წმინდა შემოსავალი გამოყენებული იქნება კომპანიის სალიზინგო პორტფელის გასაზრდელად. „ობლიგაციების“ პირველი ტრანშის სახით, „ემიტენტი“ 30,000,000 (ოცდაათ მილიონ) დოლარს მოიზიდავს.

გასათვალისწინებელია, რომ სალიზინგო პორტფელის ზრდის პარალელურად მისი შემცირება მოხდება გადახდებით, რომლებიც ემიტენტის ბიზნეს ოპერაციების შესაბამისად - მიმართული იქნება მიღებული საპროცენტო ვალდებულებების დასაფარად. შესაბამისად მოსალოდნელია, რომ ლიზინგებზე გადახდების გათვალისწინებით სალიზინგო პორტფელისა და აღებული საპროცენტო ვალდებულებების პორტფელის ზრდის მაჩვენებელი არ იქნება რადიკალურად განსხვავებული წინა პერიოდებისგან.

„ემიტენტის“ მიერ წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული მოცულობის ათვისება მოხდება „შეთავაზების დასრულების თარიღამდე“ თუმცა აღნიშნული პერიოდის შეფასება პროსპექტის მომზადების თარიღისთვის შეუძლებელია.

ემისიასთან დაკავშირებული ზუსტი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ შესაბამისი „ობლიგაციის გამოშვების პირობები“ და „შეთავაზების პირობების დოკუმენტი“. ჯამურად, „ობლიგაციებიდან“ მოზიდული წმინდა სახსრები, „კომპანიის“ შეფასებით არ იქნება ნომინალური ღირებულების 98.5%-ზე ნაკლები.

კომპანიის მიმოხილვა და განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენები

„კომპანიის“ იურიდიული და კომერციული დასახელება არის სააქციო საზოგადოება „თიბისი ლიზინგი“, საიდენტიფიკაციო ნომერი - 205016560 . იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, №76მ. რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო. მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა. დაარსების თარიღი - 22/09/2003.

სს თიბისი ლიზინგი 2003 წელს დაარსდა სს თიბისი ბანკის მიერ, რითიც თიბისი ჯგუფმა მომხმარებელს სესხებისგან განსხვავებული დაფინანსების წყარო შესთავაზა. კომპანია წლიდან წლამდე ვითარდებოდა და 2013 წლიდან სალიზინგო ბაზრის ლიდერი გახდა და მას შემდეგ ინარჩუნებს ლიდერობას.
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავს 2,500-მდე კლიენტი, რომელთა შორის არიან კორპორაციული კლიენტები, მცირე და საშუალო საწარმოები, სტარტაპები და ფიზიკური პირები. თიბისი ლიზინგი მომხმარებელს სთავაზობს სალიზინგო პროდუქტების და დამატებითი საკონსულტაციო მომსახურების ფართო არჩევანს, მათ შორის ფინანსურ ლიზინგს, საოპერაციო ლიზინგს, გაყიდვას და უკულიზინგს.

კომპანიის განვითარების მნიშვნელოვანი თარიღებია:

- **2003 წელს** კომპანიის დაფუძნება;
- **2013 წელს** კომპანიამ პირველად გადაასწრო პორტფელის მოცულობით საკუთარ კონკურენტს და გახდა ბაზრის ლიდერი;
- **2016 წელს** კომპანია შედის საცალო ბაზარზე და იკავებს მნიშვნელოვან პოზიციას, როგორც ახალი ისე მეორადი ავტომობილების მიმართულებით;
- **2018-2019 წლებში** კომპანია აქტიურად იწყებს DFI-ებთან პარტნიორობას და აფორმებს ხელშეკრულებებს შემდეგ პარტნიორებთან: FMO, Proparco, EBRD და ა.შ;
- **2019 წელს** პირველად სალიზინგო ბაზრის არსებობის ისტორიაში კომპანიის აქტივების ზომამ გადააჭარბა 300მლნ ლარს;
- **2020 წელს** კომპანიამ გამოუშვა არასაბაკო ფინანსურ ინსტიტუტებს შორის ყველაზე დიდი მოცულობის ლარის საჯარო ბონდი;
- **2020 წელს** კომპანიამ აიღო ყველაზე მაღალი საკრედიტო რეიტინგი, ანალოგიურად არასაბანკო ფინანსურ ინსტიტუტებს შორის;
- **2020-2023 წლებში** ზედიზედ ორჯერ კომპანიამ აიღო წლის საუკეთესო ანგარიშგების და გამჭვირვალობის ჯილდო (BARTA);
- **2022 წელს** კომპანიამ პირველად შესთავაზა ბაზარს უძრავი ქონების ლიზინგი;
- **2023 წელს** ადგილობრივი კაპიტალის ბაზარზე კომპანიამ ჯამურად 115 მლნ ლარის ობლიგაციები გამოუშვა;
- **2023 წელს** თიბისი ლიზინგმა წარმატებით მოიზიდა 10 მილიონი ევროს ფინანსური რესურსი Cassa Depositi e Prestiti- გან („CDP“), ეს ტრანზაქცია CDP-ის პირველ ინვესტიცია იყო საქართველოში, რამაც ახალი საერთაშორისო ინსტიტუციური კაპიტალის მოზიდვის კუთხით მნიშვნელოვანი პრეცედენტი შექმნა ქვეყნის ფინანსურ სექტორში;
- **2025 წელს** კომპანიამ გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის კორპორაციული მდგრადობის ჯილდო მიიღო;

კომპანია მთლიანად ფარავს საქართველოს ტერიტორიას და პროდუქტებსა და მომსახურებას მომხმარებლებს აწვდის გაყიდვების სხვადასხვა არხის მეშვეობით, რომელთა შორისაა ოფიციალური დილერები, ვენდორები, გაყიდვების პირდაპირი არხები და მშობელი ბანკის ფილიალები. გაყიდვების ფართო არეალს ხელს უწყობს კომპანიის მჭიდრო თანამშრომლობა სალიზინგო აღჭურვილობის წამყვან საერთაშორისო მომწოდებლებთან და ავტოდილერებთან. გარდა ამისა, გაყიდვებიდან შემოსავლის მიღებას კიდევ უფრო უწყობს ხელს თიბისი ლიზინგის მშობელი კომპანიისგან კლიენტების მოზიდვის სინერგია. 2024 წლის მდგომარეობით კომპანიას აქვს ოთხი ფილიალი საქართველოს უდიდეს ქალაქებში.

კომპანიის მომხმარებელთა ბაზა დივერსიფიცირებულია დარგების მხრივ, რომელთაგან არცერთი არ წარმოადგენს 19%-ზე მეტს. კომპანიის მომხმარებელთა დივერსიფიცირებული ბაზა მოიცავს ეკონომიკის ყველა სექტორს, მათ შორის ინფრასტრუქტურის განვითარებას, ვაჭრობას, უძრავი ქონების მართვას, წარმოებასა და ინდუსტრიულ მშენებლობას, ჰორეკასა და სხვა.

2024 წლის მდგომარეობით კომპანიის ლიზინგის პორტფელი დარგების მიზედვით შემდეგნაირად ნაწილდება:



2024 წლის მდგომარეობით კომპანიის ლიზინგის პორტფელის აქტივების ტიპების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:



კომპანიის დახმარებით მომხმარებლებს შეუძლია მეორადი იმპორტირებული და ადგილობრივი მსუბუქი მანქანების შეძენა ან დაფინანსების აღება. კომპანია აქტიურად განაგრძობს მომხმარებლებისთვის ახალი პროდუქტების შეთავაზებას. 2022 წელს სალიზინგო ბაზარზე კომპანიამ პირველად წარადგინა კომერციული უძრავი ქონების ლიზინგი.

კომპანიას აქვს სხვადასხვა დასახელების პროდუქტები, რომელიც მორგებულია როგორც იურდიულ, ასევე ფიზიკურ პირებზე. იურდიულ პირებში კომპანიის პორტფელი გადანაწილებულია კორპორატიულ დიდი ზომის კლიენტებზე, მცირე და საშუალო ბიზნესზე და ასევე მიკრო ბიზნესის წარმომადგენლებზე მთელი საქართველოს მასშტაბით,

რომელთა მომსახურება ხდება სათაო ოფისიდან. ფიზიკური პირებისთვის შექმნილია სპეციალური სერვის ცენტრები საქართველოს რამდენიმე ქალაქში, კერძოდ: თბილისში, რუსთავში, ბათუმსა და ქუთაისი.

2024 წლის მდგომარეობით კომპანიის ლიზინგის პორტფელი ბიზნეს და საცალო სეგმენტებზე შემდეგნაირად ნაწილდება:



კომპანიის ფუნქციური და ორგანიზაციული მახასიათებლები:

- ლიზინგის სტრუქტურიდან გამომდინარე, ყოველგვარი დამატებითი უზრუნველყოფის გარეშე, მხოლოდ თანამონაწილეობის საფუძველზე, აქტივის მიზნობრივი დაფინანსება (ისეთი სალიზინგო პორტფელისთვის რომლიც მხოლოდ თანამონაწილეობის საფუძველზეა გაცემული);
- მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე შემუშავებული და საერთაშორისო პრაქტიკასთან ადაპტირებული სწრაფი და მოქნილი ბიზნეს პროცესები;
- მოძრავი აქტივების მართვისა და ფინანსირების სფეროში ჩამოყალიბებული ექსპერტიზა;
- თიბისი ბანკის ეკოსისტემაში ინტეგრაცია და მისი არხების საშუალებით მომსახურების გაყიდვის შესაძლებლობა;
- ლიზინგის, როგორც აქტივის საუკეთესო და ხელმისაწვდომი ალტერნატიული ფინანსირების საშუალების ლოიალური მომხმარებლების ბაზა, რომელიც ყოველწლიურად იზრდება;
- დივერსიფიცირებული ფინანსური რესურსები, რომლებიც ცვალებად გარემოში ადაპტირების საშუალებას აძლევს კომპანიას;

კომპანია მომხმარებელს სთავაზობს პროდუქტების დივერსიფიცირებულ ბაზას. პროსპექტის შედგენის თარიღისთვის კომპანიის შემოთავაზებული პროდუქტები და მათი აღწერილობა მოცემულია ცხრილში:

პროდუქტი	სალიზინგო თანხა	თანადაფინანსება	ლიზინგის ვადა
ახალი ავტომობილების ლიზინგი	მინ. 5,000$	მინ. 10%	მინ. 3 თვე - მაქს. 72 თვე
მეორადი ავტომობილების ლიზინგი	მინ. 500$	მინ. 10%	მინ. 3 თვე - მაქს. 60 თვე
მეორადი იმპორტირებული ავტომობილების ლიზინგი	მინ. 500$	მინ. 15%	მინ. 6 თვე - მაქს. 60 თვე
ახალი ავტომობილების საოპერაციო ლიზინგი	მინ. 5,000$	მინ. 10%	მინ. 3 თვე - მაქს. 72 თვე
უკულიზინგი	მინ. 1,000$	მინ. 20%	მინ. 3 თვე - მაქს. 60 თვე
მეორადი მსუბუქი ავტომობილების TRADE IN	მინ. 5,000$	Trade in-ით ჩაბარებული ავტომობილის ღირებულება ითვლება კლიენტის თანამონაწილეობად.	ახალი ლიზინგის პროდუქტის შესაბამისად
ახალი და მეორადი მოტოტექნიკის დაფინანსება	მინ. 700$	მინ. 20%	მინ. 3 თვე - მაქს. 36 თვე
ახალი და მეორადი მძიმე ტექნიკის დაფინანსება	მინ. 5,000$	მინ. 10%	მინ. 6 თვე - მაქს. 60 თვე
მარაგების დაფინანსება ბიზნესისთვის (ახალი აქტივები)	მინ. 100,000$	მინ. 20%	მინ. 3 თვე - მაქს. 12 თვე
მარაგების დაფინანსება ბიზნესისთვის (მეორადი აქტივები)	მინ. 100,000$	მინ. 40%	მინ. 3 თვე - მაქს. 12 თვე
არასაცხოვრებელი უძრავი ქონების დაფინანსება	მინ. 3,000$	მინ. 20%	მინ. 6 თვე - მაქს. 120 თვე
ფინანსური ლიზინგი	მინ. 5,000$	მინ. 20%	მინ. 6 თვე - მაქს. 60 თვე

კომპანიის ბიზნესმოდელი

კომპანიის ბიზნესმოდელი შემდეგია: კომპანია ყიდულობს აქტივს და ლიზინგით გადასცემს მომხმარებლებს, საიდანაც იღებს ყოველწლიურ შემოსავალს, მანამ სანამ აქტივი კომპანიის საკუთრებაშია (საშუალოდ, სამიდან ხუთ წლამდე), ხოლო შემდეგ მას ყიდის მეორად ბაზარზე ან არელიზინგებს. ამ მომსახურების გაწევისას კომპანია გაწევს დანახარჯებს, ძირითადად, თანამშრომლის ანაზღაურების, ტექნიკური მომსახურების, უძრავი ქონების, ტრანსპორტირების და ცვეთის ხარჯების სახით.

კომპანიის საკრედიტო განყოფილება წარმოადგენს ლიზინგის გაყიდვების ძირითად მამოძრავებელ ძალას. იგი შედგება ანალიტიკური, გაყიდვების და პროდუქტის განვითარების გუნდებისგან. გაყიდვების განყოფილება სექტორული მიდგომით ხელმძღვანელობს და ჰყავს ორი ხელმძღვანელი, რომელიც სხვადასხვა სექტორს უძღვება: სამშენებლო და ჯანდაცვის სექტორს და წარმოების და მომსახურების სექტორს. საკრედიტო განყოფილების გარდა, კომპანიაში ცალკეა განყოფილება საავტომობილო სეგმენტისთვის.

გაყიდვების მიმართულება პირდაპირ კომუნიკაციას ახდენს კლიენტებთან, აცნობს მათ ზოგად პირობებს და აგროვებს დოკუმენტებს. დოკუმენტაციის პაკეტები შემდეგ გადაეცემათ ანალიტიკოსებს პროექტების დასამუშავებლად, რათა წარუდგინონ ის კომიტეტს. ანალიტიკოსები ჩართულები არიან მხოლოდ გეგმურ ფინანსურ მონიტორინგსა და რესტრუქტურიზაციის პროცესებში.

ამ სფეროში კომპანიის ნოუჰაუს, გამოცდილებისა და ცოდნის წყალობით, აქტივებთან დაკავშირებულ კომპეტენციას და ლიზინგის შეთავაზებებს კომპანია უსადაგებს კლიენტების ბიზნეს საქმიანობას. ამას ხელს უწყობს აქტივების მართვის განყოფილება. განყოფილება დაკომპლექტებულია თანამშრომლების გუნდით, რომელთა კომპეტენციები მოიცავს სხვადასხვა ტიპის აქტივების მახასიათებლების საფუძვლიან ცოდნას.

ლიზინგის პროცესი:



ბიზნეს პროცესისა და ხარისხის კონტროლის პროცედურები

კომპანიაში არსებობს პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფს ინდივიდუალური ტრანზაქციების დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების მისაღები რისკის დონესთან შესაბამისობას, ლიზინგის დამტკიცების გამართული პროცესი - ინფორმირებული რისკის მიღებისთვის და პროცედურები რისკის ეფექტური იდენტიფიცირების, მონიტორინგისა და შეფასებისთვის.

ლიზინგის დამტკიცება

„თიბისი ლიზინგის“ მიზანია უზრუნველყოს სალიზინგო დაფინანსების ჯანსაღი პროცესის არსებობა, ლიზინგის გაცემის კრიტერიუმების მკაფიოდ ჩამოყალიბებისა და მომხმარებლის რისკის პროფილის შეფასების ეფექტური პროცესის დანერგვის მეშვეობით. „თიბისი ლიზინგში“ დაფინანსების ანალიზისა და დამტკიცების პროცესში ჩართულ მხარეებს შორის მოვალეობების მკაფიო დანაწილების მეშვეობით საკრედიტო რისკის შეფასების სრულყოფილი სტრუქტურა არსებობს. დაფინანსების შეფასების პროცესი განსხვავდება სეგმენტებისა და ინდივიდუალური პროდუქტების მიხედვით, იმისათვის რომ სათანადოდ მოხდეს აქტივების სხვადასხვა ჯგუფების შესაბამისი თავისებურებების გათვალისწინება. კორპორაციული, მცირე და საშუალო საწარმოების და მსხვილი საცალო და მიკრო ლიზინგების შეფასება ინდივიდუალურ დონეზე ხორციელდება. ლიზინგის მიმღებების მოთხოვნების საფუძვლიანად შეფასების შემდეგ საკრედიტო განყოფილება ამზადებს პროექტს, რომელშიც ასახულია პოტენციურ მსესხებელთან დაკავშირებული კონკრეტული მნიშვნელოვანი ინფორმაცია და განსახილველად წარუდგენს მას საკრედიტო რისკების მართვის განყოფილებას. რისკების მენეჯერი უზრუნველყოფს პროექტის ანალიზის დასრულებას და ყველა რისკის და შესაბამისი მიტიგაციის ფაქტორის განსაზღვრას და ადეკვატურად მართვას.

ლიზინგის დამტკიცების კომიტეტების სტრუქტურა მრავალდონიანია და დამტკიცების უფლებამოსილებები განსხვავებულია ლიზინგის მიმღების საერთო კრედიტუნარიანობის შესაბამისად. აღნიშნული კომიტეტები პასუხს აგებენ საკრედიტო განცხადებების განხილვასა და დამტკიცებაზე სხვადასხვა კომიტეტებთან ერთად, ლიზინგის

მოცულობის და რისკის საფუძველზე. ყველაზე მაღალი დონის კომიტეტში, 1 მილიონი აშშ დოლარიდან 1.5 მილიონი აშშ დოლარამდე ლიზინგის თანხის შემთხვევაში, მონაწილეობენ: გენერალური დირექტორი, კომერციული დირექტორი და რისკების დირექტორი. თუ მსესხებლის სალიზინგო განაცხადის თანხა აღემატება 1.5 მილიონი აშშ დოლარს, იგი საჭიროებს სამეთვალყურეო საბჭოს რისკის კომიტეტის მიერ განხილვასა და დამტკიცებას. ამასთან, თუ მსესხებლის სალიზინგო განაცხადის თანხა აღემატება 1.5 მილიონ აშშ დოლარს და ასევე აღემატება „თიბისი ლიზინგის“ კაპიტალის 15%-ს, იგი საჭიროებს განხილვასა და დამტკიცებას სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიერ, სამეთვალყურეო საბჭოს რისკის კომიტეტთან ერთად. მიკრო, მცირე, საშუალო და საცალო ლიზინგის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკრედიტო რისკების მართვის განყოფილება, სადაც განაცხადს კომიტეტი წინასწარ განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში განიხილავს. გადაწყვეტილების მიღებისთვის გამოიყენება შიდა სქორინგის მოდელები და საკრედიტო ბიუროს მიერ წინასწარ წარმოდგენილი რეიტინგები. სქორინგის მოდელები განსხვავებულია პროდუქტის ტიპებისა და მსესხებლების საკრედიტო პროფილის მიხედვით, და ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის შიდა და გარე მონაცემებს. სქორინგის მოდელების მონიტორინგი ყურადღებით ხორციელდება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მიღებული გადაწყვეტილებების წინასწარ განსაზღვრული რისკის ლიმიტებთან შესაბამისობა.

ლიზინგის მონიტორინგი

„თიბისი ლიზინგის“ რისკის მართვის პოლიტიკა და პროცესები ისეა შემუშავებული, რომ დროულად გამოვლინდეს და გაანალიზდეს სხვადასხვა ტიპის რისკები და საიმედო და დროულ მონაცემებზე დაყრდნობით განხორციელდეს წინასწარ დადგენილ ლიმიტებთან შესაბამისობის მონიტორინგი. „თიბისი ლიზინგი“ მნიშვნელოვან რესურსებს გამოყოფს სხვადასხვა ინდუსტრიულ სეგმენტებში არსებული საკრედიტო რისკების ზუსტად შესაფასებლად. კომპანია იყენებს პორტფელის მონიტორინგის გამართულ სისტემას, რათა სწრაფად მოახდინოს რეაგირება მაკრო და მიკრო მოვლენებზე, საკრედიტო პორტფელში სისუსტეების იდენტიფიკაცია და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება რისკის მართვის კუთხით. მონიტორინგის პროცესი მორგებულია დარგობრივ სეგმენტებზე და მოიცავს ინდივიდუალური დაფინანსების მონიტორინგს, პორტფელურ მონიტორინგსა და გარე ტენდენციების ანალიზს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს პორტფელის ხარისხზე.

რესტრუქტურიზაცია და თანხების ამოღება

„თიბისი ლიზინგი“ იყენებს პორტფელის მონიტორინგის კომპლექსურ სისტემას შესუსტებული მახასიათებლების მქონე ლიზინგების გამოსავლენად და, საჭიროების შემთხვევაში, მყისიერი და სწრაფი ზომების მისაღებად. შიდა კომიტეტის განხილვის ფორმატში პროცესების დეტალური განხილვა ხდება მაშინ, როდესაც მსესხებელი არ ასრულებს გადახდის შეთანხმებულ პირობებს ან მისი ფინანსური მდგომარეობა შესუსტებულია, რაც პოტენციურად საფრთხეს უქმნის კრედიტის დაფარვას. შესაბამისი რესტრუქტურიზაციის და თანხების ამოღების განყოფილებები ახორციელებენ იმ მსესხებლების მართვას, რომელთა ფინანსური მდგომარეობა გაუარესებულია, ბიზნეს-სეგმენტებზე და ინდივიდუალური დავალიანების კატეგორიებზე მორგებული ამოღებისა და ანაზღაურების სტრატეგიებით. რესტრუქტურიზაციის გუნდის ძირითადი მიზანია მსესხებლის რეაბილიტაცია და ლიზინგის ისევ სტანდარტულ კატეგორიაში გადაყვანა. რეაბილიტაციის პროცესის მიდგომა და კომპლექსურობა ლიზინგის ტიპზე და მოცულობაზეა დამოკიდებული. კორპორაციული და მცირე და საშუალო ბიზნეს-მსესხებლები პრობლემური აქტივების მართვის განყოფილებას გადაეცემა, როდესაც არსებობს კომპანიის შემოსავლების მკვეთრად გაუარესების, გადახდისუუნარობის, გაკოტრების, აქტივების მნიშვნელოვანი გაუფასურების ან მსგავსი ცვლილების ძლიერი ალბათობა. ლიზინგის ამოღების გეგმები შეიძლება მოიცავდეს დავალიანების ამოღების ყველა ხელმისაწვდომ რესურსს, მაგალითად მსესხებლის აქტივების გაყიდვას, უზრუნველყოფის რეალიზაციას ან გარანტიების/თავდებობების გამოყენებას.

სალიზინგო დავალიანების ამოღების პროცესში, პრობლემური აქტივების მართვის განყოფილების მიზანია გადახდის სტრატეგიის შემუშავება და მსესხებელთან შეთანხმება შეძლებისდაგვარად მაქსიმალური ოდენობით თანხის გადახდაზე ან სალიზინგო ვალდებულების გადახდის შეთანხმება უზრუნველყოფის გაყიდვის ან დასაკუთრების გზით.

რეაბილიტაციისა და პრობლემური აქტივების მართვის განყოფილება ახორციელებს ვადაგადაცილებული მსესხებლების ფინანსურ მონიტორინგს, ამზადებს შესაბამის პროექტებს, წარუდგენს მათ კომიტეტებს და დგამს საჭირო ნაბიჯებს დამატებითი ვადების დამტკიცების ან მოთხოვნის შემდეგ. მათი ძალისხმევა, როგორც თავად განყოფილების რესურსებით, ისე აღმასრულებლის ჩართულობით, მიმართულია სალიზინგო ვალდებულების მაქსიმალურად გაუქმებისკენ.

სალიზინგო ვალდებულების დაფარვის სტრატეგიები განისაზღვრება ლიზინგის თანხის, ბიზნესის სპეციფიკის და კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით. ინდივიდუალური სტრატეგიები მორგებულია მომხმარებლების სხვადასხვა ქვეჯგუფზე და ასახავს შესაბამისი რისკის დონეებს ისე, რომ მეტი ძალისხმევა ხმარდება უფრო მაღალი რისკის პროფილის მქონე მომხმარებლებს.

კლიენტები პრობლემური აქტივების მართვის განყოფილებას გადაეცემა საფუძვლიანი განხილვის საფუძველზე. განხილვა იწყება 45 დღით ვადაგადაცილების თარიღიდან, რათა უზრუნველყოფილი იქნეს დროული ზომების მიღება და მოხდეს პოტენციური ზარალის მინიმუმამდე დაყვანა.
პრობლემური აქტივების მართვის განყოფილებაზე გადაცემის შემდეგ, როდესაც კომპანიას არ შეუძლია მისაღები პირობებით მსესხებელთან მოლაპარაკების წარმოება, მას შეუძლია დაიწყოს უზრუნველყოფის დასაკუთრების პროცესი, რაც ჩვეულებრივ სტანდარტული პროცესია მცირე იურიდიული გართულებებით, რამაც შეიძლება მოიცვას სასამართლო, საარბიტრაჟო ან სანოტარო პროცედურებიც. რეაბილიტაციისა და პრობლემური აქტივების მართვის განყოფილებები კვალიფიციური მოქმედი ექსპერტებით და იურისტებითაა დაკომპლექტებული იმისათვის, რომ სასამართლო და ქონების დასაკუთრების პროცესები ეფექტურად წარიმართოს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება
სხვადასხვა ბიზნეს მიმართულებებისა და პროდუქტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება, მონიტორინგი და ანალიზი სტრატეგიის მთავარი კომპონენტებია. „თიბისი ლიზინგი“ იყენებს პორტფელის დარეზერვების მეთოდოლოგიას ფასს (IFRS) 9-ის მოთხოვნების შესაბამისად, რაც მოიცავს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებას მაკროეკონომიკური სცენარების და საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენებით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასებისთვის კომპანია ოთხ კომპონენტს იყენებს:
- დეფოლტის ალბათობა (PD),
- დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება (EAD),
- დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD) და
- დისკონტირების განაკვეთი (DF).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად კომპანია მიმართავს სამი სტადიის მოდელს და თავის მსესხებლებს მიაკუთვნებს შემდეგ სამ სტადიას:
- I სტადია – კომპანია თავის კრედიტის ოდენობას პირველ სტადიას მიაკუთვნებს, თუ საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხი მნიშვნელოვნად არ გაუარესებულა და ინსტრუმენტი არ იყო საკრედიტო რისკით გაუფასურებული თავდაპირველი აღიარებისას;
- II სტადია – კრედიტის ოდენობა მეორე სტადიას მიეკუთვნება, თუ საწყისი აღიარების შემდეგ დაფიქსირდა საკრედიტო ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება, მაგრამ ფინანსური ინსტრუმენტი არ მიიჩნევა საკრედიტო რისკით გაუფასურებულად;
- III სტადია – კრედიტის ოდენობა, რომელზეც გამოვლენილია საკრედიტო რისკით გაუფასურების ნიშნები, მიეკუთვნება მესამე სტადიის ინსტრუმენტებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობა განსხვავდება კრედიტის ოდენობის ერთ-ერთი სტადიისთვის მიკუთვნების მიხედვით:

- I სტადიის ინსტრუმენტები – მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს საანგარიშგებო თარიღიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში დამდგარ დეფოლტის მოვლენებს;
- II სტადიის ინსტრუმენტები – მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ანუ საკრედიტო ზარალს, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს შესაძლო დეფოლტის მოვლენებს ფინანსური ინსტრუმენტის მთლიანი არსებობის ვადის განმავლობაში. როგორც წესი, არსებობის ვადა უდრის ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილ სახელშეკრულებო ვადას. ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ხელშეკრულების მიხედვით დაფარვის გრაფიკის არსებობა, დაფარვის ვადის გაგრძელების უფლებები და მონიტორინგის პროცესები კომპანიის მხრიდან მოქმედებს ვადის განსაზღვრაზე;
- III სტადიის ინსტრუმენტები – დეფოლტის მოვლენა უკვე დამდგარია და არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება თანხების მოსალოდნელი ამოღების საფუძველზე.

კომპანია აქტიურად განიხილავს და აკონტროლებს ფასს (IFRS) 9 მოდელებიდან წარმოებულ შედეგებს, იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესაბამისი შედეგები ადეკვატურად მოიცავდნენ მოსალოდნელ ზარალს.

ბიზნესის სეზონურობა

სალიზინგო ბიზნესისთვის სეზონურობა გარკვეულწილად დამახასიათებელია და ძირითადად თანხვედრაშია მისი მთავარი სექტორების ბიზნეს სეზონურობასთან: მშენებლობა, წარმოება, საცალო მიმართულება. აქედან გამომდინარე, წლის დასაწყისში და ზაფხულის თვეებში შეინიშნება მცირე პასიურობა წლის სხვა თვეებთან შედარებით.

ორგანიზაციული სტრუქტურა

ემიტენტის ჯგუფის სტრუქტურა პროსპექტის შედგენის თარიღისთვის შემდეგნაირად გამოიყურება:



პროსპექტის შედგენის თარიღისთვის კომპანიის აქციონერი არის სს „თიბისი ბანკი“, რომელსაც ეკუთვნის კომპანიის კაპიტალის 100%-იანი წილი. საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფი“ (TBC Bank Group PLC) არის გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული საჯარო სააქციო საზოგადოება, რომელიც სს „თიბისი ბანკის“ სააქციო კაპიტალის 99.88%-ს ფლობს და ამრიგად წარმოადგენს „თიბისი ლიზინგის“ საბოლოო მშობელ საწარმოს.

საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ აქციები კოტირებული იყო ლონდონის საფონდო ბირჟაზე და არ ჰყავს საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრე. პროსპექტის შედგენის თარიღისთვის „თიბისი ლიზინგს“ <u>არ</u> ჰყავს

ერთპიროვნული მაკონტროლებელი მხარე. ემიტენტის 5%-ზე მეტი წილის მფლობელი საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეები არიან მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე.

TBC Bank Group PLC-ის მფლობელობის სტრუქტურა წარმოდგენილია ცხრილში:

აქციონერი	წილი %
BlackRock	6.41%
Dunross & Co.	5.99%
Vanguard Group	5.14%
Fidelity International	5.03%
JPMorgan Asset Management	3.75%
მამუკა ხაზარაძე	9.53%
ბადრი ჯაფარიძე	5.69%
სხვა*	58.45%

**სხვა აქციონერებში ერთიანდებიან ისეთი აქციონერები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ფლობენ TBC Bank Group PLC-ის 3%-ზე მეტს.*

თიბისი ბანკის ჯგუფის საქმიანობა რამოდენიმე მიმართულებას მოიცავს:

- საბანკო მიმართულება - რომელიც ემსახურება საცალო, მცირე, საშუალო და მიკრო და კორპორატიულ მომხმარებლებს. სამივე მიმართულებით კომპანიას უჭირავს წამყვანი პოზიცია ბაზარზე.
- დამატებითი ფინანსური სერვისების მიმართულება, რომელიც მოიცავს სადაზღვეო, გადახდების სისტემისა და ლიზინგის მიმართულებებს.

შვილობილ კომპანიებთან ერთად თიბისი ბანკის ჯგუფში დასაქმებულია თითქმის 10,000-მდე ადამიანი. ჯგუფი ძირითადად, საქართველოში აწარმოებს საქმიანობას, თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში გააქტიურდა უცხოურ ბაზრებზეც და მზარდი ქსელი შექმნა რეგიონში მისი შვილობილი კომპანიების მეშვეობით:

- თიბისი კრედიტი - აზერბაიჯანში;
- თიბისი ინვესტი - ისრაელში;
- თიბისი UZ - უზბეკეთში და ა.შ.

პროსპექტის შედგენის თარიღისთვის ინფორმაცია ჯგუფში შემავალი შვილობილი კომპანიების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ცხრილში:

შვილობილი	წილი	ქვეყანა	დაარსების წელი
JSC TBC Bank	**99.88%**	**საქართველო**	**1992**
United Financial Corporation JSC	99.53%	საქართველო	2001
TBC Capital LLC	100.00%	საქართველო	1999
TBC Leasing JSC	100.00%	საქართველო	2003

TBC Kredit LLC	100.00%	აზერბაიჯანი	1999
TBC Pay LLC	100.00%	საქართველო	2008
TBC Invest-Georgia LLC	100.00%	ისრაელი	2011
TBC Asset management LLC	100.00%	საქართველო	2021
JSC TBC Insurance	**100.00%**	**საქართველო**	**2014**
Redmed LLC	100.00%	საქართველო	2019
T NET LLC	**100.00%**	**საქართველო**	**2019**
Index LLC	100.00%	საქართველო	2009
Artarea.ge LLC	100.00%	საქართველო	2012
Saba LLC	85. 00%	საქართველო	2012
TBC Art Gallery LLC	100.00%	საქართველო	2012
Marjanishvili 7 LLC	**100.00%**	**საქართველო**	**2020**
TBC Digital JSC	**79.69%**	**უზბეკეთი**	**2019**
JSCB TBC Bank	100.00%	უზბეკეთი	2020
TBC Fin Service LLC	100.00%	უზბეკეთი	2019
MFO TBC Credit LLC2	100.00%	უზბეკეთი	2024
TBC Sug'Urta JSC	100.00%	უზბეკეთი	2024
Payme JSC	100.00%	უზბეკეთი	2011
TBC Group Support LLC	**100.0%**	**საქართველო**	**2020**
Space JSC	**100.00%**	**საქართველო**	**2021**
Space International JSC	100.00%	საქართველო	2021
TBC International Holdings Limited	**100.00%**	**გაერთიანებული სამეფო**	**2023**
Tpay LLC	100.00%	საქართველო	2023
Fondy Payments Limited	100.00%	ირლანდია	2019

სტრატეგია და ამოცანები

კომპანიის ამოცანაა ინოვაციის და კომპეტენციის გამოყენებით, ბაზარზე წამყვანი სალიზინგო პროდუქტების და მომსახურების შექმნა, ქართული ბიზნესისთვის დაფინანსების მოქნილი გზების შეთავაზება და ამით მთელ ეკონომიკაში ღირებულების შექმნა.

კომპანიის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია ოთხი მთავარი პრინციპისგან შედგება:

I. **ლიზინგის ბაზრის ზრდა ლიზინგის შესახებ ცნობადობის ამაღლებით და მომხმარებელთა ბაზის გაფართოებით**

კომპანიის მთავარ სტრატეგიულ პრიორიტეტს წარმოადგენს მომხმარებელთა ბაზის გაფართოება ლიზინგის, როგორც დაფინანსების ალტერნატიული გზის, ცნობადობის ამაღლებით. მცირე და საშუალო საწარმოებს ხშირად არ აქვთ წვდომა საჭირო ფინანსებზე, რის გამოც მნიშვნელოვანი ხდება მათთვის ზრდის შესაძლებლობების მიცემა ქვეყნის ეკონომიკაში წვლილის გასაზრდელად.

გაერთიანებული სამეფოს „კარგი მმართველობის ფონდთან“ თანამშრომლობით კომპანიამ შეიმუშავა საქართველოს სალიზინგო ბაზრის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც საქართველოს მთავრობას გადასცა. ამასთან ერთად, დაიწყო საინფორმაციო კამპანია, რომელიც მოიცავს როგორც იურიდიულ ასპექტებს, ისე გადახდის სტრუქტურებსა და სხვა დეტალებს. კამპანიის ვიდეოები საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა 2025 წლის პირველ კვარტალში, ხოლო მომავალში იგეგმება დამატებითი კამპანიები.
კომპანიის გრძელვადიანი მიზანია მცირე და საშუალო საწარმოებში ლიზინგის ცნობიერების 70%-მდე გაზრდა და, უფრო ფართო პერსპექტივაში, საქართველოს სალიზინგო ბაზრის გაორმაგება.

II. **ლიზინგის პორტფელის ზრდა ახალი პროდუქტების დანერგვით და მომხმარებელთა კმაყოფილების დონის გაუმჯობესებით**

კომპანიის მიზანია მომხმარებლებისთვის საუკეთესო გამოცდილების შეთავაზება, რათა თანამშრომელთან პირველი კონტაქტიდან მომსახურება იყოს დადებითი და უპრობლემო. ამისთვის აუცილებელია კლიენტებთან აქტიური ჩართულობა სხვადასხვა არხით, უკუკავშირის მიღება და მათი პრეფერენციების ცოდნა.

კლიენტებთან ურთიერთობის მართვის CRM სისტემა კომპანიას აძლევს საშუალებას მართოს მომხმარებლის სრული გზა და გაამყაროს თანამშრომლობა გაყიდვების, მარკეტინგისა და კლიენტების მომსახურების განყოფილებებს შორის. გაყიდვების და მარკეტინგის გუნდები პოტენციურ კლიენტებს ქოლცენტრიდან ან სოციალური მედიიდან იძიებენ და სისტემას ინფორმაციით აახლებენ მომხმარებელთან მთელი თანამშრომლობის განმავლობაში. სისტემა ანგარიშების გენერირებითა და ინდიკატორების პანელებით მათ შედეგების და პროდუქტიულობის მართვაში ეხმარება.
2024 წლის ლოიალურობის ინდექსის გამოკითხვამ აჩვენა 73% ბიზნეს და 77% საცალო კლიენტებში, რაც მომხმარებლების მზაობას ასახავს კომპანიის გაუწიოს რეკომენდაცია. 2023 წლიდან რეალურ დროში მომსახურების შემდგომი შეფასების სისტემა მოქმედებს, რომელიც ქოლცენტრებისა და სერვისცენტრების ხარისხის ანალიზს უზრუნველყოფს.
გრძელვადიანი სტრატეგია მოიცავს ინოვაციური, აქტივებზე დაფუძნებული პროდუქტებისა და ნარჩენი ღირებულების შეთავაზებების დანერგვას, რომლებიც მორგებულია სხვადასხვა სექტორზე (უძრავი ქონება, მშენებლობა, მედიცინა, საავტომობილო და საცალო). ინიციატივა მიზნად ისახავს მთლიანი სალიზინგო პორტფელის გაორმაგებას და საცალო პორტფელის წილის გაორმაგებას საერთო სტრუქტურაში.

III. **პროცესის ოპტიმიზაცია და გაციფრულება**

კლიენტების გამოცდილების გაუმჯობესება გულისხმობს როგორც შიდა, ისე გარე პროცესების გაციფრულებას, რაც ამარტივებს საქმეს მომხმარებლებისთვის და ზრდის თანამშრომლების ეფექტიანობას.

2020 წელს კომპანიამ დანერგა CRM, რომელმაც სისტემატიზაცია მოახდინა გაყიდვების ეტაპებზე: პროცესების მართვა გაყიდვამდე, დინამიკური კონტროლი, ზარალის მიზეზების ანალიზი და პორტფელის მართვა. ასევე დანერგილია ყოველდღიური დინამიკური ანალიზის სისტემა კომერციული მიმართულებისთვის და ლიზინგის მართვის სისტემაში (LMS) ელექტრონული აღრიცხვის მოდული, რაც ამცირებს შეცდომების რისკს.

კომპანია მიზნად ისახავს ლიზინგის სრულად ციფრულ პროდუქტად ქცევას. უკვე შეიქმნა მომხმარებელთა პორტალისა და CRM-ზე დაფუძნებული პოტენციური კლიენტების მართვის სისტემა. პორტალი 2025 წლის ბოლოსთვის ამუშავდება და გააუმჯობესებს კომუნიკაციას, რეკლამებისა და შეთავაზებების მიზნობრიობას და დროის დაზოგვას ოპერაციებში.
კომპანიის გრძელვადიანი ხედვა მოიცავს ყველა პროცესის ინტეგრაციას და საწარმოო რესურსების დაგეგმვის სისტემის დანერგვას, რაც ხელს შეუწყობს ციფრული სერვისების სრულყოფილ შეთავაზებას. ამით საცალო ციფრული გაყიდვების წილი 50%-მდე გაიზრდება, ხოლო აქტიური საცალო კლიენტების რაოდენობა – გაორმაგდება.

IV. დამატებითი ღირებულების მომტანი მომსახურებით და ინდივიდუალური პროდუქტების შექმნით მომგებიანობის და ეფექტიანობის გაუმჯობესება

კომპანიის მთავარ სტრატეგიულ მიმართულებად რჩება თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო მომწოდებლებთან და მათი ქსელის გაფართოება, რაც ლიზინგს კიდევ უფრო მიმზიდველ პროდუქტად აქცევს.

დამატებითი ღირებულების სერვისები, როგორიცაა კონსულტაციები აქტივების შერჩევისას და შეძენისას, მომწოდებლების ფასდაკლებები, გამოსყიდვის ოფციონები, ბარგის ტრანსპორტირება და დაზღვევა, განბაჟება, ვაჭრობის დაფინანსება, წარმოებული ინსტრუმენტები, აქტივების შეფასება და მონიტორინგი, წარმოადგენს დამატებითი ღირებულების მქონე მომსახურების გაწევის პოტენციურ გზებს. ამ სერვისებს შეუძლია არა მხოლოდ გამოარჩიოს კომპანია ბაზარზე, არამედ გააუმჯობესოს კლიენტების კმაყოფილება და, საბოლოო ჯამში, გაზარდოს მომგებიანობა.
ლიზინგის განვითარებისთვის გადამწყვეტია აქტივის ხარისხი, საიმედოობა, მრავალფეროვნება და კონკურენტუნარიანი ფასი. როგორც ქვეყნის სალიზინგო ბაზრის მთავარი მოთამაშე, კომპანია ღირებულებას ქმნის ადგილობრივ და უცხოურ მომწოდებლებთან ურთიერთობის მრავალწლიანი გამოცდილებით, რის გამოც სხვადასხვა ტიპის აქტივის შესახებ კომპანიას წინასწარი ცოდნა აქვს, ვიდრე მომხმარებელი მიმართავს. მომწოდებლებთან გრძელვადიანი და სტაბილური თანამშრომლობა სალიზინგო აქტივის კონკურენტუნარიან ფასად შეთავაზების საშუალებას იძლევა - ამ უპირატესობებით კომპანიას საშუალება ეძლევა მომხმარებელს მოემსახუროს „ერთი ფანჯრის კონცეფციის“ პრინციპით, შეთავაზოს მისთვის სასურველი სხვადასხვა ტიპის აქტივები ერთ სივრცესა და დროში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

კომპანიამ 2021 წელს მომწოდებლების წახალისების მიზნით დაიწყო „ოქროს ვენდორი“ კამპანია, რომელიც საიმედო პარტნიორებს განსაკუთრებულ პირობებს სთავაზობს (არავითარი წინასწარი გადახდა, დაბალი განაკვეთი, სწრაფი დამტკიცება, რეკომენდაციები და პიარი). “ოქროს ვენდორის” სტატუსის მინიჭება ეფუძნება ფინანსურ შედეგებს, ხელშეკრულებების რაოდენობასა და გრძელვადიან თანამშრომლობას.

კომპანიის სტრატეგია ეფუძნება დამატებითი ღირებულების სერვისების განვითარებას და კონკურენტუნარიანობის განმტკიცებას, რაც მიზნად ისახავს მოგების ზრდას, კაპიტალზე 25%-ზე მეტ უკუგებას და ხარჯების შემოსავლებთან <50% კოეფიციენტს. 2024 წელს პრიორიტეტი მიენიჭა ძირითადი სალიზინგო სისტემის გაფართოებას და ციფრული პლატფორმების დანერგვას, რაც ტექნოლოგიური უნარებისა და მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

მარკეტინგული პროგრამა

თიბისი ლიზინგის მარკეტინგული პროგრამის მისიაა - ცხოვრების გამარტივება, ხოლო მიზანი - ლიზინგის ცნობადობის გაზრდა, ახალი მომხმარებლების მოზიდვა და ბაზარზე ბრენდის პოზიციონირების განმტკიცება.

„თიბისი ლიზინგი“ ეხმარება საქართველოში ადამიანებსა და ბიზნესებს უფრო სწრაფად მიაღწიონ თავიანთ მიზნებს მოქნილი და ხელმისაწვდომი დაფინანსების საშუალებით. ტრადიციული სესხების ნაცვლად, კომპანია მომხმარებელს სთავაზობს უფრო სწრაფ, მარტივ და მორგებულ გზას ავტომობილების, ტექნიკისა და ტექნოლოგიების შესაძენად, დიდი საწყისი შენატანის გარეშე. როგორც სანდო „თიბისი ჯგუფის“ ნაწილი, თიბისი ლიზინგის მომხმარებელს სთავაზობს გამჭვირვალე პირობებს, ფინანსურ ექსპერტიზას და მომხმარებელზე ორიენტირებულ მომსახურებას - რაც ლიზინგს უფრო გონივრულ და კომფორტულ არჩევანად აქცევს.

კომპანიის მარკეტინგული კამპანია მოიცავს იმ უპირატესობებზე ხაზგასმას, რაც გამოარჩევს ლიზინგს და კომპანიას სხვა დაფინანსების წყაროებისგან:

1. სისწრაფე და სიმარტივე - გადაწყვეტილების მიღება უფრო სწრაფად, ვიდრე საბანკო სესხების შემთხვევაში;
2. მოქნილობა - მორგებული ლიზინგის პირობები როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისთვის;
3. ხელმისაწვდომობა - შესაძლებლობა იმ მომხმარებლებისთვისაც, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ტრადიციული სესხის კრიტერიუმებს. კერზოდ, კომპანია ისეთ მომხმარებლებს, რომლებსაც არ აქვთ დამატებითი უზრუნველყოფის საშუალება - ლიზინგის საშუალებით ხელმისაწვდომობას უზრდის დაფინანსების წყაროზე და თვითონ სალიზინგო აქტივი წარმოადგენს უზრუნველყოფის საშუალებას;
4. სანდო პარტნიორი - „თიბისი ჯგუფის“ ნაწილი (სანდოობა და სტაბილურობა);
5. ინოვაციურობა - მხარდაჭერა ტექნოლოგიების, ბიზნესის, მობილობისა და მდგრადობის მიმართულებით.

ძირითადი მომხმარებლები და მომწოდებლები

შემოსავლების მხრივ კომპანია საკმაოდ დივერსიფიცირებულია - კომპანიას არ ჰყავს მომხმარებელი, რომელიც მატერიალურ წილს დაიკავებდა მის შემოსავლებში, მათ შორის კომპანიის შემოსავლების 10%-ზე მეტი არ მოდის არცერთ კონკრეტულ კლიენტზე.

მომწოდებლების ნაწილში უნდა აღინიშნოს თეგეტა ჯგუფი, რომელიც კომპანიის ყველაზე მსხვილი პარტნიორია და რამდენიმე მიმართულებით ეთანამშრომლება თიბისი ლიზინგს, მათ შორის: სამშენებლო და საგზაო ტექნიკა, მსუბუქი და მაღალი განმავლობის მანქანები. 2024 წლის განმავლობაში გაცემული ლიზინგებიდან 11% მოდის თეგეტაზე ჯგუფზე.

რაც შეეხება ფინანსური რესურსის მომწოდებლებს კომპანია ამ კუთით საკმაოდ დივერსიფიცირებულია და 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საპროცენტო ვალდებულებების 10%-ზე მეტი არცერთ ცალკეულ კრედიტორს არ უჭირავს.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ქვეთავში „ინფორმაცია მატერიალური ხელშეკრულებების შესახებ“.

ინფორმაცია მატერიალური ხელშეკრულებების შესახებ

- **ხელშეკრულებები მომხმარებლებთან** - კომპანიას მომხმარებელთა დაბალი კონცენტრაციის გამო არ გააჩნია მატერიალური ხელშეკრულებები.
- **ხელშეკრულებები მომწოდებლებთან** - მომწოდებლებთან ხელშეკრულებები იდება ცალკეული ლიზინგის საფუძველზე, შესაბამისად კომპანიას ამ ნაწილში არ გააჩნია მატერიალური ხელშეკრულებები. ამას გარდა, ემიტენტი აქტიურად თანამშრომლობს თეგეტა ჯგუფთან, რომელთან ერთადაც აფორმებს სამმხრივ ხელშეკრულებებს (ხელშეკრულებები ფორმდება კლიენტს, თეგეტასა და თიბისი ლიზინგს შორის). აღნიშნული ხელშეკრულებები უნიკალურია მომხმარებლების მიხედვით - ემიტენტსა და თეგეტა ჯგუფს შორის არ არსებობს გენერალური ხელშეკრულება, რომლითაც დარეგულირდებოდა მსგავსი ტიპის გარიგებები.
- **ხელშეკრულებები კომერციულ ბანკთან** - კომპანიას მსესხებლებთან დაბალი კონცენტრაციის გამო არ გააჩნია მატერიალური ხელშეკრულებები. ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული საბანკო კონტრაქტების ძირითადი

ფინანსური და არაფინანსური პირობებისა და შეზღუდვების შესახებ ინფორმაცია, გთხოვთ, იხილოთ სექციაში *“კაპიტალიზაცია და დავალიანება”.*

კომპანიის საქმიანობაში გამოყენებული რესურსები და ტექნოლოგიები

- **ტექნოლოგიური რესურსი**
  2020 წელს თიბისი ლიზინგმა დანერგა კლიენტებთან ურთიერთობის მართვის (CRM) სისტემა, რამაც გაყიდვების ეტაპების სისტემატიზაცია მოახდინა. CRM კომპანიას ეხმარება გაყიდვების ეფექტურობის გაუმჯობესებაში, ვინაიდან ტექნოლოგია საშუალებას იძლევა თითოეული პროექტი იმართოს გაყიდვამდე, დინამიკურად წარიმართოს გაყიდვების პროცესი, თვალი მიედევნოს გაყიდვამდე პროცესს, გაანალიზდეს ყოველგვარი ზარალის მიზეზები და ფულადი და რაოდენობრივი კონცენტრაციები.
  კომპანია აქტიურად მუშაობს CRM სისტემის დახვეწაზე - კერძოდ, მიზნად ისახავს მომხმარებელთა პორტალის შექმნასა და პოტენციური კლიენტების მოზიდვის მართვას CRM-ის ინსტრუმენტის მეშვეობით. კომპანიის მოლოდინით 2025 წლის ბოლოსთვის აღნიშნული მოდული სრულად ამუშავდება. ეს გააუმჯობესებს კომუნიკაციას მომხმარებლებთან საოპერაციო საკითხებზე და ასევე რეკლამების და შეთავაზებების უფრო მიზნობრივად გაკეთების და დამატებითი მომსახურების გაწევის საშუალებას მისცემს თიბისი ლიზინგს. გარდა ამისა, დაიზოგება ლიზინგის მენეჯერების დრო კომუნიკაციისა და ოპერაციების თვალსაზრისით.

  გარდა ამისა, კომპანია იყენებს ლიზინგის მართვის სისტემას (LMS) - ელექტრონული აღრიცხვის სისტემა, რომლის მეშვეობითაც ყველა დოკუმენტის არქივირება ხდება, რაც ამცირებს ადამიანური შეცდომის დაშვების რისკს.

- **ადამიანური რესურსი**
  კომპანიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია თანამშრომლები და მათში ინვესტიცია. 2024 წელს კომპანიამ დანერგა სწავლის მართვის სისტემა, რომლის მიზანი იყო არსებული თანამშრომლების უნარების გაუმჯობესებისა და ახალი თანამშრომლების დატრენინგების ხელშეწყობა. პლატფორმა მხარს უჭერს პერიოდულ ტესტირებასა და შეფასებას, რაც ხელს უწყობს გუნდის პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

დაზღვევა

კომპანია ინარჩუნებს ყოვლისმომცველ სადაზღვევო დაფარვას საკუთარი ბიზნესის, ქონების, ვალდებულებებისა და თანამშრომლების ჯანმრთელობის/უსაფრთხოების მიმართ. დაზღვევა პოტენციური რისკის დაზღვევისთვის ვრცელდება ისეთ კრიტიკულ არეალებზე, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია ბიზნესის ოპერირებისთვის. შესაბამისად, სადაზღვევო პაკეტი მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი რისკების დაზღვევით: ქონების, მარაგების (მანქანა-დანადგარების), თანამშრომელთა არაკეთილსინდისიერი ქმედებისა და თანამშრომელთა დაზღვევა, ბიზნესის უწყვეტობის და მოგების დაკარგვის - ასევე მესამე პირისადმი პასუხისმგებლობის დაზღვევა.

ინვესტიციები

ინვესტიციის ტიპი (ათას ლარში)	2025 6 თვე	2024	2023
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	2	109	45

არამატერიალური აქტივების შესყიდვა	546	1,048	908

კომპანიამ 2025, 2024 და 2023 წლების განმავლობაში ძირითადი ინვესტიციები განახორციელა არამატერიალური აქტივების მიმართულებით, კერძოდ საოპერაციო სისტემა (Leasing ERP software), რომელიც ლიზინგის ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესების აღრიცხვის სისტემაა. აღნიშნულ სისტემაში ხდება ლიზინგის გაცემასთან, ხელშეკრულებების ხელმოწერებთან, პროექტების ცვლილებებთან, ფინანსურ ტრანზაქციებთან და ა.შ. დაკავშირებული პროცესები. სისტემა შესაძლებლობას იძლევა ბაზაში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით დაგენერირდეს საოპერაციო და ანალიტიკური რეპორტები.

კომპანიის საოპერაციო სისტემაში მუდმივად ხდება ახალი ფუნქცინალების დამატება და დახვეწა, თუმცა პროსპექტის შედგენის თარიღისთვის კომპანიაში არ მიმდინარეობს და არ იგეგმება რაიმე მატერიალური ინვესტიცია ან პროექტი.

სასამართლო დავები

პროსპექტის შედგენის თარიღისთვის კომპანია აწარმოებს დაახლოებით 420 სასამართლო დავას, რომელთა უმეტესი ნაწილი წარმოადგენს ჩვეულებრივი სალიზინგო ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილ დავას. მათი ჯამური ღირებულება მოსარჩელის ნაწილში შეადგენს დაახლოებით 26 მილიონ ლარს, ხოლო მოპასუხის ჭრილში კომპანიის სასამართლო დავების ღირებულება არ აღემატება 4 მილიონ ლარს. როგორც დავების მოცულობიდან ჩანს, უმრავლეს შემთხვევაში მოსარჩელეს თავად კომპანია წარმოადგენს და ითხოვს სალიზინგო საზღაურის დაკისრებას. დავების სამართლებრივი შეფასებიდან გამომდინარე არ არის მოლოდინი, რომ აღნიშნულს გავლენა ექნება ემიტენტის ფინანსურ მდგომარეობასა და მომგებიანობაზე.

კომპანიის საკრედიტო რეიტინგი

2025 წლის 3 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას მინიჭებული აქვს საკრედიტო რეიტინგი Fitch Ratings-ის მიერ, რომელიც არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული სარეიტინგო სააგენტო. კომპანიის გრძელვადიანი რეიტინგი არის 'BB' სტაბილური პერსპექტივით, რაც საქართველოში მოქმედ არასაბანკო ფინანსურ ინსტიტუტებს შორის ყველაზე მაღალი საკრედიტო რეიტინგია, ხოლო მოკლევადიანი რეიტინგი არის 'B'.

კომპანიის საკრედიტო რეიტინგი ბოლოს შეიცვალა 2025 წლის 3 დეკემბერს და გახდა 'BB' სტაბილური პერსპექტივით, როცა 2025 წლის ივნისის მდგომარეობით კომპანიის რეიტინგი იყო 'BB' ნეგატიური პერსპექტივით. რეიტინგის ცვლილების მთავარი მიზეზი იყო სარეიტინგო სააგენტოს მიერ საქართველოს სუვერენული რეიტინგის პერსპექტივის ცვლილება ნეგატიურიდან სტაბილურამდე, რისი გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ქვეყნის საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მნიშვნელოვანი ზრდა. 2025 წელს რეიტინგის ცვლილებასთან დაკავშრებით დეტალური ინფორმაციის სანახავად გთხოვთ, იხილოთ თანდართული ბმული - Fitch Revises JSC TBC Leasing's Outlook to Stable

კომპანიის საკრედიტო რეიტინგი ასევე შეიცვალა 2024 წლის 13 დეკემბერს და გახდა 'BB' ნეგატიური პერსპექტივით, როცა 2024 წლის აპრილის მდგომარეობით კომპანიის რეიტინგი იყო 'BB' სტაბილური პერსპექტივით. რეიტინგის ცვლილების მთავარი მიზეზი იყო სარეიტინგო სააგენტოს მიერ საქართველოს სუვერენული რეიტინგის პერსპექტივის ცვლილება სტაბილურიდან ნეგატიურამდე, რაც გამოწვეული იყო პოლიტიკური და მმართველობითი რისკებით და მათი პოტენციურად ნეგატიური გავლენით საქართველოს საბანკო სექტორზე. 2024 წელს რეიტინგის ცვლილებასთან დაკავშრებით დეტალური ინფორმაციის სანახავად გთხოვთ, იხილოთ თანდართული ბმული- Fitch Revises TBC Leasing's Outlook to Negative; Affirms at 'BB'.

წარსულში, მნიშვნელოვანი ცვლილება კომპანიის საკრედიტო რეიტინგში იყო 2023 წლის 19 მაისს, როცა რეიტინგი შეიცვალა 'BB' სტაბილურ პერსპექტივად (2022 წლის 5 ივლისის მდგომარეობით - 'BB-' სტაბილური პერსპექტივით იყო). ამ ცვლილებაში დიდი როლი ითამაშა კომპანიის SSR (Shareholder Support Rating)-ის გაუმჯობესებამ, რომელიც 2022 წლის 5 ივლისს იყო 'BB-', ხოლო 2023 წლის 19 მაისს გაუმჯობესდა 'BB'-მდე. აღნიშნული ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ „ემიტენტის" საკრედიტო რეიტინგზე გავლენა აქვს მისი მშობელი კომპანიის საკრედიტო რეიტინგს.

2024 წლის 12 დეკემბერს, „ემიტენტის“ მშობელი კომპანიის, „თიბისი ბანკის“ საკრედიტო რეიტინგი შეიცვალა ‘BB’ სტაბილური პერსპექტივიდან ‘BB’ ნეგატიურ პერსპექტივამდე. აღნიშნული ცვლილება შეეხო 7 ქართულ კომერციულ ბანკს და განმაპირობებელი მიზეზი ქვეყნის სუვერენული რეიტინგის პერსპექტივის ცვლილება იყო. მას შემდეგ „თიბისი ბანკის“ რეიტინგი არ განახლებულა და პროსპექტის შედგენის თარიღისთვის შეადგენს - ‘BB’ ნეგატიური პერსპექტივით.

2023 წელს რეიტინგის ცვლილებასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის სანახავად, გთხოვთ იხილოთ თანდართული ბმული - Fitch Upgrades TBC Leasing to 'BB'; Outlook Stable.

კომპანიის საკრედიტო რეიტინგის დინამიკა წლების განმავლობაში მოცემულია ცხრილში:

ქვემოთ მოცემულია სააგენტოს მიერ კომპანიის ბოლოს განახლებული საკრედიტო რეიტინგის (რომელიც გაუმჯობესებულია ‘BB’ სტაბილურ პერსპექტივამდე) ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორები. (წყარო Fitch Revises JSC TBC Leasing's Outlook to Stable.

რეიტინგის განმსაზღვრელი ფაქტორები:

- **მშობელი კომპანიის მხარდაჭერა -** კომპანიის არსებული რეიტინგის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია მშობელი კომპანიის მხარდაჭერა, რაც ისახება კომპანიის SSR რეიტინგში (რომელიც შეადგენს ‘BB’-ს). Fitch მიიჩნევს, რომ როგორც კომპანიის ერთადერთი მფლობელი, თიბისი ბანკი შვილობილ კომპანიასთან იზიარებს ბრენდინგს, ასევე, მხარს უჭერს კომპანიას კაპიტალითა და სასესხო საჭიროების უზრუნველყოფით. გარდა ამისა, თიბისი ბანკს აქვს მაღალი რეპუტაციული რისკი შვილობილი კომპანიის დეფოლტის შემთხვევაში, შესაბამისად, აქვს მაღალი ინტერესი, რომ მხარი დაუჭიროს კომპანიას;
- **საკრედიტო პროფილის შეზღუდვები** - თიბისი ლიზინგის დამოუკიდებელი საკრედიტო პროფილი ხასიათდება ერთგვაროვანი ბიზნესმოდელით, შედარებით სუსტი აქტივების ხარისხით, მაღალი რისკ-აპეტიტითა და მაღალი ლევერიჯით;
- **რეპუტაციული რისკებიდან გამომდინარე მიღებული მხარდაჭერა -** იქიდან გამომდინარე, რომ თიბისი ლიზინგის უცხოური მსესხებლები არიან მეტწილად იგივე საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები (IFIs), რომლებიც აკრედიტებენ თიბისი ბანკს - Fitch მიიჩნევს, რომ თიბისი ბანკს დიდი მოტივაცია აქვს მხარი დაუჭიროს ლიზინგს რეპუტაციული ზიანის თავიდან არიდების მიზნით;
- **წამყვანი პოზიცია ბაზარზე -** კომპანია ოპერირებს მხოლოდ საქართველოში და 2025 წლის ივნისის მდგომარეობით ბაზრის 86%-იანი წილი უჭირავს. კომპანია აკრედიტებს როგორც მცირე და საშუალო ბიზნესებს, ასევე კორპორატიულ კლიენტებს (მათ შორის მშობელი კომპანიისთვის), ასევე ემსახურება მიკრო-ბიზნესებსა და ფიზიკურ პირებს;
- **მაღალი გაუფასურების ხარჯი, რომელიც უზრუნველოფით მიტიგირდება**- კომპანიას, თიბისი ბანკთან შედარებით, უფრო მაღალი რისკის მქონე კლიენტები ჰყავს. 2025 წლის ივნისის მდგომარეობით კომპანიის Stage 3 მაჩვენებელი (რომელიც ლიზინგსაც და შეწყვეტილ სალიზინგო აქტივებს მოიცავს) 18.4%-ს შეადგენდა, ხოლო 2024 წლის ბოლოსთვის - 13%-ს თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი შეიძლება მერყევი იყოს (ახლად გაუფასურებული სალიზინგო აქტივის შეფარდება ჯამურ აქტივებთან 7.3%-ს შეადგენდა 2025 წლის ივნისის მდგომარეობით და 5.1%-ს 2024 წლის განმავლობაში). აღნიშნული რისკიანობის მაჩვენებელი კომპენსირდება უზრუნველყოფით და რისკის ფასში ადეკვატურად ასახვით;
- **მომგებიანობა** - კომპანიის მომგებიანობა ამყარებს მის საკრედიტო პროფილს. 2025 წლის ივნისის მდგომარეობით, ბოლო 12 თვის მონაცემებზე დაყრდნობით კომპანიის ROA 3.4%-ს, ხოლო ROE - 23%-ს შეადგენს, რაც ასახავს მის რისკის მიმართ მიმღებლობას, რომ შეინარჩუნოს მაღალი საპროცენტო შემოსავალი მზარდი პორტფელის ფარგლებში. ასევე კომპანიის Cost of risk 1%-ის ფარგლებშია შენარჩუნებული შემცირებული რეზერვირების პირობებში;

რეიტინგის მინიჭების თარიღი	3 დეკემბერი 2025	28 აპრილი 2025	13 დეკემბერი 2024	30 აპრილი 2024	19 მაისი 2023	5 ივლისი 2022	9 დეკემბერი 2021	8 აპრილი 2021	13 იანვარი 2021	14 აპრილი 2020	16 იანვარი 2020
მინიჭებული რეიტინგი	BB Stable	BB Negative	BB Negative	BB Stable	BB Stable	BB- Stable	BB- Stable	BB- Stable	BB- Negative	BB- Negative	BB- Stable

› **დაფინანსება და ლევერიჯი** - კომპანიის დავალიანების კაპიტალთან ფარდობის კოეფიციენტი 2025 წლის ივნისის მდგომარეობით 6.1x-ია (2024 წლის ბოლოს - 5.6x), პორტფელის სწრაფი ზრდიდან გამომდინარე. კომპანიას აქვს სალიზინგო პორტფელით უზრუნველყოფილი დაფინანსების სტრუქტურა (2025 წლისთვის ივნისისთვის დავალიანებების უზრუნველყოფის მაჩვენებელი შეადგენდა 90%-ს). მსესხებლებთან ურთიერთობაში კომპანია სარგებლობს უპირატესობებით, რასაც დიდი საბანკო ჯგუფის წევრობა აძლევს;

რეიტინგის ცვლილების განმსაზღვრელი უარყოფითი ფაქტორები:

› მშობელი კომპანიის, სს თიბისი ბანკის, რეიტინგის გაუარესება გამოიწვევს კომპანიის რეიტინგის გაუარესებას;
› მშობელი კომპანიის პოტენციური მხარდაჭერის შემცირება/შესუსტება თიბისი ლიზინგის მიმართ, გამოიწვევს კომპანიის რეიტინგის გაუარესებას;

რეიტინგის ცვლილების განმსაზღვრელი დადებითი ფაქტორები:

› მშობელი კომპანიის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება, გამოიწვევს კომპანიის რეიტინგის გაუმჯობესებას;

შენიშვნა: *თითოეული ტერმინის დეტალური განმარტებისთვის/კალკულაცის სანახავად, გთხოვთ, იხილოთ Fitch-ის მეთოდოლოგია.*

კონკურენტული პოზიცია

საქართველოს სალიზინგო სექტორში რამდენიმე მსხვილი და საშუალო კომპანია ოპერირებს. ძირითადი კომპანიებს შორის არიან თიბისი ლიზინგი, ბბ ლიზინგი, ტერა ლიზინგი, თეგეტა ლიზინგი და ა. შ. ასევე, საქართველოს ბაზარზე ოპერირებენ კომპანიები, რომლებიც თავის ძირითად საქმიანობასთან ერთად საკუთარ კლიენტებს დამატებით სთავაზობენ სალიზინგო პროდუქტებს - მიკრობანკი კრისტალი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი, შპს მოგო და ა. შ.

მოცემულ სექციაში ნაჩვენებია „ემიტენტის“ ძირითადი ფინანსური ინფორმაცია ბაზრის სხვა მოთამაშეებთან მიმართებაში.

- **სს BB ლიზინგი (ს.ნ. 406233534) - სს ბაზისბანკის შვილობილი კომპანია (ს.ნ. 203841833) -** კომპანია „BB ლიზინგი“ დაარსდა 2017 წლის 27 დეკემბერს. პროსპექტის მომზადების თარიღისთვის, კომპანიის უშუალო მშობელი კომპანიაა სს ბაზისბანკი. კომპანია დაარსდა სალიზინგო საქმიანობის წარმოებისთვის როგორც საცალო, ისე საქართველოს სამეწარმეო პირებისთვის. ქვემოთ ცხრილში მოცემულია მაჩვენებლები კომპანიის <u>ინდივიდუალური</u> ანგარეშგებიდან.

- **სს ტერა ლიზინგი (ს.ნ. 406501977) - სს ტერა ბანკის შვილობილი კომპანია (ს.ნ. 204546045)** - 2025 წლის 26 მარტს სს ტერა ბანკმა დააფუძნა შვილობილი საწარმო სს „ტერა ლიზინგი“, მისი ლიზინგის ბიზნესის ცალკე საწარმოთ ჩამოყალიბების მიზნით. სს ტერა ბანკი სს „ტერა ლიზინგში“ 87%-იან წილს ფლობს. რადგან 2025 წლის 26 მარტი პროსპექტში გამჟღავნებულ აუდიტირებულ პერიოდებს სცდება და სს ტერა ლიზინგის ანგარიშგება მიმდინარე თარიღისთვის არ არის ხელმისაწვდომი საჯაროდ - მიმდინარე ქვეთავში ნაჩვენებია სს ტერა ბანკის სალიზინგო პორტფელის მონაცემები მისი <u>ინდივიდუალური</u> ანგარიშგებიდან.

- **სს მიკრობანკი კრისტალი (ს.ნ. 212896570)** – 2020 წელს სს მიკრობანკმა კრისტალმა დააფუძნა შვილობილი საწარმო „კრისტალ ლიზინგი“ - პროსპექტის მომზადების თარიღისთვის „კრისტალ ლიზინგი“ აღარ არის აქტიური კომპანია თუმცა ემიტენტი აგრძელებს სალიზინგო ბაზარზე ოპერირებას. მიმდინარე ქვეთავში ნაჩვენებია სს მიკრობანკი კრისტალის სალიზინგო პორტფელის მონაცემები მისი <u>კონსოლიდირებული</u> ანგარიშგებიდან.

შერჩეული მაჩვენებლები* (ათასი ლარი)	სს თიბისი ლიზინგი (2024)	სს თიბისი ლიზინგი (2023)	სს BB ლიზინგი (2023)	სს ტერა ლიზინგი** (2024)	სს მიკრობანკი კრისტალი*** (2024)
სალიზინგო პორტფელი (gross)	445,865	376,055	26,481	32,873	14,913
მოსალოდნელი საკრედიტო საკრედიტო ზარალის რეზერვი / სალიზინგო პორტფელი (gross)	2.1%	2.1%	0.9%	0.4%	4.0%
სულ აქტივები	676,933	514,452	32,860	1,961,965	576,249
სულ ვალდებულებები	580,177	435,750	11,029	1,679,403	480,299
საკუთარი კაპიტალი	96,756	78,702	21,831	282,562	95,950
ველდებულებები/კაპიტალთან	6.00	5.54	0.51	5.94	5.01
მოგება/(ზარალი)	23,054	15,637	2,690	30,839	22,663

**ცხრილში მოცემულია მაჩვენებლები იმ პერიოდით, რომელიც ხელმისაწვდომია საჯაროდ შესაბამისი კომპანიების ჩრილში.*

***სს ტერა ლიზინგი წარმოადგენს კომერციული ბანკის სს ტერა ბანკის შვილობილ საწარმოს. ცხრილში მოცემული მაჩვენებლები აღებულია სს ტერა ბანკის ინდივიდუალური ანგარიშგებიდან, რაც სალიზინგო პორტფელიდან გენერირებული ფინანსური მაჩვენებლების გარდა მოიცავს სხვა საბანკო საქმიანობიდან გენერირებულ ფინანსურ მაჩვენებლებს.*

****სს მიკრობანკი კრისტალი ფინანსური მაჩვენებლები აღებულია მისი კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან, რაც სალიზინგო პორტფელიდან გენერირებული ფინანსური მაჩვენებლების გარდა მოიცავს სხვა მიკრობანკის საქმიანობიდან გენერირებულ ფინანსურ მაჩვენებლებს.*

ლიზინგის ინდუსტრიის მიმოხილვა

საქართველოს სალიზინგო სექტორში რამდენიმე მსხვილი და საშუალო კომპანია ოპერირებს. ძირითადი კომპანიებს შორის არიან თიბისი ლიზინგი, ბბ ლიზინგი, ტერა ლიზინგი, თეგეტა ლიზინგი და ა. შ. ასევე, საქართველოს ბაზარზე ოპერირებენ კომპანიები, რომლებიც თავის ძირითად საქმიანობასთან ერთად საკუთარ კლიენტებს დამატებით სთავაზობენ სალიზინგო პროდუქტებს - მიკრობანკი კრისტალი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი, შპს მოგო და ა. შ.

ბაზარზე მოქმედი კომპანიები საკუთარ მომხმარებელს სხვადასხვა სახის სალიზინგო პროდუქტებს სთავაზობენ, მათ შორის:

- **ფინანსური ლიზინგი** - ლიზინგის მიმღები იღებს ახალი ან მეორეული აქტივის გამოყენების უფლებას წინასწარ განსაზღვრული ყოველთვიური სალიზინგო გადასახადის სანაცვლოდ, რა დროსაც აქტივზე საკუთრების უფლება ლიზინგის გამცემს რჩება, ხოლო ლიზინგის ვადის ბოლოს ლიზინგის მიმღები იღებს აქტივზე საკუთრების უფლებას.
- **საოპერაციო ლიზინგი** - ლიზინგის მიმღები იღებს აქტივის გამოყენების უფლებას სალიზინგო პერიოდის განმავლობაში, სალიზინგო საფასურის სანაცვლოდ, ხოლო კონტრაქტის ვადის დასრულების შემდეგ აქტივი უბრუნდება ლიზინგის გამცემს.
- **გაყიდვა და უკულიზინგი** - გაყიდვისა და უკულიზინგის დროს, ლიზინგის გამცემი ლიზინგის მიმღებისგან ყიდულობს არსებულ აქტივს და ამავდროულად, ლიზინგის მიმღებთან აფორმებს ლიზინგის (აქტივის ტიპის მიხედვით - ფინანსურ ან საოპერაციო) ხელშეკრულებას.

საქართველოს სალიზინგო ბაზარზე კომპანიები ბიზნეს და საცალო სეგმენტში ოპერირებენ. ბიზნეს სეგმენტი ძირითადად მოიცავს SME სეგმენტს და კორპორაციულ კლიენტებს, რა დროსაც შესაძლებელია ნებისმიერი ტიპის აქტივის დაფინანსება მომხმარებლის კომერციული საჭიროებებისა და ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით. საცალო სეგმენტი ორიენტირებულია ფიზიკურ პირებზე და განვითარების შედარებით ადრეულ ეტაპზე იმყოფება, ვინაიდან ძირითადად მოიცავს მოტოტექნიკის, ავტომობილების, მსუბუქი სატვირთო მანქანებისა და სასოფლო ტექნიკის ლიზინგს.

სალიზინგო სექტორის პორტფელი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სალიზინგო სექტორის მთლიანმა პორტფელმა 677.5 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 36%-ით მეტია, ხოლო სალიზინგო პორტფელის საშუალო წლიური ზრდა 2017-2024 წლებში CAGR 17.0%-ს გაუტოლდა.
გაანალიზებულ პერიოდში, სალიზინგო პორტფელი მაღალი ზრდის ტემპით ხასიათდებოდა 2017-2019 წლებში, ხოლო კოვიდ პანდემიის და პოსტ-პანდემიურ პერიოდში სალიზინგო პორტფელი შემცირდა (დეკ-2020: -12% წ/წ, დეკ-2021: -4% წ/წ). 2023 წლის ბოლოსთვის, ლარში დენომინირებული სალიზინგო პორტფელი წინაპანდემიურ პერიოდთან შედარებით აღდგენილია და ზრდას განაგრძობს. 2017-2024 წლებში სამომხმარებლო ფასების ინდექსის საშუალო წლიურმა ზრდამ CAGR 5.3% შეადგინა.

გრაფიკი 4: სალიზინგო პორტფელი საქართველოში და პორტფელის წლიური ზრდა



წყარო: სს თიბისი ლიზინგი, კომპანიის მონაცემები

საქართველოს სალიზინგო სექტორში ბაზრის ლიდერი და ყველაზე მაღალი საბაზრო წილის მქონე კომპანიაა სს თიბისი ლიზინგი, რომლის წილი 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით 86%-ს შეადგენს.

გრაფიკი 5: ბაზრის წილის დინამიკა, %, პერიოდის ბოლოს



წყარო: სს თიბისი ლიზინგი, კომპანიის მონაცემები

კომპანიის ერთ-ერთმა კონკურენტმა, „საქართველოს სალიზინგო კომპანია“, რომელიც 2001 წელს დაარსდა, 2022 წლის მესამე კვარტალში შეაჩერა საოპერაციო საქმიანობა. შესაბამისად, „საქართველოს სალიზინგო კომპანია“ დღეის მდგომარეობით აღარ გასცემს ლიზინგით დაფინანსებას როგორც საცალო, ასევე, ბიზნეს მიმართულებით. 2022 წლის მეოთხე კვარტლიდან „საქართველოს სალიზინგო კომპანიამ“ საკუთარ მომხმარებლებთან დაიწყო ლიზინგით დაფინანსებული პროექტების საბანკო პროდუქტებით რეფინანსირების შეთავაზება, ხოლო 2024 წლის იანვარში მსუბუქი ავტომობილების პორტფელი მესამე მხარეზე გაასხვისა.[2]

მზარდი სალიზინგო პორტფელის მიუხედავად, სექტორის ჯამური პორტფელის წილი მშპ-სთან მიმართებით კვლავ დაბალია. 2024 წლის წინასწარი მონაცემებით, სალიზინგო პორტფელის წილი მშპ-ში 0.7%-ს უტოლდება, რაც 0.1 პროცენტული პუნქტით მაღალია წინა წლის ანალოგიურ მონაცემზე, თუმცა, დაბალია 2019 წლის პიკურ მაჩვენებელზე, როცა პორტფელის წილი მშპ-ში 0.9%-ს უტოლდებოდა. მიუხედავად სალიზინგო პორტფელის ზრდისა, რომელიც 2019-2024 წლებში CAGR 7.5%-ს შეადგენდა, ანალოგიურ პერიოდში საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი უფრო მაღალი ტემპით იზრდებოდა (CAGR 13.1%), რამაც, შესაბამისად, გამოიწვია სალიზინგო პორტფელის წილის მშპ-ში შემცირება. მსოფლიო ბანკის მონაცემები აჩვენებს, რომ აღნიშნული მაჩვენებლები, სხვა შესადარის ქვეყნებთან შედარებით, საკმაოდ დაბალია.

გრაფიკი 6: სალიზინგო პორტფელის ფარდობა მშპ-სთან, 2019



წყარო: მსოფლიო ბანკი, თიბისი კაპიტალი

2019 წლისთვის ბაზარზე ფუნქციონირებდა „საქართველოს სალიზინგო კომპანია“, რომელმაც 2022 წლის მესამე კვარტლიდან შეაჩერა საოპერაციო საქმიანობა. 2019 წელს სალიზინგო პორტფელის წილი მშპ-ში „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ პორტფელის გარეშე 0.66%-ს უტოლდება.

მარეგულირებელი ჩარჩო

სალიზინგო სფერო საქართველოში არარეგულირებული საქმიანობაა. სექტორში მოქმედ კომპანიებს არ ესაჭიროებათ ლიცენზია საქმიანობის დასაწყებად და არ აქვთ განსაზღვრული კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები. ლიზინგი, როგორც საქმიანობა, ექვემდებარება სამოქალაქო და საგადასახადო ზოგად ნორმებს.

საქართველოში დოლარიზაციის მაღალი დონის არსებობის გამო, ეროვნული ბანკის მიერ დაწყებული ლარიზაციის პროგრამა სალიზინგო სფეროსაც შეეხო. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც თუ ლიზინგის დაფინანსების თანხის გაცემის შედეგად ლიზინგის მიმღების ჯამური ვალდებულებები ამავე ლიზინგის გამცემის მიმართ 200,000 ლარზე ნაკლებია, ლიზინგის გამცემის მიერ საზღაურის მიღება არ უნდა იყოს ნებისმიერი

[2] „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ 2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფორმით უცხოურ ვალუტაზე მიბმული ან ინდექსირებული[3]. ასევე, თუ ლიზინგის გამცემი მეწარმეა, ლიზინგის გაცემისას ლიზინგის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 50%-ს არ უნდა აღემატებოდეს[4].

განვითარების სამომავლო პოტენციალი

სალიზინგო სფეროს განვითარება გარკვეულწილად კავშირშია საქართველოს ბიზნეს სექტორის აქტივობასთან. ბოლო ათწლეულში გატარებული რეფორმები, მათ შორის მოგების გადასახადის (ე.წ. ესტონური მოდელი) და დღგ-ს ავტომატური უკან დაბრუნების რეფორმა, დადებითად აისახა ქართული კორპორატიული და SME (მცირე და საშუალო) სექტორის ზრდაზე.

2024 წლის მდგომარეობით, კომერციული ბანკების სასესხო პორტფელის ზომა 63 მილიარდი ლარია, რაც წლიურად 18%-ით გაზრდილი მაჩვენებელია. ზრდა ფიქსირდება როგორც SME, ასევე, კორპორატიული და საცალო სესხების მიმართულებით. ლიზინგი განიხილება როგორც საბანკო სესხების ალტერნატივა იმ კომპანიებისთვის, რომელთაც სურთ მიიღონ დაფინანსება ფიქსირებული აქტივების შესაძენად დაფინანსების მოქნილი სტრუქტურით და ამასთან ერთად, შეინარჩუნონ ლიკვიდურობა.

გრაფიკი 7: სასესხო პორტფელის შემადგენლობა, მილიარდი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; შენიშვნა: ბანკთაშორისი სესხების გამოკლებით

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, მზარდია მცირე და საშუალო საწარმოთა აქტივობა საქართველოში (სწორედ ამ ტიპის საწარმოებისგან შედგება „ემიტენტის“ სალიზინგო პორტფელის უმეტესი ნაწილი). აღსანიშნავია, რომ ლიზინგით დაფინანსებაზე მოთხოვნას ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესები ქმნიან, რადგან ლიზინგი მათ საბრუნავი კაპიტალის შემცირების გარეშე, აქტივების ფლობის საშუალებას აძლევს. მცირე და საშუალო ბიზნესების მიერ შექმნილმა დამატებულმა ღირებულებამ 2023 წელს 21.4 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 18%-ით მეტია. ბოლო ათი წლის მონაცემები აჩვენებს, რომ 2013-დან 2023 წლის ჩათვლით მცირე და საშუალო საწარმოთა დამატებული ღირებულება წლიურად საშუალოდ CAGR 12.2%-ით იზრდებოდა. შედარებისთვის, ამავე პერიოდში მსხვილი საწარმოთა დამატებული ღირებულება CAGR 12.6%-ით იზრდებოდა.

[3] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 576, პუნქტი 5.
[4] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 576, პუნქტი 6.

გრაფიკი 8: მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება, მლნ. ლარი



წყარო: საქსტატი

ქართული მცირე და საშუალო კომპანიების მიერ ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციები 2023 წლისთვის 3.5 მილიარდ ლარზე მეტია, რაც ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების ნახევარი, წლიურად კი 24.5%-ით გაზრდილი მაჩვენებელია. ინვესტიციები დროთა განმავლობაში მზარდია, გარდა 2020 წლისა, რაც პანდემიას და მასთან დაკავშირებულ შემცირებულ ბიზნეს აქტივობას უკავშირდება.

ბოლო 10 წლის განმავლობაში მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციები საშუალოდ წლიურად CAGR 5.8%-ით იზრდებოდა, ხოლო მსხვილი ბიზნესის შემთხვევაში იგივე მაჩვენებელი 6.2%-ს შეადგენს.

გრაფიკი 9: მცირე და საშუალო ბიზნესის ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, მლნ. ლარი



წყარო: საქსტატი

ბიზნეს აქტივობის დამატებითი ინდიკატორია აქტიურ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა, რაც, ასევე, წლიდან წლამდე მზარდია და 2024 წლისთვის 247.1 ათასი აქტიური ბიზნეს სუბიექტი შეადგინა.

ამავე პერიოდში მზარდია ახლადრეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების წლიური რაოდენობა. ამ მხრივ მკვეთრი ზრდა შეინიშნება 2022 წლიდან, რაც დაკავშირებულია რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ მიგრანტების შემოდინებასთან და მათ მიერ საქართველოში ბიზნეს აქტივობის დაწყებასთან. 2023-2024 წლებში ახალი ბიზნეს სუბიექტების რეგისტრაცია საქართველოში კვლავ მაღალ დონეზეა შენარჩუნებული.

გრაფიკი 10: მოქმედ ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა და ახლადრეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა, 000



წყარო: საქსტატი

სალიზინგო სფეროს ზრდის ერთ-ერთ დამატებით ფაქტორად განიხილება სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც მიმართულია ეკონომიკის სხვადასხვა დარგების მხარდასაჭერად. სოფლის განვითარების სააგენტოს სუბსიდირების პროგრამა - შეღავათიანი აგროლიზინგი ემსახურება სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამატებითი ღირებულების შემქმნელი ინფრასტრუქტურის განვითარებას. შეღავათიანი აგროლიზინგის დაფინანსებით ისარგებლებენ ის საწარმოები, რომლებიც ქმნიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას ან ეწევიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნებისმიერი სახით გადამუშავებას ან აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესაფუთ მასალებს. ამ პროექტის ფარგლებში, სააგენტოს მიზნობრივი თანადაფინანსება განისაზღვრება ლიზინგის გამცემის ინვესტიციის წლიური 12%-ის ოდენობით 48 თვის განმავლობაში, ხოლო ლიზინგის გამცემის ინვესტიცია განისაზღვრება 20,000 – 1,500,000 ლარით.

“აწარმოე საქართველოში” მეწარმე სუბიექტებს, რომლებიც აკმაყოფილებენ პროგრამის პირობებს, საშუალებას აძლევს ლიზინგით შეიძინონ საჭირო მანქანა-დანადგარები, საწარმოო ტექნიკა, სატრანსპორტო საშუალება და სხვა აქტივები. პროგრამის ფარგლებში სააგენტოს სუბსიდია განისაზღვრება, როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული 3%, ლიზინგის სრულ ვადაზე.
„თიბისი ლიზინგის“ პორტფელში აღნიშნული სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში გაცემული სალიზინგო დაფინანსება 2024 წლისთვის პორტფელის 7.32%-ს შეადგენს.

საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა

„კომპანიის“ ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობისა და ოპერაციების შედეგების მიმოხილვა და ანალიზი მოიცავს სრული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს 2024 და 2023 წლებისთვის და „შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებს“ 2024 და 2025 წლების ნახევარწლიური რეპორტებისთვის. თუკი სხვაგვარად არ არის აღნიშნული, ამ მიმოხილვაში წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია აღნიშნულ პერიოდებზე ამოღებულია „ემიტენტის“ ფინანსური ანგარიშგებებიდან. ეს ნაწილი წაკითხული უნდა იქნას ფინანსურ ანგარიშგებასთან და მის შენიშვნებთან, ასევე პროსპექტში მოცემულ სხვა ფინანსურ ინფორმაციასთან ერთად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

“ემიტენტის“ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 და 2023 წლებისთვის მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები.

„ემიტენტის“ არააუდიტირებული შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 30 ივნისს დასრულებული პერიოდისთვის მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის ბასს 34 შუალედური ფინანსური ანგარიშგება შესაბამისად და წაკითხულ უნდა იქნას „კომპანიის“ 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან („ბოლო წლიური ფინანსური ანგარიშგება“) ერთად, რომელიც ატვირთულია ვებ გვერდზე: www.reportal.ge.

2024 და 2023 წლის აუდიტირებული დასკვნა **არამოდიფიცირებულია**.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(ათას ლარში)	30 ივნ 2025 არააუდიტი-რებული	31 დეკ 2024 აუდიტი-რებული	31 დეკ 2023 აუდიტი-რებული
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	108,339	66,868	57,326
მოთხოვნები ბანკების მიმართ	4,000	-	10,000
გადახდილი ავანსები	4,387	4,128	3,086
საგადასახადო აქტივები, წმინდა	3,960	2,559	5,654
სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები	124,412	119,196	27,191
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	479,616	436,564	368,287
ძირითადი საშუალებები	3,741	3,275	3,292
არამატერიალური აქტივები	4,317	4,017	3,552
საინვესტიციო ქონება	-	-	-
ლიზინგის მიზნით შესყიდული აქტივები	9,576	6,887	3,410
ლიზინგის შეწყვეტის შედეგად დასაკუთრებული აქტივები	5,835	4,433	2,935
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1,106	-	91
სხვა ფინანსური აქტივები	53,630	29,002	29,624
სხვა აქტივები	4	4	4
მთლიანი აქტივები	**802,923**	**676,933**	**514,452**
ვალდებულებები			

ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	465,386	356,288	255,898
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	57,580	52,601	23,450
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	114,856	114,656	103,127
სუბორდინირებული სესხები	48,469	49,676	42,184
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	445	-
სხვა ვალდებულებები	9,511	6,511	11,091
მთლიანი ვალდებულებები	**695,802**	**580,177**	**435,750**
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	3,659	3,659	3,659
დამატებით შეტანილი კაპიტალი	7,550	7,550	7,550
გაუნაწილებელი მოგება	95,912	85,547	67,493
ფულადი ნაკადის ჰეჯირების რეზერვი	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	**107,121**	**96,756**	**78,702**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	**802,923**	**676,933**	**514,452**

აქტივები

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, წინა წლის ბოლოსთან შედარებით კომპანიის აქტივები გაზრდილია 18.6%-ით - 802,923 ათას ლარამდე. ზრდა თანაბრად არის გამოწვეული უმეტესად ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და ფულადი სახსრების ზრდით. აღნიშნული ორი მუხლი აქტივების 73.2%-ს შეადგენს, ხოლო ინდივიდუალურად ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები ფინანსური აქტივების 59.7%-ს შეადგენს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კომპანიის აქტივები გაზრდილია 31.6%-ით - 676,933 ათას ლარამდე. ზრდა უმეტესად სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსებს უკავშირდება, რაც ჯამური აქტივების 17.6%-ს შეადგენს. ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები ფინანასური აქტივების 64.5%-ს შეადგენს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კომპანიის აქტივები გაზრდილია 26.3%-ით - 514,452 ათას ლარამდე. ზრდა უმეტესად ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებს უკავშირდება, რაც ჯამური აქტივების 71.6%-ს შეადგენს.



*სხვა აქტივები მოიცავს: მოთხოვნები ბანკების მიმართ; გადახდილი ავანსები; საგადასახადო აქტივები, წმინდა; ძირითადი საშუალებები; არამატერიალური აქტივები; საინვესტიციო ქონება; ლიზინგის მიზნით შესყიდული აქტივები; ლიზინგის შეწყვეტის შედეგად დასაკუთრებული აქტივები; წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები; სხვა აქტივები.

ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, წინა წლის ბოლოსთან შედარებით ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები გაზრდილია 9.9%-ით 479,616 ათას ლარამდე. აღნიშნული ზრდა უმეტესად უკავშირდება მომხმარებლების ზრდას - 2025 წლის პირველ ნახევარში, კომპანიის მომხმარებლების რაოდენობა გაზრდილია 7.3%-ით (338 მომხმარებლით). აღნიშნული პერიოდისთვის, კომპანიის საკრედიტო ზარალის რეზერვი გაზრდილია 17.2%-

ით და „საკრედიტო ზარალის“ შეფარდებამ „ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან (მთლიანი)“ 2.2% შეადგინა, რაც წინა წლის ბოლოსთან შედარებით 0.1 პროცენტული პუნქტით გაუარესებული მაჩვენებელია.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები გაზრდილია 18.5%-ით 436,564 ათას ლარამდე. 2024 წლის განმავლობაში ზრდა გამოწვეულია როგორც მომხმარებელთა რაოდენობის 16.4%-იანი ზრდით (650 მომხმარებლით), ისე პერიოდის განმავლობაში გაზრდილი იპოთეკურ პროდუქტების დაფინანსებით: მიწები, კომერციული ფართები. აღნიშნული პერიოდისთვის, კომპანიის საკრედიტო ზარალის რეზერვი გაზრდილია 19.7%-ით და „საკრედიტო ზარალის“ შეფარდებამ „ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან (მთლიანი)“ 2.1% შეადგინა, რაც წინა წლის ბოლოსთან შედარებით შენარჩუნებული მაჩვენებელია.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები გაზრდილია 30.4%-ით 368,287 ათას ლარამდე. 2023 წლის განმავლობაში კომპანიამ დაიწყო უძრავი ქონების ლიზინგის პროდუქტის აქტიურად შეთავაზება, აღნიშნულ პერიოდში პორტფელის ზრდაც უმეტესად უძრავი ქონების ლიზინგის მიმართულებას უკავშირდება. აღნიშნული პერიოდისთვის, კომპანიის საკრედიტო ზარალის რეზერვი გაზრდილია 1.1%-ით და „საკრედიტო ზარალის“ შეფარდებამ „ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან (მთლიანი)“ 2.1% შეადგინა, რაც წინა წლის ბოლოსთან შედარებით 0.6 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესებული მაჩვენებელია.

	30 ივნ 2025	31 დეკ 2024	31 დეკ 2023
ბრუტო ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	651,530	610,260	515,747
გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი*	(161,016)	(164,395)	(139,692)
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები (მთლიანი)	**490,514**	**445,865**	**376,055**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(10,898)	(9,301)	(7,768)
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	**479,616**	**436,564**	**368,287**

	30 ივნ 2025	31 დეკ 2024	31 დეკ 2023
საკრედიტო ზარალის რეზერვი / ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები (მთლიანი)	2.2%	2.1%	2.1%

*კომპანიის ბალანსზე, ლიზინგით გადაცემული აქტივი აღირიცხება როგორც მოთხოვნა ფინანსურ ლიზინგზე და აღიარდება მომავალი ლიზინგის გადახდების მიმდინარე ღირებულებით. მოთხოვნა ფინანსურ ლიზინგზე თავდაპირველად აღიარდება ლიზინგის დაწყების მომენტში (როდესაც იწყება ლიზინგის ვადა), ხოლო დისკონტირების განაკვეთი განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებისას. მთლიან მოთხოვნას ფინანსური ლიზინგიდან და მის მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობას წარმოადგენს გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი, რომელიც ლიზინგის ვადის განმავლობაში თანდათან ამორტიზირდება/აღიარდება ლიზინგის დისკონტის განაკვეთის გამოყენებით.

2025 წლის 30 ივნისის, 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი მოცემულია ცხრილში:

ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების რისკის კატეგორია	30 ივნ 2025	31 დეკ 2024	31 დეკ 2023
ძალიან დაბალი	374,644	341,634	255,318
დაბალი	30,063	30,019	74,068
საშუალო	41,810	47,877	17,525
მაღალი	2,955	6,198	11,508
ვალდებულების შეუსრულებლობა	41,042	20,137	17,636
მთლიანი საბალანსო ღირებულება	**490,514**	**445,865**	**376,055**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(10,898)	(9,301)	(7,768)
საბალანსო ღირებულება	**479,616**	**436,564**	**368,287**

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების 82.5% ძალიან დაბალ და დაბალ რისკის კატეგორიაში ხვდება, რაც 2024 წლის ბოლოსთან შედარებით 0.8 პროცენტული პუნქტით გაუარესებული მაჩვენებელია, ხოლო მაღალი რისკის კატეგორიისა და ვალდებულების შეუსრულებლობის ჯამი პორტფელის 9.0%-ს შეადგენს და წინა წლის ბოლოსთან შედარებით 3.1 პროცენტული პუნქტით გაუარესებული მაჩვენებელია. 2025 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში კომპანიამ გასცა 140,572 ათასი ლარის სალიზინგო

პროდუქტი, ჩამოწერა 69,557 ათასი ლარის და ნაწილობრივ დაფარა 69,275 ათასი ლარის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების 83.4% ძალიან დაბალ და დაბალ რისკის კატეგორიაში ხვდება, რაც 2024 წლის ბოლოსთან შედარებით 4.2 პროცენტული პუნქტით გაუარესებული მაჩვენებელია, ხოლო მაღალი რისკის კატეგორიისა და ვალდებულების შეუსრულებლობის ჯამი პორტფელის 5.9%-ს შეადგენს და წინა წლის ბოლოსთან შედარებით 1.8 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესებული მაჩვენებელია. 2024 წლის განმავლობაში კომპანიამ გასცა 229,246 ათასი ლარის სალიზინგო პროდუქტი, ჩამოწერა 111,557 ათასი ლარის და ნაწილობრივ დაეფარა 45,243 ათასი ლარის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების 87.6% ძალიან დაბალ და დაბალ რისკის კატეგორიაში ხვდება, რაც 2022 წლის ბოლოსთან შედარებით 3.4 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესებული მაჩვენებელია, ხოლო მაღალი რისკის კატეგორიისა და ვალდებულების შეუსრულებლობის ჯამი პორტფელის 7.7%-ს შეადგენს და წინა წლის ბოლოსთან შედარებით 5.4 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესებული მაჩვენებელია. 2023 წლის განმავლობაში კომპანიამ გასცა 210,676 ათასი ლარის სალიზინგო პროდუქტი, ჩამოწერა 83,679 ათასი ლარის და ნაწილობრივ დაეფარა 46,915 ათასი ლარის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები.

დამატებითი დეტალები კომპანიის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების ცვლილებების დინამიკაზე, მათ შორის შესაბამისი საკრედიტო ზარალის ცვლილებების დინამიკასა და სტადიებზე, იხილეთ კომპანიის აუდიტირებული ფინანსური რეპორტის შენიშვნა 11.

კომპანია, როგორც წესი, ფინანსურ სალიზინგო ხელშეკრულებებს ისე აყალიბებს, რომ ლიზინგის მიმღები საწყისად იხდის მინიმალურ ავანსს აღჭურვილობის შესყიდვის ფასის 20%-ის ოდენობით. კომპანია საკუთრების უფლებას ფლობს სალიზინგო აქტივებზე ლიზინგის ვადის განმავლობაში, ხოლო აქტივზე საკუთრების უფლება ფინანსური სალიზინგო ხელშეკრულების ფარგლებში ლიზინგის მიმღებს გადაეცემა სახელშეკრულებო ვადის დასასრულს, სალიზინგო ვალდებულებების სრულად დაფარვის შემდეგ. საშუალოდ ლიზინგის ვადა ხუთ წლამდეა.
სალიზინგო ხელშეკრულების უზრუნველყოფის საგნის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი ტიპებია: სალიზინგო აქტივები; წინასწარი შენატანი ან/და უძრავი ქონება. კომპანია ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ყოფს ორ კატეგორიად: (i) „ზედმეტად უზრუნველყოფილი აქტივები“ და (ii) „არასრულად უზრუნველყოფილი აქტივები“.

2025 წლის 30 ივნისის, 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების უზრუნველყოფის აღწერა მოცემულია ცხრილებში:

	ზედმეტად უზრუნველყოფილი აქტივები		არასრულად უზრუნველყოფილი აქტივები		მთლიანი საბალანსო ღირებულება	
30 ივნ 2025	**აქტივების საბალანსო ღირებულება**	**უზრუნველყოფის საგნის სამართლიანი ღირებულება**	**აქტივების საბალანსო ღირებულება**	**უზრუნველყოფის საგნის სამართლიანი ღირებულება**	**აქტივების საბალანსო ღირებულება**	**უზრუნველყოფის საგნის სამართლიანი ღირებულება**
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	380,654	604,156	109,860	79,261	490,514	683,417
LTV კოეფიციენტი	63.0%		138.6%		71.8%	

	ზედმეტად უზრუნველყოფილი აქტივები		არასრულად უზრუნველყოფილი აქტივები		მთლიანი საბალანსო ღირებულება	
31 დეკ 2024	**აქტივების საბალანსო ღირებულება**	**უზრუნველყოფის საგნის სამართლიანი ღირებულება**	**აქტივების საბალანსო ღირებულება**	**უზრუნველყოფის საგნის სამართლიანი ღირებულება**	**აქტივების საბალანსო ღირებულება**	**უზრუნველყოფის საგნის სამართლიანი ღირებულება**

ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	332,351	525,040	113,513	80,983	445,864	606,023
LTV კოეფიციენტი	63.3%		140.2%		73.6%	

	ზედმეტად უზრუნველყოფილი აქტივები		არასრულად უზრუნველყოფილი აქტივები		მთლიანი საბალანსო ღირებულება	
31 დეკ 2023	**აქტივების საბალანსო ღირებულება**	**უზრუნველყოფის საგნის სამართლიანი ღირებულება**	**აქტივების საბალანსო ღირებულება**	**უზრუნველყოფის საგნის სამართლიანი ღირებულება**	**აქტივების საბალანსო ღირებულება**	**უზრუნველყოფის საგნის სამართლიანი ღირებულება**
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	281,478	419,188	94,577	78,262	376,055	497,450
LTV კოეფიციენტი	67.1%		120.8%		75.6%	

როგორც ზემოთ ნაჩვენები ცხრილებიდან ჩანს, კომპანიის ჯამური LTV კოეფიციენტი 70%-75%-ის ფარგლებში მერყეობს. ზედმეტად უზრუნველყოფილი აქტივები საშუალოდ კომპანიის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების 75%-ს შეადგენს.

2025 წლის 30 ივნისის, 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და შესაბამისი საპროცენტო განაკვეთების დიაპაზონები ვალუტების ჭრილში მოცემულია ქვემოთ:

	30 ივნ 2025	**30 ივნ 2024**	**31 დეკ 2024**	**31 დეკ 2023**
ლარი	18.6%-24.8%	16.5%- 21.1%	18.1%- 22.1%	19.17%-23.09%
აშშ დოლარი	10.6%-17.9%	13.4%-16.5%	11.9%-16.1%	13.68%-14.75%
ევრო	11.5%-12.7%	9.0%- 13.2%	11.5% -13.0%	12.54%-14.51%

	30 ივნ 2025	**30 ივნ 2024**	**31 დეკ 2024**	**31 დეკ 2023**
ლარი	179,567	114,966	151,682	94,852
აშშ დოლარი	110,025	160,304	151,119	217,075
ევრო	190,024	116,554	133,763	56,360

2025 წლის 30 ივნისის, 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების ჩაშლა სეგმენტების მიხედვით მოცემულია გრაფიკზე:



2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების 70.4%-ს ბიზნესის სეგმენტზე გაცემული სალიზინგო პორტფელი შეადგენს - აღნიშნული მაჩვენებელი 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის 76.6% და 81.1%-ია, შესაბამისად. 2022 წლიდან მოყოლებული ბიზნეს სეგმენტის სალიზინგო პორტფელი გაზრდილია 50.4%-ით (115,760 ათასი ლარით) რაც უმეტესად გამოწვეულია როგორც მომხმარებლების ზრდით, ისე უძრავი ქონების ლიზინგის პროდუქტით შეთავაზებით. აღნიშნული პერიოდისთვის ბიზნეს სეგმენტის ზრდას კომპანიის ჯამური სალიზინგო მოთხოვნების ზრდაში 57.8%-იანი წილი აქვს.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების 13.5%-ს საავტომობილო სეგმენტზე გაცემული სალიზინგო პორტფელი შეადგენს - აღნიშნული მაჩვენებელი 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის 8.4% და 10.5%-ია, შესაბამისად. 2022 წლიდან მოყოლებული საავტომობილო სეგმენტის სალიზინგო პორტფელი გაზრდილია 96.9%-ით (32,509 ათასი ლარით) რაც უმეტესად გამოწვეულია ერთ მომხმარებელზე საშუალო პორტფელის ზრდით, კერძოდ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში კომპანიამ მოიზიდა ისეთი დიდი კლიენტები, როგორებიცაა კომპანიები რომლებიც აქირავებენ მანქანებს ან ტაქსის კომპანიები. აღნიშნული პერიოდისთვის საავტომობილო სეგმენტის ზრდას კომპანიის ჯამური სალიზინგო მოთხოვნების ზრდაში 16.2%-იანი წილი აქვს.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების 16.1%-ს საცალო სეგმენტზე გაცემული სალიზინგო პორტფელი შეადგენს - აღნიშნული მაჩვენებელი 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის 15.0% და 8.4%-ია, შესაბამისად. 2022 წლიდან მოყოლებული საცალო სეგმენტის სალიზინგო პორტფელი გაზრდილია 193.7%-ით (52,100 ათასი ლარით) რაც უმეტესად გამოწვეულია როგორც მომხმარებლების რაოდენობის ზრდით, ისე კომპანიის ახალი პროდუქტით „trade-in". 2025 წელს თიბისი ლიზინგმა კლიენტებს შესთავაზა მომსახურება, რომელიც მოიაზრებდა პირადი მანქანის მოყვანას, შეფასებას და სალონიდან ახალი მანქანის გაყვანას. ამ მომსახურებით და სხვადასხვა მარკეტინგული აქტივობებით კომპანიამ მატერიალური ზრდა აჩვენა საცალო სეგმენტში. აღნიშნული პერიოდისთვის საცალო სეგმენტის ზრდას კომპანიის ჯამური სალიზინგო მოთხოვნების ზრდაში 26.0%-იანი წილი აქვს.

სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები

სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები წარმოადგენს საავანსო გადახდებს სალიზინგო აქტივების შესასყიდად, რომლებიც გადადის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებულ მოთხოვნებში სალიზინგო ხელშეკრულების გაფორმების თარიღით.

სალიზინგო ხელშეკრულებაზე გადახდილი ავანსები ჩვეულებრივ, წარმოშობს ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებულ მოთხოვნებს საანგარიშგებო თარიღიდან ერთიდან სამ თვემდე ვადაში და ამიტომ მეტწილად კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი. მიუხედავად ამისა, ლიზინგით გადაცემული აქტივის ტიპიდან გამომდინარე, გარკვეული ავანსები შეიძლება უკავშირდებოდეს სალიზინგო ხელშეკრულებებს, რომლებიც ფორმდება უფრო გრძელვადიანი პერიოდისთვის. ასეთ შემთხვევებში ეს ავანსები შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც გრძელვადიანი.

სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსების ცვლილება დაკავშირებულია კომპანიის სალიზინგო პორტფელისა და მომხმარებელთა ბაზის ცვლილებასთან. თიბისი ლიზინგს აქტივებზე ავანსის გადახდის მომენტში მოძიებული ჰყავს მომხმარებელი, ხოლო ავანსის გადახდიდან საშუალოდ 3 თვის ვადაში გადახდილი ავანსი ფინანსურ ლიზინგებთან დაკავშირებული მოთხოვნების ზრდაშიც აისახება.

2024 წლიდან კომპანიამ აქტიურად დაიწყო უძრავი ქონების დაფინანსება და შესაბამისად, სწრაფად იზრდება კომპანიის მიერ სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსებიც. თიბისი ლიზინგის მიერ საავანსო თანხის გადახდიდან - აქტივის ლიზინგით გაცემასა და ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების მუხლის ზრდამდე პერიოდი დაახლოებით 3 თვეს შეადგენს.

უძრავი ქონების დაფინანსება მოიცავს კომერციულ ფართებს, სასაწყობე შენობებს, მიწასა და სხვა ტიპის უძრავ ქონებებს. უძრავი ქონების ლიზინგის ძირითად მომხმარებლებს წარმოადგენენ იურიდიული პირები. პროსპექტის შედგენის თარიღისთვის ჯამურ სალიზინგო პორტფელში კომერციული უძრავი ქონების ლიზინგი და სასაწყობე ფართების ლიზინგი საშუალოდ 10-10%-ს იკავებს.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, წინა წლის ბოლოსთან შედარებით სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები გაზრდილია 4.4%-ით 124,412 ათას ლარამდე და კომპანიის აქტივების 15.5% შეადგინა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წლის შესაბამის თარიღთან შედარებით სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები გაზრდილია 338.4%-ით 119,196 ათას ლარამდე და კომპანიის აქტივების 17.6% შეადგინა. აღნიშნული ზრდა უკავშირდება ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების ზრდას. 2024 წლიდან კომპანიამ აქტიურად დაიწყო უძრავი ქონების დაფინანსება - იქიდან გამომდინარე, რომ უძრავი ქონების ლიზინგის პროდუქტი უფრო დიდი მოცულობისაა ვიდრე საავტომობილო ან საცალო ბიზნესის სალიზინგო პროდუქტები - აღნიშნულმა გამოიწვია სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსების მნიშვნელოვანი ზრდა.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წლის შესაბამის თარიღთან შედარებით სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები შემცირებულია 7.9%-ით 27,191 ათას ლარამდე და კომპანიის აქტივების 5.3% შეადგინა.

სხვა ფინანსური აქტივები

კერძო და იურიდიული საწარმოები, რომლებმაც განიცადეს ფინანსური ან საოპერაციო სიძნელეები, ექვემდებარებიან ლიზინგის შეწყვეტას და მათი ნაშთები ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან გადადის სხვა ფინანსურ აქტივებში. მხოლოდ ის საწარმოები, რომლებიც შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს ჩამოიწერება სხვა ფინანსური აქტივების ნაშთიდან.

კომპანიის სხვა ფინანსური აქტივები შედგება შემდეგი მუხლებისგან: მოთხოვნები შეწყვეტილი ლიზინგიდან; სხვა მოთხოვნებისგან და ლიზინგის მიმღებებისთვის გაცემული სესხებისგან.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, წინა წლის ბოლოსთან შედარებით სხვა ფინანსური აქტივები (საკრედიტო ზარალის რეზერვის დაკლების შემდეგ) გაზრდილია 84.9%-ით 53,630 ათას ლარამდე - სხვა ფინანსური აქტივების მუხლის ზრდა დაკავშირებულია სალიზინგო პორტფელის ზრდასთან, რაც უფრო მაღალი ტემპით იზრდება პორტფელი, უფრო დიდი მოცულობის შეწყვეტილი აქტივები წარმოიქმნება პერიოდის განმავლობაში. ამავე პერიოდისთვის სხვა ფინანსური აქტივების საკრედიტო ზარალის რეზერვის ფარდობამ სხვა ფინანსურ აქტივებთან (საკრედიტო ზარალის რეზერვის დაკლებამდე) 39.2% შეადგინა, რაც 13.8 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესებული მაჩვენებელია. 2025 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში კომპანიის სხვა ფინანსური აქტივები (საკრედიტო ზარალის რეზერვის დაკლებამდე) გაიზარდა 43.0%-ით, კერძოდ გაიზარდა 24,157 ათასი ლარით - ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან გადატანილი პორტფელით და 934 ათასი ლარით - ჩამოწერილი პორტფელის კორექტირებით, შემცირდა 4,742 ათასი ლარით - ნაწილობრივ დაფარული პორტფელით. 2025 წლის განმავლობაში კომპანიამ ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან სხვა ფინანსურ აქტივებში გადაიტანა 6 მატერიალური ხელშეკრულება, რომლებიც გროსს სხვა ფინანსური აქტივების ნაზრდის 83%-ს შეადგენდნენ. როგორც ქვედა ცხრილიდან ჩანს (სხვა ფინანსური აქტივებისა და მათი საკრედიტო ხარისხის ცხრილი) 2025 წლის განმავლობაში სხვა ფინანსური აქტივების ხარისხი გაუმჯობესებულია, რასაც სხვა ფინანსურ აქტივებად ახალდაკლასიფიცირებული კონტრაქტების უზრუნველყოფა იწვევს - 2025 წლის განმავლობაში სხვა ფინანსური აქტივების ზრდა ძირითადად ისეთი კონტრაქტების ხარჯზე მოხდა, რომლების “ზედმეტად უზრუნველყოფილ” ლიზინგებს წარმოადგენდნენ და შესაბამისად, დაბალი საკრედიტო ზარალის რეზერვი ჰქონდათ.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წელთან შედარებით სხვა ფინანსური აქტივები (საკრედიტო ზარალის რეზერვის დაკლების შემდეგ) შემცირებულია 2.1%-ით 29,002 ათას ლარამდე. ამავე პერიოდისთვის სხვა ფინანსური აქტივების საკრედიტო ზარალის რეზერვის ფარდობამ სხვა ფინანსურ აქტივებთან (საკრედიტო ზარალის რეზერვის დაკლებამდე) 53.0% შეადგინა, რაც 3.0 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესებული მაჩვენებელია. 2024 წლის განმავლობაში კომპანიის სხვა ფინანსური აქტივები (საკრედიტო ზარალის რეზერვის დაკლებამდე) შემცირდა 8.3%-ით, კერზოდ გაიზარდა 17,057 ათასი ლარით - ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან გადატანილი პორტფელით, შემცირდა 11,075 ათასი ლარით - ჩამოწერილი პორტფელით და 14,241 ათასი ლარით - ნაწილობრივ დაფარული პორტფელით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წელთან შედარებით სხვა ფინანსური აქტივები (საკრედიტო ზარალის რეზერვის დაკლების შემდეგ) გაზრდილია 188.3%-ით 29,624 ათას ლარამდე - სხვა ფინანსური აქტივების მუხლის ზრდა დაკავშირებულია სალიზინგო პორტფელის ზრდასთან, რაც უფრო მაღალი ტემპით იზრდება პორტფელი, უფრო დიდი მოცულობის შეწყვეტილი აქტივები წარმოიქმნება პერიოდის განმავლობაში. ამავე პერიოდისთვის სხვა

ფინანსური აქტივების საკრედიტო ზარალის რეზერვის ფარდობამ სხვა ფინანსურ აქტივებთან (საკრედიტო ზარალის რეზერვის დაკლებამდე) 56.0% შეადგინა, რაც 17.2 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესებული მაჩვენებელია. 2023 წლის განმავლობაში კომპანიის სხვა ფინანსური აქტივები (საკრედიტო ზარალის რეზერვის დაკლებამდე) გაიზარდა 75.6%-ით, კერძოდ გაიზარდა 30,708 ათასი ლარით - ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან გადატანილი პორტფელით, შემცირდა 1,712 ათასი ლარით - ჩამოწერილი პორტფელით და 5,879 ათასი ლარით - ნაწილობრივ დაფარული პორტფელით. 2023 წლის განმავლობაში კომპანიის გროსს ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები გაიზარდა 29.6%-ით (85,910 ათასი ლარით), გასათვალისწინებელია, რომ წლების განმავლობაში გროსს ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების ზრდა იწვევს გროსს სხვა ფინანსური აქტივების ზრდასაც.

სხვა ფინანსური აქტივები და მათი საკრედიტო ხარისხი მოცემულია ცხრილში:

	30 ივნ 2025	31 დეკ 2024	31 დეკ 2023
მთლიანი სხვა ფინანსური აქტივები საკრედიტო ზარალის რეზერვის დაკლებამდე	88,211	61,679	67,253
გამოკლებული: საკრედიტო ზარალის რეზერვი სხვა ფინანსური აქტივებისთვის	(34,581)	(32,677)	(37,629)
მთლიანი სხვა ფინანსური აქტივები	**53,630**	**29,002**	**29,624**
საკრედიტო ზარალის რეზერვი / სხვა ფინანსურ აქტივებთან (gross)	***39.2%***	***53.0%***	***56.0%***

კომპანია კლიენტის საკრედიტო რისკის გარდა ასევე აფასებს უშუალოდ აქტივის ლიკვიდურობის რისკს (კლიენტის გადეფოლტების შემთხვევაში - რამდენად შესაძლებელია აქტივის ღირებულებით მოთხოვნის დაკმაყოფილება). ამის შესაბამისად, ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან - სხვა ფინანსურ აქტივებში გადასული პორტფელის ნაწილი 1-ელი და მე-2 სტადიის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან გადმოსული პორტფელისგან შედგება. შესაბამისად, აქტიური ლიზინგის კონტრაქტის შეწყვეტა შეიძლება მოხდეს ნებისმიერ ეტაპზე და არ არის დამოკიდებული მხოლოდ კლიენტის გადახდისუნარიანობის გაუარესებაზე.

2025 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში, სხვა ფინანსურ აქტივებში ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან გადატანილი გროსს პორტფელის მოცულობა 24,157 ათასი ლარია, საიდანაც აქტიური სალიზინგო პორტფელის 1-ელი სტადიიდან გადავიდა 54%, მე-2 სტადიიდან - 23% ხოლო მე-3 – 23%. იგივე მაჩვენებელი ნეტო პორტფელის ჭრილში 21,105 ათასი ლარია, ხოლო 1-ელ, მე-2 და მე-3 სტადიებს შორის შემდეგნაირად ნაწილდება: 62%, 24% და 14%, შესაბამისად.

2024 წლის განმავლობაში, სხვა ფინანსურ აქტივებში ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან გადატანილი გროსს პორტფელის მოცულობა 17,057 ათასი ლარია, საიდანაც აქტიური სალიზინგო პორტფელის 1-ელი სტადიიდან გადავიდა 59%, მე-2 სტადიიდან - 19% ხოლო მე-3 – 23%. იგივე მაჩვენებელი ნეტო პორტფელის ჭრილში 13,458 ათასი ლარია, ხოლო 1-ელ, მე-2 და მე-3 სტადიებს შორის შემდეგნაირად ნაწილდება: 73%, 20% და 7%, შესაბამისად.

აქტივის ლიკვიდურობის რისკის შესაფასებლად კომპანია რეგულარულად ახორციელებს აქტივების მონიტორინგს.
იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა აქტივის გადაჭრაბებული ცვეთა/ექსპლუატაცია, კომპანია უფლებას იტოვებს შევწყვიტოს ხელშეკრულება - რითიც თავიდან აირიდებს აქტივის შემდგომ ცვეთასა და ლიკვიდურობის რისკის გაზრდას და შესაბამისად, მომდევნო პერიოდში უფრო მარტივად შეძლებს აქტივის გასხვისებას.

ლიზინგის შეწყვეტის შედეგად დასაკუთრებული აქტივები

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, წინა წლის ბოლოსთან შედარებით ლიზინგის შეწყვეტის შედეგად დასაკუთრებული აქტივები გაზრდილია 31.6%-ით 5,835 ათას ლარამდე. 2025 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში კომპანიამ ლიზინგის შეწყვეტის შედეგად დაისაკუთრა 4,306 ათასი ლარის აქტივები და გაყიდა 2,111 ათასი ლარის აქტივები.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წლის შესაბამის თარიღთან შედარებით ლიზინგის შეწყვეტის შედეგად დასაკუთრებული აქტივები გაზრდილია 51.0%-ით 4,433 ათას ლარამდე. 2024 წლის განმავლობაში კომპანიამ ლიზინგის შეწყვეტის შედეგად დაისაკუთრა 16,528 ათასი ლარის აქტივები, გაყიდა 7,752 ათასი ლარის აქტივები და ახალი ფინანსური ლიზინგის გაცემის მიზნით გადაიტანა - 7,093 ათასი ლარის აქტივები.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წლის შესაბამის თარიღთან შედარებით ლიზინგის შეწყვეტის შედეგად დასაკუთრებული აქტივები შემცირებულია 83.5%-ით 2,935 ათას ლარამდე. 2024 წლის განმავლობაში კომპანიამ ლიზინგის შეწყვეტის შედეგად დაისაკუთრა 12,816 ათასი ლარის აქტივები, გაყიდა 15,701 ათასი ლარის აქტივები და ახალი ფინანსური ლიზინგის გაცემის მიზნით გადაიტანა - 11,134 ათასი ლარის აქტივები.

დასაკუთრებული აქტივების გაყიდვიდან ან გათავისუფლებიდან მიღებული შემოსულობა/(ზარალი) შეადგენდა -198 ათას ლარს, 422 ათას ლარს და 390 ათას ლარს 2025 წლის 6 თვისთვის, 2024 წლისა და 2023 წლისთვის, შესაბამისად.

ლიზინგის მიზნით შესყიდული აქტივები

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, წინა წლის ბოლოსთან შედარებით ლიზინგის მიზნით შესყიდული აქტივები გაზრდილია 39.0%-ით 9,576 ათას ლარამდე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წლის შესაბამის თარიღთან შედარებით ლიზინგის მიზნით შესყიდული აქტივები გაზრდილია 102.0%-ით 6,887 ათას ლარამდე.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წლის შესაბამის თარიღთან შედარებით ლიზინგის მიზნით შესყიდული აქტივები გაზრდილია 237.6%-ით 3,410 ათას ლარამდე.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია აფორმებს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს სავალუტო და ლიკვიდურობის რისკების სამართავად.

როგორც წესი, კომპანია წარმოებული სავალუტო ინსტრუმენტებით ვაჭრობს ბირჟის გარე ბაზარზე პროფესიონალ კონტრაჰენტებთან სტანდარტიზებული სახელშეკრულებო პირობებით. წარმოებულ ინსტრუმენტებს აქვს პოტენციურად ხელსაყრელი (აქტივები) ან არახელსაყრელი (ვალდებულებები) პირობები ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების, სავალუტო კურსების ან სხვა ცვლადი მაჩვენებლების მერყეობის გამო, მათი ვადების გათვალისწინებით.

ცხრილში წარმოდგენილია 2025 წლის 30 ივნისის, 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობისთვის მისაღები ან გადასახდელი ვალუტების სამართლიანი ღირებულებები სავალუტო ფორვარდული ხელშეკრულებების თანახმად, მთლიანი დაფარული სავალუტო სვოპები და კომპანიის მიერ გაფორმებული საკომპენსაციო სესხები. ცხრილში მოცემულია მთლიანი პოზიციები კონტრაჰენტის პოზიციების (და გადახდების) გაქვითვამდე და მოიცავს ხელშეკრულებებს შესაბამისი საანგარიშგებო თარიღის შემდგომი ანგარიშსწორების თარიღებით. ხელშეკრულებები მოკლევადიანი ხასიათისაა.

	30 ივნ 2025	30 ივნ 2025	31 დეკ 2024	31 დეკ 2024	31 დეკ 2023	31 დეკ 2023
	ხელშეკრულებები დადებითი სამართლიანი ღირებულებით	ხელშეკრულებები უარყოფითი სამართლიანი ღირებულებით	ხელშეკრულებები დადებითი სამართლიანი ღირებულებით	ხელშეკრულებები უარყოფითი სამართლიანი ღირებულებით	ხელშეკრულებები დადებითი სამართლიანი ღირებულებით	ხელშეკრულებები უარყოფითი სამართლიანი ღირებულებით
სავალუტო ფორვარდების და სვოპების სამართლიანი ღირებულება	**1,810**	**(704)**	**461**	**(906)**	**344**	**(252)**
სავალუტო ფორვარდების და სვოპების წმინდა სამართლიანი ღირებულება		**1,106**		**(445)**		**92**

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების წმინდა სამართლიანი ღირებულება შეადგენს 1,106 ათას ლარს (აქტივი), საიდანაც დადებითი სამართლიანი ღირებულებით დადებული ხელშეკრულებები შეადგენს 1,810 ათას ლარს, ხოლო უარყოფითი - 704 ათას ლარს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების წმინდა სამართლიანი ღირებულება შეადგენს უარყოფით 445 ათას ლარს (ვალდებულება), საიდანაც დადებითი სამართლიანი ღირებულებით დადებული ხელშეკრულებები შეადგენს 461 ათას ლარს, ხოლო უარყოფითი - 906 ათას ლარს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების წმინდა სამართლიანი ღირებულება შეადგენს 92 ათას ლარს (აქტივი), საიდანაც დადებითი სამართლიანი ღირებულებით დადებული ხელშეკრულებები შეადგენს 344 ათას ლარს, ხოლო უარყოფითი - 252 ათას ლარს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოადგენს ბანკში მიმდინარე ანგარიშზე განთავსებულ თანხებს.
2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, წინა წლის ბოლოსთან შედარებით კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები გაზრდილია 62.0%-ით 108,339 ლარამდე, რაც უმეტესად ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან სესხების მიღებას უკავშირდება. 2025 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში კომპანიამ აიღო 169,690 ათასი ლარის და დაფარა 74,471 ათასი ლარის სესხები ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან. პროსპექტის მომზადების თარიღისთვის, მოზიდული სახსრების უმეტესი ნაწილი მიმართულია სალიზინგო პორტფელის გასაზრდელად.
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წლის ბოლოსთან შედარებით კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები გაზრდილია 16.6%-ით 66,868 ლარამდე, რაც უმეტესად ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან სესხების მიღებას უკავშირდება. 2024 წლის განმავლობაში კომპანიამ აიღო 211,974 ათასი ლარის და დაფარა 112,991 ათასი ლარის სესხები ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში სს „თიბისი ლიზინგმა“ მიიღო 11,633 ათასი ლარის სახსრები ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან (წმინდა სახსრები), 5,548 ათასი ლარი სუბორდინირებული სესხებიდან და გადაიხადა 5 მილიონი ლარის დივიდენდები.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წლის ბოლოსთან შედარებით კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები გაზრდილია 25.0%-ით 57,326 ლარამდე, რაც უმეტესად ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან სესხების მიღებას უკავშირდება. 2023 წლის განმავლობაში კომპანიამ აიღო 197,387 ათასი ლარის და დაფარა 155,894 ათასი ლარის სესხები ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში სს „თიბისი ლიზინგმა“ მიიღო 50,282 ათასი ლარის სახსრები ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან (წმინდა სახსრები), 11,805 ათასი ლარი სუბორდინირებული სესხებიდან და დაფარა 2,447 ათასი ლარის სუბორდინირებული სესხები.

პროსპექტში ნაჩვენები პერიოდებისთვის დამატებითი დეტალები კომპანიის ფულადი სახსრების მოძრაობაზე გთხოვთ იხილოთ ქვეთავში *„ფულადი ნაკადების ანგარიშგება“*.

ვალდებულებები:

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, წინა წლის ბოლოსთან შედარებით კომპანიის ვალდებულებები გაზრდილია 19.9%-ით - 695,802 ათას ლარამდე. ზრდა უმეტესად ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებულ სესხებს უკავშირდება, რაც ვალდებულებების 66.9%-ს შეადგენს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წლის ბოლოსთან შედარებით კომპანიის ვალდებულებები გაზრდილია 33.1%-ით - 580,177 ათას ლარამდე. ზრდა უმეტესად ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებულ სესხებს უკავშირდება, რაც ვალდებულებების 61.4%-ს შეადგენს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წლის ბოლოსთან შედარებით კომპანიის ვალდებულებები გაზრდილია 26.6%-ით - 435,750 ათას ლარამდე. ზრდა უმეტესად ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებულ სესხებსა და გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს უკავშირდება, რაც ვალდებულებების 58.7% და 23.7%-ს შეადგენს, შესაბამისად.



*სხვა ვალდებულებები მოიცავს: წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები; სხვა ვალდებულებები.

ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, წინა წლის ბოლოსთან შედარებით კომპანიის ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები გაზრდილია 30.6%-ით და 465,386 ათას ლარს შეადგენს. 2025 წლის 6 თვის განმავლობაში კომპანიამ აიღო 169,690 ათასი ლარის სესხი და ჩაფარა 87,037 ლარის სესხი (ძირი: 74,471 ათასი ლარი; პროცენტი: 12,566 ათასი ლარი).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წლის ბოლოსთან შედარებით კომპანიის ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები გაზრდილია 39.2%-ით და 356,288 ათას ლარს შეადგენს. პერიოდის განმავლობაში კომპანიამ აიღო 211,974 ათასი ლარის სესხი და ჩაფარა 131,688 ლარის სესხი (ძირი: 112,991 ათასი ლარი; პროცენტი: 18,697 ათასი ლარი).

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წლის ბოლოსთან შედარებით კომპანიის ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები გაზრდილია 21.0%-ით და 255,898 ათას ლარს შეადგენს. პერიოდის განმავლობაში კომპანიამ აიღო 197,387 ათასი ლარის სესხი და ჩაფარა 170,029 ლარის სესხი (ძირი: 155,894 ათასი ლარი; პროცენტი: 14,135 ათასი ლარი).

ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხების ჩაშლა წყაროებისა და ვალუტების ჭრილში მოცემულია ცხრილში:

	30 ივნ 2025	31 დეკ 2024	31 დეკ 2023
უცხოური ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	**381,497**	**306,880**	**201,809**
ქართული ლარი	47,548	77,407	21,375
აშშ დოლარი	103,664	61,900	59,860
ევრო	230,285	167,573	120,574
ადგილობრივი ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	**83,889**	**49,408**	**54,089**
ქართული ლარი	49,656	-	30,053
აშშ დოლარი	34,233	49,408	24,036
ევრო	-	-	-
სულ ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	**465,386**	**356,288**	**255,898**

კომპანიის ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხების საშუალოდ 20% დენომინირებულია ლარში, ხოლო სესხების 80%-85% უმეტესად აღებულია უცხოური ბანკებისგან.

დეტალური ინფორმაცია ემიტენტის სასესხო დავალიანებების შესახებ იხილეთ წინამდებარე პროსპექტის ქვეთავში *„კაპიტალიზაცია და დავალიანება“*.

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

პროსპექტის შედგენის თარიღისთვის ემიტენტს აქვს შემდეგი საჯარო ფასიანი ქაღალდები გამოშვებული - (i) 15,000,000 ლარის არასუბორდინირებული პორტფელით უზრუნველყოფილი ობლიგაციები, რომლებიც ვადამოსული ხდება 2026 წლის 27 ივნისს, ISIN GE 2700604467 და (ii) 100,000,000 ლარის არასუბორდინირებული პორტფელით უზრუნველყოფილი ობლიგაციები, რომლებიც ვადამოსული ხდება 2026 წლის 20 მარტს, ISIN GE 2700604293.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, წინა წლის ბოლოსთან შედარებით კომპანიის გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები გაზრდილია 0.2%-ით და 114,856 ათას ლარს შეადგენს. 2025 წლის 6 თვის განმავლობაში კომპანიამ გადაიხადა 6,380 ათასი ლარის პროცენტი გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წლის ბოლოსთან შედარებით კომპანიის გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები გაზრდილია 11.2%-ით და 114,656 ათას ლარს შეადგენს. პერიოდის განმავლობაში კომპანიამ დაიმატა 11,633 ათასი ლარის სავალო ფასიანი ქაღალდები და გადაიხადა 13,449 ათასი ლარის პროცენტი გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებზე.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წლის ბოლოსთან შედარებით კომპანიის კომპანიის გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები გაზრდილია 76.0%-ით და 103,127 ათას ლარს შეადგენს. პერიოდის განმავლობაში კომპანიამ აიღო დაიმატა 50,282 ათასი ლარის სავალო ფასიანი ქაღალდები და გადაიხადა 17,092 ათასი ლარის პროცენტი გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებზე.

დეტალური ინფორმაცია ემიტენტის გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებზე იხილეთ წინამდებარე პროსპექტის ქვეთავში *„კაპიტალიზაცია და დავალიანება“*.

სუბორდინირებული სესხები

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, წინა წლის ბოლოსთან შედარებით კომპანიის სუბორდინირებული სესხები შემცირებულია 2.4%-ით და 48,469 ათას ლარს შეადგენს. 2025 წლის 6 თვის განმავლობაში კომპანიამ გადაიხადა 1,939 ათასი ლარის პროცენტი სუბორდინირებულ სესხებზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წლის ბოლოსთან შედარებით კომპანიის სუბორდინირებული სესხები გაზრდილია 17.8%-ით და 49,676 ათას ლარს შეადგენს. პერიოდის განმავლობაში კომპანიამ აიღო 5,548 ათასი ლარის სუბორდინირებული სესხები და გადაიხადა 3,783 ათასი ლარის პროცენტი სუბორდინირებულ სესხებზე.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წლის ბოლოსთან შედარებით კომპანიის კომპანიის გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები გაზრდილია 30.4%-ით და 42,184 ათას ლარს შეადგენს. პერიოდის განმავლობაში კომპანიამ აიღო 11,805 ათასი ლარის სავალო ფასიანი ქაღალდები და გადაიხადა 5,798 ათასი ლარის სუბორდინირებული სესხები (ძირი: 2,447 ათასი ლარი; პროცენტი: 3,351 ათასი ლარი).

კომპანიის სუბორდინირებული სესხები შედგება სუბორდინირებული ობლიგაციებისგან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სუბორდინირებული სესხებისგან. სუბორდინირებული სესხის ტიპებსა და ვალუტის შესახებ ინფორმაცია იხილეთ ცხრილში:

				30 ივნ 2025	31 დეკ 2024	31 დეკ 2023
სუბორდინირებული ობლიგაციები	USD	9.00%	31.მარტ.28	17,889	18,424	17,613
სუბორდინირებული ობლიგაციები	USD	9.50%	31.მარტ.28	16,488	16,985	16,241
ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებული სუბორდინირებული სესხები	USD	9.00%	15.აპრ.28	8,441	8,704	8,330
ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებული სუბორდინირებული სესხები	USD	9.30%	15.იანვ.30	5,651	5,563	-
სულ სუბორდინირებული სესხები				**48,469**	**49,676**	**42,184**

დეტალური ინფორმაცია ემიტენტის სუბორდინირებულ სესხებზე იხილეთ წინამდებარე პროსპექტის ქვეთავში *„კაპიტალიზაცია და დავალიანება“*.

მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები

როგორც წესი, კომპანია მომხმარებლებისგან მოითხოვს ავანსის გადახდას მინიმუმ სალიზინგო აქტივის მთლიანი ღირებულების 20%-ის ოდენობით. ამ თანხების ამოღება ხდება კომპანიის მომხმარებლებისგან წინასწარ, სალიზინგო ხელშეკრულებების გაფორმებისთანავე და გამოიყენება სალიზინგო აქტივის ღირებულების ნაწილის დასაფინანსებლად მისი შეძენისას და ნარჩუნდება ბუფერის სახით მანამ, სანამ სალიზინგო აქტივები გადაეცემა მომხმარებელს. სალიზინგო აქტივების ფიზიკური გადაცემის შემდეგ, მომხმარებლებისგან ავანსად მიღებული თანხები კრედიტდება ლიზინგში წმინდა ინვესტიციასთან მიმართებით, რომელიც მისაღებია იმავე მომხმარებლისგან.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, წინა წლის ბოლოსთან შედარებით მომხმარებლისგან მიღებული ავანსები გაზრდილია 9.5%-ით 57,580 ათას ლარამდე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წლის შესაბამის თარიღთან შედარებით მომხმარებლისგან მიღებული ავანსები გაზრდილია 124.3%-ით 52,601 ათას ლარამდე. მომხმარებლებისგან მიღებული ავანსების ზრდა უკავშირდება კომპანიის სალიზინგო პორტფელისა და მომხმარებელთა ბაზის ზრდას. 2024 წლიდან კომპანიამ აქტიურად დაიწყო უძრავი ქონების დაფინანსება - იქიდან გამომდინარე, რომ უძრავი ქონების ლიზინგის პროდუქტი უფრო დიდი მოცულობისაა ვიდრე საავტომობილო ან საცალო ბიზნესის სალიზინგო პროდუქტები - აღნიშნულმა გამოიწვია თანამონაწილეობის თანხების მნიშვნელოვანი ზრდა.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წლის შესაბამის თარიღთან შედარებით მომხმარებლისგან მიღებული ავანსები გაზრდილია 30.8%-ით 23,450 ათას ლარამდე.

სხვა ვალდებულებები

კომპანიის სხვა ვალდებულებები მოიცავს: სალიზინგო ვალდებულებებს, ვალდებულებებს აქტივების მომწოდებლების წინაშე, ვალდებულებებს მომსახურების მომწოდებლების წინაშე, დარიცხულ ხარჯებს, გასაცემ პრემიებსა და სხვა ვალდებულებებს.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, წინა წლის ბოლოსთან შედარებით მომხმარებლისგან მიღებული ავანსები გაზრდილია 46.1%-ით 9,511 ათას ლარამდე, რაც უმეტესად უკავშირდება ვალდებულებებს აქტივების მომწოდებლების წინაშე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წლის შესაბამის თარიღთან შედარებით მომხმარებლისგან მიღებული ავანსები შემცირებულია 41.3%-ით 6,511 ათას ლარამდე, რაც უმეტესად უკავშირდება ვალდებულებებს აქტივების მომწოდებლების წინაშე.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წლის შესაბამის თარიღთან შედარებით მომხმარებლისგან მიღებული ავანსები შემცირებულია 53.5%-ით 11,091 ათას ლარამდე, რაც უმეტესად უკავშირდება ვალდებულებებს აქტივების მომწოდებლების წინაშე.

სულ საკუთარი კაპიტალი:

კომპანიის საკუთარი კაპიტალი შედგება: სააქციო კაპიტალისგან, დამატებით შეტანილი კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან.

კომპანიის სააქციო კაპიტალი 2025 წლის 30 ივნისის, 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 3,659 ათასი ლარი. 2019 წლის დეკემბერში კომპანიამ გამოუშვა 600 ათასი ლარის ჩვეულებრივი

აქცია, რომელთაგან თითოეულის ნომინალური ღირებულება იყო 1,000 ლარი, ხოლო საემისიო ფასი – 10,000 ლარი. თითოეული აქცია სარგებლობს ერთი ხმის უფლებით.
2025 წლის, 2024 წლისა და 2023 წლის განმავლობაში სააქციო კაპიტალში ცვლილების დინამიკა არ დაფიქსირებულა. საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონთან შესაბამისად, კომპანია აცხადებს, რომ მისი სააქციო კაპიტალი სრულად წარმოადგენს განთავსებულ კაპიტალს.

კომპანიის დამატებით შეტანილი კაპიტალი გაუტოლდა 7,550 ათას ლარს 2025 წლის 30 ივნისის, 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წარმოადგენს გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულების ნამეტს.

დეტალური ინფორმაცია ემიტენტის საკუთარი კაპიტალის ცვლილებაზე იხილეთ წინამდებარე პროსპექტის ქვეთავში *„საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება“*.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

(ათას ლარში)	სააქციო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	ფულადი ნაკადის ჰეჯირების რეზერვი	გაუნაწილებელ ი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**3,659**	**7,550**	**1,091**	**50,765**	**63,065**
წლის წმინდა მოგება	-	-	-	16,728	**16,728**
სხვა სრული შემოსავალი	-	-	(1,091)	-	**(1,091)**
მთლიანი სრული შემოსავალი	**-**	**-**	**(1,091)**	**16,728**	**15,637**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,659**	**7,550**	**-**	**67,493**	**78,702**
წლის წმინდა მოგება	-	-	-	**23,054**	**23,054**
მთლიანი სრული შემოსავალი	**-**	**-**	**-**	**23,054**	**23,054**
გამოცხადებული დივიდენდები	**-**	**-**	**-**	**(5,000)**	**(5,000)**
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,659**	**7,550**	**-**	**85,547**	**96,756**

(ათას ლარში)	სააქციო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	ფულადი ნაკადის ჰეჯირების რეზერვი	გაუნაწილებელ ი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**3,659**	**7,550**		**67,493**	**78,702**
წლის წმინდა მოგება	-	-	-	10,560	**10,560**
ნაშთი 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით	**3,659**	**7,550**	**-**	**78,053**	**89,262**
ნაშთი 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**3,659**	**7,550**		**85,547**	**96,756**
წლის წმინდა მოგება	-	-	-	10,365	**10,365**
ნაშთი 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით	**3,659**	**7,550**	**-**	**95,912**	**107,121**

2025 წლის პირველ ნახევარში კომპანიის საკუთარი კაპიტალი გაიზარდა 10.7%-ით 107,121 ათას ლარამდე. ზრდა გამოწვეულია პერიოდის განმავლობაში გენერირებული მოგებით. კომპანიას 2025 წლის პირველ ნახევარში არ გამოუცხადებია და გადაუხდია დივიდენდები.

2024 წლის განმავლობაში კომპანიის საკუთარი კაპიტალი გაიზარდა 22.9%-ით 96,756 ათას ლარამდე. ზრდა გამოწვეულია პერიოდის განმავლობაში გენერირებული მოგებით. კომპანიამ 2024 წლის განმავლობაში გამოაცხადა 5,000 ლარის დივიდენდები.

2023 წლის განმავლობაში კომპანიის საკუთარი კაპიტალი გაიზარდა 24.8%-ით 78,702 ათას ლარამდე. ზრდა გამოწვეულია პერიოდის განმავლობაში გენერირებული მოგებით, აღნიშნული ეფექტი შეამცირა 2023 წლის განმავლობაში ფულადი ნაკადის ჰეჯირების რეზერვმა 1,091 ათასი ლარის ოდენობით.

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

(ათას ლარში)	2025 6 თვე არააუდიტირებული	2024 6 თვე არააუდიტირებული	2024 აუდიტირებული	2023 აუდიტირებული
ფინანსური შემოსავალი ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან	53,574	44,048	91,465	71,837
ამონაგები საოპერაციო ლიზინგიდან	-	8	8	960
საპროცენტო ხარჯი	(22,894)	(18,152)	(37,710)	(30,485)
პირდაპირი სალიზინგო დანახარჯები	(7,955)	(6,028)	(12,628)	(11,075)
წმინდა სალიზინგო შემოსავალი	**22,725**	**19,876**	**41,135**	**31,237**
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე საკრედიტო ზარალის რეზერვი	(2,747)	(2,219)	(3,055)	(2,000)
წმინდა სალიზინგო შემოსავალი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემდეგ	**19,978**	**17,657**	**38,080**	**29,237**
საკრედიტო ზარალის რეზერვი სხვა ფინანსური აქტივებისთვის	(1,904)	(2,326)	(3,181)	(4,570)
შემოსულობა საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	-	-	-	-
ამონაგები დასაკუთრებული აქტივების გაყიდვიდან	2,187	3,065	7,747	12,678
გაყიდული დასაკუთრებული აქტივების თვითღირებულება	(2,111)	(3,056)	(7,752)	(12,322)
დასაკუთრებული აქტივების გათავისუფლებით განპირობებული შემოსულობა	(274)	54	427	34
შემოსულობა/(ზარალი) დასაკუთრებული აქტივების საწყისი აღიარებიდან	-	-	(31)	1,141
დასაკუთრებული აქტივების ჩამოფასება წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე	(134)	-	(185)	(799)
წმინდა ზარალი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	1,271	(2,806)	(2,981)	(1,191)
ვალუტის კონვერტაციიდან მიღებული წმინდა შემოსულობა	(2,605)	2,102	2,389	957
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(10,159)	(6,845)	(17,186)	(13,092)
სხვა შემოსავალი	4,116	2,715	5,727	4,655
წლის წმინდა მოგება	**10,365**	**10,560**	**23,054**	**16,728**
სხვა სრული შემოსავალი:				
მუხლები, რომლებიც შეიძლება შემდგომში რეკლასიფიცირდეს მოგებაში ან ზარალში:				
ზარალი ფულადი ნაკადების ჰეჯირებიდან	-	-	-	(1,091)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	**10,365**	**10,560**	**23,054**	**15,637**

ფინანსური შემოსავალი ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან

ფინანსური შემოსავალი ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე დარიცხულ საპროცენტო და არასაპროცენტო შემოსავლების ჯამს.

2025 წლის პირველ ნახევარში ფინანსური შემოსავალი ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან წინა წლის პირველ ნახევართან შედარებით გაზრდილია 21.6%-ით 53,574 ათას ლარამდე. 2025 წლის 30 ივნისისთვის (ბოლო 12 თვის შემოსავლით დათვლილი) კომპანიის შემოსავლიანობის კოეფიციენტი („ფინანსური შემოსავალი ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან“ / „ორი წლის საშუალო ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები“) 22.7%-ია, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0.4 პროცენტული პუნქტით შემცირებული მაჩვენებელია.

2024 წლის განმავლობაში ფინანსური შემოსავალი ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან წინა წელთან შედარებით გაზრდილია 27.3%-ით 91,465 ათას ლარამდე. 2024 წლის კომპანიის შემოსავლიანობის კოეფიციენტი („ფინანსური შემოსავალი ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან“ / „ორი წლის საშუალო ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები“) 22.3%-ია, რაც წინა წელთან შედარებით 0.7 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესებული მაჩვენებელია.

2023 წლის განმავლობაში ფინანსური შემოსავალი ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან წინა წელთან შედარებით გაზრდილია 24.3%-ით 71,837 ათას ლარამდე. 2023 წლის კომპანიის შემოსავლიანობის კოეფიციენტი („ფინანსური შემოსავალი ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან“ / „ორი წლის საშუალო ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები“) 21.6%-ია, რაც წინა წელთან შედარებით 0.3 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესებული მაჩვენებელია.

საპროცენტო ხარჯი

კომპანიის საპროცენტო ხარჯი წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯს.

2025 წლის პირველ ნახევარში კომპანიის საპროცენტო ხარჯი წინა წლის პირველ ნახევართან შედარებით გაზრდილია 26.1%-ით 22,894 ათას ლარამდე. 2025 წლის 30 ივნისისთვის (ბოლო 12 თვის ხარჯებით დათვლილი) კომპანიის საპროცენტო ხარჯის კოეფიციენტი („საპროცენტო ხარჯი“ / „ორი წლის საშუალო ფინანსურ ვალდებულებებთან“, სადაც ფინანსურ ვალდებულებებში გაითვალისწინება: „ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები“, „გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები“ და „სუბორდინირებული სესხები“) 8.1%-ია, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0.9 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესებული მაჩვენებელია. 2025 წლის განმავლობაში საპროცენტო ხარჯის კოეფიციენტის გაუმჯობესება გამოიწვია, პერიოდის განმავლობაში კომპანიის დავალიანებებზე ცვლადი საპროცენტო განაკვეთის შემცირებამ.

2024 წლის განმავლობაში კომპანიის საპროცენტო ხარჯი წინა წელთან შედარებით გაზრდილია 23.7%-ით 37,710 ათას ლარამდე. 2024 წლის კომპანიის საპროცენტო ხარჯის კოეფიციენტი („საპროცენტო ხარჯი“ / „ორი წლის საშუალო ფინანსურ ვალდებულებებთან“, სადაც ფინანსურ ვალდებულებებში გაითვალისწინება: „ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები“, „გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები“ და „სუბორდინირებული სესხები“) 8.2%-ია, რაც წინა წელთან შედარებით 0.5 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესებული მაჩვენებელია. 2024 წლის განმავლობაში საპროცენტო ხარჯის კოეფიციენტის გაუმჯობესება გამოიწვია, პერიოდის განმავლობაში კომპანიის დავალიანებებზე ცვლადი საპროცენტო განაკვეთის შემცირებამ.

2023 წლის განმავლობაში კომპანიის საპროცენტო ხარჯი წინა წელთან შედარებით გაზრდილია 30.9%-ით 30,485 ათას ლარამდე. 2023 წლის კომპანიის საპროცენტო ხარჯის კოეფიციენტი („საპროცენტო ხარჯი“ / „ორი წლის საშუალო ფინანსურ ვალდებულებებთან“, სადაც ფინანსურ ვალდებულებებში გაითვალისწინება: „ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები“, „გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები“ და „სუბორდინირებული სესხები“) 8.7%-ია, რაც წინა წელთან შედარებით 0.9 პროცენტული პუნქტით გაზრდილი მაჩვენებელია. 2023 წლის განმავლობაში საპროცენტო ხარჯის კოეფიციენტის გაუარესება გამოიწვია, პერიოდის განმავლობაში კომპანიის ევროსა და დოლარის დავალიანებებზე საპროცენტო განაკვეთის ზრდამ.



პირდაპირი სალიზინგო დანახარჯები

სალიზინგო აქტივები, რომლებიც კომპანიის საკუთრებაშია მოითხოვს ქონების გადასახადის გადახდას და დაზღვევას. ეს დანახარჯები პირდაპირ დაკავშირებულია სალიზინგო შემოსავალთან და ისინი წარმოდგენილია პირდაპირ სალიზინგო შემოსავლის ქვეშ მოგებაში ან ზარალში. ქონების გადასახადის განაკვეთი და გამოთვლის მეთოდი რეგულირდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიერ.

2025 წლის პირველ ნახევარში პირდაპირი სალიზინგო დანახარჯები წინა წლის პირველ ნახევართან შედარებით გაზრდილია 32.0%-ით 7,955 ათას ლარამდე. პირდაპირი სალიზინგო დანახარჯების შეფარდება ფინანსურ შემოსავალთან ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან 14.8%-ს შეადგენს, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.2 პროცენტული პუნქტით გაზრდილი მაჩვენებელია.

2024 წლის განმავლობაში პირდაპირი სალიზინგო დანახარჯები წინა წელთან შედარებით გაზრდილია 14.0%-ით 12,628 ათას ლარამდე. პირდაპირი სალიზინგო დანახარჯების შეფარდება ფინანსურ შემოსავალთან ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან 13.8%-ს შეადგენს, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.6 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესებული მაჩვენებელია.

2023 წლის განმავლობაში პირდაპირი სალიზინგო დანახარჯები წინა წელთან შედარებით გაზრდილია 18.6%-ით 11,075 ათას ლარამდე. პირდაპირი სალიზინგო დანახარჯების შეფარდება ფინანსურ შემოსავალთან ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან 15.4%-ს შეადგენს, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0.7 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესებული მაჩვენებელია.

2025 წლის 30 ივნისისთვის, 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის სალიზინგო დანახარჯების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში:

	2025 6 თვე	2024 6 თვე	2024	2023
სადაზღვევო ხარჯები	4,725	2,924	7,316	5,714
ქონების გადასახადი სალიზინგო აქტივებზე	3,050	3,000	4,887	5,221
სხვა სალიზინგო დანახარჯები	180	104	425	140
პირდაპირი სალიზინგო დანახარჯები	**7,955**	**6,028**	**12,628**	**11,075**

წმინდა სალიზინგო შემოსავალი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემდეგ

2025 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში, კომპანიის წმინდა სალიზინგო შემოსავალი საკრედიტო ზარალის შემდეგ გაზრდილია 13.1%-ით 19,978 ათას ლარამდე. წმინდა სალიზინგო შემოსავლის მარჟა (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემდეგ) შეადგენს 37.3%-ს და წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაუარესებულია 2.8 პროცენტული პუნქტით.

2024 წლის განმავლობაში, კომპანიის წმინდა სალიზინგო შემოსავალი საკრედიტო ზარალის შემდეგ გაზრდილია 30.2%-ით 38,080 ათას ლარამდე. წმინდა სალიზინგო შემოსავლის მარჟა (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემდეგ) შეადგენს 41.6%-ს და წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზრდილია 0.9 პროცენტული პუნქტით.

2023 წლის განმავლობაში, კომპანიის წმინდა სალიზინგო შემოსავალი საკრედიტო ზარალის შემდეგ გაზრდილია 12.1%-ით 29,237 ათას ლარამდე. წმინდა სალიზინგო შემოსავლის მარჟა (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემდეგ) შეადგენს 40.7%-ს და წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირებულია 4.4 პროცენტული პუნქტით.



კომპანიის საოპერაციო სეგმენტები შემდეგნაირად განისაზღვრება:

- **ბიზნესი** – იურიდიულ პირებზე ან საწარმოების ჯგუფზე გაცემული ყველა ლიზინგი, სადაც დაფინანსებული აქტივი არ წარმოადგენს ავტომობილს.
- **საავტომობილო** – იურიდიულ პირებზე ან საწარმოების ჯგუფზე გაცემული ყველა ლიზინგი, სადაც დაფინანსებული აქტივი არის ავტომობილი.
- **საცალო** – ფიზიკური პირები, რომლებიც არ წარმოადგენენ ბიზნესს.
- **კორპორაციული ცენტრი და სხვა ოპერაციები** – მოიცავს ხაზინას და ფინანსური რისკის მართვის ერთეულს.

2025 წლის პირველი ნახევრის, 2024 წლისა და 2023 წლისთვის კომპანიის ფინანსური შემოსავალი ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან, წმინდა სალიზინგო შემოსავალი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემდეგ და წმინდა სალიზინგო მარჟის ჩაშლა სეგმენტების მიხედვით მოცემულია გრაფიკზე:

ბიზნესი



2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის ბიზნეს სეგმენტის ნახევარწლიური ფინანსური შემოსავალი ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან შეადგენს 39,153 ათას ლარს და 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაზრდილია 11.5%-ით, რაც უმეტესად დაკავშირებულია ბიზნეს სეგმენტის სალიზინგო პორტფელის ზრდასთან. ბიზნეს სეგმენტის ნახევარწლიური წმინდა სალიზინგო შემოსავალი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემდეგ შეადგენს 17,852 ათას ლარს და 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით გაზრდილია 19.8%-ით. ამავე

პერიოდის მარჟა შეადგენს 45.6%-ს და 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით 3.2 პროცენტული პუნქტით არის გაუმჯობესებული. რაც შეეხება ბიზნეს სეგმენტის წილს ჯამურ ფინანსურ შემოსავალში ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან, 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 73.1%-ს - აღნიშნული მაჩვენებელი 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით შემცირებულია 6.6 პროცენტული პუნქტით.

2024 წლის განმავლობაში კომპანიის ბიზნეს სეგმენტის ფინანსური შემოსავალი ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან შეადგენს 71,000 ათას ლარს და წლიდან წლამდე გაიზარდა 30.1%-ით, რაც უმეტესად პორტფელის ზრდით არის გამოწვეული. ბიზნეს სეგმენტის წმინდა საკრედიტო შემოსავალი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემდეგ შეადგენს 31,929 ათას ლარს და წლიდან წლამდე გაზრდილია 40.7%-ით - ამავე პერიოდის წმინდა სალიზინგო შემოსავლის მარჟა შეადგენს 45.0%-ს და 2023 წელთან მიმართებით გაზრდილია 3.4 პროცენტული პუნქტით. რაც შეეხება ბიზნეს სეგმენტის წილს ჯამურ ფინანსურ შემოსავალში ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან, 2024 წლის განმავლობაში შეადგენდა 77.6%-ს - აღნიშნული მაჩვენებელი 2023 წელთან შედარებით გაზრდილია 1.6 პროცენტული პუნქტით.

2023 წლის განმავლობაში კომპანიის ბიზნეს სეგმენტის ფინანსური შემოსავალი ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან შეადგენს 54,567 ათას ლარს და წლიდან წლამდე გაიზარდა 30.7%-ით. წმინდა სალიზინგო შემოსავალი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემდეგ 2023 წლის განმავლობაში ბიზნეს სეგმენტში შეადგენდა 22,699 ათას ლარს და წლიდან წლამდე გაზრდილია 25.7%-ით, აღნიშნული ზრდა უმეტესად უკავშირდება ბიზნეს სეგმენტის სალიზინგო პორტფელის ზრდას. რაც შეეხება წმინდა სალიზინგო შემოსავლების მარჟას, 2023 წლის განმავლობაში შეადგენდა 41.6%-ს და 1.7 პროცენტული პუნქტით გაუარესდა 2022 წელთან მიმართებით, რაც უკავშირდება ბიზნეს სეგმენტის საპროცენტო ხარჯებისა და პირდაპირი სალიზინგო დანახარჯების ზრდას.
2023 წლის განმავლობაში ბიზნეს სეგმენტის წილი ჯამურ ფინანსურ შემოსავლებში ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან შეადგენდა 76.0%-ს - აღნიშნული მაჩვენებელი 2022 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 3.7 პროცენტული პუნქტით.

საავტომობილო



2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის საავტომობილო სეგმენტის ნახევარწლიური ფინანსური შემოსავალი ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან შეადგენს 4,218 ათას ლარს და 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით შემცირებულია 0.2%-ით - იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიისთვის სტრატეგიულად უფრო მნიშვნელოვანი მიმართულებაა საცალო და ბიზნეს სეგმენტები აღნიშნული იწვევს არამატერიალურ შემცირებას 2025 წლის საავტომობილო ლიზინგის პორტფელში.
. საავტომობილო სეგმენტის ნახევარწლიური წმინდა სალიზინგო შემოსავალი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემდეგ შეადგენს უარყოფით 1,000 ათას ლარს და 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით გაუარესებულია 170.4%-ით - რაც უკავშირდება საავტომობილო სეგმენტის საპროცენტო ხარჯების, პირდაპირი სალიზინგო დანახარჯების და ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული საკრედიტო ზარალის ზრდას. აღნიშნული ასახულია

გაუარესებულ და უარყოფით წმინდა სალიზინგო შემოსავლის მარჟაშიც, რომელიც 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენს უარყოფით 23.7%-ს. რაც შეეხება საავტომობილო სეგმენტის წილს ჯამურ ფინანსურ შემოსავალში ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან, 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 7.9%-ს და 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით შემცირებულია 1.7 პროცენტული პუნქტით.

2024 წლის განმავლობაში კომპანიის საავტომობილო სეგმენტის ფინანსური შემოსავალი ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან შეადგენდა 7,924 ათას ლარს და წლიდან წლამდე შემცირებულია 8.0%-ით, რაც გამოწვეულია საავტომობილო სალიზინგო პორტფელის შემცირებით - იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიისთვის სტრატეგიულად უფრო მნიშვნელოვანი მიმართულებაა საცალო და ბიზნეს სეგმენტები აღნიშნული იწვევს არამატერიალურ შემცირებას 2025 წლის საავტომობილო ლიზინგის პორტფელში. რაც შეეხება წმინდა სალიზინგო შემოსავალს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემდეგ წლიდან წლამდე შემცირებულია 35.1%-ით - აღნიშნული ჩანს შემცირებულ წმინდა სალიზინგო შემოსავლის მარჟაშიც, რაც 2024 წლის განმავლობაში შეადგენდა 27.8%-ს და 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 11.6 პროცენტული პუნქტით. რაც შეეხება საავტომობილო სეგმენტის წილს ჯამურ ფინანსურ შემოსავალში ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან, 2024 წლის განმავლობაში შეადგენდა 8.7%-ს და 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 3.3 პროცენტული პუნქტით.

2023 წლის განმავლობაში კომპანიის საავტომობილო სეგმენტის ფინანსური შემოსავალი ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან შეადგენდა 8,609 ათას ლარს და წლიდან წლამდე გაზრდილია 21.2%-ით, რაც გამოწვეულია საავტომობილო სალიზინგო პორტფელის ზრდით. რაც შეეხება წმინდა სალიზინგო შემოსავალს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემდეგ, 2023 წლის განმავლობაში შეადგენს 3,395 ათას ლარს და წლიდან წლამდე შემცირებულია 7.2%-ით, რაც უკავშირდება საპროცენტო ხარჯების ზრდას, საოპერაციო ლიზინგიდან ამონაგების შემცირებას და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას. აღნიშნული ჩანს შემცირებულ წმინდა სალიზინგო შემოსავლის მარჟაშიც, რაც 2023 წლის განმავლობაში შეადგენდა 39.4%-ს და 2022 წლის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 12.1%-ით. რაც შეეხება საავტომობილო სეგმენტის წილს ჯამურ ფინანსურ შემოსავალში ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან, 2023 წლის განმავლობაში შეადგენდა 12.0%-ს და 2022 წლის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 0.3 პროცენტული პუნქტით.

საცალო



2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის საცალო სეგმენტის ნახევარწლიური ფინანსური შემოსავალი ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან შეადგენს 10,203 ათას ლარს და 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაზრდილია 117.2%-ით, რაც მეტწილად უკავშირდება საცალო სეგმენტის სალიზინგო პორტფელის ზრდას. საცალო სეგმენტის ნახევარწლიური წმინდა სალიზინგო შემოსავალი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემდეგ შეადგენს 3,126 ათას ლარს და 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით გაზრდილია 134.2%-ით, რაც ასახულია გაუმჯობესებულ წმინდა სალიზინგო შემოსავლის მარჟაშიც, რომელიც 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 30.6%-ს. რაც შეეხება საცალო სეგმენტის წილს ჯამურ ფინანსურ შემოსავალში ლიზინგთან დაკავშირებული

მოთხოვნებიდან, 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 19.0%-ს და 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაზრდილია 8.4 პროცენტული პუნქტით.

2024 წლის განმავლობაში კომპანიის საცალო სეგმენტის ფინანსური შემოსავალი ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან შეადგენდა 12,541 ათას ლარს და წლიდან წლამდე გაზრდილია 44.8%-ით, რაც გამოწვეულია საცალო სალიზინგო პორტფელის მაღალი ზრდით. რაც შეეხება წმინდა სალიზინგო შემოსავალს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემდეგ, 2024 წლის განმავლობაში შეადგენს 3,948 ათას ლარს და წლიდან წლამდე გაზრდილია 25.6%-ით ხოლო წმინდა სალიზინგო შემოსავლების მარჟა, 2024 წლის განმავლობაში შეადგენდა 31.5%-ს და 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 4.8 პროცენტული პუნქტით. საცალო სეგმენტის წილი ჯამურ ფინანსურ შემოსავალში ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან 2024 წლის განმავლობაში შეადგენდა 13.7%-ს და 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 1.6 პროცენტული პუნქტით.

2023 წლის განმავლობაში კომპანიის საცალო სეგმენტის ფინანსური შემოსავალი ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან შეადგენდა 8,661 ათას ლარს და წლიდან წლამდე შემცირებულია 3.0%-ით - იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიისთვის სტრატეგიულად უფრო მნიშვნელოვანი მიმართულებაა საცალო და ბიზნეს სეგმენტები აღნიშნული იწვევს არამატერიალურ შემცირებას 2025 წლის საავტომობილო ლიზინგის პორტფელში. რაც შეეხება წმინდა სალიზინგო შემოსავალს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემდეგ, 2023 წლის განმავლობაში შეადგენს 3,143 ათას ლარს და წლიდან წლამდე შემცირებულია 27.9%-ით, რაც უკავშირდება საპროცენტო ხარჯების ზრდას და საოპერაციო ლიზინგიდან ამონაგების შემცირებას. აღნიშნული ჩანს შემცირებულ წმინდა სალიზინგო შემოსავლის მარჟაშიც, რაც 2023 წლის განმავლობაში შეადგენდა 36.3%-ს და 2022 წლის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 12.5 პროცენტული პუნქტით. რაც შეეხება საცალო სეგმენტის წილს ჯამურ ფინანსურ შემოსავალში ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან, 2023 წლის განმავლობაში შეადგენდა 12.1%-ს და 2022 წლის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 3.4 პროცენტული პუნქტით.

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

2025 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში, კომპანიის ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები გაზრდილია 48.4%-ით 10,159 ათას ლარამდე და კომპანიის შემოსავლების 19.0% შეადგინა.

2024 წლის განმავლობაში, კომპანიის ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები გაზრდილია 31.3%-ით 17,186 ათას ლარამდე და კომპანიის შემოსავლების 18.0% შეადგინა.

2023 წლის განმავლობაში, კომპანიის ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები გაზრდილია 38.9%-ით 13,092 ათას ლარამდე და კომპანიის შემოსავლების 18.2% შეადგინა.

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯების ყველაზე დიდი ნაწილი თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯებია, რომელიც ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯების საშუალოდ 65%-70%-ს შეადგენს.

2025 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში, კომპანიის თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები გაზრდილია 35.7%-ით. 2024 წლის განმავლობაში, კომპანიის თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები გაზრდილია 33.7%-ით, ხოლო 2023 წლის განმავლობაში, კომპანიის თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები გაზრდილია 55.7%-ით. პერიოდის განმავლობაში აღნიშნული ხარჯები უკავშირდება თანამშრომლების რაოდენობის ზრდას. თანამშრომლების რაოდენობის ცვლილება უმეტესად გამოწვეულია პორტფელის გაზრდის მიზნით ფილიალებსა და საკრედიტოს მხარეს დამატებითი რესურსების საჭიროებით.

	2025 6 თვე	2024 6 თვე	2024	2023
თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები	65.7%	71.9%	66.7%	65.4%
პროფესიული მომსახურება	6.1%	6.5%	8.3%	5.1%
ცვეთისა და საამორტიზაციო დანარიცხი	8.1%	8.7%	7.6%	9.3%
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	3.0%	0.0%	3.2%	1.9%
შენობის დატვირთვა და ქირა	3.8%	1.7%	2.2%	2.4%
ლიცენზიის და გამოწერის ხარჯი	3.0%	2.8%	2.1%	2.1%
სარეკლამო ხარჯი	3.7%	1.3%	1.8%	2.0%
აქტივების ტექნიკურ-სამეურნეო მომსახურების ხარჯები	0.6%	1.8%	1.4%	1.8%

საბანკო მომსახურების საზღაური	0.9%	0.9%	1.0%	3.0%
მიწისა და შენობა-ნაგებობების ტექნიკური მომსახურება	0.7%	0.4%	0.4%	0.6%
ქონების დაზღვევის სხვა ხარჯები	0.2%	0.2%	0.2%	0.8%
სხვა ხარჯები	4.2%	3.8%	5.1%	5.5%

ვალუტის კონვერტაციიდან მიღებული წმინდა შემოსულობა

2025 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში, კომპანიის ვალუტის კონვერტაციიდან მიღებული წმინდა/(ზარალი) შემოსულობა შემცირებულია -223.9%-ით (2,605) ათას ლარამდე. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში უცხოური ვალუტის კურსი ლართან მიმართებით შემდეგნაირად იცვლებოდა: 2025 30 ივნისისთვის დოლარი-ლარი და ევრო-ლარის გაცვლითი კურსები იყო 2.7236 და 3.1882, შესაბამისად, ხოლო 2024 30 ივნისისთვის - 2.8101 და 3.0082, შესაბამისად.

2024 წლის განმავლობაში, კომპანიის ვალუტის კონვერტაციიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი) გაზრდილია 149.6%-ით 2,389 ათას ლარამდე. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში უცხოური ვალუტის კურსი ლართან მიმართებით შემდეგნაირად იცვლებოდა: 2024 31 დეკემბრისთვის დოლარი-ლარი და ევრო-ლარის გაცვლითი კურსები იყო 2.8068 და 2.9306, შესაბამისად, ხოლო 2023 31 დეკემბრისთვის - 2.6894 და 2.9753, შესაბამისად.

2023 წლის განმავლობაში, კომპანიის ვალუტის კონვერტაციიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი) შემცირებულია -259.8%-ით 957 ათას ლარამდე. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში უცხოური ვალუტის კურსი ლართან მიმართებით შემდეგნაირად იცვლებოდა: 2023 31 დეკემბრისთვის დოლარი-ლარი და ევრო-ლარის გაცვლითი კურსები იყო 2.6894 და 2.9753, შესაბამისად, ხოლო 2022 31 დეკემბრისთვის - 2.7020 და 2.8844, შესაბამისად.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოიცავს საკომისიო შემოსავალს, საბანკო ანაბრების საპროცენტო შემოსავალს და სხვა შემოსავლებს. საკომისიო შემოსავლები მოიცავს ანაზღაურებას მზღვეველისგან, შემოსავალს დისკონტებიდან, შემოსავალს სხვადასხვა სერვისებიდან და ა.შ.

2025 წლის პირველ ნახევარში წინა წლის პირველ ნახევართან შედარებით სხვა შემოსავლები გაზრდილია 51.6%-ით და 4,116 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა უმეტესად საკომისიო შემოსავალს უკავშირდება.

2024 წლის განმავლობაში წინა წელთან შედარებით სხვა შემოსავლები გაზრდილია 23.0%-ით და 5,727 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა უმეტესად საბანკო ანაბრებზე დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს უკავშირდება. პერიოდის განმავლობაში კომპანიის საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრები გაზრდილია 16.6%-ით.

2023 წლის განმავლობაში წინა წელთან შედარებით სხვა შემოსავლები შემცირებულია მცირედით 0.8%-ით და 4,655 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული ცვლილება უმეტესად (i) შემცირებულ სხვადასხვა შემოსავლებსა და (ii) საბანკო ანაბრებზე დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს უკავშირდება. პერიოდის განმავლობაში კომპანიის საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრები გაზრდილია 25.0%-ით.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(ათას ლარში)	2025 6 თვე არააუდიტირებული	2024 6 თვე არააუდიტირებული	2024 აუდიტირებული	2023 აუდიტირებული
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები				
ლიზინგის მიმღებებისგან მიღებული ფულადი სახსრები	130,519	111,385	234,626	195,984
ანაბრებიდან მიღებული ფულადი სახსრები (მოთხოვნები ბანკების მიმართ)	13,886	10,000	94,064	33,110
ლიზინგის მიმღებებისგან მიღებული ფულადი სახსრები ლიზინგის დაწყებამდე	9,431	11,469	24,638	20,367
დასაკუთრებული აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	3,659	3,431	8,644	14,668
შეწყვეტილი სალიზინგო ხელშეკრულებებიდან მიღებული ფულადი სახსრები	1,040	1,423	2,717	1,876
ფულადი ნაკადების შემოდინება/ (გადინება) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	(440)	(308)	(10,476)	2,527
მიმდინარე ანგარიშებიდან მიღებული პროცენტი	1,078	2,812	4,379	4,095
ანაბრებიდან მიღებული პროცენტი	-	-	425	59
ფინანსური ლიზინგის მიზნებისთვის აქტივების შესასყიდად გადახდილი ფულადი სახსრები	(151,405)	(131,944)	(309,084)	(241,537)
ანაბრებზე გადახდილი ფულადი სახსრები (მოთხოვნები ბანკების მიმართ)	(6,395)	-	(75,285)	(44,859)
პირდაპირი სალიზინგო დანახარჯებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(5,174)	(3,798)	(10,192)	(10,574)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(5,431)	(4,356)	(8,812)	(6,010)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(1,948)	(2,860)	(4,978)	(6,553)
(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული)/საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები	**(11,180)**	**(2,746)**	**(49,334)**	**(36,847)**
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებულ სესხებზე გადახდილი პროცენტი	(12,566)	(8,055)	(18,697)	(14,135)
გამოშვებული სავალო ფასიან ქაღალდებზე გადახდილი პროცენტი	(6,380)	(7,171)	(13,449)	(17,092)
სუბორდინირებულ სესხებზე გადახდილი პროცენტი	(1,939)	(1,879)	(3,783)	(3,351)
გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(7,221)	(9,245)	(12,157)	(15,263)
(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული)/საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	**(39,286)**	**(29,096)**	**(97,420)**	**(86,688)**
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები				
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(2)	(66)	(109)	(45)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(546)	(562)	(1,048)	(908)
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	-	-	-	-
საინვესტიციო ფასიან ქაღალდებში გადახდილი ფულადი სახსრები	-	-	-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	**(548)**	**(628)**	**(1,157)**	**(953)**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები				
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან სესხების მიღებ	169,690	65,190	211,974	197,387
მიღებული სუბორდინირებული სესხები	-	-	5,548	11,805
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხების დაფარვა	(74,471)	(69,113)	(112,991)	(155,894)
გადახდილი დივიდენდები	-	-	(5,000)	-
დაფარული სუბორდინირებული სესხები	-	-	-	(2,447)
სალიზინგო ვალდებულებების დაფარვა	(533)	(405)	(798)	(559)
შემოსულობა სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან	-	11,633	11,633	50,282
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	**94,686**	**7,305**	**110,366**	**100,574**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(13,381)	(2,876)	(2,247)	(1,453)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	**41,471**	**(25,295)**	**9,542**	**11,480**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	66,868	57,326	57,326	45,846
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**108,339**	**32,031**	**66,868**	**57,326**

(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული)/საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის ნახევარწლიურმა საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებულმა ფულადმა ნაკადებმა (39,286) ათასი ლარი შეადგინა, რაც 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 35.0%-ით გაუარესებული მაჩვენებელია. გადინებული ფულადი ნაკადების ზრდა უმეტესად გამოიწვია ფინანსური ლიზინგის მიზნებისთვის აქტივების შესასყიდად გადახდილი ფულადი სახსრების ზრდამ, რაც 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 14.7%-ით არის გაზრდილი (2025 წლის 6 თვე: (151,405) ათასი ლარი; 2024 წლის 6 თვე: (131,944) ათასი ლარი).

2024 წლის განმავლობაში კომპანიის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებულმა ფულადმა ნაკადებმა (97,420) ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიდან წლამდე 12.4%-ით გაუარესებული მაჩვენებელია. გადინებული საოპერაციო ფულადი ნაკადების ზრდა უმეტესად ფინანსური ლიზინგის მიზნებისთვის აქტივების შესასყიდად გადახდილი ფულადი სახსრების ზრდამ გამოიწვია, რაც 2023 წელთან შედარებით 28.0%-ით გაიზარდა (2024 წელი: (309,084) ათასი ლარი; 2023 წელი: (241,537) ათასი ლარი).

2023 წლის განმავლობაში კომპანიის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებულმა ფულადმა ნაკადებმა (86,688) ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიდან წლამდე გაუარესებული მაჩვენებელია. გადინებული საოპერაციო ფულადი ნაკადების ზრდა უმეტესად ფინანსური ლიზინგის მიზნებისთვის აქტივების შესასყიდად გადახდილი ფულადი სახსრების ზრდამ გამოიწვია, რაც 2023 წელთან შედარებით 39.0%-ით გაიზარდა (2023 წელი: (241,537) ათასი ლარი; 2022 წელი: (173,796) ათასი ლარი).

საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის ნახევარწლიურმა საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებულმა წმინდა ფულადმა ნაკადებმა (548) ათასი ლარი შეადგინა, რაც 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 12.7%-ით გაუმჯობესებული მაჩვენებელია - აღნიშნული გაუმჯობესება უკავშირდება ძირითადი და არამატერიალური აქტივების შესყიდვების შემცირებას.

2024 წლის განმავლობაში კომპანიის საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებულმა წმინდა ფულადმა ნაკადებმა (1,157) ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიდან წლამდე 21.4%-ით გაუარესებული მაჩვენებელია - აღნიშნული გაუარესება უკავშირდება ძირითადი და არამატერიალური აქტივების შესყიდვების ზრდას.

2023 წლის განმავლობაში კომპანიის საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებულმა წმინდა ფულადმა ნაკადებმა (953) ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიდან წლამდე 128.0%-ით გაუარესებული მაჩვენებელია - აღნიშნული გაუარესება ძირითადი საშუალებების შესყიდვების ზრდას უკავშირდება.

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიის ნახევარწლიურმა საფინანსო საქმიანობიდან გენერირებულმა წმინდა ფულადმა სახსრებმა 94,686 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 13.0-ჯერ გაზრდილი მაჩვენებელია - აღნიშნული ზრდა მეტწილად უკავშირდება ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან დამატებით სესხების მიღებას.

2024 წლის განმავლობაში კომპანიის საფინანსო საქმიანობიდან გენერირებულმა წმინდა ფულადმა სახსრებმა 110,366 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიდან წლამდე 9.7%-ით გაზრდილი მაჩვენებელია - აღნიშნული ზრდა მეტწილად უკავშირდება ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხების აღებასა და ძირის გადახდების მოცულობის შემცირებას.

2023 წლის განმავლობაში კომპანიის საფინანსო საქმიანობიდან გენერირებულმა წმინდა ფულადმა სახსრებმა 100,574 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიდან წლამდე 224.9%-ით გაზრდილი მაჩვენებელია - აღნიშნული ზრდა პერიოდის განმავლობაში გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებსა და ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან სესხების მიღებას უკავშირდება.

ფინანსური რისკების მართვა

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა მუშაობს ფინანსურ რისკებზე (საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები (სავალუტო და საპროცენტო რისკების ჩათვლით), გეოგრაფიულ, საოპერაციო რისკებსა და იურიდიულ რისკებზე. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი ამოცანებია რისკის ლიმიტების დადგენა და შემდგომ უზრუნველყოფა იმისა, რომ დაუფარავი დავალიანება დადგენილ ლიმიტებს არ სცდებოდეს. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციების მიზანია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და იურიდიული რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი

კომპანიას გააჩნია მგრძნობელობა საკრედიტო რისკის მიმართ, რაც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე ერთი მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს. საკრედიტო რისკი კომპანიას ექმნება ფინანსური სალიზინგო ხელშეკრულებების გაფორმებისა და კონტრაჰენტებთან სხვა ოპერაციების გამო, რაც იწვევს ფინანსური აქტივების წარმოქმნას. კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა უდრის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებს.

რისკის მართვა და მონიტორინგი ხდება უფლებამოსილების ფარგლებში მშობელი საწარმოს საკრედიტო კომიტეტისა და კომპანიის დირექტორთა საბჭოს მიერ. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მონაწილეობენ 1,500,000 აშშ დოლარზე მეტი ღირებულების ლიზინგთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში. საკრედიტო კომიტეტისთვის ან კომპანიის დირექტორთა საბჭოსთვის განაცხადის წარდგენამდე, სალიზინგო პროცესებთან დაკავშირებული ყველა რეკომენდაცია (ლიზინგის მიმღებისთვის დამტკიცებული ლიმიტები ან სალიზინგო ხელშეკრულებებში შესული ცვლილებები და სხვა) განიხილება და მტკიცდება რისკის მენეჯერის ან საკრედიტო განყოფილების მიერ.

კომპანია, როგორც წესი, ფინანსური სალიზინგო ხელშეკრულებებს ისე აყალიბებს, რომ ლიზინგის მიმღები იხდის ავანსს აქტივების შესყიდვის ფასის 20%-ის ოდენობით სალიზინგო ხელშეკრულების დასაწყისში. კომპანია საკუთრების უფლებს ფლობს სალიზინგო აქტივებზე ლიზინგის ვადის განმავლობაში. ფინანსური სალიზინგო ხელშეკრულებით გადაცემულ აქტივებზე საკუთრების უფლება ამ სახელშეკრულებო ვადების დასრულების შემდეგ, როდესაც სრულად დაიფარება ვალდებულება, ლიზინგის მიმღებებს გადაეცემა.

სალიზინგო აქტივებთან დაკავშირებული რისკები, როგორიცაა სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული დაზიანება, ქურდობა და სხვა ყოველთვის დაზღვეულია. ხელმძღვანელობა პერიოდულად აფასებს ლიზინგის მიმღებების ფინანსურ მდგომარეობას მათი ფინანსური ანგარიშების გაანალიზებით. მთავარი ფაქტორები, რომლებსაც კომპანია ითვალისწინებს იმის დასადგენად, ლიზინგი გაუფასურებულია თუ არა, არის მისი ვადაგადაცილებული სტატუსი, ლიზინგის მიმღების ფინანსური შედეგები და ლიკვიდურობა და სალიზინგო აქტივის ღირებულება. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსურ ლიზინგში ინვესტიციისთვის შექმნილი ანარიცხები საკმარისია იმისათვის, რომ შეიწოვოს საანგარიშგებო თარიღისთვის სალიზინგო პორტფელში არსებული პოტენციური ზარალი.

ხელმძღვანელობა ასევე აფასებს სხვა ფინანსური აქტივების ამოღებადობას კვარტალურად, მოვალეების ფინანსურ მდგომარეობაზე და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, როგორიცაა სასამართლო დავების შედეგები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სხვა ფინანსური აქტივებისთვის შექმნილი ანარიცხები საკმარისია საანგარიშგებო თარიღისთვის.

საკრედიტო ხარისხი:

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება საკრედიტო ხარისხის კატეგორიებად, ერთდროულად შიდა და გარე საკრედიტო ხარისხის ინფორმაციის გათვალისწინებით (მაგ. ვადაგადაცილება). კომპანია შემდეგ საკრედიტო რისკის საფეხურებს განსაზღვრავს:

11 ძალიან დაბალი რისკი - დავალიანებები ავლენს ფინანსური ვალდებულებების შესრულების ძლიერ უნარს;
12 დაბალი რისკი - დავალიანებები ავლენს ფინანსური ვალდებულებების შესრულების საკმარის უნარს;
13 საშუალო რისკი - დავალიანებები ავლენს ფინანსური ვალდებულებების შესრულების დამაკმაყოფილებელ უნარს;

14 მაღალი რისკი - დავალიანებები საჭიროებს თვალყურის მკაცრად დევნებას, და
15 დეფოლტი - დავალიანებები დეფოლტის სიტუაციაში, საკრედიტო რისკით გაუფასურებული.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება:

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის სამომავლო ფულადი სახსრების დეფიციტის დღევანდელი ღირებულების ალბათობით შეწონილი შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მიუკერძოებელია და განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას კომპანია ეყრდნობა იყენებს ოთხ კომპონენტს: დეფოლტის ალბათობა (“PD”), დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება (“EAD”), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (“LGD”) და დისკონტირების განაკვეთი. ამ შეფასებებში ითვალისწინებენ პერსპექტიულ ინფორმაციას, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ასახავს ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების, რომლებიც გავლენას ახდენენ საკრედიტო რისკზე, ალბათობით შეწონილ ცვლილებას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად კომპანია მიმართავს სამი სტადიის მოდელს: კომპანია თავის ლიზინგის ოდენობას პირველ სტადიას მიაკუთვნებს, თუ საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხი მნიშვნელოვნად არ გაუარესებულა და ინსტრუმენტი არ იყოს საკრედიტო რისკით გაუფასურებული საწყისი აღიარებისას. დავალიანების ოდენობა მეორე სტადიას მიეკუთვნება, თუ საწყისი აღიარების შემდეგ დაფიქსირდა საკრედიტო ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება, მაგრამ ფინანსური ინსტრუმენტი არ მიიჩნევა საკრედიტო რისკით გაუფასურებულად. დავალიანების ოდენობა, რომელზეც გამოვლენილია საკრედიტო რისკით გაუფასურების ნიშნები, მიეკუთვნება მესამე სტადიის ინსტრუმენტებს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობა განსხვავდება დავალიანების ოდენობის ერთ-ერთი სტადიისთვის მიკუთვნების მიხედვით. პირველი სტადიის ინსტრუმენტების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელიც შეიძლება მიეწეროს საანგარიშგებო თარიღიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში დამდგარ დეფოლტის მოვლენებს. მეორე სტადიის ინსტრუმენტების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ანუ საკრედიტო ზარალს, რომელიც შეიძლება მიეწეროს შესაძლო დეფოლტის მოვლენებს ფინანსური ინსტრუმენტის მთლიანი არსებობის ვადის განმავლობაში. როგორც წესი, არსებობის ვადა უდრის ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილ სახელშეკრულებო ვადას. მესამე სტადიის ინსტრუმენტების შემთხვევაში, დეფოლტის მოვლენა უკვე დამდგარია და არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება თანხების მოსალოდნელი ამოღების საფუძველზე.

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად ორ მიდგომას მიმართავს - ინდივიდუალურ შეფასებას და კოლექტიურ შეფასებას. ინდივიდუალური შეფასება გამოიყენება ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ლიზინგებისთვის, რომელთა სალიზინგო თანხა მინიმუმ 3.5 მილიონი ლარია. გარდა ამისა, კომპანიამ შეიძლება თვითნებურად აირჩიოს გარკვეული დავალიანებების მოცულობები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ინდივიდუალურად შეფასებისთვის, კომპანიის საკრედიტო რისკის მართვის ან ანდერაიტინგის განყოფილებების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით.

კომპანია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდს იყენებს ინდივიდუალური შეფასებით ამოსაღები თანხის დასადგენად. ანაზღაურებადი ღირებულების ზუსტი შეფასების უზრუნველსაყოფად კომპანია მიმართავს სცენარული ანალიზის მიდგომას. სცენარები განისაზღვრება ინდივიდუალური მსესხებლის სპეციფიკური ინფორმაციისა და სამომავლო პროგნოზის, მსესხებლის საქმიანობის სფეროს ან უზრუნველყოფის საგნის ღირებულების ცვლილების მიხედვით. კომპანია ახდენს თითოეული სცენარისთვის ანაზღაურებადი ღირებულების პროგნოზირებას და აფასებს შესაბამის ზარალებს. საბოლოო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება, როგორც თითოეულ სცენარში მოსალოდნელი ზარალების საშუალო შეწონილი, რომელიც შეიწონება სცენარის დადგომის ალბათობით.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა:

სალიზინგო კომპანია თითოეული ფინანსური ინსტრუმენტისა და ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, ხომ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ (საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ნიშანი). საკრედიტო რისკის ზრდის შეფასებისას კომპანია შემდეგი ფაქტორების მონიტორინგს ახდენს: ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა, რესტრუქტურიზაცია და გამოსაცდელი ვადა დეფოლტის სიტუაციაში არსებული ლიზინგებისთვის.

ცხრილში შეჯამებულია კომპანიის მიერ გამოყენებული მიდგომის დეტალები:

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მაჩვენებელი		საწყისი მდგომარეობა	საბოლოო მდგომარეობა
13	ვადაგადაცილებული 30 დღის ზღვარი	ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა აღემატებოდა 30-დღიან ლიმიტს (ვადაგადაცილებული თანხის მიუხედავად). კორპორაციული/საშუალო და მცირე ზომის მსესხებლების შემთხვევაში, თუ საწყისი მდგომარეობის პირობა დამაკმაყოფილებელია მინიმუმ ერთ ხელშეკრულებაში, მსესხებლის ყველა ხელშეკრულება მიეკუთვნება მეორე სტადიას.	ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა (კლიენტის ნებისმიერ ხელშეკრულებაზე) აღარ აღემატება 30 დღეს (ვადაგადაცილებული თანხის მიუხედავად).
14	რესტრუქტურიზაცია	ხელშეკრულება რესტრუქტურიზებულია, მაგრამ რესტრუქტურიზებული დავალიანება არ არის ფინანსურად დასუსტებული, ანუ დავალიანების ოდენობა არ არის დეფოლტის სიტუაციაში („კარგი“ რესტრუქტურიზაცია)	6 თანმიმდევრული თვე, არაუმეტეს 30-დღიანი ვადაგადაცილებით, რესტრუქტურიზაციის თარიღიდან
15	დეფოლტის გასვლის ვადა (დეფოლტის საცდელი ვადის გასვლა)	3 თანმიმდევრული თვე გავიდა, არაუმეტეს 30 დღით ვადაგადაცილებით, 90 დღით ვადაგადაცილების თარიღის შემდეგ ან 6 თანმიმდევრული თვე გავიდა, არაუმეტეს 30 დღით ვადაგადაცილებით „ცუდი“ რესტრუქტურიზაციის თარიღის შემდეგ	3 თანმიმდევრული თვე, არაუმეტეს 60-დღიანი ვადაგადაცილებით, დეფოლტის გასვლის თარიღიდან

დეფოლტის კრიტერიუმები

ცხრილში შეჯამებულია კომპანიის მიერ გამოყენებული მიდგომის დეტალები:

დეფოლტის კრიტერიუმები		საწყისი მდგომარეობა	საბოლოო მდგომარეობა
13	**ვადაგადაცილებული 30 დღის ზღვარი**	90-ზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული დავალიანება	6 თანმიმდევრული თვე, არაუმეტეს 30 დღიანი ვადაგადაცილებით, 90 ვადაგადაცილებული დღის ბოლო საანგარიშგებო თარიღიდან.
14	**ფინანსურად დასუსტებული დავალიანების რესტრუქტურიზაცია**	ფინანსურად დასუსტებულად ან „ცუდ“ რესტრუქტურიზაციად კლასიფიცირებული დავალიანება	6 თანმიმდევრული თვე, არაუმეტეს 30-დღიანი ვადაგადაცილებით, რესტრუქტურიზაციის თარიღიდან
15	**გადახდის პერსპექტივის გარეშე**	ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი დავალიანება, დეფოლტის სიტუაციაში მყოფად ჩაითვლება, თუ კომპანიის ფინანსური სიჯანსაღის გაუარესება დადგინდება კომპანიის მონაცემების და/ან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად გამოყენებული ფინანსური ინფორმაციის გაანალიზებით	6 თანმიმდევრული თვე, არაუმეტეს 30-დღიანი ვადაგადაცილებით, მას შემდეგ, რაც დეფოლტის სიტუაციაში მყოფად ჩაითვალა გადახდის მოლოდინის არარსებობის გამო

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის შესახებ **2025 წლის 30 ივნისის** მდგომარეობით:

	საკრედიტო ზარალის რეზერვი				**მთლიანი საბალანსო ღირებულება**			
(ათასი ლარი)	1-ელი სტადია (12- თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტ ო ზარალი საკრედიტ ო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტ ო ზარალი საკრედიტ ო რისკით გაუფასურების შედეგად)	**სულ**	1-ელი სტადია (12- თვიანი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტ ო ზარალი საკრედიტ ო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკით გაუფასურების შედეგად)	**სულ**
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**4,087**	**3,532**	**1,682**	**9,301**	**362,918**	**62,810**	**20,137**	**445,865**
ცვლილების დინამიკა, რომელსაც გავლენა აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვაზე პერიოდის განმავლობაში:								
შიდა გადაცემები:								
12-თვიან საკრედიტო ზარალში (მე-2 და მე-3 სტადიებიდან 1-ელ სტადიაში)	2,820	(1,898)	(922)	**-**	22,701	(22,644)	(57)	**-**
არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში (1-ელი და მე-3 სტადიებიდან მე-2 სტადიაში)	(610)	661	(51)	**-**	(30,941)	31,274	(333)	**-**
საკრედიტო რისკით გაუფასურებულში (1-ელი და მე-2 სტადიებიდან მე-3 სტადიაში)	(229)	(998)	1,227	**-**	(25,139)	(6,116)	31,255	**-**
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი	1,048	220	37	**1,305**	140,572	-	-	**140,572**
ჩამოწერილი პერიოდის განმავლობაში	-	-	-	**-**	(45,688)	(13,588)	(10,281)	**(69,557)**
ნაწილობრივი დაფარვა	-	-	-	**-**	(55,897)	(6,908)	(6,470)	**(69,275)**
ცვლილების დინამიკა, რომელსაც გავლენა არ აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვაზე პერიოდის განმავლობაში:	-	-	-	**-**	-	-	-	**-**
უცხოური ვალუტის ეფექტი	(856)	9	779	**(68)**	2,912	1,270	1,164	**5,346**
საკრედიტო ხარისხის შეცვლით გამოწვეული ცვლილებები	(2,873)	763	2,470	**360**	-	-	-	**-**
სხვა ცვლილების დინამიკა	-	-	-	**-**	29,873	2,189	5,501	**37,563**
2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით	**3,387**	**2,289**	**5,222**	**10,898**	**401,311**	**48,287**	**40,916**	**490,514**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის შესახებ **2024 წლის 31 დეკემბრის** მდგომარეობით:

	საკრედიტო ზარალის რეზერვი				**მთლიანი საბალანსო ღირებულება**			
(ათასი ლარი)	1-ელი სტადია (12- თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტ ო ზარალი საკრედიტ ო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტ ო ზარალი საკრედიტ ო რისკით გაუფასურების შედეგად)	**სულ**	1-ელი სტადია (12- თვიანი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტ ო ზარალი საკრედიტ ო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკით გაუფასურების შედეგად)	**სულ**
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,916**	**2,054**	**2,798**	**7,768**	**319,749**	**38,670**	**17,636**	**376,055**
ცვლილების დინამიკა, რომელსაც გავლენა აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვაზე პერიოდის განმავლობაში:								
შიდა გადაცემები:								
12-თვიან საკრედიტო ზარალში (მე-2 და მე-3 სტადიებიდან 1-ელ სტადიაში)	440	(382)	(58)	**-**	4,054	(3,892)	(162)	**-**
არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში (1-ელი და მე-3 სტადიებიდან მე-2 სტადიაში)	(442)	1,026	(584)	**-**	(34,771)	37,493	(2,722)	**-**
საკრედიტო რისკით გაუფასურებულში (1-ელი და მე-2 სტადიებიდან მე-3 სტადიაში)	(35)	(339)	374	**-**	(22,847)	4,649	18,198	**-**
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი	2,342	1,176	63	**3,581**	229,246	-	-	**229,246**
ჩამოწერილი პერიოდის განმავლობაში	(732)	(1,197)	(1,730)	**(3,659)**	(79,207)	(20,077)	(12,273)	**(111,557)**
ნაწილობრივი დაფარვა	-	-	-	**-**	(41,740)	(2,860)	(643)	**(45,243)**
ცვლილების დინამიკა, რომელსაც გავლენა არ აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვაზე პერიოდის განმავლობაში:	-	-	-	**-**	-	-	-	**-**
უცხოური ვალუტის ეფექტი	(157)	67	52	**(38)**	1,935	282	494	**2,711**
საკრედიტო ხარისხის შეცვლით გამოწვეული ცვლილებები	(245)	1,127	767	**1,649**	-	-	-	**-**
სხვა ცვლილების დინამიკა	-	-	-	**-**	(13,501)	8,545	(391)	**(5,347)**
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**4,087**	**3,532**	**1,682**	**9,301**	**362,918**	**62,810**	**20,137**	**445,865**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის შესახებ **2024 წლის 30 ივნისის** მდგომარეობით:

	საკრედიტო ზარალის რეზერვი				**მთლიანი საბალანსო ღირებულება**			
(ათასი ლარი)	1-ელი სტადია (12- თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტ ო ზარალი საკრედიტ ო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტ ო ზარალი საკრედიტ ო რისკით გაუფასურების შედეგად)	**სულ**	1-ელი სტადია (12- თვიანი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტ ო ზარალი საკრედიტ ო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკით გაუფასურების შედეგად)	**სულ**
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,916**	**2,054**	**2,798**	**7,768**	**319,749**	**38,670**	**17,636**	**376,055**
ცვლილების დინამიკა, რომელსაც გავლენა აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვაზე პერიოდის განმავლობაში:								
შიდა გადაცემები:								
12-თვიან საკრედიტო ზარალში (მე-2 და მე-3 სტადიებიდან 1-ელ სტადიაში)	100	(100)	-	**-**	4,690	(4,690)	-	**-**
არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში (1-ელი და მე-3 სტადიებიდან მე-2 სტადიაში)	(755)	698	57	**-**	(47,693)	48,337	(644)	**-**
საკრედიტო რისკით გაუფასურებულში (1-ელი და მე-2 სტადიებიდან მე-3 სტადიაში)	(246)	(457)	703	**-**	(37,956)	(1,392)	39,348	**-**
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი	575	31	156	**762**	120,879	-	-	**120,879**
ჩამოწერილი პერიოდის განმავლობაში	(277)	(308)	(985)	**(1,570)**	(45,213)	(14,136)	(9,694)	**(69,043)**
ნაწილობრივი დაფარვა	-	-	-	**-**	(24,075)	(1,498)	(4,196)	**(29,769)**
ცვლილების დინამიკა, რომელსაც გავლენა არ აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვაზე პერიოდის განმავლობაში:								
უცხოური ვალუტის ეფექტი	30	46	81	**157**	3,990	940	900	**5,830**
საკრედიტო ხარისხის შეცვლით გამოწვეული ცვლილებები	25	1,155	1,030	**2,210**	-	-	-	**-**
სხვა ცვლილების დინამიკა	-	-	-	**-**	(1,785)	(2,477)	1,461	**(2,801)**
2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით	**2,368**	**3,119**	**3,840**	**9,327**	**292,586**	**63,754**	**44,811**	**401,151**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის შესახებ **2023 წლის 31 დეკემბრის** მდგომარეობით:

	საკრედიტო ზარალის რეზერვი				**მთლიანი საბალანსო ღირებულება**			
(ათასი ლარი)	1-ელი სტადია (12- თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტ ო ზარალი საკრედიტ ო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტ ო ზარალი საკრედიტ ო რისკით გაუფასურების შედეგად)	**სულ**	1-ელი სტადია (12- თვიანი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტ ო ზარალი საკრედიტ ო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკით გაუფასურების შედეგად)	**სულ**
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,655**	**1,462**	**2,564**	**7,681**	**237,281**	**34,689**	**18,175**	**290,145**
ცვლილების დინამიკა, რომელსაც გავლენა აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვაზე პერიოდის განმავლობაში:								
შიდა გადაცემები:								
12-თვიან საკრედიტო ზარალში (მე-2 და მე-3 სტადიებიდან 1-ელ სტადიაში)	255	(157)	(98)	**-**	4,109	(3,459)	(650)	**-**
არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში (1-ელი და მე-3 სტადიებიდან მე-2 სტადიაში)	(420)	460	(40)	**-**	(28,268)	30,825	(2,557)	**-**
საკრედიტო რისკით გაუფასურებულში (1-ელი და მე-2 სტადიებიდან მე-3 სტადიაში)	(262)	(337)	599	**-**	(12,428)	(4,989)	17,417	**-**
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი	1,655	505	387	**2,547**	210,676	-	-	**210,676**
ჩამოწერილი პერიოდის განმავლობაში	(1,169)	(653)	(1,515)	**(3,337)**	(60,815)	(12,995)	(9,869)	**(83,679)**
ნაწილობრივი დაფარვა	-	-	-	**-**	(26,654)	(11,758)	(8,503)	**(46,915)**
ცვლილების დინამიკა, რომელსაც გავლენა არ აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვაზე პერიოდის განმავლობაში:	-	-	-	**-**	-	-	-	**-**
უცხოური ვალუტის ეფექტი	13	14	10	**37**	1,015	338	36	**1,389**
საკრედიტო ხარისხის შეცვლით გამოწვეული ცვლილებები	(811)	760	891	**840**	-	-	-	**-**
სხვა ცვლილების დინამიკა	-	-	-	**-**	(5,167)	6,019	3,587	**4,439**
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,916**	**2,054**	**2,798**	**7,768**	**319,749**	**38,670**	**17,636**	**376,055**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია სხვა ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის შესახებ **2025 წლის 30 ივნისის** მდგომარეობით:

	საკრედიტო ზარალის რეზერვი				მთლიანი საბალანსო ღირებულება			
(ათასი ლარი)	1-ელი სტადია (12- თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკით გაუფასურების შედეგად)	**სულ**	1-ელი სტადია (12- თვიანი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკით გაუფასურების შედეგად)	**სულ**
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**-**	**32,677**	**32,677**	**-**	**-**	**61,679**	**61,679**
ცვლილების დინამიკა, რომელსაც გავლენა აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვაზე პერიოდის განმავლობაში								
გადატანილი ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან	-	-	3,052	**3,052**	-	-	24,157	**24,157**
ჩამოწერილი პერიოდის განმავლობაში	-	-	(1,693)	**(1,693)**	-	-	934	**934**
საკრედიტო ხარისხის შეცვლით გამოწვეული ცვლილებები	-	-	1,726	**1,726**	-	-	6,183	**6,183**
ნაწილობრივი დაფარვა	-	-	(1,181)	**(1,181)**	-	-	(4,742)	**(4,742)**
2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით	**-**	**-**	**34,581**	**34,581**	**-**	**-**	**88,211**	**88,211**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია სხვა ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის შესახებ **2024 წლის 30 ივნისის** მდგომარეობით:

	საკრედიტო ზარალის რეზერვი				მთლიანი საბალანსო ღირებულება			
(ათასი ლარი)	1-ელი სტადია (12- თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკით გაუფასურების შედეგად)	**სულ**	1-ელი სტადია (12- თვიანი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკით გაუფასურების შედეგად)	**სულ**
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**-**	**37,629**	**37,629**	**-**	**-**	**67,253**	**67,253**
ცვლილების დინამიკა, რომელსაც გავლენა აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვაზე პერიოდის განმავლობაში								
გადატანილი ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან	-	-	2,991	**2,991**	-	-	19,325	**19,325**

ჩამოწერილი პერიოდის განმავლობაში	-	-	(6,755)	**(6,755)**	-	-	(8,452)	**(8,452)**
საკრედიტო ხარისხის შეცვლით გამოწვეული ცვლილებები	-	-	314	**314**	-	-	4,173	**4,173**
ნაწილობრივი დაფარვა	-	-	(663)	**(663)**	-	-	(10,910)	**(10,910)**
2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით	-	-	**33,516**	**33,516**	-	-	**71,389**	**71,389**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია სხვა ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის შესახებ **2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის** მდგომარეობით:

	საკრედიტო ზარალის რეზერვი				**მთლიანი საბალანსო ღირებულება**			
(ათასი ლარი)	1-ელი სტადია (12- თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკით გაუფასურების შედეგად)	**სულ**	1-ელი სტადია (12- თვიანი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკით გაუფასურების შედეგად)	**სულ**
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**-**	**28,015**	**28,015**	**-**	**-**	**38,291**	**38,291**
ცვლილების დინამიკა, რომელსაც გავლენა აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვაზე პერიოდის განმავლობაში გადატანილი ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან	-	-	8,250	**8,250**	-	-	30,708	**30,708**
ჩამოწერილი პერიოდის განმავლობაში	-	-	(1,712)	**(1,712)**	-	-	(1,712)	**(1,712)**
საკრედიტო ხარისხის შეცვლით გამოწვეული ცვლილებები	-	-	4,104	**4,104**	-	-	5,845	**5,845**
ნაწილობრივი დაფარვა	-	-	(1,028)	**(1,028)**	-	-	(5,879)	**(5,879)**
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**-**	**37,629**	**37,629**	**-**	**-**	**67,253**	**67,253**
ცვლილების დინამიკა, რომელსაც გავლენა აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვაზე პერიოდის განმავლობაში გადატანილი ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან	-	-	3,599	**3,599**	-	-	17,057	**17,057**
ჩამოწერილი პერიოდის განმავლობაში	-	-	(8,033)	**(8,033)**	-	-	(11,075)	**(11,075)**
საკრედიტო ხარისხის შეცვლით გამოწვეული ცვლილებები	-	-	1,852	**1,852**	-	-	2,685	**2,685**
ნაწილობრივი დაფარვა	-	-	(2,370)	**(2,370)**	-	-	(14,241)	**(14,241)**
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**-**	**32,677**	**32,677**	**-**	**-**	**61,679**	**61,679**

სალიზინგო აქტივებთან დაკავშირებული რისკი

სალიზინგო აქტივებთან დაკავშირებული რისკის სამართავად კომპანია გარკვეულ სალიზინგო საგნის მომწოდებლებთან მიმართავს გამოსყიდვის ოფციონს. თუ ასეთი თვისების მქონე ლიზინგი დეფოლტის სიტუაციაში

აღმოჩნდება, სალიზინგო საგნის მომწოდებელი გადაიხდის წინასწარ განსაზღვრულ თანხას ლიზინგის გაფორმებიდან გასული დროის მიხედვით. კიდევ ერთი ინსტრუმენტი, რომელსაც კომპანია იყენებს, უკავშირდება სალიზინგო აქტივების პერიოდულ მონიტორინგს ჩვენი აქტივების მონიტორინგის განყოფილების მიერ. თუ აქტივი დაზიანებულია იმაზე მეტად, ვიდრე უნდა ყოფილიყო ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში, ეს საკითხი ეცნობება ლიზინგის მენეჯერებს და საკრედიტო რისკის განყოფილებას. ხდება ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება და ლიზინგის მიმღებს შეიძლება მოეთხოვოს ნაადრევი გადახდის შესრულება, რათა აანაზღაუროს აქტივის ღირებულების ნორმალურზე მეტად შემცირება.

საბაზრო რისკი

კომპანიას ახასიათებს საბაზრო რისკები. საბაზრო რისკებს განაპირობებს ღია პოზიციები სავალუტო და საპროცენტო განაკვეთების, რომელთაგან ყველაზე მოქმედებს ბაზრის ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. ხელმძღვანელობა აწესებს ლიმიტებს რისკის დასაშვებ მოცულობაზე, რისი მონიტორინგიც ხდება ყოველთვიურად. თუმცა, ასეთი მიდგომა ვერ უზრუნველყოფს დანაკარგების აღმოფხვრას დაწესებული ლიმიტის ზევით ბაზარზე მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

კლიმატის რისკი

კომპანიის ხელმძღვანელობა ყურადღებით ეკიდება კლიმატური ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ გლობალური ცნობადობის ამაღლების საკითხს. ამჟამად ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ აქვს ფინანსურ ანგარიშგებაზე, მაგრამ ხელმძღვანელობა აგრძელებს ამ სფეროში მიმდინარე მოვლენებზე დაკვირვებას.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ძირითადი ვალუტების კურსების მერყეობა.

დირექტორთა საბჭო სავალუტო რისკს აკონტროლებს ღია სავალუტო პოზიციის მართვით ქართული ლარის გაუფასურებისა და სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შეფასებაზე დაყრდნობით, რაც კომპანიას საშუალებას აძლევს, მინიმუმამდე დაიყვანოს ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში მნიშვნელოვანი სავალუტო კურსების მერყეობით გამოწვეული დანაკარგები.

სავალუტო რისკის მართვის მიზნით კომპანიის მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს და ყოველთვიურად გადახედავს მოკლე და გრძელ სავალუტო პოზიციას ამ ლიმიტების ფარგლებში.

კომპანიის სავალუტო რისკის მოცულობა 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით მოცემულია ცხრილში:

(ათასი ლარი)	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა	სულ
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	79,680	9,146	19,508	5	108,339
მოთხოვნები ბანკების მიმართ	4,000	-	-	-	4,000
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	179,567	110,025	190,024	-	479,616
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	20,822	(25,069)	5,353	-	1,106
სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები	2,518	120,746	1,148	-	124,412
ლიზინგის მიზნით შესყიდული აქტივები	703	6,619	2,253	-	9,575
სხვა ფინანსური აქტივები	18,046	23,032	12,552	-	53,630
ფინანსური აქტივები, სულ	**305,336**	**244,499**	**230,838**	**5**	**780,679**
ფინანსური ვალდებულებები					
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	97,204	137,897	230,285	-	465,386
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	114,856	-	-	-	114,856
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	5,224	50,192	2,164	-	57,580
სუბორდინირებული სესხები	-	48,469	-	-	48,469
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	-	-	-	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	901	7,115	331	-	8,347
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	**218,185**	**243,673**	**232,780**	**-**	**694,638**
წმინდა საბალანსო პოზიცია	**77,575**	**826**	**(1,941)**	**5**	**76,465**

კომპანიის სავალუტო რისკის მოცულობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ცხრილში:

(ათასი ლარი)	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა	სულ
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	28,434	16,789	21,640	5	66,868
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	-	-	-	-
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	151,682	151,119	133,763	-	436,564
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	-	-	-	-
სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები	3,349	111,563	4,284	-	119,196
ლიზინგის მიზნით შესყიდული აქტივები	-	-	-	-	-
სხვა ფინანსური აქტივები	984	19,417	8,601	-	29,002
ფინანსური აქტივები, სულ	**184,449**	**298,888**	**168,288**	**5**	**651,630**
ფინანსური ვალდებულებები					
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	77,407	111,308	167,573	-	356,288
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	114,656	-	-	-	114,656
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	3,303	47,037	2,261	-	52,601
სუბორდინირებული სესხები	-	49,676	-	-	49,676
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	(76,963)	78,374	(966)	-	445
სხვა ფინანსური ვალდებულებები	839	3,613	464	-	4,916
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	**119,242**	**290,008**	**169,332**	**-**	**578,582**
წმინდა საბალანსო პოზიცია	**65,207**	**8,880**	**(1,044)**	**5**	**73,048**

კომპანიის სავალუტო რისკის მოცულობა 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით მოცემულია ცხრილში:

(ათასი ლარი)	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა	სულ
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	18,277	244	13,505	5	32,031
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-				-
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	114,966	160,304	116,554	-	391,824
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	-	-	-	-
სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები	-	-	-	-	-
ლიზინგის მიზნით შესყიდული აქტივები	-	-	-	-	-
სხვა ფინანსური აქტივები	3,615	21,610	12,648	-	37,873
ფინანსური აქტივები, სულ	**136,858**	**182,158**	**142,707**	**5**	**461,728**
ფინანსური ვალდებულებები					
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	41,168	59,655	156,230	-	257,053
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	114,465	-	-	-	114,465
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	2,621	26,123	1,838	-	30,582
სუბორდინირებული სესხები	-	44,115	-	-	44,115
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	(81,045)	88,940	(7,692)	-	203
სხვა ფინანსური ვალდებულებები	936	6,066	944	-	7,946
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	**78,145**	**224,899**	**151,320**	**-**	**454,364**
წმინდა საბალანსო პოზიცია	**58,713**	**(42,741)**	**(8,613)**	**5**	**7,364**

კომპანიის სავალუტო რისკის მოცულობა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ცხრილში:

(ათასი ლარი)	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა	სულ
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	36,932	10,806	9,584	4	57,326
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	10,000	-	-	10,000
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	94,852	217,075	56,360	-	368,287
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	75,919	(45,182)	(30,646)	-	91
სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები	4,4149	19,898	3,144	-	27,191
ლიზინგის მიზნით შესყიდული აქტივები	-	-	-	-	
სხვა ფინანსური აქტივები	13,702	9,550	6,372	-	29,624
ფინანსური აქტივები, სულ	**222,554**	**222,147**	**44,814**	**4**	**492,519**
ფინანსური ვალდებულებები					
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	51,428	83,896	120,574	-	255,898
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	103,127	-	-	-	103,127
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	3,196	16,703	3,551	-	23,450
სუბორდინირებული სესხები	-	42,184	-	-	42,184
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	-	-	-	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,877	6,597	1,103	-	9,577
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	**159,628**	**149,380**	**125,228**	**-**	**434,236**
წმინდა საბალანსო პოზიცია	**65,926**	**72,767**	**(80,414)**	**4**	**58,283**

ვალუტის მგრძნობელობის ანალიზი

ქვედა ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა ლართან მიმართებით აშშ დოლარის/ევროს 10%-იანი ზრდის და შემცირების მიმართ (2024 წ.: 10%). 10% არის მგრძნობელობის დონე, რომელიც გამოიყენება სავალუტო

რისკის შიდა ანგარიშგებისთვის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წინაშე და წარმოადგენს კომპანიის მენეჯმენტის მხრიდან სავალუტო კურსების შესაძლო ცვლილების შეფასებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაყვანას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების 10%-იანი ცვლილების მიხედვით

	30 ივნისი, 2025 წ.		31 დეკემბერი, 2024 წ.	
(ათასი ლარი)	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე	გავლენა კაპიტალზე	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე	გავლენა კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	83	83	888	8,888
ევროს გამყარება 10%-ით	(194)	(194)	(104)	(104)
აშშ დოლარის გაუფასურება 10%-ით	(83)	(83)	(888)	(888)
ევროს გაუფასურება 10%-ით	194	194	104	104

ქვედა ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა ლართან მიმართებით აშშ დოლარის/ევროს 10%-იანი ზრდის და შემცირების მიმართ (2023 წ.: 10%).

	30 ივნისი, 2024 წ.		31 დეკემბერი, 2023 წ.	
(ათასი ლარი)	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე	გავლენა კაპიტალზე	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე	გავლენა კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	(4,274)	(4,274)	5,287	5,287
ევროს გამყარება 10%-ით	(861)	(861)	(8,356)	(8,356)
აშშ დოლარის გაუფასურება 10%-ით	4,274	4,274	(5,287)	(5,287)
ევროს გაუფასურება 10%-ით	861	861	8,356	8,356

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე მოქმედებს ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთების დონეების მერყეობა. მიღებულ ფინანსურ შემოსავალსა და გადახდილ საპროცენტო ხარჯებს შორის მარჟები შეიძლება ასეთი ცვლილებების გამო გაიზარდოს, მაგრამ შეიძლება შემცირდეს, ან წარმოქმნას ზარალი მოულოდნელი მერყეობის შემთხვევაში.

ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის საბალანსო ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აგრეგირებული თანხები **2025 წლის 30 ივნისის** მდგომარეობით, რომლებიც კლასიფიცირებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთის შეცვლის ან დაფარვის ვადის მოსვლის თარიღებს შორის უადრესის მიხედვით.

(ათასი ლარი)	1 თვემდე	1 თვიდან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი ვადით	სულ
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	108,339	-	-	-	108,339
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	-	2,000	2,000	4,000
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	48,386	25,258	115,173	290,799	479,616
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1,106	-	-	-	-
სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები	28,160	-	36,429	59,823	124,412
სხვა ფინანსური აქტივები	53,440	31	88	71	53,630
ფინანსური აქტივები, სულ	**239,431**	**25,289**	**153,690**	**352,693**	**771,103**
ფინანსური ვალდებულებები					
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	17,138	11,187	166,862	270,199	465,386
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	328	114,528	-	114,856
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	5,156	1,091	13,636	37,697	57,580
სუბორდინირებული სესხები	991	-	-	47,478	48,469

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	-	-	-	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	5,872	125	580	1,770	8,347
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	**29,157**	**12,731**	**295,606**	**357,144**	**694,638**

კომპანიის საბალანსო ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აგრეგირებული თანხები რომლებიც კლასიფიცირებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთის შეცვლის ან დაფარვის ვადის მოსვლის თარიღებს შორის უადრესის მიხედვით, **2024 წლის 31 დეკემბრის** მდგომარეობით, მოცემულია ცხრილში:

(ათასი ლარი)	1 თვემდე	1 თვიდან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი ვადით	სულ
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	66,868	-	-	-	66,868
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	-	-	-	-
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	31,300	21,808	95,934	287,522	436,564
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	-	-	-	-
სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები	25,239	11,226	34,041	48,690	119,196
სხვა ფინანსური აქტივები	26,538	1,514	335	615	29,002
ფინანსური აქტივები, სულ	**149,945**	**34,548**	**130,310**	**336,827**	**651,630**
ფინანსური ვალდებულებები					
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	2,420	11,291	97,938	244,639	356,288
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	288	-	-	114,368	114,656
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	21,257	2,005	20,605	8,734	52,601
სუბორდინირებული სესხები	752	-	-	48,924	49,676
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	445	-	-	-	445
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,800	104	485	1,527	4,916
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	**27,962**	**13,400**	**119,028**	**418,192**	**578,582**

კომპანიის საბალანსო ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აგრეგირებული თანხები რომლებიც კლასიფიცირებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთის შეცვლის ან დაფარვის ვადის მოსვლის თარიღებს შორის უადრესის მიხედვით, **2024 წლის 30 ივნისის** მდგომარეობით, მოცემულია ცხრილში:

(ათასი ლარი)	1 თვემდე	1 თვიდან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი ვადით	სულ
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	32,031	-	-	-	**32,031**
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	-	-	-	**-**
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	37,117	18,991	88,149	247,567	**391,824**
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	-	-	-	**-**
სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები	-	-	-	-	**-**
სხვა ფინანსური აქტივები	36,422	1,087	103	261	**37,873**
ფინანსური აქტივები, სულ	**105,570**	**20,078**	**88,252**	**247,828**	**461,728**
ფინანსური ვალდებულებები					
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	4,591	7,908	56,646	187,908	**257,053**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-	-	114,465	**114,465**
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	15,788	3,841	6,476	4,477	**30,582**
სუბორდინირებული სესხები	-	-	-	44,115	**44,115**
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	203	-	-	-	**203**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	5,523	88	461	1,874	**7,946**
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	**26,105**	**11,837**	**63,583**	**352,839**	**454,364**

კომპანიის საბალანსო ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აგრეგირებული თანხები რომლებიც კლასიფიცირებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთის შეცვლის ან

დაფარვის ვადის მოსვლის თარიღებს შორის უადრესის მიხედვით, **2023 წლის 31 დეკემბრის** მდგომარეობით, მოცემულია ცხრილში:

(ათასი ლარი)	1 თვემდე	1 თვიდან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი ვადით	სულ
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	57,326	-	-	-	57,326
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	-	10,000	-	10,000
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	30,867	16,702	73,533	247,185	368,287
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	91	-	-	-	91
სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები	24,335	1,199	1,657	-	27,191
სხვა ფინანსური აქტივები	28,463	133	308	720	29,624
ფინანსური აქტივები, სულ	**141,082**	**18,034**	**85,498**	**247,905**	**492,519**
ფინანსური ვალდებულებები					
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	30,700	3,179	66,058	155,961	255,898
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	317	-	-	102,810	103,127
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	18,766	369	4,315	-	23,450
სუბორდინირებული სესხები	718	-	-	41,466	42,184
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	-	-	-	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	7,349	85	407	1,736	9,577
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	**57,850**	**3,633**	**70,780**	**301,973**	**434,236**

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას ან არ აქვს საკმარისი ფინანსური რესურსები ხელმისაწვდომი, რომ დაფაროს ყველა თავისი ვალდებულება ვადის დადგომისას, ან შეუძლია ამ რესურსებზე წვდომა მხოლოდ მაღალი ხარჯით. რისკს მართავენ ფინანსური რისკის მართვისა და ხაზინის დეპარტამენტები და მონიტორინგს უწევს დირექტორთა საბჭო, რომელიც შედგება გენერალური დირექტორისგან, რისკების დირექტორისგან, ფინანსური დირექტორისგან და კომერციული დირექტორისგან.

კომპანიის ლიკვიდურობის რისკის მართვის პოლიტიკის მთავარი ამოცანებია: (i) უზრუნველყოს ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობა, რათა დააკმაყოფილოს მთლიანი ვალდებულებებისგან წარმომდგარი მოთხოვნები ეკონომიკურ ფასად; (ii) აღიაროს ნებისმიერი სტრუქტურული შეუსაბამობა, რომელიც არსებობს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და დააწესოს მონიტორინგის კოეფიციენტები, რათა მართოს დაფინანსება კარგად დაბალანსებული ზრდის შესაბამისად; და (iii) მოახდინოს ლიკვიდურობის და დაფინანსების მუდმივი მონიტორინგი, რათა უზრუნველყოს, რომ ბიზნესის დამტკიცებული მიზნები სრულდება კომპანიის რისკის პროფილისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

კომპანია ლიკვიდურობის გეპის ანალიზის მონიტორინგს ახდენს დისკონტირებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მოსალოდნელი ვადიანობის საფუძველზე. მოცემულ ცხრილში, წარმოდგენილია **2025 წლის 30 ივნისის** მდგომარეობით მოსალოდნელი ლიკვიდურობის გეპი:

(ათასი ლარი)	1 თვემდე	1 თვიდან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი ვადით	სულ
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	108,339	-	-	-	108,339
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	-	2,000	2,000	4,000
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	48,386	25,258	115,173	290,799	479,616
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1,106	-	-	-	1,106
სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები	28,160	-	36,429	59,823	124,412
სხვა ფინანსური აქტივები	53,440	31	88	71	53,630
ფინანსური აქტივები, სულ	**239,431**	**25,289**	**153,690**	**352,693**	**771,103**
ფინანსური ვალდებულებები					
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	17,138	11,187	166,862	270,199	465,386
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	328	114,528	-	114,856

მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	5,156	1,091	13,636	37,697	57,580
სუბორდინირებული სესხები	991	-	-	47,478	48,469
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	-	-	-	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	5,872	125	580	1,770	8,347
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	**29,157**	**12,731**	**295,606**	**357,144**	**694,638**
ლიკვიდურობის გეპი	**210,274**	**12,558**	**(141,916)**	**(4,451)**	**76,465**

მოცემულ ცხრილში, წარმოდგენილია **2024 წლის 31 დეკემბრის** მდგომარეობით მოსალოდნელი ლიკვიდურობის გეპი:

(ათასი ლარი)	1 თვემდე	1 თვიდან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი ვადით	სულ
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	66,868	-	-	-	66,868
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	-	-	-	-
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	31,300	21,808	95,934	287,522	436,564
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	-	-	-	-
სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები	25,239	11,226	34,041	48,690	119,196
სხვა ფინანსური აქტივები	26,538	1,514	335	615	29,002
ფინანსური აქტივები, სულ	**149,945**	**34,548**	**130,310**	**336,827**	**651,630**
ფინანსური ვალდებულებები					
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	2,420	11,291	97,938	244,639	356,288
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	288	-	-	114,368	114,656
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	21,257	2,005	20,605	8,734	52,601
სუბორდინირებული სესხები	752	-	-	48,924	49,676
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	445	-	-	-	445
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,800	104	485	1,527	4,916
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	**27,962**	**13,400**	**119,028**	**418,192**	**578,582**
ლიკვიდურობის გეპი	**121,983**	**21,148**	**11,282**	**(81,365)**	**73,048**

მოცემულ ცხრილში, წარმოდგენილია **2024 წლის 30 ივნისის** მდგომარეობით მოსალოდნელი ლიკვიდურობის გეპი:

(ათასი ლარი)	1 თვემდე	1 თვიდან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი ვადით	სულ
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	32,031	-	-	-	**32,031**
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	-	-	-	**-**
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	37,117	18,991	88,149	247,567	**391,824**
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	-	-	-	**-**
სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები	-	-	-	-	**-**
სხვა ფინანსური აქტივები	36,422	1,087	103	261	**37,873**
ფინანსური აქტივები, სულ	**105,570**	**20,078**	**88,252**	**247,828**	**461,728**
ფინანსური ვალდებულებები					
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	4,591	7,908	56,646	187,908	**257,053**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-	-	114,465	**114,465**
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	15,788	3,841	6,476	4,477	**30,582**
სუბორდინირებული სესხები	-	-	-	44,115	**44,115**
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	203	-	-	-	**203**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	5,523	88	461	1,874	**7,946**
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	**26,105**	**11,837**	**63,583**	**352,839**	**454,364**
ლიკვიდურობის გეპი	**79,465**	**8,241**	**24,669**	**(105,011)**	**7,364**

მოცემულ ცხრილში, წარმოდგენილია **2023 წლის 31 დეკემბრის** მდგომარეობით მოსალოდნელი ლიკვიდურობის გეპი:

(ათასი ლარი)	1 თვემდე	1 თვიდან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი ვადით	სულ
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	57,326	-	-	-	57,326
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	-	10,000	-	10,000
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	30,867	16,702	73,533	247,185	368,287
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	91	-	-	-	91
სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები	24,335	1,199	1,657	-	27,191
სხვა ფინანსური აქტივები	28,463	133	308	720	29,624
ფინანსური აქტივები, სულ	**141,082**	**18,034**	**85,498**	**247,905**	**492,519**
ფინანსური ვალდებულებები					
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	30,700	3,179	66,058	155,961	255,898
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	317	-	-	102,810	103,127
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	18,766	369	4,315	-	23,450
სუბორდინირებული სესხები	718	-	-	41,466	42,184
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	-	-	-	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	7,349	85	407	1,736	9,577
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	**57,850**	**3,633**	**70,780**	**301,973**	**434,236**
ლიკვიდურობის გეპი	**83,232**	**14,401**	**14,718**	**(54,068)**	**58,283**

კაპიტალიზაცია და დავალიანება

ემიტენტის კაპიტალიზაციისა და დავალიანების სტრუქტურა შესაბამისი პერიოდების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

('000 ლარი)	31-აგვისტო-2025 პრო-ფორმა(2)*	31-აგვისტო-2025 პრო-ფორმა(1)*	31-აგვისტო-2025 არააუდიტი-რებული	30-ივნისი-2025 არააუდიტი-რებული	31-დეკ-2024 აუდიტირე-ბული	31-დეკ-2023 აუდიტირე-ბული
ვალდებულებები:						
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	491,255	491,255	491,255	465,373	356,288	255,898
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	280,504	198,796	117,088	114,856	114,656	103,127
სუბორდინირებული სესხები	47,678	47,678	47,678	48,469	49,676	42,184
სულ პროცენტიანი ვალდებულებები	**819,437**	**737,729**	**656,021**	**628,698**	**520,620**	**401,209**
კაპიტალი:						
სააქციო კაპიტალი	-	-	3,659	3,659	3,659	3,659
დამატებითი შეტანილი კაპიტალი	-	-	7,550	7,550	7,550	7,550
გაუნაწილებელი მოგება	-	-	98,552	95,912	85,547	67,493
სულ საკუთარი კაპიტალი	**-**	**-**	**109,761**	**107,121**	**96,756**	**78,702**
სულ კაპიტალიზაცია და დავალიანება	**-**	**-**	**765,783**	**735,819**	**617,376**	**479,911**

*პრო-ფორმა ეფექტში მოცემულია წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული ობლიგაციების ემისიის ეფექტი - (1) „ობლიგაციების“ პირველი ტრანში 30 მილიონ დოლარამდე და (2) ჯამური 60 მილიონი დოლარის ოდენობით, საიდანაც სრული თანხა მოხმარდება სალიზინგო პორტფელის ზრდას. ამასთან სალიზინგო პორტფელის ზრდის პარალელურად მისი შემცირება მოხდება გადახდებით, რომლებიც ემიტენტის ბიზნეს ოპერაციების შესაბამისად - მიმართული იქნება მიღებული საპროცენტო ვალდებულებების დასაფარად. შესაბამისად მოსალოდნელია, რომ ლიზინგებზე გადახდების გათვალისწინებით სალიზინგო პორტფელისა და აღებული საპროცენტო ვალდებულებების პორტფელის ზრდის მაჩვენებელი არ იქნება რადიკალურად განსხვავებული წინა პერიოდებისგან. დეტალური ინფორმაცია ობლიგაციებით მოზიდული სახსრების გამოყენებასთან დაკავშირებით იხილეთ პროსპექტის ქვეთავში *„მოზიდული სახსრების მიზნობრიობა“.*

ემიტენტის დავალიანებების ჩაშლა მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად შესაბამისი პერიოდების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

('000 ლარი)	31-აგვისტო-2025 არააუდიტირებული	30-ივნისი-2025 არააუდიტირებული	31-დეკ-2024 აუდიტირებული	31-დეკ-2023 აუდიტირებული
გრძელვადიანი სესხები:				
მიღებული სესხები	194,500	270,199	244,639	155,961
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	117,088	-	114,368	102,810
სუბორდინირებული ვალი	504	47,478	48,924	41,466
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**312,092**	**317,677**	**407,931**	**300,237**
მოკლევადიანი სესხები				
მიღებული სესხები	296,755	195,174	111,649	99,937
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	114,856	288	317
სუბორდინირებული ვალი	47,175	991	752	718
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**343,930**	**311,021**	**112,689**	**100,972**
სულ ვალდებულებები	**656,021**	**628,698**	**520,620**	**401,209**

კომპანიას დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროები აქვს, რაც მოიცავს როგორც ადგილობრივ ბანკებს, ასევე საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს და ობლიგაციებს.

ასევე, დივერსიფიცირებულია კომპანიის დაფინანსების სტრუქტურა კრედიტორების ჭრილში, რაც ნიშნავს, რომ იგი არ არის მნიშვნელოვნად დამოკიდებული რომელიმე კონკრეტულ კრედიტორზე, რაც შესაბამისად ამცირებს რისკს, რომ კომპანიამ სამომავლოდ ვერ მოიზიდოს დამატებითი სახსრები.

მიღებული პროცენტიანი ვალდებულებები 2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით ძირითადი მსესხებლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

გამსესხებელი	სესხის ტიპი	დარჩენილი ძირი	დარიცხული პროცენტი	ვალუტა	გრაფიკის ტიპი	გაცემის თარიღი	საკონტრაქტო ვადა (თვე)	დარჩენილი ვადა დაფარვამდე (თვე)	უზრუნველყოფა
EBRD	Senior	978	7	USD	Semi-Annual	2/23/2021	58	4	კი
Incofin	Senior	4,041	46	USD	Balloon	12/1/2021	48	3	კი

EFSE	Senior	1,848	38	GEL	Semi-Annual	12/30/2021	48	4	კი
Incofin	Senior	9,966	191	USD	Balloon	4/1/2022	48	7	კი
Incofin	Senior	10,772	124	USD	Balloon	5/31/2022	48	9	კი
EFSE	Senior	1,794	19	EUR	Semi-Annual	6/22/2022	42	4	კი
Blue Orchard	Senior	8,060	276	USD	Semi-Annual	9/13/2022	60	25	კი
Blue Orchard	Senior	5,373	170	USD	Semi-Annual	9/27/2022	60	25	კი
EBRD	Senior	4,712	48	EUR	Semi-Annual	12/8/2022	60	28	კი
BOND	Subordinate Bond	16,210	374	USD	Bullet	12/6/2022	64	31	არა
Symbiotics	Senior	1,330	30	GEL	Balloon	12/23/2022	48	16	კი
Symbiotics	Senior	2,659	60	GEL	Balloon	12/24/2022	48	16	კი
Symbiotics	Senior	3,324	74	GEL	Balloon	12/24/2022	48	16	კი
BOND	Subordinate Bond	17,415	162	USD	Bullet	1/25/2023	62	31	არა
Triple Jump	Senior	24,475	309	EUR	Balloon	2/28/2023	40	10	კი
Triple Jump	Subordinate	8,021	94	USD	Bullet	3/14/2023	61	32	არა
BOND	Senior Bond	99,773	2,195	GEL	Bullet	3/20/2023	36	7	კი
BOND	Senior Bond	14,825	295	GEL	Bullet	6/28/2023	36	10	კი
DWM	Senior	4,706	83	EUR	Balloon	6/29/2023	36	10	კი
DWM	Senior	4,705	24	EUR	Balloon	8/2/2023	36	11	კი
Symbiotics	Senior	18,788	75	EUR	Balloon	8/7/2023	48	24	კი
Symbiotics	Senior	1,565	6	EUR	Balloon	8/7/2023	48	24	კი
DWM	Senior	7,837	138	EUR	Balloon	9/15/2023	36	13	კი
DWM	Senior	4,705	83	EUR	Balloon	9/15/2023	33	10	კი
DWM	Senior	3,133	16	EUR	Balloon	9/15/2023	35	11	კი
DWM	Senior	12,526	55	EUR	Balloon	12/6/2023	36	15	კი

Responsibility	Senior	6,262	79	EUR	Balloon	12/12/2023	48	28	კი
EFSE	Senior	6,196	69	EUR	Semi-Annual	12/13/2023	48	28	კი
EFSE	Senior	15,719	173	EUR	Semi-Annual	2/20/2024	46	28	კი
Is Bank	Senior	10,000	101	GEL	Bullet	3/22/2024	18	1	კი
PROPARCO	Senior	24,205	277	EUR	Semi-Annual	6/10/2024	54	40	კი
CDP	Senior	31,215	208	EUR	Semi-Annual	9/11/2024	59	48	კი
Liberty Bank	Senior	17,515	120	USD	Bullet	10/30/2024	14	4	კი
GGF	Senior	10,261	246	GEL	Semi-Annual	10/30/2024	47	37	კი
DWM	Senior	5,358	129	USD	Balloon	12/12/2024	24	16	კი
Symbiotics	Senior	6,685	99	USD	Balloon	12/20/2024	36	28	კი
GGF	Senior	10,193	241	GEL	Semi-Annual	12/20/2024	45	37	კი
Halyk Bank	Senior	10,816	20	GEL	Balloon	12/24/2024	12	4	კი
Triple Jump	Subordinate	5,339	64	USD	Bullet	12/27/2024	61	53	არა
Qartu Bank	Senior	10,000	18	GEL	Bullet	12/31/2024	13	5	კი
FMO	Senior	15,570	244	EUR	Semi-Annual	1/27/2025	51	45	კი
FMO	Senior	15,562	244	EUR	Semi-Annual	3/19/2025	50	45	კი
FMO	Senior	15,557	282	EUR	Semi-Annual	4/24/2025	49	45	კი
DWM	Senior	6,234	32	EUR	Balloon	5/13/2025	36	33	კი
Symbiotics	Senior	17,644	216	GEL	Bullet	5/26/2025	36	33	კი
Halyk Bank	Senior	5,346	31	USD	Balloon	6/10/2025	12	9	კი
Blue Orchard	Senior	40,028	618	USD	Semi-Annual	6/20/2025	60	58	კი
Incofin	Senior	9,353	119	USD	Bullet	6/27/2025	36	34	კი
Blue Orchard	Senior	40,017	99	USD	Semi-Annual	8/20/2025	60	61	კი

Responsibility	Senior	18,675	16	EUR	Balloon	8/25/2025	36	36	კი
სულ		**647,288**	**8,734**						

მიღებული პროცენტიანი ვალდებულებები 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ძირითადი მსესხებლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

გამსესხებელი	სესხის ტიპი	დარჩენილი ძირი	დარიცხული პროცენტი	ვალუტა	გრაფიკის ტიპი	გაცემის თარიღი	საკონტრაქტო ვადა (თვე)	დარჩენილი ვადა დაფარვამდე (თვე)	უზრუნველყოფა
EBRD	Senior	988	1	USD	Semi-Annual	2/23/2021	58	6	კი
Incofin	Senior	1,362	24	USD	Semi-Annual	8/25/2021	48	2	კი
Incofin	Senior	4,083	15	USD	Semi-Annual	12/1/2021	48	5	კი
EFSE	Senior	1,846	7	GEL	Quarterly	12/30/2021	48	6	კი
Incofin	Senior	10,071	115	USD	Semi-Annual	4/1/2022	48	9	კი
Incofin	Senior	10,885	41	USD	Semi-Annual	5/31/2022	48	11	კი
EFSE	Senior	1,819	4	EUR	Quarterly	6/22/2022	42	6	კი
Blue Orchard	Senior	8,143	178	USD	Semi-Annual	9/13/2022	60	27	კი
Blue Orchard	Senior	5,428	104	USD	Semi-Annual	9/27/2022	60	27	კი
EBRD	Senior	4,777	7	EUR	Semi-Annual	12/8/2022	60	30	კი
BOND	Subordinate Bond	16,380	109	USD	Quarterly	12/6/2022	64	34	არა
Symbiotics	Senior	1,329	3	GEL	Semi-Annual	12/23/2022	48	18	კი
Symbiotics	Senior	2,658	6	GEL	Semi-Annual	12/24/2022	48	18	კი
Symbiotics	Senior	3,322	8	GEL	Semi-Annual	12/24/2022	48	18	კი
BOND	Subordinate Bond	17,597	292	USD	Quarterly	1/25/2023	62	34	არა
Triple Jump	Senior	24,809	64	EUR	Semi-Annual	2/28/2023	40	12	კი
Triple Jump	Subordinate	8,106	334	USD	Semi-Annual	3/14/2023	61	34	არა
BOND	Senior Bond	99,711	315	GEL	Quarterly	3/20/2023	36	9	კი
BOND	Senior Bond	14,817	14	GEL	Quarterly	6/28/2023	36	12	კი
DWM	Senior	4,770	42	EUR	Semi-Annual	6/29/2023	36	12	კი
DWM	Senior	4,768	120	EUR	Semi-Annual	8/2/2023	36	13	კი
Symbiotics	Senior	19,046	456	EUR	Semi-Annual	8/7/2023	48	26	კი

Symbiotics	Senior	1,587	38	EUR	Semi-Annual	8/7/2023	48	26	კი
DWM	Senior	7,944	69	EUR	Semi-Annual	9/15/2023	36	15	კი
DWM	Senior	4,769	42	EUR	Semi-Annual	9/15/2023	33	12	კი
DWM	Senior	3,175	80	EUR	Semi-Annual	9/15/2023	35	13	კი
DWM	Senior	12,696	297	EUR	Semi-Annual	12/6/2023	36	17	კი
Responsibility	Senior	6,347	23	EUR	Semi-Annual	12/12/2023	48	30	კი
EFSE	Senior	6,273	13	EUR	Semi-Annual	12/13/2023	48	30	კი
EFSE	Senior	15,941	32	EUR	Semi-Annual	2/20/2024	46	30	კი
Is Bank	Senior	10,000	95	GEL	Monthly	3/22/2024	18	3	კი
PROPARCO	Senior	24,526	55	EUR	Semi-Annual	6/10/2024	54	42	კი
Halyk Bank	Senior	10,936	52	USD	Monthly	8/8/2024	12	1	კი
CDP	Senior	31,644	0	EUR	Semi-Annual	9/11/2024	59	50	კი
Liberty Bank	Senior	17,703	113	USD	Monthly	10/30/2024	14	6	კი
GGF	Senior	10,250	45	GEL	Quarterly	10/30/2024	47	39	კი
DWM	Senior	5,410	65	USD	Quarterly	12/12/2024	24	18	კი
Symbiotics	Senior	6,753	14	USD	Semi-Annual	12/20/2024	36	30	კი
GGF	Senior	10,192	44	GEL	Quarterly	12/20/2024	45	39	კი
Halyk Bank	Senior	10,814	20	GEL	Monthly	12/24/2024	12	6	კი
Triple Jump	Subordinate	5,396	255	USD	Semi-Annual	12/27/2024	61	55	არა
Qartu Bank	Senior	10,000	15	GEL	Monthly	12/31/2024	13	7	კი
FMO	Senior	15,781	109	EUR	Semi-Annual	1/27/2025	51	47	კი
Is Bank	Senior	8,700	9	GEL	Quarterly	2/10/2025	5	0	კი
FMO	Senior	15,772	109	EUR	Semi-Annual	3/19/2025	50	47	კი
FMO	Senior	15,766	148	EUR	Semi-Annual	4/24/2025	49	47	კი
DWM	Senior	6,317	38	EUR	Semi-Annual	5/13/2025	36	35	კი
Symbiotics	Senior	17,635	202	GEL	Semi-Annual	5/26/2025	36	35	კი
Halyk Bank	Senior	5,404	25	USD	Monthly	6/10/2025	12	12	კი
Blue Orchard	Senior	40,447	94	USD	Semi-Annual	6/20/2025	60	61	კი
Incofin	Senior	9,438	7	USD	Semi-Annual	6/27/2025	36	36	კი
TBC Bank	Senior	10,000	4	GEL	Monthly	6/30/2025	13	13	კი

სულ	**624,329**	**4,370**	

მიღებული პროცენტიანი ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი მსესხებლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

გამსესხებელი	სესხის ტიპი	დარჩენილი ძირი	დარიცხული პროცენტი	ვალუტა	გრაფიკის ტიპი	გაცემის თარიღი	საკონტრაქტო ვადა (თვე)	დარჩენილი ვადა დაფარვამდე (თვე)	უზრუნველ-ყოფა
EBRD	Senior	2,033	2	USD	Semi-Annual	2/23/2021	58	12	კი
Incofin	Senior	2,805	50	USD	Semi-Annual	8/25/2021	48	8	კი
Incofin	Senior	8,413	32	USD	Semi-Annual	12/1/2021	48	11	კი
EFSE	Senior	3,685	15	GEL	Quarterly	12/30/2021	48	11	კი
Incofin	Senior	10,372	119	USD	Semi-Annual	4/1/2022	48	15	კი
Incofin	Senior	11,212	44	USD	Semi-Annual	5/31/2022	48	17	კი
EFSE	Senior	3,344	8	EUR	Quarterly	6/22/2022	42	11	კი
Blue Orchard	Senior	8,382	193	USD	Semi-Annual	9/13/2022	60	32	კი
Blue Orchard	Senior	5,587	108	USD	Semi-Annual	9/27/2022	60	33	კი
EBRD	Senior	5,263	9	EUR	Semi-Annual	12/8/2022	60	36	კი
BOND	Subordinate Bond	16,868	117	USD	Quarterly	12/6/2022	64	39	არა
Symbiotics	Senior	1,327	3	GEL	Semi-Annual	12/23/2022	48	24	კი
Symbiotics	Senior	2,654	7	GEL	Semi-Annual	12/24/2022	48	24	კი
Symbiotics	Senior	3,317	9	GEL	Semi-Annual	12/24/2022	48	24	კი
BOND	Subordinate Bond	18,119	306	USD	Quarterly	1/25/2023	62	39	არა
Triple Jump	Senior	22,764	63	EUR	Semi-Annual	2/28/2023	40	17	კი
Triple Jump	Subordinate	8,353	351	USD	Semi-Annual	3/14/2023	61	39	არა
BOND	Senior Bond	99,532	317	GEL	Quarterly	3/20/2023	36	15	კი

BOND	Senior Bond	14,794	14	GEL	Quarterly	6/28/2023	36	18	კი
DWM	Senior	4,375	51	EUR	Semi-Annual	6/29/2023	36	18	კი
DWM	Senior	4,374	111	EUR	Semi-Annual	8/2/2023	36	19	კი
Symbiotics	Senior	17,476	428	EUR	Semi-Annual	8/7/2023	48	31	კი
Symbiotics	Senior	1,456	36	EUR	Semi-Annual	8/7/2023	48	31	კი
DWM	Senior	7,287	85	EUR	Semi-Annual	9/15/2023	36	20	კი
DWM	Senior	4,374	51	EUR	Semi-Annual	9/15/2023	33	18	კი
DWM	Senior	2,912	74	EUR	Semi-Annual	9/15/2023	35	19	კი
DWM	Senior	11,643	328	EUR	Semi-Annual	12/6/2023	36	23	კი
Responsibility	Senior	5,823	26	EUR	Semi-Annual	12/12/2023	48	35	კი
EFSE	Senior	5,725	14	EUR	Semi-Annual	12/13/2023	48	35	კი
EFSE	Senior	14,653	35	EUR	Semi-Annual	2/20/2024	46	35	კი
Is Bank	Senior	10,000	23	GEL	Monthly	3/22/2024	12	3	კი
PROPARCO	Senior	25,697	64	EUR	Semi-Annual	6/10/2024	54	48	კი
Liberty Bank	Senior	14,034	93	USD	Monthly	7/1/2024	9	3	კი
Halyk Bank	Senior	16,832	84	USD	Monthly	8/8/2024	12	7	კი
CDP	Senior	29,306	(282)	EUR	Semi-Annual	9/11/2024	59	55	კი
Liberty Bank	Senior	18,244	121	USD	Monthly	10/30/2024	14	12	კი
GGF	Senior	10,217	49	GEL	Quarterly	10/30/2024	47	45	კი
DWM	Senior	5,559	22	USD	Quarterly	12/12/2024	24	23	კი
Symbiotics	Senior	6,948	16	USD	Semi-Annual	12/20/2024	36	35	კი
GGF	Senior	10,188	35	GEL	Quarterly	12/20/2024	45	45	კი
Halyk Bank	Senior	10,808	26	GEL	Monthly	12/24/2024	12	12	კი
Triple Jump	Subordinate	5,558	6	USD	Semi-Annual	12/27/2024	61	61	არა

TBC Bank	Senior	15,000	45	GEL	Monthly	12/25/2024	13	13	კი
Qartu Bank	Senior	10,000	3	GEL	Monthly	12/31/2024	13	13	კი
სულ		**517,314**	**3,307**						

მიღებული პროცენტიანი ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი მსესხებლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

გამსესხებელი	სესხის ტიპი	დარჩენილი ძირი	დარიცხული პროცენტი	ვალუტა	გრაფიკის ტიპი	გაცემის თარიღი	საკონტრაქტო ვადა (თვე)	დარჩენილი ვადა დაფარვამდე (თვე)	უზრუნველყოფა
FMO	Senior	8,809	18	EUR	Semi-Annual	1/15/2020	59	-	კი
PROPARCO	Senior	2,525	4	EUR	Semi-Annual	2/7/2020	58	-	კი
PROPARCO	Senior	5,048	10	EUR	Semi-Annual	4/17/2020	56	-	კი
GGF	Senior	6,567	37	GEL	Quarterly	9/28/2020	48	-	კი
EBRD	Senior	3,885	5	USD	Semi-Annual	2/23/2021	58	12	კი
Incofin	Senior	2,684	48	USD	Semi-Annual	8/25/2021	48	8	კი
Incofin	Senior	8,051	30	USD	Semi-Annual	12/1/2021	48	11	კი
EFSE	Senior	7,343	37	GEL	Quarterly	12/30/2021	48	11	კი
Incofin	Senior	9,925	114	USD	Semi-Annual	4/1/2022	48	15	კი
Incofin	Senior	10,729	43	USD	Semi-Annual	5/31/2022	48	17	კი
EFSE	Senior	6,790	21	EUR	Quarterly	6/22/2022	42	11	კი
Blue Orchard	Senior	8,008	207	USD	Semi-Annual	9/13/2022	60	32	კი
Blue Orchard	Senior	5,338	120	USD	Semi-Annual	9/27/2022	60	33	კი
EBRD	Senior	7,099	15	EUR	Semi-Annual	12/8/2022	60	36	კი
BOND	Subordinate Bond	16,129	112	USD	Quarterly	12/6/2022	64	39	არა
Symbiotics	Senior	1,323	4	GEL	Semi-Annual	12/23/2022	48	24	კი
Symbiotics	Senior	2,647	8	GEL	Semi-Annual	12/24/2022	48	24	კი

Symbiotics	Senior	3,308	10	GEL	Semi-Annual	12/24/2022	48	24	კი
TBC Bank	Senior	5,000	64	GEL	Monthly	12/30/2022	12	-	კი
BOND	Subordinate Bond	17,319	293	USD	Quarterly	1/25/2023	62	39	არა
Triple Jump	Senior	23,045	64	EUR	Semi-Annual	2/28/2023	40	17	კი
Triple Jump	Subordinate	7,994	336	USD	Semi-Annual	3/14/2023	61	39	არა
BOND	Senior Bond	88,024	329	GEL	Quarterly	3/20/2023	36	15	კი
Halyk Bank	Senior	2,689	12	USD	Monthly	6/9/2023	12	-	კი
BOND	Senior Bond	14,752	21	GEL	Quarterly	6/28/2023	36	18	კი
DWM	Senior	4,427	54	EUR	Semi-Annual	6/29/2023	36	18	კი
DWM	Senior	4,426	112	EUR	Semi-Annual	8/2/2023	36	19	კი
Symbiotics	Senior	17,698	434	EUR	Semi-Annual	8/7/2023	48	31	კი
Symbiotics	Senior	1,475	36	EUR	Semi-Annual	8/7/2023	48	31	კი
Halyk Bank	Senior	6,455	27	USD	Monthly	8/10/2023	12	-	კი
Halyk Bank	Senior	6,724	28	USD	Monthly	8/10/2023	12	-	კი
DWM	Senior	7,374	90	EUR	Semi-Annual	9/15/2023	36	20	კი
DWM	Senior	4,425	54	EUR	Semi-Annual	9/15/2023	33	18	კი
DWM	Senior	2,947	53	EUR	Semi-Annual	9/15/2023	35	19	კი
Is Bank	Senior	5,000	8	GEL	Monthly	9/26/2023	4	-	კი
Tera Bank	B2B	8,068	34	USD	Monthly	10/4/2023	3	-	კი
DWM	Senior	11,778	57	EUR	Semi-Annual	12/6/2023	36	23	კი
Responsibility	Senior	5,894	22	EUR	Semi-Annual	12/12/2023	48	35	კი
EFSE	Senior	5,752	22	EUR	Semi-Annual	12/13/2023	48	35	კი
BOG	Senior	4,960	6	GEL	Monthly	12/28/2023	8	-	კი
TBC Bank	Senior	10,000	10	GEL	Monthly	12/28/2023	12	-	კი

TBC Bank	Senior	5,000	5	GEL	Monthly	12/28/2023	12	-	კი
Halyk Bank	Senior	10,750	5	USD	Monthly	12/29/2023	12	-	კი
სულ		**398,187**	**3,021**						

კომპანიის 2025 წლის 31 აგვისტოს, 2025 წლის 30 ივნისს, 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობა ჯამურ სესხებთან მიმართებით 93%, 92%, 90% და 89%-ია, პერიოდების შესაბამისად. ასევე, ზემოთხსენებული თითოეული პერიოდისთვის უზრუნველყოფილი აქტივების შეფარდება უზრუნველყოფილ ვალდებულებებთან 1.1-ის ფარგლებშია.

('000 ლარი)	**31-აგვისტო-2025 არააუდიტირებული**	**30-ივნისი-2025 არააუდიტირებული**	**31-დეკ-2024 აუდიტირებული**	**31-დეკ-2023 აუდიტირებული**
უზრუნველყოფილი სესხების ოდენობა	608,343	580,242	470,944	359,025
უზრუნველყოფილი აქტივების ოდენობა	633,626	633,626	514,991	399,119
უზრუნველყოფილი აქტივების ჩაშლა:				
სასესხო პორტფელი	603,423	603,423	494,354	384,144
ფულადი სახსრები	30,203	30,203	20,637	14,975

მიღებულ პროცენტიან ვალდებულებებზე კომპანიის ნომინალური საპროცენტო განაკვეთები წლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

ვალდებულების ტიპი	**31-აგვისტო-2025**	**30-ივნისი-2025**	**31-დეკ-2024**	**31-დეკ-2023**
მიღებული სესხები (საპროცენტო დიაპაზონი)				
GEL	9.5%-11.5%	9.5%-11.5%	9.5%-11.5%	10.5%-12.5%
USD	4.5%-6.5%	4.5%-6.5%	4.5%-6.5%	4.5%-6.5%
EUR	4.0%-5.5%	4.0%-5.5%	4.0%-5.5%	4.0%-6%
სუბორდინირებული ვალი (საპროცენტო დიაპაზონი)				
USD	7.5%-9.0%	7.5%-9.0%	7.5%-9.0%	7.5%-9.0%
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები (შეწონილი საპროცენტო განაკვეთი)				
GEL	10.9%	10.9%	11.9%	12.86%

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

პროსპექტის შედგენის თარიღისთვის ემიტენტს გამოშვებული აქვს ოთხი ობლიგაცია, საიდანაც ორი - საჯარო ხოლო ორი - კერძო განთავსების გზით.

<u>საჯარო ემისიები:</u>

სს თიბისი ლიზინგმა საჯარო ემისიის გზით 2023 წლის 20 მარტს გამოუშვა 100 მლნ ლარის არასუბორდინირებული უზრუნველყოფილი ობლიგაციები (ISIN: GE2700604293). აღნიშნულ ობლიგაციებზე კუპონის გადახდა ხდება კვარტლურად და ვადამოსული ხდება 2026 წლის 20 მარტს.

სს თიბისი ლიზინგმა საჯარო ემისიის გზით 2023 წლის 27 ივნისს გამოუშვა მეორე არასუბორდინირებული უზრუნველყოფილი მწვანე ობლიგაციები (ISIN: GE2700604467) 15 მლნ ლარის ოდენობით. აღნიშნულ ობლიგაციებზე კუპონის გადახდა ხდება კვარტლურად და ვადამოსული ხდება 2026 წლის 27 ივნისს. აღნიშნული მწვანე ობლიგაციების მიზნობრიობა იყო სალიზინგო პორტფელის ზრდა, მიღებული სახსრების გამოყენება მოხდა შესაბამისი „დასაშვებობის კრიტერიუმით“ შერჩეული პროექტების განსახორციელებლად, კერძოდ, სალიზინგო პორტფელის ზრდას ისეთი აქტივებისთვის, რომლებიც სხვა ალტერნატივებთან შედარებით ენერგიის/ გამონაბოლქვის მინიმუმ 15%- მდე შემცირებას იწვევს. ასევე, ისეთი ეკოლოგიური ტრანსპორტი, როგორიცაა ელექტრო და ჰიბრიდული მანქანები.

ემიტენტს განსაზღვრული აქვს გარკვეული დათქმები, იხილეთ სექცია *„ობლიგაციების არაფინანსური კოვენანტები“*.

<u>კერძო ემისიები:</u>

სს თიბისი ლიზინგმა კერზო ემისიის გზით 2023 წლის 25 იანვარს და 2022 წლის 5 დეკემბერს გამოუშვა სუბორდინირებული არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები 6.545 მლნ და 6.050 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. აღნიშნულ ობლიგაციებზე კუპონის გადახდა ხდება კვარტლურად და ვადამოსული ხდება 2028 წლის 25 იანვარსა და 2028 წლის 31 მარტს.

ემიტენტს გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდებით განსაზღვრული აქვს როგორც ფინანსური ისე არაფინანსური კოვენანტები.

ობლიგაციების ფინანსური კოვენანტები:

დათქმის ტიპი	30-ივნისი-2025 პრო-ფორმა(2)	30-ივნისი-2025 პრო-ფორმა(1)	30-ივნისი-2025	31-დეკემბერი-2024	31-დეკემბერი-2023	ზღვარი	აკმაყოფილებს კი/არა (პერიოდების მიხედვით)
ფინანსური ვალდებულებები / აქტივებთან	82%	81%	79%	77%	78%	<91%	კი,კი,კი

ობლიგაციების ფინანსური კოვენანტი დაითვლება 31 დეკემბრისთვის დასრულებული აუდირებული და 30 ივნისისთვის დასრულებული არა-აუდირებული კალენდარული წლისთვის. აღნიშნული კოვენანტი <u>არ</u> წარმოადგენს კომპანიისთვის ისეთ შეზღუდვას, რომლის შესრულებაც ემიტენტს უწევს ნებისმიერ მომენტში. კოვენანტის მოთხოვნა უნდა კმაყოფილდებოდეს ახალი „ფინანსური ვალდებულების“ აღების მომენტში, წინააღმდეგ შემთხვევაში ემიტენტს ეზღუდება „ფინანსური ვალდებულების“ დამატება.

„ფინანსურ ვალდებულებებში“ გაითვალისწინება ნებისმიერ „პირთან“ მიმართებით ნებისმიერ განსაზღვრულ დროს (გამეორების გარეშე): (ა) ამგვარი „პირის“ მიერ სესხად აღებული ფულადი თანხის შედეგად ყველა დავალიანებას; (ბ) ამგვარი „პირის“ ყველა ვალდებულებას, რომელიც დასტურდება ობლიგაციებით, სავალო ხელწერილებით ან/და სხვა მსგავსი დოკუმენტებით.

ემიტენტს სუბორდინირებულ ობლიგაციებზე არ აქვს განსაზღვრული ფინანსური კოვენანტები.

ობლიგაციების არაფინანსური კოვენანტები:

ობლიგაციების არაფინანსური კოვენანტების სანახავად გთხოვთ იხილოთ საჯარო ემისიის პროსპექტების (ობლიგაციები ISIN: GE2700604293 ლინკზე - სს-თიბისი-ლიზინგი-საბოლოო-პროსპექტი030523.pdf; მწვანე ობლიგაციები ISIN: GE2700604467 ლინკზე - tbcl-prospectus260623.pdf) ქვეთავი *„ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა”.*

დამატებით, მწვანე ობლიგაციების სტატუსიდან გამომდინარე, ემიტენტს აღებული აქვს გარკვეული ვალდებულებები, მათ შორის:

i “დასაშვებობის კრიტერიუმების” დაცვა - რომელშიც შედის იმ აქტივების დაფინანსება, რომლებიც სხვა ალტერნატივებთან შედარებით ენერგიის/ გამონაბოლქვის მინიმუმ 15%- მდე შემცირებას იწვევს. ასევე, ისეთი ეკოლოგიური ტრანსპორტი, როგორიცაა ელექტრო და ჰიბრიდული მანქანები;
ii “მწვანე კომიტეტის” შექმნა - რომელიც აფასებს თუ რამდენად შეესაბამება დასაფინანსებელი პროექტი დასაშვებობის კრიტერიუმს და ახდენს მოზიდული სახსრების განაწილების მონიტორინგს;
iii “მიღებული სახსრების განაწილების ანგარიშის” გასაჯაროება - რომელიც მოიცავს განაწილებული და გაუნაწილებელი სახსრების ბალანსისა და პროცენტული გადანაწილების რეპორტინგს;
iv “ზეგავლენის ანგარიშის” გასაჯაროება - რომელიც მოიცავს კლიენტების მონაცემებზე დაყრდნობით CO2-ის ემისიის შემცირებული ოდენობის რეპორტინგს. ემიტენტისთვის აღნიშნული ანგარიშის გამოქვეყნება ნებაყოფლობითია, განსხვავებით პირველ სამ პუნქტში დაფარული ვალდებულებებისა.

ემიტენტს სუბორდინირებულ ობლიგაციებზე არ აქვს განსაზღვრული არაფინანსური კოვენანტები.

პროსპექტში ნაჩვნეები პერიოდებისთვის ემიტენტის მხრიდან არ ჰქონია ობლიგაციების არაფინანსური კოვენანტების დარღვევას ადგილი.

არაფინანსური დათქმების მიმოხილვა

ზემოთ ჩამოთვლილი პერიოდებისთვის, კომპანიას კომერციული ბანკებისგან და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულ სახსრებზე აქვს გარკვეული არაფინანსური დათქმები. არაფინანსური კოვენანტები მოიცავს რიგ შეზღუდვებს, როგორიცაა:

› **დივიდენდების განაწილება:** დივიდენდის გამოცხადებისა და გადახდის შეზღუდვა კრედიტორის წინასწარი თანხმობის გარეშე;
› **აქტივების განკარგვა:** აქტივების მატერიალური ნაწილის გაყიდვა, გადაცემა, ლიზინგით გაცემა ან სხვაგვარად გადაცემა (გარდა კომპანიის პირდაპირი ბიზნეს საქმიანობიდან გამომდიარე) კრედიტორის წინასწარი თანხმობის გარეშე;
› **შერწყმა:** შერწმის, გამოყოფის, კონსოლიდაციის ან ნებისმიერი რეორგანიზაციის განხორციელება, კრედიტორის წინასწარი თანხმობის გარეშე;

› **სხვა:** ნებისმიერ აქტივობის განხორციელება რაც გამოიწვევს არსებითად უარყოფით მატერიალურ ეფექტს.

ამასთან, პროსპექტში ნაჩვნეები პერიოდებისთვის ემიტენტის მხრიდან არ ჰქონია არაფინანსური კოვენანტების დარღვევას ადგილი.

ფინანსური დათქმების მიმოხილვა

კომპანიას მიღებულ სესხებზე გარკვეული ფინანსური კოვენანტების დაცვა უწევს, რომლებიც სხვა წყაროებიდან მოზიდულ სახსრებზე დაწესებულ დათქმებზე მკაცრია.

აღნიშნული კოვენანტების მოკლე მიმოხილვა და შესაბამისი მაჩვენებლები 2025 წლის 31 აგვისტოს, 2025 წლის 30 ივნისის, 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

დათქმის ტიპი*	31-აგვისტო-2025	30-ივნისი-2025	31-დეკემბერი-2024	31-დეკემბერი-2023	ზღვარი	აკმაყოფილებს კი/არა (პერიოდების მიხედვით)
1. ღია სავალუტო პოზიცია	-4%	-1%	6%	4%	<25%	კი,კი,კი,კი
2. კაპიტალის ადეკვატურობა 1	15%	15%	16%	17%	>9%	კი,კი,კი,კი
3. კაპიტალის ადეკვატურობა 2	22%	18%	19%	21%	>18%	კი,კი,კი,კი
4. სესხის მომსახურეობის კოეფიციენტი	405%	555%	614%	356%	>100%	კი,კი,კი,კი
5. დაკავშირებულ მხარეებთან ექსფოუჟერი	3%	4%	4%	5%	<25%	კი,კი,კი,კი

**ზემოთმოცემული კოეფიციენტები არ წარმოადგენს კომპანიის ფინანსური კოვენანტების სრულ სიას. აქ წარმოდგენილია კომპანიაზე დაკისრებული ყველაზე მკაცრი კოეფიციენტები, რომლებიც ვალდებულებების არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე უნდა სრულდებოდეს.*

***მიღებულ სესხებზე კოვენანტების მოკლე მიმოხილვის ცხრილში მოცემული კოეფიციენტებისთვის არ ხდება პრო-ფორმა ეფექტის განსაზღვრა, რადგან წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული ობლიგაციების ემისიასა და შესაბამის მოზიდული სახსრების მიზნობრიობას ეფექტის შეფასება სუბირექტურია.*

კოვენანტები ითვლება ფასს-ის მიხედვით მომზადებული ინდივიდუალური მენეჯერული ანგარიშგებებიდან და აუდიტირებული ანგარიშგებიდან (არსებობის შემთხვევაში). კოვენანტები უნდა სრულდებოდეს წლის ნებისმიერ მონაკვეთში.

კოვენანტების მონიტორინგი ხდება ყოველთვიურად, ხოლო გამსესხებელთან დარეპორტების სიხშირე განსხვავებულია გამსესხებლების მიხედვით.

ფინანსური დათქმების მიმოხილვის სექციაში ნაჩვენები ფინანსური კოვენანტების დათვლის მეთოდოლოგია:

1. **ღია სავალუტო პოზიცია** - პერიოდის წმინდა სავალუტო პოზიციის შეფარდება პერიოდის აქციონერთა კაპიტალისა და სუბორდინირებული სესხების ჯამზე;
2. **კაპიტალის ადეკვატურობა 1** – აქციონერთა კაპიტალის შეფარდება მთლიათ აქტივებისა და ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების სხვაობასთან;
3. **კაპიტალის ადეკვატურობა 2** – აქციონერთა კაპიტალისა და სუბორდინირებული სესხების ჯამის შეფარდება მთლიათ აქტივებისა და ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების სხვაობასთან;

4. **სესხის მომსახურების კოეფიციენტი** - პერიოდის ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების, ბანკებიდან მისაღები თანხების, 6 თვეზე ნაკლები ვადიანობის ფინანსური ლიზინგიდან მისაღები თანხების 10%-ის, ხელმოწერილი საპროცენტო ფინანსური ვალდებულების ჯამის შეფარდება 6 თვეზე ნაკლები ვადიანობის საპროცენტო ვალდებულებების გადასახდელებთან;
5. **დაკავშირებულ მხარეებთან ექსფოუჟერი** - დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული პორტფელის შეფარდება აქციონერთა კაპიტალისა და სუბორდინირებული სესხების ჯამზე.

ემიტენტის განცხადებები

პროსპექტში წარმოდგენილი თარიღებისთვის (2025 წლის 31 აგვისტო, 2025 წლის 30 ივნისი, 2024 წლის 31 დეკემბერი და 2023 წლის 31 დეკემბერი) არ ჰქონია ადგილი ემიტენტის მხრიდან ფინანსური ან/და არაფინანსური დათქმების დარღვევას.

ბოლო ფინანსური წლისა და ამ თარიღიდან პროსპექტის შედგენამდე პერიოდის მანძილზე სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ან/და არაფინანსური დათქმების დარღვევას არ ჰქონია ადგილი.

ბოლო ფინანსური წლისა და ამ თარიღიდან პროსპექტის შედგენამდე პერიოდის მანძილზე სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის ან/და ძირის გადაუხდელობას არ ჰქონია ადგილი.

ემიტენტის დამატებითი სასესხო საჭიროების აღწერა

ობლიგაციებით მოზიდული თანხების გარდა „კომპანია“ გეგმავს ფინანსური რესურსების მოზიდვას ქართული/უცხოური კომერციული ბანკებისგან ან/და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან. კერძოდ, პროსპექტის შედგენის თარიღიდან 2025 წლის ბოლომდე კომპანია გეგმავს მოიზიდოს 135 მილიონ ლარამდე ან მისი ექვივალენტი დამატებითი სახსრები, როგორც წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული „ობლიგაციების“ სახით ისე პარტნიორი ფინანსური ინსტიტუტესბისგან მიღებული სესხებით.

მიღებული საკრედიტო რესურსები კომპანიის მხრიდან ლიზინგით გასაცემად განკუთვნილი აქტივების მიმართულებით გადახდილი ავანსებისა და შესაბამისად, სალიზინგო პორტფელის ზრდას მოხმარდება. აღსანიშნავია, რომ სალიზინგო პორტფელის ზრდის პარალელურად მისი შემცირება მოხდება გადახდებით, რომლებიც ემიტენტის ბიზნეს ოპერაციების შესაბამისად - მიმართული იქნება მიღებული საპროცენტო ვალდებულებების დასაფარად. შესაბამისად მოსალოდნელია, რომ ლიზინგებზე გადახდების გათვალისწინებით სალიზინგო პორტფელისა და აღებული საპროცენტო ვალდებულებების პორტფელის ზრდის მაჩვენებელი არ იქნება რადიკალურად განსხვავებული წინა პერიოდებისგან.

აღსანიშნავია, რომ პროსპექტის შედგენის თარიღისთვის „ემიტენტს“ წლის ბოლომდე გეგმის მიხედვით გათვალისწინებულ მისაღებ რესურსებზე მოლაპარაკებები ყველა მხარესთან დაწყებული აქვს.

2026 წლის განმავლობაში „ემიტენტის“ გამოშვებული საჯარო ობლიგაციები, ჯამში 115 მილიონი ლარის ოდენობით, ხდება ვადამოსული. „კომპანია“ გეგმავს, რომ აღნიშნული ვალდებულებები დაარეფინანსიროს ახალი ობლიგაციების ემისიის გზით (ახალი ობლიგაციების ემისიაში არ გაითვალისწინება წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული ობლიგაციები). პროსპექტის შედგენის თარიღისთვის „კომპანიას“ არ გააჩნია დამატებითი ინფორმაცია ან/და შეფასება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოში სალიზინგო საქმიანობა არ საჭიროებს სპეციალურ ლიცენზიას, ნებართვას ან მსგავს ავტორიზაციას, რაც ნიშნავს რომ ლიზინგი (როგორც ფინანსური, ისე ჩვეულებრივი) დერეგულირებული კომერციული საქმიანობაა. ნებისმიერ კომპანიას შეუძლია დაიწყოს სალიზინგო მომსახურების შეთავაზება მომხმარებელთა შეუზღუდავი წრისთვის ისე, რომ არ დაექვემდებარება რომელიმე ცენტრალიზებული მარეგულირებელი ორგანოს ზედამხედველობას. აქედან გამომდინარე, მას არ აქვს კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნები, ანგარიშგების ვალდებულება და ა.შ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, და თუ იმასაც დავუმატებთ რომ დროდადრო უმჯობესდება ლიზინგით გაცემული აქტივების საგადასახადო რეჟიმი, საქართველოში საკმაოდ კარგი მარეგულირებელი გარემოა სალიზინგო საქმიანობის განხორციელებისათვის, რაც მომხიბვლელი უნდა იყოს შესაბამისი მოთამაშეებისათვის.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სალიზინგო კომპანიები (ანუ საწარმოები, რომლებიც თავიანთი შემოსავლის მინიმუმ 70%-ს აგენერირებენ სალიზინგო საქმიანობიდან), ექვემდებარებიან უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საწინააღმდეგო მოთხოვნებს და წარმოადგენენ კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშვალდებულ პირებს (რომლებსაც ევალებათ მათი მომხმარებლების ჩართულობით დადებული ტრანზაქციების მონიტორინგი და რეპორტინგი, ასევე სხვა მექანიზმების დანერგვა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის თავიდან არიდების მიზნით) და შესაბამისად, სათანადო ანგარიშებს წარადგენენ ფინანსური მონიტორინგის სამსახურში. ეს უკანასკნელი წარმოადგენს დამოუკიდებელ სამთავრობო სტრუქტურას, რომელიც ევალება ანგარიშვალდებული პირების ზედამხედველობა.

მარეგულირებელი ჩარჩოს განვითარება

პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელმაც დაარეგულირა სალიზინგო საქმიანობა იყო 1997 წლის 26 ივნისს მიღებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსი („**სამოქალაქო კოდექსი**“). მოგვიანებით, 2002 წელს ცვლილებები შევიდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში და შეიქმნა სპეციალური, გამარტივებული წარმოება ლიზინგის საგნის ლიზინგის გამცემის მფლობელობაში დაბრუნების მიზნით, რაც წარმოადგენდა ბაზარზე გაზრდილი მოთხოვნებიდან გამომდინარე ლიზინგის გამცემების საჭიროებაზე პასუხს. დაახლოებით იმავე დროს მიღებული იქნა კანონი სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ. აღნიშნული ორი საკანონმდებლო აქტი, საქართველოს საგადასახადო კოდექსთან ერთად, წარმოადგენდა სალიზინგო სფეროს მარეგულირებელ ძირითად აქტებს 2011 წლამდე.

სპეციალური გამარტივებული სამართალწარმოების შემოტანა ითვლებოდა გარდამტეხად სალიზინგო კომპანიებისთვის, ვინაიდან აღნიშნულმა პროცედურამ მათ საშუალება მისცა სწრაფად დაებრუნებინათ ლიზინგის საგანი მფლობელობაში (მანამდე უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა საჭიროებდა ჯერ სალიზინგო ურთიერთობიდან გამომდინარე დავის დასრულებას, რაც უაღრესად ართულებდა ლიზინგის გამცემებისთვის ქონების დაბრუნებას იმ შემთხვევაშიც კი, როცა ლიზინგის მიმღები არღვევდა ნაკისრ ვალდებულებებს). ამის მიუხედავად, ჯამში, სალიზინგო საქმიანობის მარეგულირებელი გარემო კვლავ ვერ უძლებდა კრიტიკას. აღნიშნული განპირობებული იყო ძირითადად ნაკლოვანი და დისკრიმინაციული საგადასახადო რეჟიმით და ასევე, რეგულაციებში არსებული შეუსაბამობებით. კომერციული ბანკებისგან განსხვავებით, სალიზინგო კომპანიებს არ შეეძლოთ უიმედო ვალების ჩამოწერა, 100% ამორტიზირების წესი არ ეხებოდა სალიზინგო კომპანიებს და მოგების გამოთვლის პრინციპები არ იყო ცხადი.

2011 წელს საქართველოს პარლამენტმა გააუქმა სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ კანონი, შეცვალა საგადასახადო კოდექსი და არსებითად შეიცვალა სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები. ცვლილებები ძირითადად ეფუძნებოდა „კერძო სამართლის უნიფიცირების საერთაშორისო ინსტიტუტის“ (UNIDROIT) მიერ შექმნილ ლიზინგის საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს. UNIDROIT წარმოადგენს დამოუკიდებელ სამთავრობათაშორისო პლატფორმას, რომლის სათავო ოფისი არის რომში და რომლის ფუნქციაცაა კომერციული

სამართლის სხვადასხვა ასპექტების ჰარმონიზება ქვეყნების მასშტაბით. ახალმა კანონმდებლობამ (1) შეცვალა ლიზინგის ცნება და მარეგულირებელი წესები სამოქალაქო კოდექსში და ისინი დაუახლოვა საერთაშორისო სტანდარტებს; (2) შექმნა საგადასახადო შეღავათები სალიზინგო კომპანიებისათვის და ასევე, გაამარტივა საგადასახადო ფორმალობები ლიზინგის მიმღებებისთვის და (3) გარკვეული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შეცვლის შედეგად, ეფექტურად შეამცირა საგადასახადო ტვირთი როგორც ლიზინგის გამცემების, ასევე ლიზინგის მიღებებისთვის.

სამოქალაქო კოდექსი ამჟამად კონკრეტულად შეიცავს მითითებას ლიზინგის საგნის შესყიდვის ოფციაზე, რომელიც არ არსებობდა 2011 წლამდე. ამასთან, შემოტანილი იქნა უკულიზინგის ცნება, რამაც შექმნა ლიზინგის მიმღებისთვის ფინანსების მოძიების დამატებითი და კომერციული ბანკის სესხის ალტერნატიული მექანიზმი. რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, შეიზღუდა ხელშეკრულების მოშლის შესაძლებლობა ლიზინგის მიმღებისთვის. ამ უკანასკნელს ლიზინგის ხელშეკრულების მოშლა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეზღუდება ლიზინგის საგნით სარგებლობის უფლება. რაც შეეხება ლიზინგის გამცემს, მას შეუძლია ხელშეკრულება მოშალოს ლიზინგის მიმღების ნებისმიერი არსებითი დარღვევის შემთხვევაში.

დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ ლიზინგის მარეგულირებელი გარემო დინამიურია და მუდმივად ვითარდება. ბოლო პერიოდის მანძილზე საქართველოს მთავრობა მუშაობს ლიზინგის შესახებ ახალი სპეციალური კანონის შემუშავებაზე. მათ შორის, განიხილება სალიზინგო საქმიანობის საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ გადატანა და კაპიტალის ადეკვატურობის გარკვეული მოთხოვნების შემოღება. თუმცა, ეს ინიციატივები ჯერ მხოლოდ მოსაზრების დონეზეა. ემიტენტი შეძლებისდაგვარად ჩართულია ამ პროცესში და მუდმივად მუშაობს სალიზინგო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწის მიზნით.

სალიზინგო საქმიანობის მარეგულირებელი გარემოს ძირითადი მახასიათებლები

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, სალიზინგო საქმიანობა და სალიზინგო კომპანიები არ ექვემდებარება სავალდებულო წესით ლიცენზირებას ან რეგისტრაციას. სალიზინგო ინდუსტრიას არ ჰყავს კონკრეტული რეგულატორი და სალიზინგო კომპანიებს არ ეხება კაპიტალის ადეკვატურობის ან მსგავსი მოთხოვნები. თუმცა, ისინი წარმოადგენენ ანგარიშვალდებულ პირებს ფულის გათეთრების აღკვეთის მიზნით, ექვემდებარებიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ზედამხედველობას და ვალდებულები არიან ანგარიშგება განახორციელონ ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წინაშე. არ არსებობს ასევე რაიმე სახის სამართლებრივი ან რეგულატორული ბარიერი სალიზინგო სფეროში ინვესტირებისათვის. საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს ლიზინგის გამცემის ან მიმღების მიერ ლიზინგის საგნის თანადაფინანსების მოთხოვნებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ ბოლოდროინდელი სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს ნეგატიურ დამოკიდებულებას შეუსაბამოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთების მიმართ. რამდენიმე საქმეში, ამგვარი მაღალი საპროცენტო განაკვეთი ჩაითვალა „ამორალურად“ და შესაბამისად, გაუქმდა სასამართლოს მიერ. ასევე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სასამართლოს უფლება ცალმხრივად და მხარის შუამდგომლობის გარეშე შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პრაქტიკა ეხება სესხებს და არა სალიზინგო ვალდებულებას, სამართლებრივი ურთიერთობის მსგავსების გამო, სავარაუდოა, რომ იგივე მიდგომები გავრცელდება სალიზინგო ურთიერთობაზეც.

გარდა ამისა, 2018 წლის დეკემბერში ცვლილება შევიდა სამოქალაქო კოდექსში, რომელმაც იმავე კოდექსის 625-ე მუხლის (ეხება სასესხო ურთიერთობას და არეგულირებს ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს, წინსწრების საკომისიოს და ა.შ.) ზოგიერთი დებულება გაავრცელა სალიზინგო ურთიერთობაზეც. კერძოდ, თუ ლიზინგის გამცემი მეწარმეა, ლიზინგის გაცემისას ლიზინგის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 50 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. ამასთან, ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ნარჩენი ვალდებულების 0.27 პროცენტს თითოეული დღისთვის, ხოლო წინსწრების საკომისიო - ძირითადი თანხის 2%-ს.

სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს სალიზინგო საქმიანობის სამართლებრივი მხარის ძირითად ასპექტებს, როგორიცაა მხარეთა ვალდებულებები, ზიანის ანაზღაურება, სალიზინგო ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგები და ა.შ. სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული სალიზინგო ურთიერთობის ძირთადი მახასიათებლებია: ლიზინგის გამცემი ლიზინგის მიმღებს ქონებას გადასცემს შეთანხმებული ვადით შესყიდვის უფლებით ან ამ უფლების გარეშე, ხოლო

ლიზინგის მიმღები ვალდებულია გადაიხადოს საზღაური დადგენილი პერიოდულობით, იმ პირობით, რომ ა) ლიზინგის მიმღები განსაზღვრავს ქონებას და ირჩევს მიმწოდებელს, რომლისგანაც ხდება ქონების შესყიდვა ან მისი სხვაგვარად მიღება; და ბ) ლიზინგის გამცემი ქონებას იძენს ლიზინგით გასაცემად და მიმწოდებლისთვის ეს ფაქტი ცნობილია. როგორც უკვე აღინიშნა, სამოქალაქო კოდექსი იცნობს უკულიზინგის ცნებას, როცა ლიზინგით გასაცემი ქონებას იძენს ლიზინგის მიმღებისგან და შემდეგში ლიზინგით გასცემს ქონების წინა მესაკუთრეზე. აღნიშნული მექანიზმი ლიზინგის მიმღებისთვის წარმოადგენს ქონებით დაფინანსების მოძიების საბანკო ან სხვაგვარი სესხის ალტერნატიულ მექანიზმს. საგადასახადო კოდექსის მიზნებისთვის, ლიზინგს ექვემდებარება მხოლოდ ის აქტივები, რომელსაც ცვეთა ერიცხება და სალიზინგო კომპანიად განისაზღვრება საწარმო, რომელიც ფინანსური წლის მანძილზე ჯამური შემოსავლის 70%-ს აგენერირებს სალიზინგო საქმიანობიდან.

სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს გარკვეულ მოთხოვნებს და შეზღუდვებს სალიზინგო ხელშეკრულების შეცვლას ან შეწყვეტასთან მიმართებით. ლიზინგის გამცემი ვალდებულია მოთხოვნისთანავე დაუთმოს ლიზინგის მიმღებს თავისი უფლებები, რომლებიც უკავშირდება მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნას. მიმწოდებელთან დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა, რომლებიც გავლენას ახდენს ლიზინგის მიმღების უფლებებზე, დასაშვებია მხოლოდ ლიზინგის მიმღების თანხმობით, ხოლო ლიზინგის მიმღებს არ აქვს უფლება, შეთანხმდეს მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების შეცვლაზე, შეწყვეტაზე ან მოშლაზე ლიზინგის გამცემის თანხმობის გარეშე. ლიზინგის გამცემს შეუძლია მოშალოს ლიზინგის ხელშეკრულება, თუ ლიზინგის მიმღები არსებითად არღვევს თავის ვალდებულებებს, ხოლო ლიზინგის მიმღებს ხელშეკრულების მოშლა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ვეღარ ახორციელებს მფლობელობას ლიზინგის საგანზე.

იმის გამო, რომ ლიზინგის გამცემი რჩება ლიზინგის საგნის მესაკუთრედ (გარდა იმ შემთხვევისა, თუ სალიზინგო საზღაური სრულად იქნა გადახდილი ლიზინგის მიმღების მიერ), ლიზინგის შეწყვეტის შემთხვევაში, ლიზინგის გამცემი არ არის ვალდებული ლიზინგის მიმღებს დაუბრუნოს ქონების გაუმჯობესება. აღნიშნული პრაქტიკა განსხვავდება სტანდარტული უზრუნველყოფის ღონისძიებისგან, როდესაც კრედიტორი ვალდებულია უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრეს დაუბრუნოს ნებისმიერი ნამეტი თანხა ნარჩენ ვალდებულებასა და ქონების რეალიზაციის შედეგად მიღებულ თანხას შორის.

რაც შეეხება აღსრულებას, სალიზინგო კომპანიები სარგებლობენ აღსრულების სპეციალური გამარტივებული და დაჩქარებული წესით. ამ მიზნით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი შეიცავს სპეციალურ თავს. მოკლედ რომ შევაჯამოთ, დაჩქარებული პროცედურა საშუალებას აძლევს ლიზინგის გამცემს შეიტანოს განცხადება ლიზინგის საგნის დაბრუნების მოთხოვნით, რის შედეგადაც სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს მაქსიმუმ 3 დღის ვადაში. ლიზინგის საგნის დაბრუნებაზე ბრძანება გამოიცემა ზეპირი მოსმენის გარეშე და არ ითვალისწინებს ლიზინგის მიმღების წინასწარ შეტყობინების ვალდებულებას. ამასთან, ლიზინგის საგნის დაბრუნებაზე ბრძანება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას და მას ხელს ვერ უშლის ბრძანების გასაჩივრება. კიდევ უფრო გამარტივებული მექანიზმი შემოიღო სამოქალაქო კოდექსმა 2017 წლიდან ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის. კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „მომსახურების სააგენტო“ უფლებამოსილია გასცეს სალიზინგო მოწმობა ლიზინგის გამცემის სახელზე იმ შემთხვევაში, თუ სალიზინგო ხელშეკრულება დარეგისტრირდება მომსახურების სააგენტოში და ლიზინგის მიმღები უარს ამბობს ლიზინგის საგნის დაბრუნებაზე. სალიზინგო მოწმობა ექვემდებარება პირდაპირ (სასამართლო პროცედურების გავლის გარეშე) და დაუყოვნებლივ აღსრულებას და მას ვერ აჩერებს სალიზინგო მოწმობის გასაჩივრება.

ფულის გათეთრების აღკვეთა და მონიტორინგის ვალდებულება

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი ძალაში შევიდა 2019 წლის 30 ოქტომბერს. აღნიშნულმა კანონმა ჩაანაცვლა „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც მოქმედებდა 2003 წლიდან. ახალი საკანონმდებლო აქტის მიზანი იყო საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება როგორც ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებთან, ასევე „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების მიზნებისთვის ფინანსური სისტემის გამოყენების აღკვეთის თაობაზე“ ევროკავშირის (2015/849) დირექტივასთან.

ახალი კანონის თანახმად, სალიზინგო კომპანიები წარმოადგენენ ანგარიშვალდებულ პირებს, რომლებსაც ეკისრებათ ვალდებულება დაიცვან კანონის მოთხოვნები და მონიტორინგი გაუწიონ მათი კლიენტების გარიგებებს. იგი განსაზღვრავს ანგარიშვალდებული პირების მიერ ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების და მართვის ვალდებულებას. ფინანსური ინკლუზიურობის ხელშეწყობის მიზნით ითვალისწინებს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების დაბალი რისკის არსებობის შემთხვევაში, კანონის ცალკეული მოთხოვნების შესრულებისგან ანგარიშვალდებული პირების გათავისუფლების შესაძლებლობას

კანონმა ასევე შემოიღო პრევენციული ღონისძიებების გატარების ვალდებულება. კერძოდ, კლიენტების და მათი ბენეფიციარი მესაკუთრეების იდენტიფიკაცია და ვინაობის გადამოწმება; საქმიანი ურთიერთობის მიზნის და განზრახული ხასიათის დადგენა; მიმდინარე საქმიანი ურთიერთობის მონიტორინგი. ერთ-ერთი მთავარი სიახლე უკავშირდება პრევენციული ღონისძიებების გატარების საფუძვლებს. აღნიშნული ღონისძიებები მანამდე მხოლოდ იმ შემთხვევაში ტარდებოდა, თუ ანგარიშვალდებულ პირთან დადებული გარიგება აღემატებოდა გარკვეულ თანხას, ხოლო კანონმა შემოგვთავაზა საქმიანი ურთიერთობის გამიჯვნა ერთჯერადი გარიგებისგან. კერძოდ, საქმიანი ურთიერთობის დამყარებისას პრევენციული ღონისძიებები უნდა გატარდეს ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი ურთიერთობის ფარგლებში დადებული ან შესრულებული გარიგებების თუ ოპერაციების თანხის ოდენობის მიუხედავად.

კანონი ასევე ითვალისწინებს ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების მაღალი ან დაბალი რისკის არსებობისას, კლიენტების მიმართ შესაბამისი გაძლიერებული ან გამარტივებული პრევენციული ღონისძიებების გამოყენების საკითხებს.

სალიზინგო კომპანიები ექვემდებარებიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ზედამხედველობას და ასევე ვალდებულები არიან ანგარიშები წარუდგინონ ფინანსური მონიტორინგის სამსახურს. შესაბამისად, გარდა ზემოაღნიშნული კანონისა, სალიზინგო კომპანიებს არეგულირებს „სალიზინგო კომპანიების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის N2 ბრძანება, რომელიც მიღებულია 2013 წლის 5 სექტემბერს („**მონიტორინგის ბრძანება**“).

სალიზინგო კომპანიები ვალდებულები არიან მონიტორინგი გაუწიონ გარიგებებს, მიუხედავად თანხის ოდენობისა აღსანიშნავია, რომ რეპორტინგს ექვემდებარება როგორც საეჭვო გარიგებები, ასევე საეჭვო გარიგების განხორციელების მცდელობაც.

სალიზინგო კომპანიებს ასევე ევალებათ კლიენტების იდენტიფიკაცია. პრაქტიკაში ეს ნიშნავს კლიენტის ფიზიკურ იდენტიფიკაცია გარიგების რომელიმე სტადიაზე არის აუცილებელი. ამასთან, სავალდებულოა კორპორატიული კლიენტების ბენეფიციარების იდენტიფიცირებაც, ისევე როგორც მათი საქმიანობის და კორპორაციული სტრუქტურის შესწავლა. აღსანიშნავია, რომ სალიზინგო კომპანიები ვალდებულები არიან კლიენტის იდენტიფიცირება მოახდინონ არა მხოლოდ გარიგები დადების ეტაპზე, არამედ მათ ეკისრებათ ინფორმაციის პერიოდულად განახლების ვალდებულებაც კლიენტის რისკის დონიდან გამომდინარე.

დაბოლოს, თუ სამინისტრო აღმოაჩენს მონიტორინგის ბრძანების რამე დარღვევას, იგი ვალდებულია შეატყობინოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს და გამოიყენოს შესაბამისი სანქციები. მონიტორინგის სამსახური ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების ან სხვა დანაშაულის თაობაზე დასაბუთებული ვარაუდის გაჩენის შემთხვევაში თავისი ანალიზის შედეგებს უგზავნის საქართველოს გენერალურ პროკურატურას, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, შემოსავლების სამსახურს ან/და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

ანტი-მონოპოლიური რეგულაციები

საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე ზედამხედველობას ახორციელებს 2014 წლის აპრილში დაფუძნებული „საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის სააგენტო“, რომელიც დაარსდა საქართველოს კონკურენციის შესახებ კანონის („**კონკურენციის შესახებ კანონი**“) საფუძველზე. „კონკურენციის შესახებ კანონი“ აღწერს

და განსაზღვრავს იმ ქმედებებს, რომლებიც შეუთავსებელია სამართლიან კონკურენციასთან შესაბამის ბაზარზე. კანონის მიზანია უზრუნველყოს სამართლიანი კონკურენცია შესაბამის ბაზარზე, სპეციალურად რეგულირებული სექტორების გამოკლებით (კანონის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ სექტორებზე, რომელთაც ჰყავთ თავიანთი მარეგულირებელი ორგანო, მაგ.: კომერციული ბანკები). კონკურენციის ცნების განმარტება კონკურენციის შესახებ კანონის მიხედვით არის შემდეგი: „ბაზარზე არსებულ და პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის უკეთესი პოზიციის დასაკავებლად არსებული კონკურენცია“. ამასთან დაკავშირებით, „კონკურენციის შესახებ კანონი“ გამოყოფს რამდენიმე სახის ქმედებას, რაც შეუთავსებლად ითვლება თავისუფალ კონკურენციასთან, კერძოდ: ა) დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენება; ბ) კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება კონკურენციის შეზღუდვაზე, შეთანხმებული ქმედება; გ) შემზღუდველი კონცენტრაცია (შერწყმა ან სხვა კონსოლიდაცია რაც იწვევს კონკურენციის შეზღუდვას); დ) არაკეთილსინდისიერი კონკურენცია; და ე) სახელმწიფო დახმარება.

ზოგადად, „კონკურენციის შესახებ კანონი“ შედგენილია ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლიანი კონკურენციის პრინციპებზე დაყრდნობით. ამასთან, „ასოცირების ხელშეკრულება“ შეიცავს სპეციალურ ნაწილს (თავი 10), რომელიც მთლიანად ეძღვნება კონკურენციის საკითხებს. შესაბამისად, ქართველი კანონმდებლის მიდგომა „კონკურენციის შესახებ კანონთან“ დაკავშირებით, შესაბამისობაშია ევროპულ მიდგომასთან.

კონკურენციის სააგენტო ახორციელებს კერძო პირების მიერ საქართველოს ანტი-მონოპოლურ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კონტროლს და აქვს სხვადასხვა უფლებები მოახდინოს რეაგირება მისი დარღვევის შემთხვევაში, მათ შორის, მოახდინოს ჯარიმების დარიცხვა. დარიცხული ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი კომპანიის წლიური ბრუნვის 5%-ს, რაც შეიძლება გაიზარდოს 10%- მდე განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში. შესაბამისი ეკონომიკური აგენტი უფლებამოსილია კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

დასაქმება

დამსაქმებლის რანგში, „კომპანია“ ვალდებულია დაიცვას ადგილობრივი შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული მინიმალური სტანდარტები თანამშრომლების აყვანის, მათთან ხელშეკრულების შეწყვეტის და მათი დასაქმების ფარგლებში. ძირითადი შრომითი საკითხები საქართველოს ტერიტორიაზე რეგულირებულია საქართველოს შრომის კოდექსით. მოქმედი შრომის კოდექსი მიღებულ იქნა 2010 წლის 17 დეკემბერს. თუმცა, 2013 წლის ივნისში და 2020 წლის სექტემბერში მასში შეტანილ იქნა ცვლილებათა მთელი პაკეტი, რომელიც მიიღო პარლამენტმა და რომელმაც შეცვალა მისი შინაარსი. ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, მოქმედი შრომის კოდექსი აღარ მოქმედებს დამსაქმებლის სასარგებლოდ, პირიქით, მასში შეტანილია დასაქმებულის დამცავი უამრავი უფლება. ძირითადად ასეთი დაცვითი მექანიზმები დასაქმებულების სასარგებლოდ მოქმედებს ხელშეკრულების შეწყვეტის წესთან დაკავშირებით - დამსაქმებელი არ არის უფლებამოსილი შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება უსაფუძვლოდ. ამასთან, ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც 30 თვეზე მეტი ხნის ვადით გრძელდება, ითვლება განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებად და, შესაბამისად, მას არ შეიძლება გაუვიდეს მოქმედების ვადა (შესაძლებელია მხოლოდ მათი შეწყვეტა). დამსაქმებლები ვალდებულნი არიან აანაზღაურონ ზეგანაკვეთური შრომის საათები. ზეგანაკვეთურად ითვლება ნებისმიერი დრო, რომელიც აღემატება კვირაში 40 საათს (ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებია კვირაში 48 საათი). განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ შრომის კოდექსი არ ახდენს დიფერენცირებას ე.წ. ადმინისტრაციაში მომუშავე თანამშრომლებსა და მუშა-ხელს შორის, ასევე სხვა თანამშრომლებისგან არ განასხვავებს მაღალი თანამდებობის პირებს, რომელთაც უკავიათ მენეჯერული პოზიციები, რაც შესაძლოა პრობლემატური იყოს გარკვეულ შემთხვევებში.

მნიშვნელოვანია, რომ შრომის კოდექსი არ ავალდებულებს დამსაქმებლებს უზრუნველყონ მათი თანამშრომლები ნებისმიერი სახის სადაზღვევო პაკეტით ან სხვა რაიმე სოციალური სარგებლით, გამონაკლისს წარმოადგენს მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაო ადგილებზე მომუშავე თანამშრომლები,

რა შემთხვევაშიც დამსაქმებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით მუშაობის პერიოდში დასაქმებული უზრუნველყოს უბედური შემთხვევის დაზღვევით.

ასევე კოდექსი არ ავალდებულებს მათ მისცენ თანამშრომლებს ანაზღაურება ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების დროს, თუმცა ორივეს შეთავაზება დამსაქმებლის მხრიდან ითვლება საუკეთესო პრაქტიკად. სხვა შემთხვევაში, დასაქმებულები უნდა დაეყრდნონ სახელმწიფოსგან მისაღებ ერთჯერად კომპენსაციას ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების შემთხვევაში და საყოველთაო სახელწიფო დაზღვევას, რომელიც ლიმიტირებულ პაკეტს სთავაზობს მომხმარებლებს.

2020 წლის სექტემბრის ცვლილების თანახმად შრომის კოდექსით ახლებურად რეგულირდება შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვასთან, ინდივიდუალურ შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები. კიდევ უფრო გაიზარდა დასაქმებულ პირთა სასარგებლოდ განსაზღვრული პირობები, მათ შორის და არამხოლოდ ქალისა და მამაკაცის მიერ შესრულებული თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების გადახდის ვალდებულება, დისკრიმინაციის აკრძალვა, სტაჟირების ცნების განსაზღვრა და რეგულირება, ღამის საათებში დასაქმებული პირებისთვის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმებების ჩატარების ვალდებულება და სხვა.

შრომის კოდექსში ცვლილებების პარალელურად მიღებულ იქნა ახალი კანონი შრომის ინსპექციის შესახებ, რომლის მიხედვითაც 2021 წლის 1 იანვრიდან შეიქმნა და ამოქმედდა სსიპ შრომის ინსპექცია. განსხვავებით მისი წინამორბედი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დავის სამინისტროს შრომის ინსპექტირების დეპარტამენტისა, სსიპ შრომის ინსპექციის უფლებები პრაქტიკულად შეუზღუდავია და მოიცავს როგორც შრომის უსაფრთხოების, ისე შრომითი უფლებების სრული მონიტორინგის უფლებას თავისი აღსრულების მექანიზმებითა და სანქციების გამოყენების უფლების ჩათვლით.

შრომის უსაფრთხოება

2019 წლის თებერვალში მიღებული იქნა კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებელთა, დასაქმებულთა, დასაქმებულთა წარმომადგენლებისა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან. „კომპანიას“ წარმოეშობა მთელი რიგი ვალდებულებები აღნიშნული საკანონმდებლო აქტიდან გამომდინარე. მათ შორის, (ა) „კომპანიის“ ის შვილობილები, რომლებიც დაკავებულები არიან კვების პროდუქციის წარმოებით, ვალდებულნი იყვნენ დარეგისტრირებულიყვნენ პირებად, რომლებიც ახორციელებენ მომეტებული საფრთხის შემცველ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებს; და (ბ) თითოეული საწარმო ვალდებულია ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. დამსაქმებელს, რომელსაც 20 ან ნაკლები დასაქმებული ჰყავს, შეუძლია პირადად შეასრულოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროფესიული მოვალეობები იმ პირობით, რომ მას გავლილი აქვს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული აკრედიტებული პროგრამა. თუ დამსაქმებელს 20-დან 100-მდე დასაქმებული ჰყავს, იგი ვალდებულია ჰყავდეს არანაკლებ 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ხოლო 100 ან მეტი დასაქმებულის ყოლის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტით. „კომპანია“, ისევე როგორც მისი შვილობილები, ვალდებულნი არიან დაიცვან კანონმდებლობის აღნიშნული მოთხოვნები დასაქმებულთა რაოდენობიდან გამომდინარე.

გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

კომპანია მუდმივად ზრუნავს, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს ბუნებრივი რესურსების ფუჭი გამოყენება. ამისთვის საქმიანობაში ჩართული ობიექტები აღჭურვილია ენერგო ეფექტური ტექნიკით და ხელსაწყოებით. ასევე მუდმივად ხდება ახალი გზების მოძიება და პრაქტიკის დახვეწა.

სახიფათო ნარჩენები გადაეცემა შემდგომში გაუნებელყოფის მიზნით შესაბამის გამოცდილების მქონე კომპანიებს.

გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა კომპანიის სტრატეგიის ნაწილია. 2024 წლის დეკემბერს ემიტენტის მშობელმა კომპანიამ (ემიტენტში 100%-იანი მონაწილეობით) შეიმუშავა „მწვანე დაფინანსების ჩარჩო“, რომელიც შეესაბამება გარემოს მდგრადობის მიზნებს და ხელს უწყობს სუფთა ენერგიის განვითარებას, კლიმატურ მდგრადობას და გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას.

საზოგადოების არსებობის შეწყვეტა ახალი კანონმდებლობა

ახალი კანონით „მეწარმეთა შესახებ“ რეგულირდება სამეწარმეო საზოგადოების არსებობის შეწყვეტის პროცესი და გამოიყოფა არსებობის შეწყვეტის სამი სტადია:

- საზოგადოების დაშლა;
- საზოგადოების ლიკვიდაცია;
- რეგისტრაციის გაუქმება.

საზოგადოების დაშლა

კანონი ითვალისწინებს საზოგადოების ნებაყოფლობით დაშლას პარტნიორთა გადაწყვეტილებით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და იძულებით დაშლას სასამართლოს გადაწყვეტილებით. კანონი შესაძლებლობას აძლევს პარტნიორს, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს საზოგადოების დაშლა. კანონი შესაძლებლობას აძლევს სხვა პარტნიორებს, თავიდან აიცილონ საზოგადოების დაშლა განმცხადებელი პარტნიორისთვის წილის სამართლიან ფასად გამოსყიდვის შეთავაზებით.

საზოგადოების ლიკვიდაცია

საზოგადოების დაშლის შემდგომ იწყება ლიკვიდაციის პროცესი. ლიკვიდატორის დანიშვნის და მისი უფლებამოსილების, ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ საჯარო შეტყობინების, კრედიტორთა დაცვის და ქონების განაწილების საკითხებთან ერთად გათვალისწინებულია ასევე სამეწარმეო საზოგადოების საფირმო სახელწოდებაზე დამატების „ლიკვიდაციის პროცესში“ დართვის ვალდებულება.

საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმება

კანონის თანახმად, ვალდებულებების დაფარვის და დარჩენილი ქონების პარტნიორთა შორის ქონების სრულად განაწილება იწვევს ლიკვიდაციის დასრულებას, რაც საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმების წინაპირობაა. ისეთ შემთხვევაში, როდესაც რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ აღმოჩნდება, რომ საზოგადოებას დარჩა ქონება, ან აუცილებელია დამატებითი სალიკვიდაციო მოქმედებების განხორციელება, ხდება ლიკვიდაციის პროცესის განახლება და სასამართლო ნიშნავს ლიკვიდატორს ლიკვიდაციის პროცესის ბოლომდე მისაყვანად.

გადახდისუუნარობა

დერეგულირებულ იურიდიულ პირებზე, მათ შორის, „კომპანიაზე“, ვრცელდება რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონით გათვალისწინებული პროცედურები (გამონაკლისია ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და სხვ., რომლებიც ექვემდებარებიან სპეციალური რეგულირების რეჟიმს და რომელთა გადახდისუუნარობის პროცედურა რეგულირებულია შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს მიერ).

კომპანიის გადახდისუუნარობის შეფასება ხორციელდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუძლია იურიდიულ პირს მისი ვალდებულებების დაფარვა მათი შესრულების ვადის დადგომისას. გადახდისუუნარობის პროცედურები შეიძლება დაიწყოს, თუ მოვალე გადახდისუუნარო გახდება ან შესაძლოა გახდეს გადახდისუუნარო ახლო მომავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადეკვატური ზომები იქნება მიღებული შესაძლო გადახდისუუნარობის თავიდან ასაცილებლად. გადახდისუუნარობის საქმისწარმოება შესაძლოა დაიწყოს თავად კომპანიამ ან მისმა კრედიტორებმა, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მისი დაწყების კანონით განსაზღვრული წინაპირობები.

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყების შემდეგ, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, არსებობს შემდეგი სახის რამდენიმე სცენარი, რომლის მიხედვითაც შეიძლება წარიმართოს გადახდისუუნარობის პროცესი: ა) გაკოტრება, რასაც მოჰყვება ლიკვიდაცია (საჯარო რეესტრიდან კომპანიის დერეგისტრაცია); ბ) რეაბილიტაცია (რაც სხვა იურისდიქციებში გაიგივებულია რეორგანიზაცია/რესტრუქტურიზაციასთან); ან გ) გადახდისუუნარობის საქმის შეწყვეტა. „გ“ პუნქტში აღნიშნული ოფციის გამოყენება შესაძლოა იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს გადახდისუუნარობის საფუძვლები ან ასეთი საფუძვლები აღმოფხვრილ იქნა გადახდისუუნარობის დაწყების შემდეგ ან მოვალეს აქვს შესაძლებლობა მიმდინარე დავალიანებები გაისტუმროს სხვა კრედიტორების ინტერესების ხელყოფის გარეშე.

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის შემდეგ მოვალის მიმართ წარმოქმნილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები:

i. პრეფერენციული მოთხოვნები;
ii. პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები;
iii. არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი გადასახადების თანხა, რომლებსაც არ მოიცავს ამ პუნქტის სხვა ქვეპუნქტები;
iv. მოთხოვნები, რომელიც წარმოშობილია გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არსებულ ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტისა და ჯარიმის სახით, ადმინისტრაციული ჯარიმები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან გამომდინარე სხვა ფულადი ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დარიცხული ჯარიმები/საურავები;
v. არაპრივილეგირებული მოთხოვნები;
vi. კორპორაციული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებები (დივიდენდის გადახდის, აქციათა გამოსყიდვის ან შენატანის დაბრუნების ვალდებულებები).

ამონაგები თანხა, რაც არ არის საკმარისი ერთი და იმავე რანგის მოთხოვნების სრულად დასაკმაყოფილებლად, კრედიტორებს შორის განაწილდება თანაბარი პრიორიტეტით შესაბამისი მოთხოვნის თანხების პროპორციულად. ზემოაღნიშნული რიგითობა არ შეეხება ფინანსურად უზრუნველყოფილ მოთხოვნებს, რომლებიც პრიორიტეტულად დაკმაყოფილდება სწორედ ამ უზრუნველყოფის საშუალებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში, თუ კომპანია გააკეთებს განაცხადს გადახდისუუნარობის პროცესის დაწყებაზე და გეგმავს რეაბილიტაცია/რეორგანიზაციას, მაშინ კომპანიამ მხედველობაში უნდა მიიღოს ის, რომ მას მოუწევს კომპანიის არსებული კრედიტორების სრულად დაკმაყოფილება.

ანგარიშვალდებული საწარმოსთან დაკავშირებული მოთხოვნები

კომპანია არის ანგარიშვალდებული საწარმო და ვალდებულია დაიცვას ქვემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები.

ანგარიშების წარმოება და ინფორმაციის საჯაროობა

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით („ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი“) განსაზღვრული მნიშვნელობით კომპანია, რომელმაც საჯარო შეთავაზების გზით განათავსა სასესხო ფასიანი ქაღალდები ან რომლის სასესხო ფასიანი ქაღალდები დაშვებულია საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ წარმოადგენს ანგარიშვალდებულ საწარმოს. საქართველოს ეროვნული ბანკი ანგარიშვალდებული საწარმოს უწესებს რიგ მოთხოვნებს, მათ შორის პერიოდული ანგარიშების და ანგარიშგების წარმოების და მისთვის მიწოდების ვალდებულებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია მოამზადოს, საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს და გამოაქვეყნოს წლიური ანგარიში და ნახევარწლიური ანგარიში: წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს (i) აუდიტორის მიერ დადასტურებულ ფინანსურ ანგარიშგებას, (ii) მმართველობის ანგარიშგებას და (iii) ანგარიშვალდებული კომპანიის პასუხისმგებელი პირების (მათი ვინაობისა და მოვალეობების/უფლებამოსილებების სრულად და ნათლად მითითებით) განცხადებას „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის“ და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №181/04-ის მოთხოვნების შესაბამისად.

ნახევარ-წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს (i) ნახევარი წლის ფინანსურ ანგარიშგებას, (ii) შუალედურ მმართველობის ანგარიშგებას და iii) ანგარიშვალდებული საწარმოს პასუხისმგებელი პირების (მათი ვინაობისა და მოვალეობების/უფლებამოსილებების სრულად და ნათლად მითითებით) განცხადებას „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის“ და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №181/04-ის მოთხოვნების შესაბამისად. ყოველგვარი გაურკვევლობის გამოსარიცხად, ხსენებული ანგარიშების გამოქვეყნება გულისხმობს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ანგარიშგების ვებგვერდზე (www.reportal.ge) განთავსებას. ასევე, ამგვარი ინფორმაცია შესაძლებელია ასევე განთავსდეს ემიტენტის, საფონდო ბირჟის ან საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდის, სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ან სხვა ისეთი საშუალებების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტორთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

დამატებით, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია გაასაჯაროოს:

(i) ნებისმიერი ცვლილება საჯარო ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი ცვლილებები ფასიანი ქაღალდის პირობებში, რომლებმაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებზე ან რომლებიც გამომდინარეობს სასესხო პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებიდან;
(ii) ინფორმაცია სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების, ან დაფარვის შესახებ.

ამასთან, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია უზრუნველყოს ყველა იმ პირობის შექმნა და იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც საჭიროა საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად, აგრეთვე უზრუნველყოს მათთვის მიწოდებული მონაცემების მთლიანობა და ურთიერთშესაბამისობა.

ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია საჯარო ფასიანი ქაღალდების ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ მისთვის წარსადგენი და გამოსაქვეყნებელი ანგარიშის თაობაზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N 172/04 ბრძანებით დამტკიცდა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსი. ამ კოდექსის თანახმად კომპანია მოამზადებს და საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგენს ამ კოდექსითა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის №181/04 ბრძანებით დამტკიცებული „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის“ მე-3 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად მომზადებულ საწარმოს წლიური ანგარიშის მმართველობით ანგარიშს. მითითებული მმართველობით ანგარიშთან ერთად, „კომპანია“ ასევე შეავსებს და საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგენს კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშს მითითებული კოდექსის დანართი N1-3-ის შესაბამისად.

სს „თიბისი ლიზინგს“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის #181/04 ბრძანებით დამტკიცებული „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისთვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევის გამო

(კერძოდ, 2024 წლის შუალედური ფინანსური ანგარიშგების კანონმდებლობით დადგენილი ფორმით წარუდგენლობისთვის) საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე პრეზიდენტის 2024 წლის 12 ნოემბრის განკარგულებით დაეკისრა ფულადი ჯარიმა 1,000 (ათასი) ლარის ოდენობით, რომლის გადახდა განხორციელდა განკარგულებით დადგენილ ვადაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე პრეზიდენტის 2024 წლის 20 ივნისის #416-1კ წერილით სს „თიბისი ლიზინგს“ განესაზღვრა 2024 წლის 31 ივლისამდე კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით შედგენილი კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენა, რაც გულისხმობს ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ 2021 წლის 7 დეკემბრის N172/04 ბრძანებით დატკიცებული „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსით“ განსაზღვრული შესაბამისობის ანგარიშის წარდგენას, რომლის განაცხადს ხელს უნდა აწერდეს საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - წარდგენის თარიღისთვის აღნიშნული ხელმოწერა „ემიტენტის“ დოკუმენტაციას არ ჰქონდა კოდექსთან შესაბამისობით. საქართველოს ეროვნულ ბანკს სს თიბისი ლიზინგის მიერ წერილით დადგენილ ვადაში წარედგინა კოდექსით დადგენილი განაცხადი, რომელიც სრულად შეიცავდა კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხიმგებელი პირების ხელმოწერას.

ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №180/04-ის თანახმად, საჯარო ფასიანი ქაღალდების ანგარიშვალდებული საწარმო აკისრებს გარკვეულ ვალდებულებებს და შეზღუდვებს ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებით. ამასთან, აღნიშნული ბრძანება აწესებს (i) ანგარიშვალდებული საწარმოსთვის ინსაიდერული ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელი პირების შესახებ ჩანაწერის წარმოების ვალდებულებას და (ii) ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველობითი ფუნქციის მქონე პირების გარიგებებთან დაკავშირებით ანგარიშვალდებული საწარმოსთვის და საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას.

აღნიშნული ბრძანება დამატებით აწესრიგებს საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ინსაიდერულ ვაჭრობასა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინების ვადებს, ფორმებსა და პროცედურას და ადგენს იმ ქმედებათა ჩამონათვალს, რომლებიც არ ჩაითვლება ინსაიდერულ ვაჭრობად, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერ გამჟღავნებად ან/და ბაზრის მანიპულაციად.

მმართველი ორგანო და მენეჯმენტი

კომპანიაში არსებული კორპორატიული მართვის სტანდარტის მოკლე აღწერა

სს თიბისი ლიზინგის კორპორაციული მართვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, მათ შორის, კომპანიის კორპორაციული მართვა შესაბამისობაშია საქართველოს ეროვნული ბანკის 2021 წლის 07 დეკემბრის N172/04 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსთან“(„კოდექსი“). რამდენადაც კომპანია წარმოადგენს საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტ პირს, მასზე ვრცელდება კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები. კომპანია სრული პასუხისმგებლობით იზიარებს კოდექსით გათვალისწინებულ ვალდებულებებს გამართული კორპორაციული მართვის ჩარჩოს უზრუნველყოფის თაობაზე პარტნიორთა და ინვესტორების უფლებების დაცვის მიზნით და შესაბამისი გულისყურით ეკიდება მმართველი ორგანოების დაკომპლექტების საკითხს, ისევე როგორც სსათანადო პოლიტიკებისა და პროცედურების შემუშავების საჭიროებას. სს „თიბისი ლიზინგის“ მიმართ კორპორაციული მართვის კოდექსით დადგენილი შესაბამისობის ჭრილში 2024 წლის 20 ივნისის საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე პრეზიდენტის წერილით სს „თიბისი ლიზინგს“ განესაზღვრა 2024 წლის 31 ივლისამდე კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით შედგენილი კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენა - პირველად წარდგენილ დოკუმენტაციას აკლდა უფლებამოსილი პირების ხელმოწერა კოდექსთან შესაბამისობით. საქართველოს ეროვნულ ბანკს სს თიბისი ლიზინგის მიერ წერილით დადგენილ ვადაში წარედგინა კოდექსით დადგენილი განაცხადი, რომელიც სრულად შეიცავდა კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხიმგებელი პირების ხელმოწერას.

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის, რომელიც მიღებულია 2021 წლის 2 აგვისტოს („კანონი მეწარმეთა შესახებ“) და „ემიტენტის“ წესდების მიხედვით, „ემიტენტის“ კონტროლი და მართვა გადანაწილებულია შემდეგ ორგანოებზე: აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და ხელმძღვანელი ორგანო.

საზოგადოების მმართველობის უმაღლეს ორგანოს აქციონერთა საერთო კრებას წარმოადგენს, რომლის ერთ-ერთი მოვალეობა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნაა. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ძირითადი მოვალეობა ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოს ზედამხედველობა და კონტროლია. თავის მხრივ, ხელმძღვანელი ორგანოს მოვალეობა კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის მართვაა. ხელმძღვანელ ორგანოს სამეთვალყურეო საბჭო ირჩევს. სამეთვალყურეო საბჭო შედგება 5 (ხუთი) წევრისგან და მათ შორის 1 (ერთი) წევრი არის დამოუკიდებელი. სამეთვალყურეო საბჭოს ქვეშ კომპანიას შექმნილი აქვს ქვე-კომიტეტები: (i) აუდიტის კომიტეტი, რომელიც შედგება 3 (სამი) წევრისგან, მათ შორის 1 (ერთი) წევრი არის დამოუკიდებელი წვერი და აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე; (ii) რისკების კომიტეტი, რომელიც შედგება 9 (ცხრა) წვერისგან, რომელთაგან ყველა წარმოადგენს კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში ჩართულ პირს.

ვინაიდან, კორპორაციული მართვის კოდექსი ეფუძნება მიდგომას „შეასრულე ან განმარტე და წარმოადგინე ალტერნატივა“, კოდექსით გათვალისწინებულ იმ მოთხოვნებზე, რომლის შესრულებაც არ არის იმპერატიულად სავალდებულო სხვა ნორმატიული აქტით, კომპანიას მიმართული აქვს ალტერნატიული მეთოდებისთვის, მათ შორის:

(i) კოდექსის მოთხოვნაა, რომ სამეთვალყურეო საბჭოს 1/3 და მინიმუმ 2 წევრი უნდა იყოს დამოუკიდებელი. მიმდინარედ ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს 1 დამოუკიდებელი წევრი ჰყავს, შესაბამისად არ სრულდება აღნიშნული მოთხოვნა - თუმცა ემიტენტი მუშაობს შესებამისობაში მოყვანაზე ან წარმოადგენს ალტერნატივას.

(ii) კოდექსის მოთხოვნაა, რომ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იყოს დამოუკიდებელი წევრი. მიმდინარედ, ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს თავდმჯდომარეა არადამოუკიდებელი წევრი, რომელიც ამავდროულად თიბისი ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრია - შესაბამისად არ სრულდება აღნიშნული მოთხოვნა - თუმცა ემიტენტი მუშაობს შესებამისობაში მოყვანაზე ან წარმოადგენს ალტერნატივას.

აქციონერთა საერთო კრება - განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს საკითხებზე როგორებიცაა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა/გათავისუფლება, ფინანსური ანგარიშების დამტკიცება, დივიდენდის განაწილება, წესდების ცვლილება, კაპიტალის ცვლილება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია და სხვა.

სამეთვალყურეო საბჭო - უფრო დეტალურად უწევს ზედამხედველობას ხელმძღვანელი ორგანოს საქმიანობას; კონკრეტული ტრანზაქციები/მოქმედებები/გარიგებები, გარდა ჩვეული სამეწარმეო საქმიანობისა, მოითხოვს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას. მაგალითად, ქონების შეძენა და გასხვისება, თუ იგი აღემატება წესდებით დადგენილ ზღვარს, ფასიანი ქაღალდების განთავსება, სესხის აღებასთან დაკავშირებული ოპერაციების დამტკიცება და სხვა.

ხელმძღვანელი ორგანო - შედგება დირექტორისაგან, რომელიც უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტურ შესრულებას და პასუხისმგებელია ემიტენტის ყოველდღიურ საქმიანობაზე.

აქციონერთა საერთო კრება

პროსპექტის შედგენის თარიღისათვის ემიტენტი სრულად არის სს „თიბისი ბანკის“ საკუთრებაში. ხოლო თავის მხრივ სს „თიბისი ბანკი“ არის ლონდონში რეგისტრირებული და ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ სეგმენტში განთავსებული კომპანიის – TBC Bank Group PLC-ის შვილობილი საწარმო (თიბისი ბანკის კაპიტალის 99.88%-იანი წილის მფლობელი).

TBC Bank Group PLC-ის მფლობელობის სტრუქტურა წარმოდგენილია ცხრილში:

აქციონერი	წილი %
BlackRock	6.41%
Dunross & Co.	5.99%
Vanguard Group	5.14%
Fidelity International	5.03%
JPMorgan Asset Management	3.75%
მამუკა ხაზარაძე	9.53%
ბადრი ჯაფარიძე	5.69%
სხვა*	58.45%

**სხვა აქციონერებში ერთიანდებიან ისეთი აქციონერები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ფლობენ TBC Bank Group PLC-ის 3%-ზე მეტს.*

პროსპექტის შედგენის თარიღისთვის კომპანიას არ ჰყავს ერთპიროვნული მაკონტროლებელი მხარე. ემიტენტის 5%-ზე მეტი წილის მფლობელი საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეები არიან მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე.

მამუკა ხაზარაძე (ს/ნ 01030001235) - ბატონი მამუკა დაიბადა 1966 წელს. 1988 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ხოლო 1998-2000 წლებში სწავლობდა ჰარვარდის ბიზნესის სკოლაში. 1992 წელს დააარსა „თიბისი ბანკი“ და მისი დორექტორის პოზიცია დაიკავა. 1995 წელს შექმნა „IDS ბორჯომი საქართველო“, სადაც 2004 წლამდე პრეზიდენტის პოზიციაზე მუშაობდა. 1999-2002 წლებში იყო „საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკის“ ზედამხედველობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 2004 წელს დააფუძნა „საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანია“ და დაიკავა მისი პრეზიდენტის პოზიცია. 2010 წლიდან დაიკავა ამერიკული აკადემიის საბჭოსა და „ლისის ტბის განვითარების“ ზედამხედველობის საბჭოს თავჯდომარის პოზიცია.

კომპანიები, სადაც ბატონი მამუკა მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს ქართული ორიგინალური ვაზისა და ღვინის ჰოლდინგი (ს/ნ 402038647); შპს ვარძიის ტერასები (ს/ნ 424068911); სს ატლანტა ლენდ დეველოპმენტ (ს/ნ 404921037); შპს რადიო არტი (ს/ნ 203845054); შპს

მწვანე გარემო (ს/ნ 404382146); შპს ჯორჯიან რიელ ისთეით მენეჯმენტ (ს/ნ 205147857); შპს ქართული ტრადიცია (ს/ნ 204949547); შპს ეიჩ-არ-სი თბილისი (ს/ნ 404485277); შპს თიბისი ჰოლდინგი (ს/ნ 404468884); სამედიცინო პრობლემების მქონე პირების დახმარების ფონდი (ს/ნ 202340243); სტუ კურსდამთავრებულთა კლუბი (ს/ნ 202443454); თიბისი ფონდი დაზარალებულთა მხარდასაჭერად (ს/ნ 204559227); საქართველო - ეროვნული გმირები (ს/ნ 204541059); ბიზნესის ინიციატივა რეფორმებისათვის საქართველოში (ს/ნ 204455259).

ბადრი ჯაფარიძე (ს/ნ 01014001058) - ბატონი ბადრი დაიბადა 1960 წელს. 1982 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. 2001 წელს დაამთავრა ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკური მეცნიერების სკოლა (LSE). 1990-1992 წლებში ბატონი ბადრი იყო საქართველოს პარლამენტის წევრი. 1992 წელს, მამუკა ხაზარაძესთან ერთად, დააარსა „თიბისი ბანკი“ და დაინიშნა ბანკის საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელად. 1993-1995 წლებში იგი „თიბისი ბანკის“ ვიცე-პრეზიდენტი იყო, ხოლო 1995 წელს ბანკის საზედამხედველო საბჭოს წევრად აირჩიეს, სადაც 1996 წლიდან თავმჯდომარის მოადგილის პოზიციაზე მუშაობდა. 1995-2003 წლებში იგი მუშაობდა „Georgian Glass and Mineral Water“-ის ვიცე-პრეზიდენტად, რომლის თანადამფუძნებელიც იყო. ეს კომპანია მოგვიანებით „IDS ბორჯომი საქართველოდ“ გარდაიქმნა და 2004-2010 წლებში ბატონი ბადრი მისი სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო. 2004 წელს იგი აირჩიეს ამერიკის სავაჭრო პალატის დირექტორთა საბჭოს წევრად საქართველოში და იმავე წელს გახდა „საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2006 წელს ბატონი ბადრი აირჩიეს „ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრად და ამავე დროს დაინიშნა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

კომპანიები, სადაც ბატონი ბადრი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: სს ატლანტა ლენდ დეველოპმენტ (ს/ნ 404921037); შპს მწვანე გარემო (ს/ნ 404382146); შპს ეიჩ-არ-სი თბილისი (ს/ნ 404485277); შპს საქართველოს ორიგინალური ღვინოები (ს/ნ 237100819); შპს ახალი სამშენებლო კომპანია (ს/ნ 205044165); შპს ქართული ტრადიცია (ს/ნ 204949547); შპს ჯორჯიან რიელ ისთეით მენეჯმენტ (ს/ნ 205147857); შპს გეოპლანტი (ს/ნ 204888078); ძლიერი რაჭისათვის - ინვესტ ინ რაჭა (ს/ნ 206289531); კავშირი საქართველოს კორპორაციულ ხელმძღვანელთა ასოციაცია (ს/ნ 204479288); ძლიერი რაჭისათვის - ინვესტ ინ რაჭა (ს/ნ 206289531); ბიზნესის ინიციატივა რეფორმებისათვის საქართველოში (ს/ნ 204455259); კავშირი საქართველოს კორპორაციულ ხელმძღვანელთა ასოციაცია (ს/ნ 204479288); მზრუნველობის და განათლების ფონდი ზურაბ ჟვანიას შვილებისათვის (ს/ნ 204472711); ძლიერი რაჭისათვის - ინვესტ ინ რაჭა (ს/ნ 206289531).

აქციონერთა საერთო კრება შეიძლება იყოს მორიგი ან რიგგარეშე. მორიგი საერთო კრება ტარდება ყოველწლიურად წლიური ბალანსის შედგენიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვისა, მაგრამ სამეურნეო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვისა, ყველა სხვა შემთხვევაში ტარდება რიგგარეშე საერთო კრება. აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუკი მას ესწრება/ესწრებიან ხმების უმრავლესობის მქონე აქციონერები, გარდა ისეთი საკითხების განხილვისა, რაც კომპანიის წესდებით ან საქართველოს კანონმდებლობით საჭიროებს უფრო მეტი ხმის უფლების მქონე აქციონერთა დასწრებას. თუ საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანი არ არის, კრების მომწვევს შეუძლია იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს კრება. ამ შემთხვევაში, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, მასზე დამსწრე ხმის უფლების მქონე აქციონერთა რაოდენობის მიუხედავად;

მეწარმეთა შესახებ კანონის და კომპანიის წესდების თანახმად, აქციონერებს უფლება აქვთ:

- მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების მართვაში;
- დაესწრონ აქციონერთა საერთო კრებას და მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- მიიღონ დივიდენდები მათ საკუთრებაში არსებული აქციების ოდენობის პროპორციულად;
- განკარგონ აქციები წესდებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით;
- გაეცნონ საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს, მიიღონ განმარტებები ხელმძღვანელი ორგანოსა და საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისაგან საერთო კრების დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო და გამოთქვან თავიანთი აზრი;

- კანონითა და წესდებით დადგენილი წესით გაეცნონ საზოგადოების დოკუმენტებს და ისარგებლონ საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით დადგენილი უფლებებით.

მეწარმეთა შესახებ კანონის და კომპანიის წესდების თანახმად, საერთო კრება განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს შემდეგ საკითხებზე:

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა ან/და გათავისუფლება; სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება;
- ხელმძღვანელი ორგანოსა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშების, მათ შორის ფინანსური ანგარიშების დამტკიცება;
- მოგების (დივიდენდის) განაწილება ან ასეთ განაწილებაზე უარის თქმა, სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს მიერ მომზადებული წინადადების შესაბამისად;
- სადამფუძნებლო შეთანხმებაში და წესდებაში ცვლილების შეტანა, წესდების ახალი რედაქციის მიღება;
- აუდიტის განმახორციელებელი პირის შერჩევა, შეცვლა, დადებული ხელშეკრულებიდან გასვლა და აუდიტის ანგარიშის დამტკიცება;
- განთავსებული კაპიტალის ცვლილება, აქციათა რაოდენობის, ნომინალური ღირებულების, კლასებისა და მათთან დაკავშირებული უფლებების განსაზღვრა;
- საზოგადოების სააქციო კაპიტალის ან მისი აქციების ან ფასიანი ქაღალდების შემცირება, რომლებიც იძლევა საზოგადოების სააქციო კაპიტალის შეძენის უფლებას (ოფციის, გარანტიისა და სხვა უფლებების ჩათვლით) კონვერტაციით, გაცვლით ან სხვაგვარად;
- საზოგადოების რეორგანიზაცია;
- საზოგადოების ლიკვიდაცია; გადახდისუუნარობა; გაკოტრება; კრედიტორის სასარგებლოდ ქონების გადაცემა;
- სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს/პირების და სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესში მონაწილეობა, მათ შორის, აღნიშნული პროცესისთვის წარმომადგენლის დანიშვნა;
- იღებს გადაწყვეტილებას ნებისმიერ სხვა საკითხზე, რომელზეც აუცილებელია საერთო კრების თანხმობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ არის დელეგირებული სხვა მმართველობით ორგანოზე;
- საერთო კრებას არ აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილებები იმ საკითხებზე, რომლებიც სხვა ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ორგანოები საერთო კრებას მათი კომპეტენციისთვის მიკუთვნებული საკითხის გადაწყვეტის თხოვნით მიმართავენ.

ახალი აქციების გამოშვების შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ამ კლასის აქციონერს, ხოლო შემდგომ – სხვა კლასის აქციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მფლობელ აქციონერს საკუთარი წილის პროპორციულად აქვს ახალი აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება, თუ კანონმდებლობით ან წესდებით სხვა რამ არის გათვალისწინებული; იმ შემთხვევაში, თუ აქციონერი წერილობით განაცხადებს უარს აქციათა უპირატეს შესყიდვაზე ან განსაზღვრულ ვადაში არ განახორციელებს უპირატესი შესყიდვის უფლებას, სხვა აქციონერებს უფლება აქვთ შეისყიდონ დარჩენილი აქციები მათი წილის პროპორციულად;

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო შედგება არანაკლებ 5 (ხუთი) და არაუმეტეს 21 (ოცდაერთი) წევრისაგან, თითოეულს ირჩევენ აქციონერები საერთო კრებაზე 3 (სამი) წლის ვადით.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა უნდა ჩატარდეს კვარტალში ერთხელ მაინც, სხდომას იწვევს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო ორივეს არყოფნის შემთხვევაში საბჭოს მიერ არჩეული სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს ან ხელმძღვანელი ორგანოს წევრს აქვს უფლება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისაგან მოითხოვოს საბჭოს სხდომის დაუყოვნებლივ მოწვევა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია მოთხოვნიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში უზრუნველყოს სხდომის ჩატარება. თუ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ან დირექტორს შეუძლია, თვითონ მოიწვიონ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა; სამეთვალყურეო საბჭოს ქვორუმი შედგება იმ შემთხვევაში თუ მას ესწრება მისი წევრთა ნახევარი. სამეთვალყურეო საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში არსებულ საკითხებზე იღებს გადაწყვეტილებებს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით - სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა.

სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია:

- ხელმძღვანელ ორგანოს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს საზოგადოების საქმიანობის ანგარიში;
- გამოითხოვოს, განიხილოს, შეამოწმოს და შეისწავლოს საზოგადოების დოკუმენტაცია;
- შეამოწმოს ხელმძღვანელ ორგანოს წლიური ანგარიშები, წინადადებები მოგების განაწილების შესახებ, საქმიანობის ანგარიში და ამის თაობაზე მოახსენოს საერთო კრებას;
- წარმოადგინოს საზოგადოება ხელმძღვანელ ორგანოსთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში გაასაჩივროს საერთო კრების გადაწყვეტილებები;
- ისარგებლობის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებებით.

სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციები და მოვალეობები მოიცავს შემდეგს:

- ნიშნავს და ათავისუფლებს საზოგადოების დირექტორს, განსაზღვრავს მისი ანაზღაურების საკითხს;
- ამტკიცებს საზოგადოების ფილიალების დაფუძნებასა და ლიკვიდაციას;
- გასცემს რეკომენდაციას საზოგადოების გარე აუდიტორის არჩევასთან, შეცვლასთან ან აუდიტორთან დადებული ხელშეკრულებიდან გასვლასთან დაკავშირებით;
- ამტკიცებს საფონდო ბირჟაზე საზოგადოების აქციების, ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების განთავსებას;
- განიხილავს და ამტკიცებს ფინანსურ მაჩვენებლებს მომავალი წლისათვის, ბიზნეს გეგმის ან წლიური ბიუჯეტის ჩათვლით;
- ამტკიცებს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს დებულებებს;
- ამტკიცებს საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების შესახებ გადაწყვეტილებას, რომელთა ღირებულება შეადგენს საზოგადოების კაპიტალის 3%-ზე მეტს, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულ სამეწარმეო საქმიანობას;
- ამტკიცებს საზოგადოების მიერ ინვესტიციების მოზიდვის, მათ შორის კრედიტების და სესხების აღებასთან დაკავშირებულ გარიგებას ან გარიგებათა ერთობლიობას;
- ამტკიცებს სხვა იურიდიული პირების შექმნას/დაფუძნებას ან მათში ინვესტირებას;
- ამტკიცებს საზოგადოებასთან და მის საქმიანობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან პოლიტიკებს, ქცევის კოდექსსა და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს;
- განიხილავს საზოგადოების საქმიანობის ანგარიშებს, ასევე შიდა აუდიტის სამსახურისა და დამოუკიდებელი შემოწმების შესახებ ინფორმაციებს;
- იწვევს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებას, თუ აღნიშნულს მოითხოვს საზოგადოების ინტერესები;
- იღებს გადაწყვეტილებებს საზოგადოების მიერ ახალი სახის საქმიანობის დაწყებაზე ან არსებული სახის საქმიანობის შეჩერება / შეწყვეტაზე;
- იღებს გადაწყვეტილებებს საზოგადოების ქონების უზრუნველყოფის სახით უფლებრივი დატვირთვის შესახებ, გარდა ჩვეული სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში საზოგადოების ქონების (ლიზინგის საგნები) უზრუნველყოფის სახით უფლებრივი დატვირთვის შესახებ გადაწყვეტილებისა;

› იღებს გადაწყვეტილებას ნებისმიერ სხვა საკითხზე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის ან წინამდებარე წესდების შესაბამისად მიეკუთვნება სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას.

ემიტენტი ასევე ასრულებს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 214-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც, სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს სააქციო საზოგადოების მმართველი ორგანოს წევრი.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა პროსპექტის მომზადების თარიღისთვის შემდეგია:

სახელი	პოზიცია	დანიშვნის თარიღი	უფლებამოსილების ვადის გასვლა*
თორნიკე გოგიჩაიშვილი	თავმჯდომარე	2025 წლის 6 მაისი	3 წელი
ნათია პაჭიკაშვილი	თავმჯდომარის მოადგილე	2025 წლის 6 მაისი	3 წელი
ვეფხვია ლომინაშვილი	წევრი	2025 წლის 6 მაისი	3 წელი
მერი ჩაჩანიძე	წევრი	2025 წლის 6 მაისი	3 წელი
ზურაბ ფიჩხაია	დამოუკიდებელი წევრი/აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე	2025 წლის 6 მაისი	3 წელი

**თუ ვადის გასვლისთანავე არ დაინიშნება ახალი ვადა ან არ შეიცვლება წევრი, ვადა გაგრძელებულად ჩაითვლება საერთო კრების ჩატერებამდე.*

თორნიკე გოგიჩაიშვილი (ს/ნ 01010005109) - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ბატონ თორნიკე გოგიჩაიშვილს აქვს ფინანსური მომსახურებისა და ოპერაციების მართვის 20 წელზე მეტი ხნის გამოცდილება საქართველოსა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. „თიბისი ბანკის ჯგუფამდე“ მუშაობდა „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილედ და ოპერაციების მართვის დირექტორად. მანამდე კი ამავე ჯგუფში სხვადასხვა მნიშვნელოვან თანამდებობაზე საქმიანობდა. 2008-2010 წლებში ეკავა ფინანსური დირექტორის თანამდებობა „საქართველოს ბანკის“ შვილობილ კომპანია BG Bank Ukraine-ში. კარიერის დასაწყისში, თორნიკე იყო საქართველოს სადაზღვევო კომპანია „ალდაგის" გენერალური დირექტორი, UEDC PA საკონსულტაციო კომპანიის ფინანსური დირექტორი და ეკავა სხვადასხვა ხელმძღვანელი თანამდებობა BCI Insurance-ში. თორნიკე ფლობს კავკასიის ბიზნესის სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს და ოქსფორდის უნივერსიტეტის საიდის ბიზნესის სკოლის აღმასრულებელ დიპლომს.

კომპანიები, სადაც ბატონი თორნიკე მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: სს “გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია” (ს/ნ 202175546), სს “თიბისი ბანკი” (ს/ნ 204854595), სს „თიბისი დაზღვევა“ (ს/ნ 405042804), შპს „თიბისი ფეი“ (ს/ნ 204559361), შპს „ლთგ“ (ს/ნ 405042430), შპს „ნიუ სითი“ (ს/ნ 204495974).

ნათია პაჭიკაშვილი (ს/ნ 01011076468)- სამეთვალყურე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ქალბატონი ნათია პაჭიკაშვილი რისკების გამოცდილი პროფესიონალია და მისი კარიერა საფინანსო სექტორში თითქმის 15 წელს მოიცავს. იგი თიბისი ბანკის გუნდს 2013 წელს შემოუერთდა, რის შემდეგაც მისი წარმატებული კარიერა სწრაფად განვითარდა. ნათია დაწინაურდა ბანკის რისკების უფროსის მოადგილის პოზიციაზე (ძალაში 2025 წლის 1-ელი იანვრიდან). მანამდე ის გახლდათ სამეწარმეო რისკების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი 2017 წლიდან. სხვადასხვა დროს, ის ბანკის მასშტაბით იკავებდა მნიშვნელოვან თანამდებობებს, მათ შორის, იყო საკრედიტო რისკების განყოფილების უფროსის მოადგილე. თიბისი ბანკამდე ნათია მუშაობდა, როგორც ფინანსური მენეჯერი და ბიზნეს ანალიტიკოსი. ნათია ფლობს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების

ბაკალავრის ხარისხს და Executive MBA-ს HEC Paris-დან. მას 2017 წლიდან აქვს ფინანსური რისკების მენეჯერის (FRM) სერტიფიკატი და 2018 წლიდან CFA სერტიფიკატი.

კომპანიები, სადაც ქალბატონი ნათია მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს „ნ.პ. დიზაინი“ (ს/ნ 406448893), შპს „Spark Innovation” (ს/ნ 400030989).

მერი ჩაჩანიძე (ს/ნ 11001007323) - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ქალბატონი მერი ჩაჩანიძე „თიბისი ბანკის“ გუნდს 2017 წელს შეუერთდა კორპორაციული და საინვესტიციო ბიზნესის დირექტორის მოადგილის პოზიციაზე. თავდაპირველად ის ბანკის მსხვილ კორპორაციულ კლიენტებს ხელმძღვანელობდა. 2020 წლის თებერვალში კი „თიბისი კაპიტალის“ მმართველ დირექტორად დაინიშნა. თიბისი ბანკის ჯგუფამდე 10 წლის განმავლობაში SEAF-ის (გლობალური საინვესტიციო კომპანია, რომლის სათავო ოფისიც ვაშინგტონში მდებარეობს) საინვესტიციო დირექტორი იყო, სადაც მისი კურატორობით ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე 20-ზე მეტი საინვესტიციო ტრანზაქცია განხორციელდა. მერი ევროპის მენეჯმენტის სკოლის ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხებს ფლობს. ასევე არის სერტიფიცირებული ფინანსური ანალიტიკოსის (CFA) სტატუსის მფლობელი.

კომპანიები, სადაც ქალბატონი მერი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს „თიბისი კაპიტალი“ (ს/ნ 204929961), შპს „თიბისი აქტივების მართვა“ (ს/ნ 402184159), შპს „გოლდმანსახლი“ (ს/ნ 405760760), სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ 204935400), სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“ (ს/ნ 211382145), სს „თბილისის საფონდო ბირჟა“ (ს/ნ 405099682).

ვეფხვია ლომინაშვილი (ს/ნ 18001004080) – სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ბატონი ვეფხვია ლომინაშვილი საბანკო ინდუსტრიაში მუშაობის 20 წლიან გამოცდილებას ფლობს. ამჟამად ბატონი ვეფხვია თიბისი ბანკის MSME სეგმენტის დეპარტამენტის ხელმძღვანელია, სადაც პასუხისმგებელია სტრატეგიების შემუშავებაზე ისეთი ძირითადი მიმართულებებისთვის, როგორიცაა დაკრედიტების პროცესის ავტომატიზაცია და გაციფრულება, მომხმარებელთა მოზიდვა და მათთვის საუკეთესო გამოცდილების მინიჭება, მარკეტინგი, ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამები და საერთო კომერციული წარმატება. თიბისი ბანკში მისი კარიერის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, რამდენიმე მნიშვნელოვან ხელმძღვანელ როლს იკავებდა, იყო SME კომერციული მენეჯმენტ გუნდის უფროსი, აგრო ბიზნეს განყოფილების უფროსი, რეგიონული დირექტორი „თიბისი ბანკ კონსტანტაში“ და ფილიალის დირექტორი. მისმა ფართო გამოცდილება და სტრატეგიაზე ორიენტირებულობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბანკის მასშტაბით ზრდისა და ინოვაციების ხელშეწყობაში. ბატონმა ლომინაშვილმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კომერციული და მარკეტინგის სპეციალიზაციით.

კომპანიები, სადაც ბატონი ვეფხვია მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: კოოპერატივი „კლდისწყაროს ბაღები“ (ს/ნ 443866773).

ზურაბ ფიჩხაია (ს/ნ 01004009017) – სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი / აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე

ბატონი ზურაბ ფიჩხაია არის „თიბისი ლიზინგის“ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი. ზურაბი „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ და „ლისი დეველოპმენტის“ ფინანსური დირექტორი იყო. იგი „თიბისი ბანკში“ რისკების მართვის დირექტორის მოადგილის თანამდებობას იკავებდა და სამეწარმეო რისკების მართვასა და სტრატეგიული პროექტების განხორციელებას ზედამხედველობდა. ასევე მუშაობდა „თიბისი ბანკის“ ფინანსური დირექტორის მოადგილედ, სადაც მის მოვალეობებში შედიოდა ბანკის ფინანსური რისკის მართვის ზედამხედველობა, მომგებიანობის ანალიზი და ანგარიშგების ფუნქციები. კარიერის საწყის ეტაპზე, ფიჩხაია იკავებდა სხვადასხვა თანამდებობას საკრედიტო, სადაზღვევო და შიდა აუდიტის სფეროებში „ვითიბი ბანკი ჯორჯიაში“, „ბანკი რესპუბლიკა

სოსიეტე ჟენერალის ჯგუფში“ და „პრივატბანკ საქართველოში“. ზურაბი ფლობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხს ეკონომიკის განხრით და მაგისტრის ხარისხს ბიზნესის ადმინისტრირებაში. გარდა ამისა, ფლობს პენსილვანიის უნივერსიტეტის უორტონის ბიზნესის სკოლის ხარისხს ბიზნესის ადმინისტრირებაში, ფინანსების მიმართულებით.

კომპანიები, სადაც ბატონი ზურაბი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: სს „ეგრისის განვითარების კომპანია“ (ს/ნ 402040037), სს „რეით ჰოლდინგი“ (ს/ნ 405212666), სს „შოპშოპი“ (ს/ნ 405370147), შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ (ს/ნ 404479097), შპს „ემ ქეი სი“ (ს/ნ 404521175), შპს „ესსეთ მენეჯმენტ ჯორჯია“ (ს/ნ 405459196), შპს „ეფექს დილერზ“ (ს/ნ 405191974), შპს „ვიეფ ინვესტორს“ (ს/ნ 402331589), შპს „იდდვაიზ ფაინენსი“ (ს/ნ 405721820), შპს „იდდვაიზი“ (ს/ნ 404678336), შპს „ივაიზი“ (ს/ნ 405714758), შპს „კრწანისის 10“ (ს/ნ 405228418), შპს „ლისი რენთალს“ (ს/ნ 405367990), შპს „ნიკსი“ (ს/ნ 405204443), შპს „რეით მენეჯმენტი“ (ს/ნ 405224092), შპს „სქაი ფაუერ“ (ს/ნ 405679323), შპს „უზნაძის 97“ (ს/ნ 405237792), შპს „ფინანსური აქტივების მართვის სააგენტო“ (ს/ნ 404391831), შპს „ფლეისმეიქერს“ (ს/ნ 405671722), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხარა მომავალი“ (ს/ნ 402091981), შპს იდდვაიზ ჰოლდინგი (ს/ნ 404719499), შპს ენ სი სოლუშენსი (ს/ნ 405721820), შპს ი დილერი (ს/ნ 200229207).

აუდიტის კომიტეტი

ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის 9[1]-ე მუხლის შესაბამისად, ემიტენტს, როგორც ანგარიშვალდებულ საწარმოს, მოეთხოვება სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში შექმნას აუდიტის კომიტეტი, რომელიც შედგება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და არანაკლებ ერთი დამოუკიდებელი წევრისაგან (რომლის მოთხოვნები დამატებით განისაზღვრება მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 57-ე მუხლით).

კომიტეტს გააჩნია შეუზღუდავი წვდომა ყველა საჭირო რესურსზე სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მისთვის მინიჭებული ფუნქციების განსახორციელებლად, მათ შორის წვდომა ხელმძღვანელი ორგანოს, შიდა აუდიტისა და რისკების მართვის ფუნქციებთან.

კომიტეტის წევრობის ვადა 3 (სამი) წელია, ხოლო კომიტეტის შეხვედრები იმართება წელიწადში ოთხჯერ.

კომიტეტის მიზანია უზრუნველყოს ორგანიზაციის მმართველობის, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემატური ზედამხედველობა. აუდიტის კომიტეტის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მოიცავს შემდეგს:

- განსაზღვროს შიდა აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკა;
- მონიტორინგი გაუწიოს ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესებს;
- მონიტორინგი გაუწიოს და აქტიურად ითანამშრომლოს საზოგადოების შიდა და გარე აუდიტორებთან;
- შეაფასოს გარე აუდიტორის ეფექტიანობა, გამოთქვას მოსაზრება გარე აუდიტორთა კანდიდატურებთან დაკავშირებით;
- შეაფასოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობა და დამოუკიდებლობა;
- განიხილოს გარე აუდიტორის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წერილი და მონიტორინგი გაუწიოს ხელმძღვანელ ორგანოს;
- განიხილოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ჩასატარებელი შიდა აუდიტის ფარგლები და ჩატარების სიხშირე;
- მონიტორინგი გაუწიოს საზოგადოების საღრიცხვო პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებას;
- განიხილოს საზოგადოების რისკების მართვის მთლიანი ჩარჩო და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობა და სტრუქტურა.

აუდიტის კომიტეტის შემადგენლობა პროსპექტის მომზადების თარიღისთვის შემდეგია:

სახელი	პოზიცია	დანიშვნის თარიღი	უფლებამოსილების ვადის გასვლა*
ზურაბ ფიჩხაია	დამოუკიდებელი წევრი/ თავმჯდომარე	2025 წლის 7 მაისი	3 წელი
თორნიკე გოგიჩაიშვილი	წევრი	2025 წლის 7 მაისი	3 წელი
ნათია პაჭიკაშვილი	წევრი	2025 წლის 7 მაისი	3 წელი

**თუ ვადის გასვლისთანავე არ დაინიშნება ახალი ვადა ან არ შეიცვლება წევრი, ვადა გაგრძელებულად ჩაითვლება სამეთვალყურეო საბჭოს ჩატერებამდე.*

რისკის მართვის კომიტეტი

რისკის მართვის კომიტეტი კომპანიაში ნერგავს რისკის მართვის პრინციპებს და იცავს პროდუქტებთან და პროცესებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს სახიფათო რისკებისგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ნაცვლად, რისკის მართვის კომიტეტში შედიან ხელმძღვანელი ორგანოს წევრები, დირექტორის მოადგილეები და საშუალო რგოლის ხელმძღვანელები. კომიტეტის მოვალეობებია:

- რისკის მართვის სტრატეგიის, პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის მიმოხილვა და დამტკიცება;
- კომპანიის მნიშვნელოვანი რისკებისა და რისკის მართვის ფარგლებში მიღებული ზომების მიმოხილვა და ზედამხედველობა;
- რისკის შემცირების ზომებისა და მათი ეფექტურობის მიმოხილვა;
- რისკის ზღვრული დონეების განსაზღვრა;
- კომპანიის მიერ შეთავაზებული პროდუქტებისა და სერვისების ბიზნესმოდელთან შესაბამისობის ზედამხედველობა;
- საოპერაციო, იურიდიული, ფინანსური შესაბამისობის, რეპუტაციული და ტექნოლოგიური რისკების მართვის მონიტორინგი, რაც მოიცავს ბიზნესის უწყვეტობის დაგეგმვას, კიბერუსაფრთხოებას და მონაცემების დაცვა;
- შიდა და გარე აუდიტორების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი;
- სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმირება არსებითი რისკების შესახებ და დასამტკიცებლად სამოქმედო გეგმის წარდგენა.

რისკის მართვის კომიტეტის შემადგენლობა პროსპექტის მომზადების თარიღისთვის შემდეგია:

სახელი	პოზიცია	დანიშვნის თარიღი	უფლებამოსილების ვადის გასვლა
გაიოზ გოგუა*	გენერალური დირექტორი	28.04.2022	უვადო
გიორგი მაისურაძე*	რისკების დირექტორი	28.04.2022	უვადო
ზურაბ გუგუშვილი*	კომერციული დირექტორი	28.04.2022	უვადო
ნუგზარ ლოლაძე*	ფინანსური დირექტორი	28.04.2022	უვადო
გიორგი პოტრჟებსკი	საოპერაციო დეპარტამენტის უფროსი	28.04.2022	უვადო
გიორგი ქაცარავა	საოპერაციო რისკების და აქტივების მართვის	13.01.2025	უვადო

	დეპარტამენტის უფროსი		
თორნიკე ეგნატაშვილი	ფინანსური დეპარტამენტის უფროსი	28.04.2022	უვადო
ნანა შონია	იურიდიული დეპარტამენტის უფროსი	28.04.2022	უვადო
გურამ გუნცაძე	საოპერაციო რისკების მენეჯერი	28.04.2022	უვადო

** მონიშნულ პირებზე ინფორმაცია, მათ შორის ბიოგრაფია და გამოცდილება იხილეთ „ხელმძღვანელი ორგანოს“ სექციაში.*

გიორგი პოტრჟებსკი (ს/ნ 01019019289) – საოპერაციო დეპარტამენტის უფროსი

ბატონი გიორგი 2019 წლიდან „თიბისი ლიზინგის“ საოპერაციო დეპარტამენტის უფროსია. მანამდე, 2006 წლიდან 2019 წლამდე იგი მუშაობდა UGT (United Global Technologies)-ში პროექტ მენეჯერის პოზიციაზე. გიორგის უმაღლესი განათლება მიღებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივესრისერში, დაამთავრა კომპიუტერული ინჟინერიის ფაკულტეტი. მისი გამოცდილება მოიცავს პროექტისა და სტრატეგიის მართვას, ბიუჯეტირებასა და ოპერაციულ დაგეგმარებას, რისკებისა და ხარისხის კონტროლს.

კომპანიები, სადაც ბატონი გიორგი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს მაინრუმი (ს/ნ 405256878); შპს იუ-სერვისი (ს/ნ 405231039).

გიორგი ქაცარავა (ს/ნ 01008040439) – საოპერაციო რისკების და აქტივების მართვის დეპარტამენტის უფროსი

ბატონი გიორგი 2025 წლის იანვრიდან „თიბისი ლიზინგის“ საოპერაციო რისკების და აქტივების მართვის დეპარტამენტის უფროსია. მანამდე, 2013 წლიდან 2025 წლამდე იგი მუშაობდა აუდიტორულ კომპანია KPMG-ში. გიორგის უმაღლესი განათლება მიღებული აქვს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში, დაამთავრა ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტი - ფინანსების განხრა. ბატონ გიორგის მასტერის ხარისხი აქვს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისგან.

ბატონი გიორგი არ არის და ბოლო 5 წლის მანძილზე არ ყოფილა სხვა რომელიმე კომპანიის მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

თორნიკე ეგნატაშვილი (ს/ნ 59001036702) – ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

ბატონი თორნიკე „თიბისი ლიზინგის“ გუნდს 2010 წლიდან შეუერთდა და 2018 წლიდან კომპანიის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას იკავებს. თორნიკეს უმაღლესი განათლება მიღებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დაამთავრა ეკონომიკისა და ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტი. ბატონ თორნიკეს მასტერის ხარისხი აქვს საქართველოს უნივერსიტეტისგან. მისი კარიერა მოიცავს 11+ წლიან გამოცდილებას საბანკო და ფინანსურ სექტორში.

კომპანიები, სადაც ბატონ თორნიკე მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს სალისბერი ფროფერთიზ (ს/ნ 405020338), შპს ბლექ სი ენთერფრაიზ (ს/ნ 416325006), შპს შეარდ ესთეით (ს/ნ 405712411).

ნანა შონია (ს/ნ 01009006905) – იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ქალბატონი ნანა „თიბისი ლიზინგის“ გუნდს 2007 წლიდან შეუერთდა და 2013 წლიდან კომპანიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას იკავებს. იგი მანამდე მუშაობდა სს „პროკრედიტ ბანკში“ იურისტის პოზიციაზე. ნანამ 2005 წელს დაამთავრა სამართლის მაგისტრატურა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ქალბატონი ნანას გამოცდილება მოიცავს იურიდიულ, შესაბამისობისა და ადმინისტრაციულ ფუნქციებს.

ქალბატონი ნანა არ არის და ბოლო 5 წლის მანძილზე არ ყოფილა სხვა რომელიმე კომპანიის მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

გურამ გუნცაძე (ს/ნ 01024060148) – საოპერაციო რისკების მენეჯერი

ბატონი გურამი „თიბისი ლიზინგის“ გუნდს 2022 წლიდან შეუერთდა საოპერაციო რისკების მენეჯერის პოზიციაზე. იგი მანამდე მუშაობდა სადაზღვეო კომპანიებში „იმედი L“-სა და „ალდაგში“, მონაცემების ანალიზის მიმართულებით. გურამმა Central European University, ვენაში და Bocconi University, ბიზნესისა და ეკომონიკის ფაკულტეტი. მისი გამოცდილება მოიცავს ბიზნეს პროცესების კონტროლს, პროცესების ოპტიმიზაციასა და საოპერაციო რისკების მენეჯმენტს.

კომპანიები, სადაც ბატონი გურამი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს გგგდაბინგი (ს/ნ 405402078); შპს ალფა2020 (ს/ნ 405423554); შპს ჯეობოქსი (ს/ნ 405446799); შპს გგგ მედია (ს/ნ 405376640); შპს ბრავო ივენთს (ს/ნ 404886496); შპს ბისიბი (ს/ნ 404908953).

ხელმძღვანელი ორგანო

ხელმძღვანელი ორგანო შედგება დირექტორისგან, რომელიც ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტურად დანერგვას. დირექტორი ასევე არის კომპანიის გადაწყვეტილების მიმღები მთავარი ორგანო და პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიურ ადმინისტრაციულ მართვაზე სამეთვალყურეო საბჭოს დადგენილებებისა და მითითებების თანახმად, ასევე კომპანიის მიზნების, კულტურის, ღირებულებების და გრძელვადიანი წარმატების სტრატეგიის ხელშეწყობაზე და მდგრადი ღირებულებების განსაზღვრაზე. სამეთვალყურეო საბჭოს რეგულარულად უნდა მიეწოდებოდეს ინფორმაცია საზოგადოების მნიშვნელოვან საკითხებსა და პრობლემებზე საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს მიერ, რომელიც ასევე პასუხისმგებელია საზოგადოების თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობების სწორად გადანაწილებასა და ეფექტური მმართველობის სტრუქტურის შექმნაზე, რაც საზოგადოების შიგნით უნდა უზრუნველყოფდეს ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას.

სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს დირექტორს თანამდებობაზე მაქსიმუმ 3 (სამი) წლის ვადით და შეუძლია გაათავისუფლოს ის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად.

კომპანიის დირექტორის მოვალეობები და უფლებამოსილებებია:

- უზრუნველყოს საზოგადოების ყოველდღიური მართვა;
- ზედამხედველობა გაუწიოს საზოგადოების ფილიალების, სერვისცენტრების და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას და მათზე დაკისრებული ამოცანების შესრულებას;
- ფინანსური წლის დასრულებიდან არაუმეტეს 3 (სამი) თვის განმავლიობაში მოამზადოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს მიმდინარე წლის ბიზნეს გეგმა, რაც მოიცავს წლიურ ბიუჯეტსა და

მოგება-ზარალის გაანგარიშებას, აგრეთვე საზოგადოების საინვესტიციო გეგმას, ასევე მოამზადოს სხვა წლიური ანგარიშები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მათ შორის მოგების განაწილების შესახებ წინადადება;

- განიხილოს შიდა აუდიტის გადაწყვეტილებები;
- აღასრულოს აქციონერთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებები;
- შეიმუშაოს საზოგადოების შიდა მარეგულირებელი აქტები, პროცედურები და უზრუნველყოს საზოგადოების გამართული ფუნქციონირება;
- მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების პერსონალის შერჩევის, გათავისუფლების, კვალიფიკაციის ამაღლების და ანაზღაურების საკითხებზე, ასევე საშტატო გეგმის შესაბამისად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დანიშნოს და გაათავისუფლოს თანამშრომლები;
- წარმოადგინოს საზოგადოება შეუზღუდავად სასამართლოში და ნებისმიერ მესამე პირთან ურთიერთობის პროცესში;
- ჩვეული სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული საზოგადოების ქონების (მათ შორის უძრავი ქონების) შეძენის, გასხვისების, გაცვლის, უფლებრივი დატვირთვის შესახებ მიიღოს გადაწყვეტილებები და დადოს გარიგებები;
- საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებები) შესახებ მიიღოს გადაწყვეტილებები და დადოს გარიგებები, რომლებიც დადებული არ არის ჩვეული სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში და რომელთა ღირებულება შეადგენს საზოგადოების კაპიტალის 3%-ზე ნაკლებს;
- ყველა იმ საკითხზე, რომელიც წინამდებარე წესდების შესაბამისად, არ განეკუთვნება აქციონერთა საერთო კრების ან/და საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას, გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი წესდებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;
- დირექტორის ფუნქციები არ შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს. ამავდროულად დირექტორი არ შეიძლება იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

გაიოზ გოგუა (ს/ნ 01001032462) – გენერალური დირექტორი

ბატონი გაიოზ (გაგა) გოგუა 2017 წლიდან „თიბისი ლიზინგის“ გენერალური დირექტორია. „თიბისი ბანკში“ მას საბანკო სექტორში მუშაობის 18-წლიანი გამოცდილება აქვს. გაგამ კარიერა „თიბისიში“ 2001 წელს საკრედიტო ოფიცრის თანამდებობაზე მუშაობით დაიწყო. 2003-2004 წლებში ის საკრედიტო განყოფილების უფროსის პოსტს იკავებდა, ხოლო შემდეგ თბილისსა და რეგიონებში „თიბისი ბანკის“ სხვადასხვა ფილიალის დირექტორად მუშაობდა. 2005-2008 წლებში გაგა „თიბისის“ მარკეტინგის კომიტეტის წევრად დაინიშნა. 2008 წლიდან 2016-მდე, ის სხვადასხვა ფილიალის რეგიონულ დირექტორად მუშაობდა, შემდეგ კი, 2017 წელს, რეგიონული მართვის უფროსად დაინიშნა. იგი ფლობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხს ფიზიკის მიმართულებით, ასევე TACIS Tbilisi-ს ბაკალავრის ხარისხს მენეჯმენტის მიმართულებით და თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის ხარისხს. როგორც გენერალური დირექტორი, გაგა გოგუა პასუხს აგებს კომპანიის ყოველდღიურ მართვაზე და, თავმჯდომარესთან და სამეთვალყურეო საბჭოსთან კონსულტაციებით, ხელმძღვანელობს სტრატეგიისა და საერთო კომერციული მიზნების შეთავაზებას, შემუშავებას და დანერგვას.

<u>კომპანიები, სადაც ბატონი გაიოზი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: სალიზინგო კომპანიების ასოციაცია (ს/ნ 404525135), შპს ჰილტოპ გრინი-2023 (ს/ნ 404686960).</u>

მმართველი მენეჯმენტი

ნუგზარ ლოლაძე (ს/ნ 01017027477) – ფინანსური დირექტორი

ბატონი ნუგზარ ლოლაძე „თიბისი ლიზინგის“ გუნდს ფინანსური დირექტორის პოზიციაზე 2014 წელს შეუერთდა. პარალელურად, 2017-2018 წლებში ის კომპანიის რისკების მართვის ხელმძღვანელიც იყო. „თიბისი ლიზინგამდე“ 2008 წელს მან აუდიტორულ კომპანია EY-ში დაიწყო მუშაობა. 2012 წელს ის დაინიშნა დსთ-ის ქვეყნებში ტრანზაქციების საკონსულტაციო მიმართულების ხელმძღვანელად. აღნიშნულ პოზიციებზე მუშაობისას ის ხელმძღვანელობდა და მონაწილეობას იღებდა შემდეგი მსხვილი კომპანიების პროექტებში: „ბი თი ეი ჯორჯია“, „ვითიბი ჯორჯია“, „სოკარ ენერჯი ჯორჯია“, „ტავ ურბან საქართველო“, „საქართველოს ეროვნული ბანკი“, „საქართველოს ბანკი“, „ჰაიდელბერგცემენტი“, „ყაზტრანსგაზი“, „V-Tell“ და სხვა. ნუგზარი ფლობს კავკასიის ბიზნესის სკოლის ბაკალავრის ხარისხს ფინანსური მიმართულებით. როგორც ფინანსური დირექტორი, ნუგზარი უძღვება კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო განყოფილებებს. იგი ზედამხედველობს ხაზინის, დაფინანსების, ბიუჯეტირების, ანგარიშგების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, პროექტების მართვის და შესყიდვების გუნდების ყოველდღიურ ოპერაციებს. ფინანსური დირექტორი პასუხს აგებს და უშუალოდ არის ჩართული შიდა კონტროლის სისტემების დანერგვასა და შემოღებაში, პროცესების და ტრანზაქციების გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში, კომპანიის სტრატეგიული და ფინანსური მიზნების მიღწევაში.

<u>ბატონი ნუგზარი არ არის და ბოლო 5 წლის მანძილზე არ ყოფილა სხვა რომელიმე კომპანიის მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.</u>

ზურაბ გუგუშვილი (ს/ნ 01024020098) – კომერციული დირექტორი

ბატონი ზურაბ გუგუშვილი სს „თიბისი ლიზინგის“ კომერციულ დირექტორად 2021 წლის მარტში დაინიშნა. „თიბისი ლიზინგამდე“ 2018 წელს ზურაბი სადაზღვევო კომპანია „უნისონის“ კომერციული დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა. სადაზღვევო სფეროში მოღვაწეობამდე, ზურაბი 12 წლის განმავლობაში „თიბისი ჯგუფის“ გუნდის წევრი იყო და 2006 წლიდან სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. 2008 წლიდან ზურაბის ძირითადი საქმიანობა მოზიდვები და იურიდიულ პირთა მომსახურება იყო, ექსპერტების ზედამხედველობის ნაცვლად. „თიბისიში“ მუშაობის ბოლო ცხრა წლის განმავლობაში, იგი უძღვებოდა მთავარ მიმართულებებს კორპორაციულ სექტორში, ძირითადად საცალო ვაჭრობასა და ავტოინდუსტრიას, თუმცა პერიოდულად ებარა განათლების, მასპინძლობის, კომერციული უძრავი ქონებისა და სხვა სექტორების ზედამხედველობა. 2016 წლიდან, ჯგუფის გაზრდასთან ერთად, ზურაბი დაინიშნა კორპორაციული განყოფილების უფროსად და კორპორაციული ბიზნესის დაახლოებით 20%-ზე აგებდა პასუხს. როგორც კომერციულ დირექტორს, აბარია კომპანიის შემოსავლების გენერირება, ახალი მომხმარებლების მოზიდვა და არსებული მომხმარებლების შენარჩუნება. ახალი პროდუქტების შექმნით და არსებული პროდუქტების დახვეწით, მისი მთავარი მიზანი ჯანსაღი, გრძელვადიანი სალიზინგო პორტფელის შექმნაა.

<u>კომპანიები, სადაც ბატონი ზურაბი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი “ინფექციურ დაავადებათა საინფორმაციო-კვლევითი ცენტრი” (ს/ნ 204977365), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საფეხბურთო კლუბი დინამო“ (ს/ნ 203862837).</u>

გიორგი მაისურაძე (ს/ნ 01024022547) – რისკების მართვის დირექტორი

ბატონი გიორგი მაისურაძე „თიბისი ლიზინგის“ გუნდს 2018 წელს შეუერთდა – რისკების მართვის დირექტორის თანამდებობაზე. გიორგის ფინანსური სექტორში მუშაობის 23 წლის გამოცდილება აქვს, რომლის თითქმის ნახევარი მან რისკის მართვის სფეროს დაუთმო. მან კარიერა Baker Tilly-ს კომპანიაში დაიწყო აუდიტის მენეჯერად. შემდეგ გამოცდილება დააგროვა საქართველოში მოქმედ სხვადასხვა ბანკში: „თიბისი ბანკი“, „საქართველოს ბანკი“, „ბანკი

რესპუბლიკა სოსიეტე ჟენერალი“, „პროკრედიტ ბანკი“, „პრივატ ბანკი“ და „ბაზის ბანკი“. 2010-2014 წლებში გიორგი მუშაობდა საკრედიტო რისკის მენეჯერად საქართველოს ეროვნულ ბანკში. 2015-2018 წლებში ის წამყვან მენეჯერულ პოზიციებს იკავებდა ბაზის ბანკში. მას განათლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე აქვს მიღებული – ფლობს ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხს მაკროეკონომიკის მიმართულებით. ასევე ფლობს კორპორაციული ფინანსების ინსტიტუტის (CFI) რამდენიმე სერტიფიკატს: კაპიტალის ბაზრების და ფასიანი ქაღალდების ანალიტიკოსი (CMSA), ფინანსური მოდელირების და შეფასების ანალიტიკოსი (FMVA), და ფინანსური დაგეგმვა და დაგროვილი ქონების მართვა (FPWM). როგორც რისკების დირექტორი, გიორგი ზედამხედველობს საკრედიტო რისკის, სამეწარმეო რისკის მართვის, პრობლემური აქტივების მართვისა და ამოღების და იურიდიულ განყოფილებებს. იგი ახორციელებს სხვადასხვა კონტროლის სისტემას, რათა უზრუნველყოს ჯანსაღი სალიზინგო პორტფელი ანდერაიტინგის ეფექტური პროცესებით და დავალიანების ამოღების ჯანსაღი ღონისძიებებით.

<u>ბატონი გიორგი არ არის და ბოლო 5 წლის მანძილზე არ ყოფილა სხვა რომელიმე კომპანიის მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.</u>

დასაქმებულები

სს თიბისი ლიზინგში დასაქმებულთა რაოდენობა 2025 წლის ივნისის მდგომარეობით 181 შეადგენდა, ხოლო 2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 170 და 144, შესაბამისად.

ანაზღაურება და ბენეფიტები

2024 და 2023 წლების განმავლობაში კომპანიის თანამშრომლებზე გაწეულმა ხარჯებმა 11,459 და 8,568 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო 2025 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში - 6,675.

აღნიშნულიდან, სამეთვალყურეო და აღმასრულებელი საბჭოების წევრებთან გაწეული ხარჯები შეადგენს 1,345 ათას ლარს 2024 წელს, 1,300 ათას ლარს 2023 წელს და 719 ათას ლარს 2025 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში.

ინტერესთა კონფლიქტზე განაცხადი

პროსპექტის შედგენის თარიღისთვის „მმართველი ორგანო და მენეჯმენტის“ სექციაში ჩამოთვლილი პირების და ემიტენტთან დაკავშირებულ მოვალეობებს/პასუხისმგებლობებს შორის ინტერესთა კონფლიქტს ადგილი არ ჰქონია/აქვს.

ამასთან, არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ემიტენტის 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე აქციონერებს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ან/და ემიტენტის აღმასრულებელი მენეჯმენტის წევრებს შორის. ზემოთ ჩამოთვლილ პირებსა და ძირითად აქციონერებს, მომხმარებლებსა და მომწოდებლებს შორის არ მომხდარა შეთანხმება, რომლის საფუძველზეც, რომელიმე პირი არჩეულ იქნა დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს ან უმაღლესი რგოლის მენეჯმენტის წევრად.

საჩივრების შესახებ განცხადება

პროსპექტის შედგენის თარიღისთვის, ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს არც ერთი წევრი, 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე აქციონერი და აღმასრულებელი მენეჯმენტის არც ერთი წევრი- არანაკლებ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში:

- არ არის ნასამართლევი თაღლითობის, ეკონომიკური დანაშაულის ან ფულის გათეთრების ფაქტებთან დაკავშირებით;

- არ ჰქონია აღმასრულებელი ფუნქცია, მმართველი ან საზედამხედველო ორგანოების წევრის სახით ნებისმიერ კომპანიაში გაკოტრების ან ლიკვიდაციის დროს (ნებაყოფლობითი ლიკვიდაციის გარდა) ან არ ექვემდებარება რაიმე ოფიციალურ ინკრიმინაციას ან/და სანქციას ნებისმიერი სახელმწიფო ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ (ნებისმიერი პროფესიული ორგანოს ჩათვლით) და სასამართლოს მიერ;
- არასდროს მომხდარა მისი მოხსნა ან/და სანქცირება რომელიმე სახელმწიფო ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ (მათ შორის ნებისმიერი პროფესიონალური ორგანო) ან დისკვალიფიკაცია ნებისმიერი კომპანიის მართვის ან სამეთვალყურეო ორგანოს წევრის მოვალეობის შესრულებისგან.

ბოლო 5 წლის განმავლობაში თაღლითობის, ეკონომიკური დანაშაულის ან ფულის გათეთრების შემთხვევების შესახებ ინფორმაცია არ გამოვლენილა.

დივიდენდების პოლიტიკა

კომპანიას არ აქვს დივიდენდების გაცემის გაცხადებული პოლიტიკა. ემიტენტმა პროსპექტში ნაჩვენები თარიღებიდან მხოლოდ 2024 წელს გადაიხადა 5,000 ათასი ლარის დივიდენდები.

პროსპექტის შედგენის თარიღისთვის „ემიტენტის“ დივიდენდების პოლიტიკა დამტკიცების პროცესშია და შემდეგნაირად აღიწერება:

- დირექტორთა საბჭო გაცემს საბოლოო რეკომენდაციას დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებით, ხოლო სამეთვალყურეო საბჭო იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას;

- დივიდენდის გამოცხადებისა და განაწილების შესახებ გადაწყვეტილება არის სამეთვალყურეო საბჭოს დისკრეცია და ეყრდნობა შემდეგ ფაქტორებს:

  - **კომპანიის მომგებიანობა:** დივიდენდის ოდენობის განსაზღვრამდე უნდა მოხდეს მომგებიანობის, ფულადი ნაკადებისა და საოპერაციო მოთხოვნების ანალიზი.

  - **ფინანსური სტაბილურობა**: დივიდენდის განაწილება არ უნდა უქმნიდეს საფრთხეს კომპანიის ფინანსურ სტაბილურობას, მის შესაძლებლობას უზრუნველყოს ფინანსური ვალდებულებების მომსახურება შეუფერხებლად.

  - **კაპიტალური დანახარჯები:** დივიდენდის გამოცხადებამდე საბჭომ უნდა შეფასოს კაპიტალური დანახარჯების, საინვესტიციო შესაძლებლობებისა და მომავალი ზრდისათვის საჭირო კაპიტალის დონის შენარჩუნება.

  - **სამართლებრივი შეზღუდვები:** საბჭო უნდა დარწმუნდეს, რომ კომპანია ასრულებს ყველა კანონით განსაზღვრულ მოთხოვნას, რომელიც არეგულირებს დივიდენდის გადახდას.

დაკავშირებული მხარის გარიგებები

როგორც წესი, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა შეუძლია მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ ან საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებული მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

„სხვა დაკავშირებული საწარმოები“ გულისხმობს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სხვა კომპანიებს და მშობელი საწარმოს მნიშვნელოვან აქციონერებს. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა შედგება კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრებისგან.

2025 წლის 30 ივნისის, 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები ასე გამოიყურებოდა:

ათას ლარში	მშობელი საწარმო	30 ივნ 2025 საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული საწარმოები	მშობელი საწარმო	31 დეკ 2024 საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული საწარმოები	მშობელი საწარმო	31 დეკ 2023 საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული საწარმოები
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	31,290	-	-	44,179	-	-	29,116	-	-
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: 16%-29%)	5,034	-	590	5,431	-	948	5,730	-	525
ბანკებისგან და ფინანსური დაწესებულებებისგან აღებული სესხები (სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი: 12.2 %-13.0%)	10,004	-	-	15,045	-	-	20,079	-	-
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	24,800	-	-	24,598	-	-	24,917	-	-
სხვა ფინანსური აქტივები	-	434	-	116	805	-	24	909	-
გადახდილი ავანსები	-	3,047	-	-	2,683	-	-	2,179	-
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1,039	-	-	655	-	-	142	-	-
სხვა ვალდებულებები	4	-	-	43	-	-	-	-	-

მოგებისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2025 წლის 30 ივნისისა და 2024 წლის 30 ივნისისთვის ასე გამოიყურებოდა:

ათას ლარში	მშობელი საწარმო	2025 6 თვე საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული საწარმოები	მშობელი საწარმო	2024 6 თვე საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული საწარმოები
ამონაგები საოპერაციო ლიზინგიდან	790	-	-	8	-	-
ფინანსური შემოსავალი	637	-	69	665	-	69
სხვა შემოსავალი	-	-	-	873	437	-
საპროცენტო ხარჯი	1,609	-	-	2,432	-	-
პირდაპირი სალიზინგო დანახარჯები	-	3,013	-	-	2,548	-
საბანკო და სხვა მომსახურების ხარჯი	-	-	-	33	12	-
ზარალი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	(91)	-	-	1,093	-	-

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	10	209	-	41	251	-
ვალუტის კონვერტაციიდან მიღებული შემოსულობა ზარალის გამოკლებით/(ზარალი შემოსულობის გამოკლებით)	(718)	-	-	168	-	-

მოგებისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ასე გამოიყურებოდა:

ათას ლარში	მშობელი საწარმო	2024 საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული საწარმოები	მშობელი საწარმო	2023 საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული საწარმოები
ამონაგები საოპერაციო ლიზინგიდან	8	-	-	939	-	-
ფინანსური შემოსავალი	665	-	69	82	-	68
სხვა შემოსავალი	1,572	617	-	1,542	632	-
საპროცენტო ხარჯი	4,693	-	-	4,702	-	-
პირდაპირი სალიზინგო დანახარჯები	-	5,321	-	-	4,623	-
საბანკო და სხვა მომსახურების ხარჯი	15	-	-	86	28	-
ზარალი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	1,444	-	-	1,783	-	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	93	586	-	191	805	-
ვალუტის კონვერტაციიდან მიღებული შემოსულობა ზარალის გამოკლებით/(ზარალი შემოსულობის გამოკლებით)	(253)	-	-	884	-	-

პროსპექტში ნაჩვენები პერიოდების განმავლობაში უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრების ანაზღაურება, რომლებიც დირექტორთა საბჭოს წევრები არიან (სულ 4 პირი), შედგებოდა ხელფასებისგან და პრემიებისგან.

ქვემოთ წარმოდგენილია ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება 2025 წლის და 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით:

	30 ივნ 2025		30 ივნ 2024	
	ხარჯები	დარიცხული ვალდებულება	ხარჯები	დარიცხული ვალდებულება
ხელფასები და მოკლევადიანი პრემიები	719	342	699	270

ქვემოთ წარმოდგენილია ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება 2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკ 2024		31 დეკ 2023	
	ხარჯები	დარიცხული ვალდებულება	ხარჯები	დარიცხული ვალდებულება
ხელფასები და მოკლევადიანი პრემიები	1,345	646	1,300	667

“ემიტენტი” დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციებისას სარგებლობას "გაშლილი მკლავის პრინციპით". შესაბამისად, “ემიტენტსა” და დაკავშირებულ მხარეებს შორის პროსპექტში ნაჩვენები პერიოდების განმავლობაში არ ყოფილა ისეთი ტრანზაქცია, რომელიც არ არის სამართლიანი ღირებულებით განხორციელებული. ამასთან, წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული “ობლიგაციის პირობები” ითვალისწინებს დამატებით შეზღუდვებს, იხილეთ *“2.6.1 (მ) აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები”.*

გამოყენებული წყაროები

პროსპექტში გამოყენებული ძირითადი წყაროებია:

- „ემიტენტის“ აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“, IFRS) შესაბამისად 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის („აუდიტირებული ინდივიდუალური წლიური ფინანსური ანგარიშგება“) www.reportal.ge
- „ემიტენტის“ არააუდიტირებული ნახევარწლიური ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“, IFRS) შესაბამისად 2025 და 2024 წლის 30 ივნისისთვის („არააუდიტირებული ინდივიდუალური ნახევარწლიური ფინანსური ანგარიშგება“) www.reportal.ge
- „ემიტენტის“ ვებ-გვერდი https://www.tbcleasing.ge/home
- საქსტატი https://www.geostat.ge/ka
- საქართველოს ეროვნული ბანკი www.nbg.ge

სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებული დოკუმენტების ჩამონათვალი

სარეგისტრაციო დოკუმენტში დამატებით მითითებულია შემდეგი დოკუმენტები (გარდა პროსპექტში მითითებული წყაროებისა)

- კომპანიის ამონაწერი (NAPR-ის სისტემაში განცხადების ნომერი: B25135068)
- სადამფუძნებლო შეთანხმება და კომპანიის წესდება (NAPR-ის სისტემაში განცხადების ნომერი: B24140899);
- ხელშეკრულება განთავსების აგენტსა და „ემიტენტს” შორის;
- ხელშეკრულება კალკულაციისა და გადახდის აგენტსა და „ემიტენტს“ შორის;
- კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები გამოქვეყნებულია ანგარიშგების პორტალზე (reportal.ge);

ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები, გარდა „კომპანიის“ წესდებისა და ფინანსური ანგარიშგებებისა, წარმოადგენს კონფიდენციალურ დოკუმენტებს, რომელთა გამოქვეყნებასაც „ემიტენტი“ არ გეგმავს, თუმცა აღნიშნული დოკუმენტების გაცნობა არსებული და პოტენციურ ინვესტორებისთვის ფიზიკური ფორმით შესაძლებელია „ემიტენტის“ ან/და განთავსების აგენტის პროსპექტში მითითებულ მისამართზე, ისევე როგორც ელექტრონული ფორმით, პროსპექტში მითითებული ელექტრონული ფოსტიდან გამოთხოვის შემთხვევაში. არსებული ინვესტორებისთვის აღნიშნული დოკუმენტების ბოლო ხელმისაწვდომი ვერსიის გაზიარება ელექტრონული ფორმით უნდა განხორციელდეს მოთხოვნის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა

1. მნიშვნელოვანი ინფორმაცია

1.1. განაცხადი საბრუნავი კაპიტალის შესახებ

	30 ივნ 2025	31 დეკ 2024	31 დეკ 2023
მოკლევადიანი აქტივები	418,410	314,803	244,614
მოკლევადიანი ვალდებულებები	337,494	160,390	132,263
საბრუნავი კაპიტალი	**80,916**	**154,413**	**112,351**

კომპანიის საბრუნავი კაპიტალი (მოკლევადიან აქტივებს მინუს მოკლევადიანი ვალდებულებები) 2025 წლის 30 ივნისის, 2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 80,916, 154,413 და 112,351 ათასი ლარი, შესაბამისად. აღნიშნული პერიოდებისთვის კომპანიის მიმდინარე კოეფიციენტი შეადგენდა 124.0%, 196.3% და 184.9%, შესაბამისად.

“ემიტენტის” საბრუნავი კაპიტალი საკმარისი მისი მიმდინარე ოპერაციების დასაფინანსებლად.

„ემიტენტი“ მიმდინარე ობლიგაციების ემისიით გეგმავს ჯამურ 60 მლნ დოლარამდე ობლიგაციების გამოშვებას, რომელიც სრულად სალიზინგო პორტფელის ზრდას მოხმარდება. ამასთან სალიზინგო პორტფელის ზრდის პარალელურად მისი შემცირება მოხდება გადახდებით, რომლებიც ემიტენტის ბიზნეს ოპერაციების შესაბამისად - მიმართული იქნება მიღებული საპროცენტო ვალდებულებების დასაფარად. შესაბამისად მოსალოდნელია, რომ ლიზინგებზე გადახდების გათვალისწინებით სალიზინგო პორტფელისა და აღებული საპროცენტო ვალდებულებების პორტფელის ზრდის მაჩვენებელი არ იქნება რადიკალურად განსხვავებული წინა პერიოდებისგან.

1.2. შეთავაზების განხორციელებაში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესის აღწერა, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტისაც, რომელიც მატერიალურია ემისიის / შეთავაზების ფარგლებში

შეთავაზებაში ჩართული პირი	როლი შეთავაზებაში	ინტერესის აღწერა	ინტერესთა კონფლიქტის აღწერა
შპს „თიბისი კაპიტალი“	განგთავსების აგენტი	წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის განთავსების აგენტია „თიბისი კაპიტალი“, რომელიც ასევე იქნება გადახდისა და კალკულაციის აგენტი. შესაბამისად, მის ინტერესებშია ფასიანი ქაღალდების განთავსება და სანაცვლოდ, კომპანიასთან შეთანხმებული საზღაურის მიღება.	› **კავშირი „ემიტენტსა“ და „განთავსების აგენტს“ შორის** წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის „განთავსების აგენტსა“ და „გადახდის და კალკულაციის აგენტს“ წარმოადგენს შპს „თიბისი კაპიტალი“, რომელიც „ემიტენტთან“ აფილირებული პირია. კერძოდ, შპს „თიბისი კაპიტალი“ და „ემიტენტის“ 100%-იან მესაკუთრეს წარმოადგენს სს „თიბისი ბანკი“. მიუხედავად იმისა, რომ პოტენციური ინვესტორების მხრიდან ასეთი კავშირი შეიძლება ჩაითვალოს გარკვეულ რისკ ფაქტორად, ემიტენტი მიიჩნევს, რომ ამგვარი რისკი არ არის არსებითი, იმის გათვალისწინებით, რომ „განთავსების აგენტისა“ და „ემიტენტის“ მმართველ ორგანოთა წევრები ერთმანეთისგან სრულად განცალკევებულია და მოცემულ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ყველა ხელშეკრულება დადებულია არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, კომეციულ საფუძელზე. › **კავშირი განთავსების აგენტსა და პოტენციურ ინვესტორს შორის** არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება სს „თიბისი ბანკი“, რომელიც საქართველოში მოქმები ერთ-

			ერთი მსხვილი კომერციული ბანკია და რომელიც აფილირებულია განთავსების აგენტთან, კერძოდ განთავსების აგენტი სს „თიბისი ბანკის“ პირდაპირი შვილობილი კომპანიაა. ამავდროულად, სს „თიბისი ბანკის“ კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო ბიზნესის დირექტორი ჯგუფის დონეზე ზედამხედველობას უწევს „განთავსების აგენტს“. ჩამოთვლილმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი, „განთავსების აგენტსა“ და სს „თიბისი ბანკს“ შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი შემცირებულია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: (ა) განთავსების აგენტს კანონმდებლობით მოეთხოვება, რომ როგორც სს „თიბისი ბანკს“, ასევე ყველა ინვესტორს მოექცეს თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე; (ბ) თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შეძენაზე ვიდრე ამ „პროსპექტით“ არის გათვალისწინებული, განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მიიღებს თავად „ემიტენტი“ და არა „განთავსების აგენტი“. › **კავშირი „ემიტენტსა“ და პოტენციურ ინვესტორს შორის** არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება სს „თიბისი ბანკი“, რომელიც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკი, რომელიც აფილირებულია ემიტენტთან, კერძოდ „ემიტენტი“ სს „თიბისი ბანკის“ პირდაპირი შვილობილი კომპანიაა. მიუხედავად იმისა, რომ პოტენციური ინვესტორების მხრიდან ასეთი კავშირი შეიძლება ჩაითვალოს გარკვეულ რისკ ფაქტორად, ემიტენტი მიიჩნევს, რომ ამგვარი რისკი არ არის არსებითი, იმის გათვალისწინებით, რომ „ემიტენტისა“ და „პოტენციური ინვესტორის“ იმ მმართველ ორგანოთა წევრები, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებენ „ობლიგაციების“ შესყიდვაზე ერთმანეთისგან სრულად განცალკევებულია და მოცემულ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება მიღებული იქნება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების კაპიტალის სტრუქტურაში ცვლილებებისა და გადახდისუუნარობის / გაკოტრების შემთხვევის შესახებ

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს (pari passu) და „კომპანიის“ ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას. „რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლის თანახმად გადახდისუუნარობის მასა პროპორციულობის პრინციპის დაცვით უნდა განაწილდეს. ყოველი მომდევნო რიგის კრედიტორთა მოთხოვნები დაკმაყოფილდება წინა რიგის კრედიტორთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ, თუ სხვა ცვლილება არ არის გათვალისწინებული ყველა კრედიტორის შეთანხმებით, რომლებზედაც ეს ცვლილება გავლენას მოახდენს. აღნიშნული „ობლიგაციები“ 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.გ.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაუზრუნველყოფილი მოთხოვნად ჩაითვლება.

ზემოაღნიშნული კანონის თანახმად, ემიტენტის გაკოტრების შემთხვევაში, გადახდისუუნარობის ქონება განაწილდება შემდეგი თანმიმდევრობით:

1) გაკოტრების რეჟიმის ხარჯები (რომელიც თავის მხრივ მოიცავს (i) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავში გათვალისწინებული პროცედურის ხარჯებს; (ii) გაკოტრების მმართველის ანაზღაურებას, და (iii) საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში

შრომითი ურთიერთობიდან წარმოქმნილი ხარჯები, ქონების მართვის ხარჯები, აგრეთვე მმართველის გადაწყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები);

2) სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ „ემიტენტის“ მიმართ წარმოშობილი დავალიანება, მათ შორის, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები;
3) კრედიტორთა ჯგუფები – შემდეგი თანამიმდევრობით:
    a. პრეფერენციული მოთხოვნები - სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე გადასახდელი, 3 თვის ხელფასისა და შვებულების ხარჯების (გარდა მოვალის დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, აგრეთვე მათი ოჯახის წევრების ხელფასისა და შვებულების ხარჯებისა) ასანაზღაურებელი თანხები, საწარმოო ტრავმის გამო გადასახდელი თანხები (თითოეული კრედიტორისთვის – არაუმეტეს 1 000 ლარის ოდენობით);
    b. პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები - სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე ბოლო 3 წლის შესაბამის საგადასახადო პერიოდზე წარმოშობილი, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული არაპირდაპირი გადასახადების თანხები;
    c. არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადასახდელი თანხების ჩათვლით, რომლებიც გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი გადასახადების თანხა, რომლებსაც „რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტის სხვა ქვეპუნქტები არ მოიცავს;
    d. მოთხოვნები, რომლებიც წარმოშობილია გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არსებულ ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების სახით, ადმინისტრაციული ჯარიმები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან გამომდინარე სხვა ფულადი ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დარიცხული ჯარიმები და საურავები
    e. არაპრივილეგირებული მოთხოვნები; და
    f. კორპორაციული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებები (დივიდენდის გადახდა, აქციათა გამოსყიდვა, შენატანის დაბრუნება).

ფასიანი ქაღალდების სხვა მახასიათებლები

ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა შეზღუდული არ არის.

შეთავაზება განხორციელდება ამ პროსპექტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. შეთავაზება დაიწყება პროსპექტის დამტკიცების შემდეგ და დასრულება ქვემოთ ჩამოთვლილი სამი შემთხვევიდან პირველივეს დადგომის შემთხვევაში:

ა) ემისიის პროსპექტის მოქმედების ვადის გასვლისას;
ბ) საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების სრულად განთავსებისას;
გ) საჯარო შეთავაზების შეწყვეტისას. „ობლიგაციების“ განთავსება მოხდება ნომინალური ღირებულების 100%-ის ფასად.

ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხდება ემიტენტის მიერ სრულად და შეთავაზების ფარგლებში ინვესტორს არ დაეკისრება რაიმე სახის ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯი.

„ემიტენტის“ განთავსების, კალკულაციისა და გადახდის აგენტი: შპს „თიბისი კაპიტალი“ (ს/ნ: 204929961); ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7; იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N11; ელ.ფოსტა: info@tbccapital.ge; ტელ.: (+995 32) 227 27 97; ვებ-გვერდი: www.tbccapital.ge; რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო; მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა.

შპს „თიბისი კაპიტალი“ („განთავსების აგენტი”), მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად, შეუთანხმდა „კომპანიას“, რომ დაეხმარება მას „ობლიგაციების“ განთავსებაში, არაგარანტირებული (Best Effort) საფუძვლით, საუკეთესო ძალისხმევის გამოყენებით.

განთავსებასა და შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა საკომისიოები არ აღემატება განთავსებული ობლიგაციების 1.5%-ს. განთავსების საკომისიოს სრულად ფარავს „ემიტენტი“ და ინვესტორებზე არ იქნება დაკისრებული არანაირი განთავსების ხარჯი.

ობლიგაციების პირობები

„ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭომ 2025 წლის 20 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება ჯამური 60,000,000 აშშ დოლარამდე ან/და სხვა ვალუტაში მისი ექვივალენტი მოცულობის ნომინალური ღირებულების მქონე არასუბორდინირებული და არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების ერთ ან ერთზე მეტ ტრანშად გამოშვების შესახებ, „პროსპექტისა“ და „შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ შესაბამისად. ობლიგაციების საბოლოო საპროცენტო სარგებელი დადგინდება სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში. ობლიგაციების გადახდის სიხშირე განისაზღვრება, როგორც ერთ-ერთი მოცემულთაგან: ა) ყოველთვიური; ბ) კვარტლური; გ) ნახევარწლიური; ობლიგაციების ვადიანობა შესაძლოა განისაზღვროს, როგორც ერთ-ერთი მოცემულთაგან: 1) 1 წლიანი; 2) 2 წლიანი; 3) 3 წლიანი; 4) 4 წლიანი; 5) 5 წლიანი.

ობლიგაციების პირობები და „ობლიგაციონერთა“ უფლებები განისაზღვრება: წინამდებარე „პროსპექტით“, მათ შორის, წინამდებარე „ობლიგაციების პირობებით“ (შემდგომში - „ობლიგაციების პირობები“ ან „პირობები“). გარდა პროსპექტის სხვა თავებში (მათ შორის, „შეთავაზების ძირითად პირობებში“) აღწერილი ობლიგაციების გამოშვების პირობებისა, მოცემულ თავში „ობლიგაციების პირობები“ - ასევე აღწერილია გარკვეული დამატებითი პირობები.

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ძირი თანხისა და პროცენტის გამოთვლა განხორციელდება „ემიტენტსა“ და „კალკულაციის და გადახდის აგენტს“ შორის დადებული „კალკულაციის და გადახდის აგენტის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების“ (შემდგომში - „კალკულაციის და გადახდის აგენტის მომსახურების ხელშეკრულება“) პირობების შესაბამისად, ხოლო „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე პროსპექტის შესაბამისად. თითოეული „ობლიგაციონერი“ უფლებამოსილია გაეცნოს/შეისწავლოს „კალკულაციის და გადახდის აგენტის ხელშეკრულების“ ასლი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება „კალკულაციის და გადახდის აგენტის“ მითითებულ მისამართზე (ასევე ელექტრონულად, „ემიტენტის“ „პროსპექტში“ მითითებული ელექტრონული ფოსტების მისამართიდან გამოთხოვის შემთხვევაში), და შესაბამისად, ითვლება, რომ თითოეული „ობლიგაციონერი“ სათანადოდ იქნა ინფორმირებული/გაეცნო „კალკულაციის და გადახდის აგენტის მომსახურების ხელშეკრულებას“. შესაბამისად, „კალკულაციის და გადახდის აგენტის მომსახურების ხელშეკრულების“ ყველა იმ შესაბამის პირობას, რაც ვრცელდება „ობლიგაციონერებზე“, აქვს „ობლიგაციონერებისთვის“ სავალდებულო ძალა.

შეთავაზების პერიოდი: „შეთავაზების პირობების“ დოკუმენტის შესაბამისად განსაზღვრული პერიოდი (შემდგომში - “შეთავაზების პერიოდი“).

1. ფორმა, ნომინალური ღირებულება და საკუთრების უფლება

ობლიგაციები გამოშვებულია დემატერიალიზებული ფორმით, ელექტრონული ჩანაწერის სახით. ერთი ობლიგაციის ნომინალური ღირებულებაა: 1,000 (ათასი) აშშ დოლარი ან ევრო.
„ობლიგაციონერებისათვის“ გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების დაკრედიტება წარმოშობს ცენტრალურ დეპოზიტარში ან ანგარიშის მწარმოებელთან არსებულ შესაბამის ინდივიდუალურ სეგრეგირებულ ანგარიშზე დაკრედიტებულ დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებზე „ობლიგაციონერის“ საკუთრების უფლებას. დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლება დასტურდება ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე არსებული საკრედიტო ნაშთით, რომლის დადასტურება ხდება შესაბამისი ანგარიშის მწარმოებლის მიერ გაცემული ანგარიშის ამონაწერით. „ობლიგაციონერებისათვის“ ინვესტორისთვის გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების დაკრედიტება წარმოშობს „ობლიგაციონერების“ ინვესტორის წილობრივი თანასაკუთრების უფლებას ამ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე დაკრედიტებული ობლიგაციების რაოდენობის პროპორციულად, ცენტრალურ დეპოზიტარში ან ანგარიშის მწარმოებელთან არსებულ იმ ომნიბუსსეგრეგირებულ ანგარიშზე დაკრედიტებული იდენტური ობლიგაციების ერთობლიობაზე, რომელზედაც დაკრედიტებულია შესაბამისი „ობლიგაციონერების“ ინვესტორ(ებ)ის ობლიგაცი(ებ)ი.

2. ინფორმაცია, რომელიც ეხება შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებს

2.1. შესათავაზებელი/სავაჭროდ დასაშვები ფასიანი ქაღალდის სახეობა (ტიპი) და კლასი;

ობლიგაციები წარმოადგენს პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და „კომპანიის“ ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას. „ობლიგაციები“ არ იქნება არც ერთი მთავრობის ვალდებულება.

2.2. კანონმდებლობა, რომლის შესაბამისადაც ხდება ამ ფასიანი ქაღალდების გამოშვება:

ობლიგაციების გამოშვება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2.3. ინფორმაცია დეპოზიტარის შესახებ:

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ 204935400), ტელეფონი: (+995 32) 2 50 02 11, მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის 71. მე-10 ბლოკი; ოფისი N7; სართული 7.

2.4. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ვალუტაშია ნომინირებული გამოსაშვები ფასიანი ქაღალდი:

„ობლიგაციები“ გაცემულია დემატერიალიზებული ფორმით, რომელთაგან თითოეულის ნომინალური შეადგენს 1,000 ერთეულს შესაბამის ვალუტაში - აშშ დოლარი ან ევრო.

2.5. გადახდისუუნარობის შემთხვევაში, შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდის რიგითობა ემიტენტის კაპიტალის სტრუქტურაში:

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს (pari passu) და „კომპანიის“ ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას. „რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლის თანახმად გადახდისუუნარობის მასა პროპორციულობის პრინციპის დაცვით უნდა განაწილდეს. ყოველი მომდევნო რიგის კრედიტორთა მოთხოვნები დაკმაყოფილდება წინა რიგის კრედიტორთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ, თუ სხვა ცვლილება არ არის გათვალისწინებული ყველა კრედიტორის შეთანხმებით, რომლებზედაც ეს ცვლილება გავლენას მოახდენს. აღნიშნული „ობლიგაციები“ 104-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „გ.გ.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაუზრუნველყოფილი მოთხოვნად ჩაითვლება.

2.6. იმ უფლებების და შეზღუდვების აღწერა, რომლებიც თან ერთვის ფასიან ქაღალდებს და აღნიშნული უფლებების განხორციელების პროცედურა:

2.6.1. ვალდებულებები

(ა) **უზრუნველყოფის საშუალების წარმოშობის შეზღუდვა**: მანამ სანამ რომელიმე „ობლიგაცია“ არის გადაუხდელი, „ემიტენტმა“ და მისმა „არსებითმა შვილობილმა კომპანიებმა“, რაიმე „დავალიანების“ უზრუნველყოფის მიზნით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ უნდა წარმოშვან ან არ უნდა დაუშვან ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალების“ (ან სხვა სამართლებრივი შეზღუდვის) წარმოშობა „ემიტენტის“ ან მისი „არსებითი შვილობილი კომპანიების“ არსებულ ან შემდგომში შეძენილ აქტივებზე, გარდა „ნებადართული უზრუნველყოფის საშუალებებისა“, ან იმ შემთხვევისა, როდესაც მსგავს უზრუნველყოფაზე გაცემულია ობლიგაციონერების წინასწარი თანხმობა.

ემიტენტი წინამდებარე პროსპექტის საფუძველზე გამოშვებული “ობლიგაციებიდან” მოზიდულ სახსრებს მიმართავს მისი სალიზინგო პორტფელის გასაზრდელად. შესაბამისად, მანამ სანამ რომელიმე “ობლიგაცია” არის გადაუხდელი, მიუხედავად წინამდებარე “პროსპექტში” (მათ შორის წინამდებარე “პირობებში”) არსებული ნებისმიერი ჩანაწერისა, ემიტენტი არ არის უფლებამოსილი, რომ დატვირთოს

მითითებული სალიზინგო პორტფელი ნებისმიერი "უზრუნველყოფის საშუალებად", ან გაავრცელოს რაიმე სახის სხვა სამართლებრივი შეზღუდვა.

(ზ) **საქმიანობის გაგრძელება, ავტორიზაციების შენარჩუნება და იურიდიული ნამდვილობა:**

„ემიტენტმა" და მისმა თითოეულმა „არსებითმა შვილობილმა კომპანიამ" უნდა განახორციელოს ნებისმიერი აუცილებელი ქმედება, რაც აუცილებელია მისი კორპორაციული არსებობისა და საქმიანობის გასაგრძელებლად და მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ინტელექტუალური საკუთრების გამოსაყენებლად, მათ შორის, მოიპოვოს ამისათვის საჭირო ყველა თანხმობა, ლიცენზია, დადასტურება და ავტორიზაცია.

„ემიტენტმა" უნდა განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც აუცილებელია ყველა ავტორიზაციის, ნებართვის, ლიცენზიისა და თანხმობის იურიდული ძალის შესანარჩუნებლად და მიიღოს ყველა ზომა, რომელიც მოთხოვნილია საქართველოს კანონმდებლობით და რეგულაციებით, რათა კანონიერად შეასრულოს „ობლიგაციებიდან" გამომდინარე მისი ვალდებულებები და უზრუნველყოს „ობლიგაციების" კანონიერება, ნამდვილობა, აღსრულებადობა და მტკიცებულებად დასაშვებობა საქართველოში.

(გ) **შერწყმა**: „ემიტენტმა", „ობლიგაციების მფლობელების" წინასწარი თანხმობის გარეშე, არ უნდა განახორციელოს და უნდა უზრუნველყოს, რომ მისმა „არსებითმა შვილობილმა კომპანიამ" არ განახორციელოს:

(x) განახორციელოს რაიმე სახის რეორგანიზაცია (შერწყმის, გაყოფის ან სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიულ პირად გარდაქმნის გზით) ან (y) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციის ფარგლებში, პირდაპირ ან არაპირდაპირ, გააერთიანოს ან შერწყას რამდენიმე კომპანია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა:

(i) ზემოთ (x) ან (y) ქვეპუნქტში მითითებული ტრანზაქციის დასრულებისთანავე:

A. წარმოქმნილი ან დარჩენილი პირი ან მიმღები („**უფლებამონაცვლე პირი**") იქნება „ემიტენტი", ან ასეთი „უფლებამონაცვლე პირი", თუ ის არ არის „ემიტენტი", სრულად იკისრებს „ობლიგაციებიდან" გამომდინარე „ემიტენტის" უფლებებსა და ვალდებულებებს; და

B. „ემიტენტთან" შერწყმული ან გაერთიანებული პირის ჯამური ვალდებულებები არ აღემატება ემიტენტის კონსოლიდირებული აქტივების 25%-ს.

(ii) აღნიშნულიდან გამომდინარე არ დადგება და არ გაგრძელდება ნებისმიერი „დეფოლტის შემთხვევა".

(დ) **განკარგვები**: თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული წინამდებარე „პირობებით", „პირობა 2.7.1. (გ)"-ის (შერწყმა) დებულებების შეუზღუდავად, „ემიტენტი" და მისი „არსებითი შვილობილი კომპანიები", ერთი ან რამდენიმე ტრანზაქციის (მიუხედავად იმისა, დაკავშირებულია თუ არა აღნიშნული ტრანზაქციები ერთმანეთთან) ფარგლებში, თავიანთ შემოსავლებს ან აქტივებს მთლიანად ან ნაწილობრივ არ გაყიდიან, გადასცემენ, გასცემენ იჯარით ან სხვაგვარად არ განკარგავენ ნებისმიერ „პირზე", გარდა „ემიტენტისა" ან „ემიტენტის" „შვილობილი კომპანიისა", გარდა იმ შემთხვევისა, თუ ხორციელდება „ჯგუფის" კონსოლიდირებული აქტივების 10%-ზე ნაკლების განკარგვა, რომელიც განისაზღვრება უახლეს „IFRS ფინანსურ პერიოდში" „IFRS"-ის შესაბამისად შედგენილ „ჯგუფის" კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე მითითებით.

აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება ემიტენტის ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობაში შემავალ სალიზინგო ტრანზაქციებზე, რაც ნიშნავს ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც (ა) თავისი შინაარსით და ბუნებით შეესაბამება „ემიტენტის" მიერ წარსულში განხორციელებულ საქმიანობას და წარმოადგენს მისი ჩვეულებრივი, ყოველდღიური ოპერაციების სახეობას; ან (ბ) ზოგადად წარმოადგენს ლიზინგის საქმიანობასთან უშუალოდ დაკავშირებულ ან დამხმარე საქმიანობას და ასეთად მიიჩნევა

საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკის საფუძველზე და/ან ხორციელდება ბაზარზე არსებული ადგილობრივი თუ საერთაშორისო მოთამაშეების მიერ; და გ) არ საჭიროებს მმართველი ორგანოების, დირექტორთა და/ან სამეთვალყურეო საბჭოს და სხვა უფლებამოსილი ორგანოს დამატებით ავტორიზაციას.

წინამდებარე „პირობა 2.7.1. (დ)" არ გამოიყენება (i) ნებისმიერ იმ ტრანზაქციასთან მიმართებით, რომელიც ხორციელდება „ემიტენტსა" და მის ნებისმიერ შვილობილ კომპანიას შორის, თუ „ემიტენტი" წარმოადგენს ამგვარი „არსებითი შვილობილი" კომპანიის მაჟორიტარ პარტნიორს/აქციონერს, (ii) აქტივების ან ქონების (ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდების ჩათვლით) ნებისმიერ გაყიდვასთან, იჯარით გაცემასთან, გადაცემასთან ან სხვაგვარ განკარგვასთან მიმართებით, თუ აღნიშნული წარმოადგენს „ნებადართულ უზრუნველყოფის საშუალებას"; (iii) ინვენტარიდან აქტივების იჯარით ან ლიზინგით გაცემასთან, გაყიდვასთან ან განკარგვასთან მიმართებით, თუ აღნიშნული ხორციელდება ჩვეულებრივი საქმიანობის და ოპერირების ფარგლებში, ან (iv) ნებისმიერ ისეთი არსებულ ან სამომავლო აქტივებთან ან შემოსავლებთან ან მათ ნაწილთან მიმართებით, რომელიც წარმოადგენს ნებისმიერი სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვების ან ფულადი დავალიანების, აქტივებით უზრუნველყოფილი ფინანსირების ან მსგავსი ფინანსირების საგანს, და როცა ყველა გადახდის ვალდებულება უნდა შესრულდეს მხოლოდ ამგვარი აქტივებიდან ან შემოსავლებიდან, იმ პირობით, რომ ამგვარი აქტივების ან შემოსავლების ღირებულება, რომლებიც წარმოადგენენ შესაბამისი ფინანსირების საგანს, ყველა იმ აქტივების ან შემოსავლების ღირებულებასთან ერთად, რომელიც „ნებადართული უზრუნველყოფის საშუალებების" განმარტების შესაბამისად წარმოადგენს ნებადართულ „უზრუნველყოფის საშუალებას", დროის არც ერთ მონაკვეთში არ აღემატება „ემიტენტის" კონსოლიდირებული აქტივების 25%-ს, რომელიც განისაზღვრება უახლეს „IFRS ფინანსურ პერიოდში" „IFRS"-ის შესაბამისად შედგენილ „ჯგუფის" კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე მითითებით.

(ე) **გადასახადების და სხვა მოთხოვნების დაფარვა:** „ემიტენტი" და მისი „არსებითი შვილობილი კომპანიები" დადგენილ ვადაში გადაიხდიან ნებისმიერ „გადასახადს", რომელიც დარიცხულია „ემიტენტის" ან მისი „არსებითი შვილობილი კომპანიის" შემოსავალთან, მოგებასთან ან ქონებასთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ წინამდებარე „ემისიის პროსპექტის" მიზნებისათვის „ემიტენტი" და მისი „არსებითი შვილობილი კომპანიები" არ არიან ვალდებულნი გადაიხადონ ნებისმიერი ამგვარი „გადასახადი" ან მსგავსი მოთხოვნები (ა) თუ მათი ოდენობა, გამოყენებადობა ან ნამდვილობა კეთილსინდისიერად გასაჩივრებულია შესაბამისი სამართალწარმოების ფარგლებში და რომლის დასაფარად შექმნილია შესაბამისი რეზერვები „IFRS"-ის შესაბამისად, ან (ბ) რომლის ოდენობა, ყველა სხვა ამგვარ „გადასახადთან" ან მსგავს მოთხოვნასთან ერთად, საერთო ჯამში არ აღემატება მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების 1.0%-ს (ერთი პროცენტი) (დაანგარიშებული „IFRS"-ის შესაბამისად).

(ვ) **დავალიანებები:**

i „ემიტენტი" და მისი თითოეული „ არსებითი შვილობილი", „ობლიგაციების მფლობელთა" წინასწარი თანხმობის გარეშე, არ შექმნის ან იკისრებს რაიმე ვალდებულებას, თუ:
ა. ამგვარი ვალდებულება გამოიწვევს „დეფოლტის შემთხვევის" დადგომას; ან
ბ. „გამოსყიდვის თარიღამდე", ნებისმიერი 31 დეკემბრისთვის დასრულებული აუდირებული და 30 ივნისისთვის დასრულებული არა-აუდირებული კალენდარული წლისთვის „ემიტენტის" „ფინანსური ვალდებულებების" ოდენობა (მას შემდეგ, რაც მხედველობაში მივიღებთ ახალ ვალდებულებებს) აჭარბებს „ემიტენტის" კონსოლიდირებულ მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებულ ბოლო კალენდარული წლის კონსოლიდირებული აქტივების 91 (ოთხმოცდათერთმეტი) პროცენტს. აღნიშნული მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ფასიანი ქაღალდის ვადის მანძილზე ნებისმიერი თარიღისთვის, ხოლო კალკულაცია განხორციელდეს წელიწადში ორჯერ 31 დეკემბრისთვის და 30 ივნისისთვის; და

ii. ზემოთაღნიშნული შეზღუდვა არ ეხება „ემიტენტსა" და „ჯგუფის" წევრ კომპანიებს შორის ან „ჯგუფის" წევრ კომპანიებს შორის არსებულ ვალდებულებებს და „ემიტენტის" ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილ დავალიანებებს.

iii. „**ფინანსური ვალდებულებები**“ ნიშნავს, ნებისმიერ „პირთან“ მიმართებით ნებისმიერ განსაზღვრულ დროს (გამეორების გარეშე): (ა) ამგვარი „პირის“ მიერ სესხად აღებული ფულადი თანხის შედეგად ყველა დავალიანებას; (ბ) ამგვარი „პირის“ ყველა ვალდებულებას, რომელიც დასტურდება ობლიგაციებით, სავალო ხელწერილებით ან/და სხვა მსგავსი დოკუმენტებით;[5]
ფინანსური ვალდებულებები მოიცავს: ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებულ სესხებს, გამოშვებული სავალო ფასიან ქაღალდებს, სუბორდინირებულს სესხებს.

(ზ) **აკრძალული გადახდები**:

ემიტენტმა (და ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ მისმა „არსებითმა შვილობილმა კომპანიებმა“) არ უნდა შეიძინოს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, გამოისყიდოს ან სხვაგვარად მოახდინოს საკუთარი სააქციო კაპიტალის ან აქციების შეძენა ან დივიდენდის გაცემა, ან სუბორდინირებული სესხის ან სუბორდინირებული ობლიგაციების ვადაზე ადრე დაფარვა (გარდა „ჯგუფის“ შიდა სესხის გადახდისა, რომელიც გაცემულია ემიტენტის ან მისი სხვა „შვილობილი კომპანიის“ მიერ). ნებისმიერი ამგვარი ქმედება მიიჩნევა „აკრძალულ გადახდებად“. ამასთან, ზემოაღნიშნული ქმედებები და ტრანზაქციები ჩაითვლება „აკრძალულ გადახდად“ თუ:

(i) ამგვარი გადახდის განხორციელების დროისთვის დამდგარია და გრძელდება, ან ამ გადახდის განხორციელების შემთხვევაში შესაძლოა დადგეს „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“; და

(ii) „გამოსყიდვის თარიღამდე“, ნებისმიერი 31 დეკემბრისთვის დასრულებული აუდირებული და 30 ივნისისთვის დასრულებული არა-აუდირებული კალენდარული წლისთვის „ემიტენტის“ „ფინანსური ვალდებულებების“ ოდენობა (მას შემდეგ, რაც მხედველობაში მივიღებთ ახალ ვალდებულებებს) აჭარბებს „ემიტენტის“ კონსოლიდირებულ მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებულ ბოლო კალენდარული წლის კონსოლიდირებული აქტივების 91 (ოთხმოცდათერთმეტი) პროცენტს, აღნიშნული მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ფასიანი ქაღალდის ვადის მანძილზე ნებისმიერი თარიღისთვის, ხოლო კალკულაცია განხორციელდეს წელიწადში ორჯერ 31 დეკემბრისთვის და 30 ივნისისთვის;

(თ) **ფინანსური ინფორმაცია**:

i „ემიტენტი“ იღებს ვალდებულებას, რომ, თითოეული ფინანსური წლის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს 15 მაისისა (ან სებ-ის მიერ განსაზღვრულ ვადაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამოაქვეყნოს კანონმდებლობით მოთხოვნილი გზით „IFRS“-ის შესაბამისად მომზადებული „ემიტენტის“ კონსოლიდირებული და შემოწმებული ფინანსური უწყისების ასლები ამგვარი ფინანსური წლისათვის, აღნიშნულთან დაკავშირებით „აუდიტორების“ შესაბამის დასკვნასთან ერთად.

ii „ემიტენტი“ იღებს ვალდებულებას, რომ, თითოეული ფინანსური წლის მეორე კვარტლის დასრულებიდან 30 აგვისტომდე, გამოაქვეყნოს კანონმდებლობით მოთხოვნილი გზით, „IFRS“-ის შესაბამისად მომზადებული „ემიტენტის“ კონსოლიდირებული და შეუმოწმებელი ფინანსური უწყისების (საბალანსო უწყისი, მოგებაზარალის უწყისი, ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი) ასლები ექვსი თვისათვის.

iii თუ „ობლიგაციების მფლობელები“, რომლებიც ფლობენ (პირდაპირ ან „ანგარიშის მწარმოებლის“ საშუალებით), ინდივიდუალურად ან ჯამურად, გადაუხდელი „ობლიგაციების“ არანაკლებ 20%-ს, გონივრულობის ფარგლებში ჩათვლიან, რომ დადგა „დეფოლტის შემთხვევა“, „ობლიგაციების მფლობელებს“ უფლება აქვთ მოითხოვონ და „ემიტენტი“ ვალდებულია მიაწოდოს მათ ინფორმაცია,

[5] ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, „ფინანსური ვალდებულებები“ არ მოიცავს საბანკო გარანტიებს.

რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ნავარაუდებ „დეფოლტის შემთხვევასთან“. ამ შემთხვევაში, „ემიტენტი“ ვალდებულია მოთხოვნილი ინფორმაცია დროულად, გონივრულ ვადაში მიაწოდოს იმ „ობლიგაციების მფლობელებსა“ და „ანგარიშის მწარმოებლებს“, რომლებმაც წარადგინეს შესაბამისი წერილობით მოთხოვნა. ამგვარი წერილობითი მოთხოვნა შეიძლება მოცემული იყოს ერთი და იმავე ფორმის ერთ ან რამდენიმე დოკუმენტში, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან მეტი „ობლიგაციების მფლობელის“ და/ან „ანგარიშის მწარმოებლის“ მიერ ან მისი სახელით. ამგვარი მოთხოვნა ასევე შესაძლებელია განხორციელდეს „ობლიგაციების მფლობელთა კრების“ მორიგი გადაწყვეტილების ფორმით.

(ი) **დაზღვევის შენარჩუნება**: „ემიტენტმა“ და მისმა „არსებითმა შვილობილმა კომპანიებმა“ თავიანთ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება უნდა დააზღვიონ იმ მზღვეველებთან, რომლებსაც, „ემიტენტის“ ან მისი „არსებითი შვილობილი კომპანიების“ შეფასებით, აქვთ კარგი ფინანსური მდგომარეობა. დაზღვევა უნდა განხორციელდეს დაკარგვის ან დაზიანების რისკისგან იმ ფარგლებში, რომელშიც მსგავსი ტიპის ქონების დაზღვევა ხორციელდება საქართველოში იმ კომპანიების მიერ, რომლებსაც აქვთ მსგავსი მდგომარეობა და ფლობენ მსგავს ქონებას. ამასთან, თითოეულ შემთხვევაში, დაზღვევის ხელშეკრულების დადება უნდა მოხდეს ქონების შეძენიდან გონივრულ ვადაში.

(კ) **კონტროლის ცვლილება:** „ემიტენტმა“ უნდა უზრუნველყოს, რომ არ განხორციელდება „კონტროლის ცვლილება“. ამ მუხლის მიზნებისათვის, „კონტროლის ცვლილება“ განხორციელდება, თუ პარტნიორები, რომლებიც წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ თარიღისათვის ფლობენ წილებს „კომპანიის“ კაპიტალში, პირდაპირ ან არაპირდაპირ, შეწყვეტენ „ემიტენტის“ კაპიტალის 50%-ზე მეტი წილის ფლობას ან სხვაგვარად, პირდაპირ ან არაპირდაპირ, შეწყვეტენ „ემიტენტის“ კონტროლს. წინამდებარე „პირობის“ მიზნებისათვის, ჩაითვლება, რომ არსებული პარტნიორები „აკონტროლებენ“ „ემიტენტს“, თუ (პირდაპირ თუ არაპირდაპირ, კაპიტალის ფლობის, ხმის უფლების ქონის, ხელშეკრულების ან ტრასტის მეშვეობით ან სხვაგვარად) არსებულ პარტნიორებს აქვთ უფლებამოსილება დანიშნონ და/ან გაათავისუფლონ „ემიტენტის“ დირექტორთა საბჭოს ან სხვა მმართველობითი ორგანოს წევრთა უმრავლესობა ან სხვაგვარად აკონტროლებენ ან უფლება აქვთ აკონტროლონ „ემიტენტის“ საქმეები და პოლიტიკა.

(ლ) **გამოსაყენებელი კანონმდებლობის დაცვა**: „ემიტენტი“ და მისი „არსებითი შვილობილი კომპანიები“ ნებისმიერ დროს ყველა ღონეს მიმართავენ, რათა სრულად დაიცვან გამოსაყენებელი კანონმდებლობის ყველა დებულება, მათ შორის, სამთავრობო ორგანოების დირექტივები და რეგულაციები, რომლის დარღვევამაც შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ საქმიანობაზე ან რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს „ობლიგაციების მფლობელების“ ინტერესებს.

(მ) **აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები**:

(I) არც „ემიტენტი“ და არც მისი რომელიმე „შვილობილი კომპანია“ პირდაპირ ან არაპირდაპირ არ განახორციელებს და არ დაუშვებს რაიმე საქმიანობას ან ტრანზაქციას (მათ შორის ქონების ან მომსახურების შეძენა, გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა, გადაცემა ან გაცვლა) „აფილირებულ პირთან“ ან მათ სასარგებლოდ (შემდგომში „აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქცია“), მათ შორის, სესხების გაცემას/მიღებას, ინვესტიციებს და მსგავს აქტივობებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი გარიგების პირობები (შესაბამისი „აფილირებული პირის“ მდგომარეობის გათვალისწინებით) აკმაყოფილებს „გაშლილი მკლავის“ პრინციპს და არ არის ნაკლებად ხელსაყრელი „ემიტენტისთვის“ ან მისი „შვილობილი კომპანიისთვის“, ვიდრე „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ განხორციელებული გარიგებები იქნებოდა იმ „პირთან“, რომელიც არ არის/არიან „ემიტენტთან“ ან მის „მნიშვნელოვან შვილობილთან“ „აფილირებული პირ(ებ)ი“.

(II) იმ „აფილირებულ პირთან განხორციელებული ტრანზაქციის“ შემთხვევაში, სადაც გარიგების ან დაკავშირებული გარიგებების საერთო ღირებულება ნებისმიერ 12 თვიან პერიოდში აღემატება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ჯგუფის“ „კონსოლიდირებული მთლიანი აქტივების“ 10%-ს (ათ პროცენტს), „ემიტენტმა“ ასეთი „აფილირებულ პირთან განხორციელებული ტრანზაქციის“ განხორციელებამდე „ობლიგაციონერებს“ უნდა მიაწოდოს

„დამოუკიდებელი შემფასებლის“ წერილობით დასკვნა იმის თაობაზე, რომ „აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქცია” (ან ტრანზაქციების სერია) განხორციელდა „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ და არის სამართლიანი „ემიტენტის“ ან მისი "მნიშვნელოვანი შვილობილის“ ფინანსური გადმოსახედიდან, გარემოებების გათვალისწინებით.

(III) შემდეგი გარიგებები არ იქნება მიჩნეული არ ექვემდებარება (II) ქვეპუნქტში განსაზღვრულ დათქმებს:

ტრანზაქციები მომხმარებლებთან, კლიენტებთან, მომწოდებლებთან, თითოეულ შემთხვევაში ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის პროცესში „პირობების“ შესაბამისად, რომლებიც სამართლიანია „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიისთვის“ ან დადებულია ისეთივე ხელსაყრელი პირობებით „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიისთვის“, როგორიც შეიძლება გონივრულად ყოფილიყო მიღწეული ამ დროს არააფილირებულ მხარესთან (თითოეულ შემთხვევაში, როგორც ეს კეთილსინდისიერად არის განსაზღვრული „ემიტენტის“ პასუხისმგებელი ბუღალტრის ან ფინანსური ოფიცრის მიერ);

(ნ) **საქმიანობის ცვლილება**: „ემიტენტმა“ უნდა უზრუნველყოს, რომ არსებითად არ შეიცვლება „ჯგუფის“ (ერთობლივად აღებული) იმ საქმიანობის ძირითადი ხასიათი, რომელსაც იგი ახორციელებს „გამოშვების თარიღისათვის“.

(ო) **რეიტინგის შენარჩუნება:** ამ „ობლიგაციების“ არსებობის განმავლობაში „ემიტენტს“ ექნება საკრედიტო რეიტინგი და განაახლებს მას შესაბამისი სიხშირით სებ-ის მიერ აღიარებული მინიმუმ ერთი საკრედიტო რეიტინგის სააგენტოსგან მაინც.

2.6.2. **გამოსყიდვა და ყიდვა**

(ა) „ობლიგაციების“ გამოსყიდვა განხორციელდება ძირი თანხის ღირებულებით „გამოსყიდვის თარიღზე“, დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩათვლით, თუ მათი შესყიდვა ან გაუქმება არ განხორციელდა უფრო ადრე. „ობლიგაციების“ გამოსყიდვა დაუშვებელია „გამოსყიდვის თარიღამდე“, გარდა ამ პუნქტის „ბ“ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. “ემიტენტი” ვალდებულია გამოსყიდვის ოფციით სარგებლობის ნებისმიერ ეტაპზე “ობლიგაციების მფლობელებს” წერილობით შეატყობინოს “ობლიგაციების” ვადამდე გამოსყიდვის შესახებ გადაწვეტილება ასეთი გამოსყიდვის თარიღამდე არანაკლებ 15 (თხუთმეტი) დღით ადრე, წინამდებარე ემისიის პროსპექტისთვის დადგენილი წესით. „კომპანია“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეისყიდოს „ობლიგაციები“ ღია ბაზარზე ან სხვაგვარად, ნებისმიერ ფასად. „კომპანიის“ მიერ შესყიდული „ობლიგაციები“ შესაძლებელია გაუქმდეს.

(ბ) „ემიტენტს“ არ ექნება ობლიგაციების გამოსყიდვის უფლება ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან 12 (თორმეტი) თვის მანძილზე. გამოშვების თარიღიდან 12 (თორმეტი) თვის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს გამოშვების თარიღიდან 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში „ემიტენტს“ უფლება ექნება გამოისყიდოს ობლიგაციები გამოსყიდვის ფასად, რომელიც შეადგენს ნომინალური ღირებულების 101.00%-ს დამატებული „ვადამდე გამოსყიდვის თარიღზე“ დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). გამოშვების თარიღიდან 24 (ოცდაოთხი) თვის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს გამოშვების თარიღიდან 33 (ოცდაცამეტი) თვის ვადაში „ემიტენტს“ უფლება ექნება გამოისყიდოს ობლიგაციები გამოსყიდვის ფასად, რომელიც შეადგენს ნომინალური ღირებულების 100.25%-ს დამატებული „ვადამდე გამოსყიდვის თარიღზე“ დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). გამოშვების თარიღიდან 33 (ოცდაცამეტი) თვის შემდეგ „ემიტენტს“ გამოსყიდვა შეეძლება გამოსყიდვის ფასად, რომელიც შეადგენს ობლიგაციების ნომინალური ღირებულების 100.00%-ს დამატებული „ვადამდე გამოსყიდვის თარიღზე“ დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2.6.3. **დაბეგვრა**

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა „ემიტენტის“ მიერ ან მისი სახელით უნდა განხორციელდეს წყაროსთან დასაკავებელი ყველა შესაბამისი გადასახადით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაბეგვრის შემდეგ. თუ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე „ემიტენტი“ განსაზღვრავს, რომ პროცენტის გადახდა გათავისუფლებულია წყაროსთან დასაკავებელი გადასახადისგან, „ემიტენტმა“ არ უნდა დააკავოს შესაბამისი გადასახადი და „ობლიგაციის“ მფლობელი უფლებამოსილია ისარგებლოს ამგვარი შეღავათით და მიიღოს თანხა სრულად, გადასახადის დაკავების გარეშე.

2.6.4. **დეფოლტის შემთხვევა**

თუ დადგება და გრძელდება ნებისმიერი ქვემოთ მითითებული შემთხვევა (თითოეული **„დეფოლტის შემთხვევა**”):

(ა) **გადახდის ვალდებულების დარღვევა:**

„ემიტენტი“ არ განახორციელებს ძირითადი თანხისა და პროცენტის ნებისმიერი ოდენობის გადახდას ნებისმიერ „ობლიგაციასთან“ მიმართებით, გადახდის დღეს და ამგვარი თარიღიდან 5 დღის განმავლობაში; ან

(ბ) **სხვა ვალდებულების დარღვევა:**

„ემიტენტი“ არ ასრულებს/არღვევს ნებისმიერ სხვა ერთ ან რამდენიმე ვალდებულებას „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, მათ შორის, წინამდებარე ემისიის პროსპექტის გათვალისწინებულ ფინანსურ შეზღუდვებსა და დათქმებს, რაც „ობლიგაციონერის“ დასაბუთებული და გონივრული მოსაზრებით: (i) არ ექვემდებარება გამოსწორებას და ამასთანავე არის არსებითი ან განმეორებადი ხასიათის ან (ii) ექვემდებარება გამოსწორებას, მაგრამ აღნიშნული დარღვევის თაობაზე გაგზავნილი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში არ იქნება აღმოფხვრილი; ან

(გ) **ჯვარედინი დეფოლტი (Cross-Default)**:

(i) სესხად აღებული ან მოძიებული ფულადი სახსრებისთვის ან მათ მიმართ ნებისმიერი სხვა მოქმედი ან სამომავლო „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ „დავალიანება“ გადასახდელი ხდება (ან შესაძლებელია გახდეს განცხადებული) მისი გადახდის მითითებულ ვადაზე ადრე ნებისმიერი დეფოლტის შემთხვევის შედეგად (შესაბამისი დეფინიციის შესაბამისად), ან

(ii) ნებისმიერი ასეთი დავალიანება არ იქნა გადახდილი დროულად ან, კონკრეტულ შემთხვევაში, საამისოდ დაწესებული დამატებითი ვადის მანძილზე; ან

(iii) „ემიტენტი“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანია“ ვერ უზრუნველყოფს მის მიერ მოქმედი ან სამომავლო „დავალიანებისგან“ გამომდინარე ნებისმიერი გადასახდელი თანხის დროულად დაფარვას, იმ პირობით, რომ (ა) შესაბამისი „დავალიანების“ ჯამური ოდენობა, რომელსაც შეესაბამება წინამდებარე 2.7.4(გ) პირობით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე შემთხვევა უტოლდება ან აღემატება 1,500,000 აშშ დოლარს ან მის ექვივალენტ ოდენობას ნებისმიერ სხვა ვალუტაში და (ii) რომელსაც „ემიტენტი“ ან „არსებითი შვილობილი კომპანია“, კეთილსინდისიერი და საამისოდ გონივრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, აღიარებს გადასახდელ ვალდებულებად; ან

(დ) **გადახდისუუნაროობა:**

„ემიტენტი“ არის (ან შესაძლებელია ჩაითვალოს ასეთად კანონის ან სასამართლოს მიერ, ამისათვის კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებების საფუძველზე) გადახდისუუნარო ან გაკოტრებული ან ვალაუვალი, შეაჩერებს, შეწყვეტს ან შესაძლებელია შეწყვიტოს მისი ვალების სრულად ან დიდი ნაწილის გადახდა, შესთავაზებს ან გააფორმებს რესტრუქტურიზაციის (რომელიც განპირობებულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით), ვადის გაგრძელების ან სხვა მსგავსი სახის შეთანხმებას, რომელიც ეხება ვალების (სრულად ან მნიშვნელოვანი ნაწილის) გადახდის ვადის შეცვლას/გაგრძელებას, ან შესთავაზებს ან გააფორმებს მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებას ან სხვა მსგავს შეთანხმებას მისი კრედიტორების

სასარგებლოდ (რომელიც განპირობებულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით); გამოცხადდება ან შეთანხმდება მორატორიუმი, რომელიც შეეხება „ემიტენტის“ ვალდებულებებს მთლიანად ან ნაწილობრივ; ან

(ე) **დაუკმაყოფილებელი გადაწყვეტილებები, სახელმწიფო ან სასამართლო წარმოებები**:

„ემიტენტის“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ წინააღმდეგ ფულადი თანხის ან სხვა ვალდებულების დაკისრების თაობაზე სასამართლოების ან სხვა შესაბამისი სამართლებრივი აღმასრულებელი ორგანოების იმ დაუკმაყოფილებელი გადაწყვეტილებების, განჩინებების და ბრძანებების საერთო ოდენობა აღემატება „ჯგუფის“კონსოლიდირებული აქტივების 2%-ს (ორი პროცენტი) (IFRS-ის შესაბამისად გამოთვლის შედეგად), ან ნებისმიერი ასეთი დაუკმაყოფილებელი გადაწყვეტილების, განჩინების, ბრძანების შედეგად (ა) „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ მმართველი ორგანოს - სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის 2/3 შეიცვალა ან „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ საქმიანობის წარმოების უფლებამოსილება სრულად ან ნაწილობრივ შემცირდა, (ბ) განხორციელდა „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ შემოსავლების და აქტივების, სრული ან ნაწილობრივი ოდენობის (რომლის საბალანსო ღირებულება უტოლდება ან აღემატება მთლიანი კონსოლიდირებული შემოსავლების ან აქტივების საბალანსო ღირებულების 10 პროცენტს) კონფისკაცია ან დაყადაღება, ნაციონალიზაცია, ექსპროპრიაცია ან სავალდებულო გასხვისება; ან

(ვ) **აღსრულება**:

„ემიტენტის“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ წინააღმდეგ განხორციელდება ნებისმიერი სახის აღსრულების პროცედურა, რამაც შეიძლება არსებითი უარყოფითი მატერიალური ზეგავლენა იქონიოს კომპანიაზე ან აღმასრულებელი (კრედიტორი) მოიპოვებს მფლობელობას ან გაყიდის „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ ქონებაზე/ქონებას, შემოსავალზე/შემოსავალს ან აქტივებზე/აქტივებს მთლიანად ან მის არსებით ნაწილზე/ნაწილს (რომელიც შეადგენს „ჯგუფის“ კონსოლიდირებული აქტივების 5%-ს ან მეტს); ან

(ზ) **ნებართვები და თანხმობები**:

ემიტენტი დაარღვევს შემდეგ ვალდებულებას: არ განახორციელოს რაიმე ქმედება ან არ დაარღვიოს რაიმე პირობა (ყველა აუცილებელი თანხმობის, განკარგულების, დასტურის, უფლებამოსილების, განაცხადის წარდგენის, ლიცენზიის, ბრძანების, ჩანაწერის, რეგისტრაციის ან სხვა უფლებამოსილების მოპოვების ან განხორციელების ჩათვლით), რომელიც ნებისმიერ დროს საჭიროა მიღებულ იქნას, განხორციელდეს ან შესრულდეს, რათა (i) „ემიტენტს“ შეეძლოს კანონიერად დადოს შეთანხმებები, განახორციელოს მისი არსებითი უფლებები და შეასრულოს და შეესაბამოს საკუთარ გადახდის ვალდებულებებს „ობლიგაციების“ შესაბამისად, აგრეთვე შეასრულოს საკუთარი ვალდებულებები 2.7.1 პირობის (ვალდებულებები) შესაბამისად და მისი „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე სხვა არსებითი ვალდებულებები, (ii) უზრუნველყოს, რომ აღნიშნული ვალდებულებები მისთვის იყოს სამართლებრივად მბოჭავი და შესაძლებელი იყოს მათი აღსრულება და (iii) უზრუნველყოს, რომ „ობლიგაციების“ „ემისიის პროსპექტი“ საქართველოს სასამართლოში წარდგენადი იყოს, როგორც მტკიცებულება; ან

(თ) **ნამდვილობა და უკანონობა**:

„ობლიგაციების“ ან „ემისიის პროსპექტის“ ნამდვილობას სადავოდ ხდის „ემიტენტი“ ან „ემიტენტი“ უარყოფს „ობლიგაციებით“ ან „ემისიის პროსპექტით“ გათვალისწინებულ ნებისმიერ საკუთარ ვალდებულებას ან „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციებით“ ან „ემისიის პროსპექტით“ გათვალისწინებულ ნებისმიერ ერთი ან რამდენიმე საკუთარი ვალდებულების შესრულება ან მასთან შესაბამისობა უკანონოა ან გახდება კანონსაწინააღმდეგო ან ნებისმიერი ასეთი ვალდებულება გახდება აღუსრულებელი, კანონსაწინააღმდეგო ან აღარ იქნება ნამდვილი და მბოჭავი.

„ემიტენტი“ ვალდებულებას იღებს დაუყოვნებლივ, როგორც კი შეიტყობს, შეატყობინოს „ობლიგაციების მფლობელებს“ ნებისმიერი „დეფოლტის შემთხვევის“ წარმოშობის შესახებ.

2.6.5. **ობლიგაციების მფლობელთა კრება**

წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ ადგენს წესებს „ობლიგაციების მფლობელების“ კრების მოწვევის, ჩატარების და გადაწვეტილების მიღების შესახებ.

(ა) ობლიგაციების მფლობელების კრება:

(i) იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც გავლენა აქვთ „ობლიგაციების მფლობელების“ ინტერესებზე, მათ შორის, წინამდებარე „პირობების“ ნებისმიერი სახის ცვლილების მიზნით, გადაწვეტილება მიღებულ უნდა იქნას სათანადოდ მოწვეულ და ჩატარებულ კრებაზე დამსწრე ხმების არანაკლებ 75%-იანი უმრავლესობით („**განსაკუთრებული გადაწყვეტილება**“).

(ii) „ობლიგაციების მფლობელების“ მიერ გამოტანილი ნებისმიერ სხვა გადაწყვეტილება, რომელიც არ კვალიფიცირდება „განსაკუთრებულ გადაწყვეტილებად“, მიიღება სათანადოდ მოწვეულ და ჩატარებულ კრებაზე ხმათა არანაკლებ 51% უმრავლესობით („**ჩვეულებრივი გადაწყვეტილება**“) და მხოლოდ მაშინ არის მართებული და შესასრულებლად სავალდებულო, თუ მიღებულია „ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“ სახით.

(iii) „ობლიგაციების მფლობელების“ კრებაზე განიხილება მხოლოდ ის საკითხები, რაც წინამდებარე „პირობების“ 2.7.6.გ.(i) პუნქტის შესაბამისად გათვალისწინებულია „ემიტენტის“ მიერ დადგენილი დღის წესრიგით.

(ბ) ობლიგაციების მფლობელების კრების მოწვევის უფლებამოსილება:

(i) „ობლიგაციების მფლობელების“ კრების ინიცირების უფლება აქვს მხოლოდ „ემიტენტს“. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, აღნიშნული უფლებამოსილება ვრცელდება, როგორც „განსაკუთრებული გადაწყვეტილებით“, ასევე „ჩვეულებრივი გადაწყვეტილებით“ განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

(ii) ამასთან, აღნიშნული არ ცვლის ან აუქმებს გაცემული „ობლიგაციების“ სრული ძირი თანხის სულ მცირე 10%-ის მფლობელ(ებ)ის უფლებას მოიწვიოს „ობლიგაციების მფლობელების“ კრება და დააყენოს „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადების და „ემიტენტის“ წინააღმდეგ სააღსრულებო პროცედურის დაწყების საკითხი.

ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, (1) სააღსრულებო წარმოების დაწყება „ემიტენტის“ წინააღმდეგ შესაძლებელი იქნება მხოლოდ „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადების შემდგომ; (2) თითოეული „ობლიგაციონერი“ აცნობიერებს, რომ „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადება წარმოადგენს მხოლოდ „ობლიგაციონერების“ კრების უფლებამოსილებას და ისინი ინდივიდულურად არ არიან უფლებამოსილნი განახორციელონ ამ „პროსპექტით” გათვალისწინებული აღსრულების რომელიმე ღონისძიება;

(გ) ობლიგაციების მფლობელების კრების მოწვევა:

(i) „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციების მფლობელებს“ „ობლიგაციების მფლობელების“ კრების მოწვევის თაობაზე უნდა ეცნობოთ სულ მცირე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე (შეტყობინების გაგზავნის დღისა და კრების ჩატარების დღის გამოკლებით) წინამდებარე „პირობების“ 2.7.7. პუნქტის (*„შეტყობინებები“*) შესაბამისად. ამგვარ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს „ობლიგაციების მფლობელების“ კრების თარიღი, დრო, ადგილი და მისაღები გადაწყვეტილებების დღის წესრიგი (ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, „ობლიგაციების მფლობელების“ კრების მიერ განსახილველი საკითხების დღის წესრიგის ცვლილება შეუძლია მხოლოდ „ემიტენტს“). შეტყობინება ასევე უნდა შეიცავდეს მითითებას შესაბამისი ვადების შესახებ და ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დანიშნონ „ობლიგაციების მფლობელებმა“ წარმომადგენლები.

(ii) კრების ჩატარება შესაძლებელია როგორც ფიზიკურად ასევე დისტანციურად (ელექტრონული საშუალებით). „ემიტენტს“ უფლება აქვს გამოიყენოს კრების დისტანციური (ელექტრონული საშუალებით) ჩატარების შესაძლებლობა, თუ ამის შესახებ გადაწვეტილება მიღებულია „ემიტენტის“ საერთო კრების მიერ და დაკმაყოფილებულია შემდეგი მოთხოვნები:

a. ელექტრონული საშუალებების გამოყენება არ არის დამოკიდებული „ობლიგაციების მფლობელის“ ან მისი „წარმომადგენლის“ მოქალაქეობაზე ან ბინადრობის ადგილზე;

b. „ობლიგაციების მფლობელისთვის“ ან ხმის უფლების გამოყენებაზე/განკარგვაზე „წარმომადგენლისთვის“ ინფორმაციის დროულად და ეფექტურად მიწოდებისთვის დანერგილია იდენტიფიცირების შესაბამისი ზომები; და

(iii) „ემიტენტთან“ შესაბამისი კომუნიკაციის საფუძველზე, „ობლიგაციების მფლობელებს“ ნებისმიერ დროს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მოითხოვონ ინფორმაციის წერილობით მიწოდება.

(დ) ობლიგაციების მფლობელის მიერ წარმომადგენლის დანიშვნა:

(i) „ობლიგაციების მფლობელი“ უფლებამოსილია შესაბამის კრებამდე სულ მცირე 48 (ორმოცდარვა) საათით ადრე „ემიტენტს“ მიაწოდოს ქართულენოვანი წერილობითი დოკუმენტი (ან, სხვა ენაზე შედგენის შემთხვევაში, ორენოვანი დოკუმენტი, საიდანაც ერთ-ერთი ენა უნდა იყოს ქართული) („**მინდობილობა**“), რომელიც ფიზიკური პირის შემთხვევაში ხელმოწერილია „ობლიგაციების მფლობელის“ მიერ და დამოწმებულია ნოტარიულად, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, დასმულია ასეთი იურიდიული პირის ბეჭედი და ხელმოწერილია მისი უფლებამოსილი დირექტორის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ, და ამ დოკუმენტის საფუძველზე დანიშნოს წარმომადგენელი („**წარმომადგენელი**“), რომელიც იმოქმედებს „ობლიგაციების მფლობელის“ სახელით „აობლიგაციების მფლობელების“ ნებისმიერ კრებასთან („**განმეორებითი კრების**“ ჩათვლით) დაკავშირებით.

(ii) ზემო პუნქტის შესაბამისად დანიშნული ნებისმიერი „წარმომადგენელი“, მათი დანიშვნის მოქმედების ვადის განმავლობაში, „ობლიგაციების მფლობელთა“ კრების ან „განმეორებითი კრების“ მიზნებისთვის, ჩაითვლება იმ „ობლიგაციების“ მფლობელად, რომელთა მიმართაც მისი დანიშვნა განხორციელდა.

(iii) ნებისმიერი ხმა, რომელიც მიცემულია „წარმომადგენლის“ მიერ შესაბამისი „მინდობილობის“ პირობების შესაბამისად, ითვლება ნამდვილად, იმ პირობით, რომ შესაბამისი კრების ჩატარების დრომდე სულ მცირე 24 (ოცდაოთხი) საათით ადრე არ მომხდარა „ემიტენტისთვის“ წერილობითი შეტყობინების გაგზავნა „მინდობილობის“ გამოხმობის, გაუქმების ან/და ცვლილების თაობაზე.

(ე) ობლიგაციების მფლობელების კრების თავმჯდომარე:

(i) „ობლიგაციების მფლობელების“ კრების თავმჯდომარეს წერილობითი ფორმით ნიშნავს „ემიტენტი“. თუკი „ემიტენტი“ არ დანიშნავს კრების თავმჯდომარეს ან დანიშნული თავმჯდომარე არ გამოცხადდება კრებაზე მისი დაწყების დროიდან 15 (თხუთმეტი) წუთის განმავლობაში, მაშინ მოწვეულ უნდა იქნას „განმეორებითი კრება“.

(ii) სავალდებულო არ არის, რომ „განმეორებით კრების“ თავმჯდომარე იყოს ის პირი, რომელიც თავმჯდომარეობდა თავდაპირველ კრებას.

(ვ) ობლიგაციების მფლობელების კრებაზე დასწრება:

(i) კრებაზე დასწრებისა და სიტყვით გამოსვლის უფლებამოსილება აქვთ:
   a. „ობლიგაციების მფლობელებსა“ და მათ „წარმომადგენლებს“;
   b. თავმჯდომარეს; და
   c. „ემიტენტს“, ისევე როგორც მის ფინანსურ, სამართლებრივ ან სხვა მრჩევლებს;

(ii) სხვა პირებს არ აქვთ კრებაზე დასწრებისა და სიტყვით გამოსვლის უფლებამოსილება.

(ზ) ობლიგაციების მფლობელების კრების მოწვევის კვორუმი:

(i) **განსაკუთრებული გადაწვეტილება:** „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ განსახილველად მოწვეული ნებისმიერი კრების კვორუმს წარმოადგენს (i) ორი ან მეტი პირი, რომლებიც „ობლიგაციების მფლობელების“ კრების განხილვის დროს ფლობენ ან წარმოადგენენ „ობლიგაციების“ საერთო ძირი ოდენობის ნახევარზე მეტს, ან (ii) ნებისმიერი „განმეორებითი კრების“ დროს, ორი ან მეტი „ობლიგაციების მფლობელი“, მიუხედავად „ობლიგაციების“ იმ ძირი ოდენობისა, რომელსაც ისინი ფლობენ ან წარმოადგენენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი კრების საქმიანობა მოიცავს შემდეგი „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ შესახებ წინადადებების განხილვას:
   a. „ობლიგაციებთან“ მიმართებით, ნებისმიერი ძირი თანხის ან პროცენტის გადახდის თარიღის ცვლილებას;

b. „ობლიგაციებთან“ მიმართებით, ნებისმიერი გადასახდელი თანხის ოდენობის გამოთვლის მეთოდის ცვლილებას;
c. „ობლიგაციებთან“ მიმართებით გადასახდელი ძირი თანხის ან პროცენტის ოდენობის ცვლილებას;
d. „ობლიგაციების“ „ემიტენტის“ აქციებში ან სხვა ფასიან ქაღალდებში კონვერტაციას;
e. „ობლიგაციების“ შესაბამისი გადახდის ვალუტის ცვლილებას (გარდა მარეგულირებელი კანონმდებლობით გამოწვეული ცვლილებისა);
f. „ობლიგაციების მფლობელების“ კრებებთან მიმართებით კვორუმის მოთხოვნების ან „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ მიღებისთვის საჭირო უმრავლესობის ოდენობის ცვლილებას; ან
g. წინამდებარე „პირობების“ შესაბამისი „დეფოლტის შემთხვევების“ განსაზღვრების ცვლილებას;
h. „დეფოლტის გამოცხადებას“.

ასეთ შემთხვევებში, მსგავსი „განსაკუთრებული გადაწვეტილების“ მისაღებად მოწვეული კრების კვორუმის აუცილებელი ოდენობა იქნება ორი ან მეტი პირი, რომელიც განსახილველ დროს ფლობს ან წარმოადგენს „ობლიგაციების“ ძირი თანხის არანაკლებ ორ მესამედს, ან განმეორებით კრებაზე - არანაკლებ ერთ მესამედს.

(ii) **ჩვეულებრივი გადაწყვეტილება:** „ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“ განსახილველად მოწვეული კრების კვორუმს წარმოადგენს ორი ან მეტი პირი, რომელიც „ობლიგაციების მფლობელების“ კრების განხილვის დროს ფლობს ან წარმოადგენს განსახილველ დროს „ობლიგაციების“ საერთო ძირი ოდენობის ნახევარზე მეტს, ან ნებისმიერი ასეთი „განმეორებითი კრების“ მიმართ შემთხვევაში - ორ ან მეტ პირს, რომელიც ესწრება ან წარმოადგენს „ობლიგაციების მფლობელებს“, მიუხედავად საკუთრებაში არსებული ან წარმოდგენილი „ობლიგაციების“ ძირი თანხისა.

(თ) ობლიგაციების მფლობელების კრების გადაწყვეტილებაუნარიანობა და გადადება:

(i) არცერთი საკითხი (გარდა თავმჯდომარის არჩევისა) არ უნდა გადაწყდეს კრებაზე, თუ ამგვარი საკითხის განხილვისას კრებაზე არ არის წარმოდგენილი შესაბამისი კვორუმი. თუ კვორუმი არ შედგა კრების დაწყების დროიდან 15 (თხუთმეტი) წუთის განმავლობაში, ამგვარი კრება უნდა გადაიდოს და განმეორებით ჩატარდეს თავდაპირველი კრების თარიღიდან არა უადრეს მე-7 და არა უგვიანეს 30-ე კალენდარული დღისა. თუ ამგვარ „განმეორებით კრებაზე“ კვორუმი არ შედგება კრების დაწყების დროიდან 30 (ოცდაათი) წუთის განმავლობაში, კრება დათხოვილ უნდა იქნას.

(ii) „განმეორებითი კრების“ დროსა და ადგილს განსაზღვრავს „ემიტენტი“. განმეორებით კრებაზე დასაშვებია მხოლოდ იმ საკითხების გადაწყვეტა, რომელთა გადაწყვეტა დასაშვები იყო თავდაპირველ კრებაზე.

(iii) „განმეორებითი კრების“ შესახებ შეტყობინება უნდა გაკეთდეს იმ ფორმით, რომლითაც გაკეთდა თავდაპირველი კრების შესახებ შეტყობინება.

(ი) ხმის მიცემა:

(i) „ობლიგაციების მფლობელების“ კრების წინაშე დასმული ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს ხელის აწევით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა თავმჯდომარე, „ემიტენტი“ ან ერთი ან მეტი პირი, რომლებიც ჯამში წარმოადგენენ „ობლიგაციების“ 2%-ს, მოითხოვს (ხელის აწევის პროცედურის დაწყებამდე ან ხელის აწევის პროცედურის შედეგების გამოცხადებამდე) ფარული კენჭისყრის ჩატარებას. ფარული კენჭისყრის შემთხვევაში, გადაწყვეტილება გამოცხადდება თავმჯდომარის მიერ.

(ii) თუ ფარული კენჭისყრა არ იქნა მოთხოვნილი, თავმჯდომარის განცხადება იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება იქნა ან არ იქნა მიღებული, წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების ან არმიღების საკმარის მტკიცებულებას, გადაწყვეტილების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ მიცემული ხმების რაოდენობის მტკიცებულების გარეშე.

(iii) თუ ფარული კენჭისყრა იქნა მოთხოვნილი, გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს ამ ფორმით და ფარული კენჭისყრა უნდა ჩატარდეს იმ მომენტშივე ან განმეორებით კრებაზე, როგორც ამას თავმჯდომარე გადაწყვეტს. ფარული კენჭისყრის შედეგი უნდა ჩაითვალოს იმ კრების გადაწყვეტილებად, რომელზეც იგი იქნა მოთხოვნილი, და იმ თარიღის გადაწყვეტილებად, როცა იგი იქნა მიღებული. ფარული კენჭისყრის ჩატარების მოთხოვნა ხელს არ უშლის კრებას გადაწყვიტოს სხვა საკითხები, რომელთა დაკავშირებითაც ფარული კენჭისყრა არ არის მოთხოვნილი.

(iv) ფარული კენჭისყრა, რომელიც მოთხოვნილია თავმჯდომარის არჩევის ან კრების გადადების საკითხთან დაკავშირებით, უნდა ჩატარდეს იმავე მომენტში.

(v) ხელის აწევით გადაწყვეტილების მიღებისას, თითოეულ პირს, რომელიც ესწრება კრებას და არის „ობლიგაციების მფლობელი“ ან მისი „წარმომადგენელი“, აქვს ერთი ხმა იმ „ობლიგაციების“ ძირი თანხის ყოველი 1,000 (ათასი) ერთეულისთვის - აშშ დოლარისთვის ან ევროსთვის, რომელსაც იგი წარმოადგენს ან რომლის მიმართაც იგი არის დანიშნული „წარმომადგენლად“. პირს, რომელსაც აქვს ერთზე მეტი ხმის უფლება, არ არის ვალდებული გამოიყენოს ყველა ხმა ან გამოიყენოს ყველა მათგანი ერთნაირად.

(კ) ობლიგაციების მფლობელების კრების გადაწვეტილება:

(i) **განსაკუთრებული გადაწვეტილება:** განსახილველი დროისთვის გამოშვებული „ობლიგაციების“ 75%-ის ან მეტის მფლობელი „ობლიგაციების მფლობელების“ მიერ ან მათი სახელით ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილება ძალაში შევა, როგორც „განსაკუთრებული გადაწყვეტილება“. ამგვარი წერილობითი გადაწყვეტილება შესაძლებელია შედგეს ერთ ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტად, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციების მფლობელის“ მიერ ან მისი სახელით.

(ii) **ჩვეულებრივი გადაწვეტილება:** განსახილველი დროისთვის „ობლიგაციების“ 51%-ის ან მეტის მფლობელი „ობლიგაციების მფლობელების“ მიერ ან მათი სახელით ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილება ძალაში შევა, როგორც „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“. ამგვარი წერილობითი გადაწყვეტილება შესაძლებელია შედგეს ერთ ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტად, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციის მფლობელის“ მიერ ან მისი სახელით.

(ლ) ობლიგაციების მფლობელების კრების გადაწვეტილების ძალაში შესვლა:

(i) „ობლიგაციების მფლობელების“ კრებაზე მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას, მიუხედავად იმისა, იგი არის „განსაკუთრებული გადაწყვეტილება“ თუ არა, აქვს შესასრულებლად სავალდებულო ძალა ყველა „ობლიგაციების მფლობელისთვის“, მიუხედავად იმისა, ისინი ესწრებოდნენ თუ არა კრებას.

(ii) „ობლიგაციების მფლობელების“ კრებაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდება „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე და ძალაში შედის მისი „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნების შემდეგ.

(მ) კრების ოქმები:

ოქმები უნდა შედგეს თითოეულ კრებაზე, ყველა გადაწყვეტილებასა და პროცედურასთან დაკავშირებით, და ხელმოწერილი უნდა იქნას იმავე კრების თავმჯდომარის მიერ. ამგვარი ოქმი წარმოადგენს მასში განსაზღვრული საკითხების გადაწყვეტის საკმარის მტკიცებულებას. სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება, ყველა კრება, რომლისთვისაც შედგა და ხელი მოეწერა ოქმს, ითვლება სათანადო წესით მოწვეულად და ჩატარებულად, და ყველა მასზე მიღებული გადაწყვეტილება და განხორციელებული პროცედურა მიიჩნევა სათანადო წესით მიღებულად და განხორციელებულად.

(ნ) „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება

ნებისმიერი „განსაკუთრებული გადაწყვეტილება“, რომელსაც ობლიგაციონერები მიიღებენ „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადებისა და შესაბამისი სააღსრულებო პროცედურების დაწყების მიზნით, მიღებული უნდა იქნას ზემოთ განსაზღვრული წესით. ასეთი გადაწყვეტილება ასევე უნდა შეიცავდეს (ა) გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რომელ სააღსრულებო წარმოებას მიმართავენ „ობლიგაციონერები“ და რა თანმიმდევრობით; (ბ) მითითებას შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებაზე უფლებამოსილი ან/და პასუხისმგებელი პირის თაობაზე; და (გ) ნებისმიერი სხვა საკითხის რეგულირებას, რასაც „ობლიგაციონერები“ საჭიროდ ჩათვლიან „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადებასთან დაკავშირებული საკითხების ადმინისტრირების მიზნით.

(ო) „ობლიგაციების“ გამოსყიდვის ოფცია „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ მიუღებლობის შემთხვევაში

იმ შემთხვევაში თუკი „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ მიღებისთვის მოწვეულ „ობლიგაციების მფლობელთა“ კრებაზე ვერ მოხდა „კომპანიისთვის“ სასურველი „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ მიღება და „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ სასარგებლოდ ხმა მისცა კრებაზე დამსწრე ხმების 60%-მა ან მეტმა, „კომპანიას“ ექნება უფლება (მაგრამ არა ვალდებულება) გამოისყიდოს იმ „ობლიგაციების მფლობელთა“ წილი „ობლიგაციაში“, რომლებმაც კრებაზე უარყოფითი პოზიცია დააფიქსირეს.

2.6.6. **შეტყობინებები**

„ემიტენტის“ შეტყობინება „ობლიგაციების მფლობელების“ მიმართ უნდა გაეგზავნოს „ცენტრალურ დეპოზიტარს“ წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მითითებულ მის ელ-ფოსტაზე ან მისამართზე, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია, აცნობოს ყველა შესაბამის „ანგარიშის მწარმოებელს“.

„ობლიგაციების მფლობელებმა“ შეტყობინება უნდა გაუგზავნონ „ანგარიშის მწარმოებელს“ წინამდებარე „პროსპექტში“ მითითებულ მის ელ-ფოსტაზე ან მისამართზე, თუ „ანგარიშის მწარმოებელი“ „ობლიგაციონერს“ წერილობით სხვაგვარად არ შეატყობინებს.

ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ამ პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მატერიალური სახით შესაბამის მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინება ითვლება სათანადო წესით გაგზავნილად და იგი არ საჭიროებს დამატებით ელ-ფოსტით მეშვეობით გაგზავნას. „ემიტენტი“ მიაწოდებს „ანგარიშის მწარმოებელს“ ინფორმაციას „ობლიგაციების მფლობელების“ კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებას გამოაქვეყნებს სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მეშვეობით.

რეგულირებადი ინფორმაციის გასაჯაროების მიზნით გამოყენებულ იქნება ვებგვერდი https://www.tbcleasing.ge/home. და https://reportal.ge/. აღნიშნულ ვებგვერდზე მოხდება რეგულირებადი ინფორმაციის გამოქვეყნება, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 07 ოქტომბრის №181/04 ბრძანებით დადგენილი „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჟვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის“ (შემდგომში „**გამჟვირვალობის წესი**“) მე-9 მუხლით დადგენილი ვალდებულებების შესრულება:

ა) ნებისმიერი ცვლილება საჯარო ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი ცვლილებები ფასიანი ქაღალდის პირობებში, რომლებმაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებზე ან რომლებიც გამომდინარეობს სასესხო პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებიდან;
ბ) ინფორმაცია სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების, ან დაფარვის შესახებ;
გ) ისეთი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად;
დ) ინფორმაცია საერთო კრების ადგილის, დროის, დღის წესრიგისა და „ემიტენტის“ აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის მიღების უფლების შესახებ;
ე) „ემიტენტი“ რეგულირებული ინფორმაციის სხვადასხვა ტიპებთან მიმართებით, გეგმავს ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროების გამოყენებას, რომლის ცვლილების შემთხვევაში შესაბამისად უზრუნველყოფს „ობლიგაციონერთა“ ინფორმირებას:
ე.1) პერიოდული ფინანსური ანგარიშგებები: https://reportal.ge/;
ე.2) კრებებთან/გადაწყვეტილებებთან და სხვა მსგავს საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია, რამდენადაც აღნიშნული შესაძლებელია: საჯარო რეესტრის პორტალის მეშვეობით;
ე.3) სხვა ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაცია ან კანონმდებლობით გამჟვირვალობის ფარგლებში მოთხოვნილი მიმდინარე ანგარიშები: „ემიტენტის“ ან საქართველოს საფონდო ბირჟის ვებ-გვერდი, ასევე https://reportal.ge/ .

2.6.7. **შემდგომი ემისიები**

„კომპანია“ უფლებამოსილია „ობლიგაციების მფლობელებთან“ შეთანხმების გარეშე და იმ პირობით, რომ დაცული იქნება წინამდებარე ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული ფინანსური შეზღუდვები, დათქმები და კოვენანტები,

დროდადრო გამოუშვას სხვა ფასიანი ქაღალდები იმავე ან განსხვავებული პირობებით, როგორც ამას „კომპანია“ განსაზღვრავს, გამოშვების მომენტისათვის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.

2.6.8. **გამოსაყენებელი სამართალი და იურისდიქცია**

(ა) გამოსაყენებელი სამართალი

წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ და „ობლიგაციები“ და მათთან დაკავშირებული ყველა არასახელშეკრულებო ვალდებულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

(ბ) იურისდიქცია

საქართველოს სასამართლოებს გააჩნიათ ექსკლუზიური იურისდიქცია „ემისიის პროსპექტსა“ და „ობლიგაციებთან“ დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხთან მიმართებით წარმოშობილ დავაზე (მათ შორის, ნებისმიერი დავა ან უთანხმოება, რომელიც უკავშირდება „ემისიის პროსპექტის“ ან „ობლიგაციების“ გაცემას, ნამდვილობას, არსებობას, შეწყვეტას ან მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ არასახელშეკრულებო ვალდებულებას). „ობლიგაციებთან“ დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე „ობლიგაციების მფლობელების“ სასარგებლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1^1 ნაწილის შესაბამისად.

2.6.9. **განმარტებები**

თუ შინაარსი სხვაგვარ განმარტებას არ მოითხოვს, წინამდებარე „პირობებში“ გამოყენებულ განსაზღვრებებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობები:

„**განმეორებითი კრება**“ ნიშნავს “ობლიგაციონერების მფლობელების“ კრებას, რომელიც აგრძელებს წინა კრებას, რომელზეც საქმიანობის წარმოებისთვის საჭირო კვორუმი არ შედგა.

„ობლიგაციის მფლობელი“, „ობლიგაციონერი“ ან **„ინვესტორი“** ნიშნავს ობლიგაციების მფლობელს რომელიც დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების მიმართ მოქმედებს მხოლოდ თავის სასარგებლოდ;

„**აფილირებული პირი**“ ნებისმიერ მითითებულ „პირთან“ მიმართებით ნიშნავს (ა) ნებისმიერ სხვა „პირს“ რომელიც, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მართავს ამგვარ მითითებულ „პირს“, ან რომელსაც მართავს ამგვარი მითითებული „პირი“, ან რომელიც იმყოფება ამგვარი მითითებული „პირის“, პირდაპირი ან არაპირდაპირი, საერთო მმართველობის ქვეშ (ბ) ნებისმიერი სხვა „პირი“, რომელიც წარმოადგენს ამგვარი მითითებული „პირის“, მისი „შვილობილი კომპანიის“ ან „(ა)“ ქვეპუნქტში მითითებული ნებისმიერი სხვა „პირის“ დირექტორს ან ხელმძღვანელს;

„ობლიგაციების მფლობელი “ ან „ინვესტორი“ ნიშნავს პირს, რომლის სახელითაც „ანგარიშის მწარმოებელი“ აწარმოებს ფასიანი ქაღალდების ანგარიშს და აქვს დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლება („ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კანონმდებლობის“ განსაზღვრების შესაბამისად);

„**სამუშაო დღე**" ნიშნავს ნებისმიერ დღეს (შაბათის და კვირის გარდა), როდესაც თბილისში არსებული კომერციული ბანკები ახორციელებენ გადარიცხვებს და აწარმოებენ ჩვეულებრივ საქმიანობას (უცხო ვალუტაში გაცვლის ჩათვლით);

„**სამართლიანი საბაზრო ღირებულება**“ ნიშნავს ტრანზაქციის იმგვარ ღირებულებას, რომელიც მიიღება ინფორმირებულ და დაინტერესებულ გამყიდველს (გაყიდვაზე არასათანადო წნეხის და ძალდატანების გარეშე) და ინფორმირებულ და დაინტერესებულ მყიდველს (ყიდვაზე არასათანადო წნეხის და ძალდატანების გარეშე) შორის განხორციელებულ დამოუკიდებელ მონაწილეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციაში. „ობლიგაციების მფლობელები“ უფლებამოსილი არიან დაეყრდნონ ტრანზაქციის „სამართლიანი საბაზრო ღირებულების“ „დამოუკიდებელი შემფასებლის“ ანგარიშს, ყოველგვარი დამატებითი კვლევის და მტკიცებულების გარეშე;

„**ჯგუფი**" ნიშნავს „ემიტენტს“ და მის „შვილობილ კომპანიებს“, რომლებიც, დრო და დრო, განიხილებიან ერთობლიობაში;

„**კონტროლი**", წინამდებარე განსაზღვრების შესაბამისად, ნიშნავს კაპიტალის ფლობის მეშვეობით, ხელშეკრულების საფუძველზე ან სხვაგვარად “ემიტენტის“ ხელმძღვანელობის და პოლიტიკის წარმართვის უფლებამოსილებას;

„ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები“ (IFRS) ნიშნავს საერთაშორისო ბუღალტერიის სტანდარტების საბჭოს (**IASB**) მიერ გამოცემულ საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს (ყოფილი საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტები) და **IASB**-ის საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების განმმარტავი კომიტეტის მიერ გამოცემულ განმარტებებს (დრო და დრო შეტანილი, დამატებული ან ხელახლა გამოცემული ცვლილებებით);

„**IFRS ფინანსური პერიოდი**“ ნიშნავს ნებისმიერ ფინანსურ პერიოდს, რომლის მიმართაც „ემიტენტმა“ მოამზადა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები IFRS-ის შესაბამისად, რომელიც შეამოწმეს ან გადახედეს „აუდიტორებმა“;

„**დავალიანება**" ნიშნავს, ნებისმიერ „პირთან“ მიმართებით ნებისმიერ განსაზღვრულ დროს (გამეორების გარეშე):

(ა) ამგვარი „პირის“ მიერ სესხად აღებული ფულადი თანხის შედეგად ყველა დავალიანება;

(ბ) ამგვარი „პირის“ ყველა ვალდებულება, რომელიც დასტურდება ობლიგაციებით, სავალო ხელწერილებით ან/და სხვა მსგავსი დოკუმენტებით;

(გ) ამგვარი „პირის“ ყველა ვალდებულებას საკრედიტო წერილებთან ან სხვა მსგავს დოკუმენტებთან დაკავშირებით (მათ შესაბამისად ანაზღაურების ვალდებულებების ჩათვლით), გარდა ნებისმიერი საკრედიტო წერილების, გარანტიების ან სხვა მსგავსი დოკუმენტებისა, რომელიც გამოიცა მისი ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში;

(დ) ამგვარი „პირის“ მიერ ქონების, აქტივების ან მომსახურების გადავადებული ან გადაუხდელი ნასყიდობის ფასის გადახდის ყველა ვალდებულება;

(ე) ყველა სხვა „პირის“ მიმართ არსებული დავალიანება, რომელიც უზრუნველყოფილია “უზრუნველყოფის საშუალებით“, რომელიც ამგვარმა „პირმა“ უზრუნველყო საკუთარი ნებისმიერი აქტივის (რომლის ღირებულებაც, წინამდებარე მიზნებისთვის, განისაზღვრება ამგვარი აქტივის საბალანსო ანგარიშის შესაბამის ღირებულებაზე მითითებით შესაბამის უკანასკნელ წლიურ ფინანსურ ანგარიშთან (IFRS-ის შესაბამისად დათვლილი) მიმართებით) მიმართ, მიუხედავად იმისა, ცნობს თუ არა ამგვარ დავალიანებას აღნიშნული „პირი“;

(ვ) სხვა „პირების“ ყველა დავალიანება, რომელიც გარანტირებულია ან ანაზღაურებულია ამგვარი „პირის“ მიერ, იმ ოდენობით, რომელიც გარანტირებულია ან ანაზღაურებულია ამგვარი „პირის“ მიერ;

(ზ) ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან შესაბამისად მოძიებული ნებისმიერი თანხა, რომელიც აშკარად ექვემდებარება დაბრუნებას;

(თ) წმინდა ვალდებულებები ნებისმიერი ვალუტის ან საპროცენტო განაკვეთის სადაზღვევო ხელშეკრულების შესაბამისად; და

(ი) ნებისმიერი სხვა ტრანზაქციიდან გამომდინარე მოზიდული ნებისმიერი თანხა (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერი ნასყიდობის ხელშეკრულება გადახდის განვადებით ან ნასყიდობის ხელშეკრულება), რომელსაც სესხის ტოლფასი ეკონომიკური ან კომერციული ეფექტი გააჩნია,

და ნებისმიერ თარიღზე ნებისმიერი „პირის“ დავალიანების ოდენობა იქნება ამგვარ თარიღზე ყველა, ზემოთ აღწერილი, უპირობო ვალდებულებების გადასახდელი ნაშთი, ხოლო ყველა, ზემოთ აღწერილ, პირობით

ვალდებულებასთან მიმართებით, მაქსიმალური პასუხისმგებლობა, რომელიც წარმოიშობოდა ვალდებულების საფუძვლად არსებული პირობის დადგომისას;

„**დამოუკიდებელი შემფასებელი**“ ნიშნავს “ემიტენტის“ მიერ შერჩეულ და „ობლიგაციების მფლობელების“ მიერ დამტკიცებულ სააუდიტო ფირმას ან დასადგენ საკითხში კვალიფიციურ დამოუკიდებელ (მესამე პირი) ექსპერტს, იმ პირობით, რომ ამგვარი შეფასების განმახორციელებელი ფირმა ან დამოუკიდებელი ექსპერტი არ წარმოადგენს „ემიტენტთან“ „აფილირებულ პირს“;

„**არსებითი შვილობილი კომპანია**“ ნიშნავს „ემიტენტის“ ნებისმიერ შვილობილ კომპანიას:

(ა) რომელიც, უკანასკნელი “IFRS ფინანსური პერიოდისთვის, აღრიცხავდა „კომპანიის“ კონსოლიდირებული შემოსავლის 5 პროცენტზე მეტს, ან რომელიც, უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდის“ დასასრულს, იყო „კომპანიის“ კონსოლიდირებული შემოსავლის 5 პროცენტზე მეტის მფლობელი, რომელიც განისაზღვრება “ემიტენტის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშზე მითითებით, რომელიც მომზადდა IFRS-ის შესაბამისად უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდის“ მიმართ; ან

(ბ) რომელსაც გადაეცემა არსებითად “ემიტენტის“ „შვილობილი კომპანიის“ ყველა აქტივები და ვალდებულებები, რომელიც უშუალოდ ამგვარ გადაცემამდე წარმოადგენდა „არსებით შვილობილ კომპანიას“ (ამგვარი ტრანზაქციის თარიღის მიხედვით).

„**ანგარიშის მწარმოებელი**“ ნიშნავს ფინანსური ინსტიტუტს (მათ შორის, ცენტრალური დეპოზიტარი), რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე უფლებამოსილია კლიენტს გაუხსნას და აწარმოოს ფასიანი ქაღალდების ანგარიში.

„**ნებადართული უზრუნველყოფა**“ განიმარტება, როგორც:

(ა) იმ ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილი უზრუნველყოფა, რომელიც დადებულია „გამოშვების თარიღამდე“;

(ბ) ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ მიერ „ემიტენტის“ ან მისი ნებისმიერი 100% მფლობელობაში არსებული „შვილობილი კომპანიის“ სასარგებლოდ მინიჭებული უზრუნველყოფა;

(გ) „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც უზრუნველყოფს „პირის“ დავალიანებას და არსებობს იმ პერიოდისთვის, როდესაც ამგვარი „პირი“ შეერწყმება ან გაერთიანდება „ემიტენტთან“ ან მის „შვილობილ კომპანიასთან“ ან გახდება „ემიტენტის“ „შვილობილი კომპანია“, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალება“ (i) არ შექმნილა ამგვარი შერწყმის, გაერთიანების ან შემთხვევის მიზნებისთვის; და (ii) არ ვრცელდება „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიის“ ნებისმიერ აქტივზე ან ქონებაზე (გარდა, რომელიც ეკუთვნის შეძენილ „პირს“ და მის „შვილობილ კომპანიებს“ (ასეთის არსებობისას));

(დ) „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიის“ მიერ შესყიდულ ან შესასყიდ აქტივებზე ან ქონებაზე არსებული „უზრუნველყოფის საშუალება“, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალება“ არ შექმნილა ამგვარი შესყიდვის მიზნებისთვის და არ ვრცელდება ნებისმიერ სხვა აქტივებზე ან ქონებაზე (გარდა ამგვარი შესყიდული აქტივებიდან ან ქონებიდან მიღებულ შემოსავალზე);

(ე) შემდგომში „კომპანიის“ ნებისმიერი წევრის მიერ შესყიდული ნებისმიერი ქონების მიმართ ამგვარი ქონების ნასყიდობის ფასის უზრუნველსაყოფად ან მხოლოდ ამგვარი ქონების შესყიდვის ფასის და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციული ხარჯების დაფინანსების მიზნებისთვის აღებული „დავალიანების“ უზრუნველსაყოფად მინიჭებული „უზრუნველყოფის საშუალება“, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალებით“ უზრუნველყოფილი შესაბამისი „დავალიანების“ მაქსიმალური ოდენობა არ აღემატება ამგვარი ქონების შესყიდვის ფასს, ტრანზაქციულ ხარჯებს ან/და მხოლოდ ამგვარი შესყიდვის დაფინანსების შედეგად აღებულ „დავალიანებას“ და წინამდებარე „უზრუნველყოფის საშუალება“ წარმოიშვება მხოლოდ ხსენებულ შესყიდულ ქონებაზე;

(ვ) ნებისმიერი მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთკომპენსაციის ან ურთიერთგაქვითვის შესახებ შეთანხმება, რომელიც „კომპანიის“ ნებისმიერმა წევრმა დადო საკუთარი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში შემოსავლის და გასავლის ბალანსის ურთიერთკომპენსაციის მიზნებისთვის;

(ზ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალებას“ დაქვემდებარებული აქტივების ან შემოსავლის საერთო ღირებულება, რომელიც ემატება იმგვარი აქტივებისა და შემოსავლის საერთო ოდენობას, რომელიც ექვემდებარება ნებისმიერ მისაღების უზრუნველყოფას, აქტივებით დაზღვეულ დაფინანსებას ან მსგავსი დაფინანსების სტრუქტურას, არ აღემატება ნებისმიერ ასეთ დროს „ემიტენტის“ კონსოლიდირებული აქტივების 10 პროცენტს, რომელიც განისაზღვრება, უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდის“ დასასრულს IFRS-ის შესაბამისად მომზადებულ, „კომპანიის“ კონსოლიდირებულ საბალანსო ანგარიშზე მითითებით;

(თ) ნებისმიერი არსებული ან სამომავლო აქტივების ან შემოსავლების ან მათი ნებისმიერი ნაწილის შესაბამისი „უზრუნველყოფის საშუალება“ იქმნება ნებისმიერი „რეპო“ ტრანზაქციის შესაბამისად;

(ი) ნებისმიერი ხელშეკრულების (ან სხვა მარეგულირებელი პირობების) შესაბამისად წარმოშობილი „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც სტანდარტული ან ჩვეულებითია საპროცენტო განაკვეთის და უცხო ვალუტის კურსის დაზღვევის ოპერაციების შესაბამის ბაზარზე;

(კ) კანონის მოქმედების საფუძველზე და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში (როგორც ლიზინგ(ებ)ის გაცემის, ასევე შესაბამისი საფინანსო რესურსის მოძიების ფარგლებში) წარმოშობილი ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“, საგადასახადო და სხვა არა-ნებაყოფლობითი „უზრუნველყოფის საშუალების“ ჩათვლით; ; და

(ლ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც არ არის გათვალისწინებული (ა)-დან (ი)-ს ჩათვლით პუნქტებით, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალების“ მიერ უზრუნველყოფილი „დავალიანების“ საერთო ოდენობის ძირი თანხა არცერთ შემთხვევაში არ აღემატება „კომპანიის“ კონსოლიდირებული აქტივების 10 პროცენტს, რომელიც განისაზღვრება, უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდის“ დასასრულს IFRS-ის შესაბამისად მომზადებულ, „კომპანიის“ კონსოლიდირებულ საბალანსო ანგარიშზე მითითებით;

„**პირი**“ ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, კომპანიას, კორპორაციას, ფირმას, ამხანაგობას, ერთობლივ საწარმოს, გაერთიანებას, ტრასტს, დაწესებულებას, ორგანიზაციას, სახელმწიფო ან ნებისმიერ სხვა საწარმოს, მიუხედავად იმისა წარმოადგენს თუ არა ეს უკანასკნელ დამოუკიდებელ იურიდიულ პირს;

„**პირობები**“ ნიშნავს ამ „ემისიის პროსპექტით“ გათვალისწინებულ „ობლიგაციების პირობებს“.

"**რეპო**" ნიშნავს ფასიანი ქაღალდების ხელახლა შესყიდვის ან ხელახლა გაყიდვის ხელშეკრულებას ან საპირისპირო ხელახლა შესყიდვის ან ხელახლა გაყიდვის ხელშეკრულებას, ფასიანი ქაღალდების თხოვების ან გაქირავების ხელშეკრულებას ან ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ნებისმიერი აღნიშნულის მსგავსი ეფექტის და მიზნების მქონე ხელშეკრულებას;

„**ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კანონმდებლობა**“ ნიშნავს ფასიანი ქაღალდების ბაზართან დაკავშირებულ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს, მათ შორის და არა მხოლოდ, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ 1998 წლის 24 დეკემბერს მიღებულ საქართველოს კანონსა და „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ 2023 წლის 16 ნოემბერს მიღებულ საქართველოს კანონს, შესაბამისი დრო და დრო განხორციელებული ცვლილებებით;

„**უზრუნველყოფის საშუალება**“ ნიშნავს ნებისმიერ გირავნობას, ყადაღას, შეზღუდვას, ვალდებულებას ან ფასიანი ქაღალდის პროცენტს (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერი კანონმდებლობით აღნიშნულის ნებისმიერი ანალოგიას);

„**შვილობილი კომპანია**“ „ნებისმიერი „პირთან“ („პირველი პირი“) მიმართებით ნიშნავს მოცემულ დროს, ნებისმიერ სხვა „პირს“ („მეორე პირი“) (ა) რომლის საქმიანობას და პოლიტიკას პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს

„პირველი პირი“ ან (ბ) რომლის კაპიტალის, ხმის მიცემის უფლების მქონე აქციების ან სხვა საკუთრების უფლების 50 პროცენტზე მეტს ფლობს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, „პირველი პირი“;

„**გადასახადი**“ ნიშნავს ნებისმიერ გადასახადს, დანაკისრს, ვალდებულებას, ბაჟს ან სხვა საკომისიოს ან მსგავს გამოქვითვას, წარმოშობის (დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების და შესაბამისი დამატებების ჩათვლით), განსაზღვრის და დაკისრების საფუძვლის და ფორმის მიუხედავად.

„**პროსპექტი**“ თუ ემისიის პროსპექტის ტექსტი სხვაგვარად არ მიუთითებს, მითითება „წინამდებარე პროსპექტზე“ გულისხმობს მითითებას სებ-ის მიერ სათანადო წესით დამტკიცებულ ემისიის პროსპექტზე.

„GSSS სისტემა” (ან ნებისმიერი სხვა მსგავსი შინაარსის სისტემა) წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების ცენტრალიზებულ სისტემას, რომელიც კუპონის გადახდის მომენტში უზრუნველყოფს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ფასიანი ქაღალდების უსაფრთხო შენახვასა და მომენტალურ ანგარიშსწორებას. აღნიშნული სისტემით სარგებლობა შეუძლიათ ფინანსური ბაზრის როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო მონაწილეებს.

„**ანგარიშის მწარმოებელი**" ნიშნავს ფინანსური ინსტიტუტს (მათ შორის, ცენტრალური დეპოზიტარი), რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე უფლებამოსილია კლიენტს გაუხსნას და აწარმოოს ფასიანი ქაღალდების ანგარიში.

2.7. **პროცენტი:**

(ა) პროცენტის გადახდის თარიღები

თითოეულ „ობლიგაციას“ პროცენტი დაერიცხება საბოლოო შეთავაზების დოკუმენტის მიხედვით.
ყველა გადახდა განხორციელდება მითითებულ „პროცენტის გადახდის თარიღზე“ ან „გამოსყიდვის თარიღზე“, გარემოებების შესაბამისად, „ცენტრალური დეპოზიტარის“ (ს/ნ 204935400) მიერ მომზადებულ იმ ინვესტორთა/ინვესტორისგან უფლებამოსილ პირველი საფეხურის ანგარიშის მწარმოებელთა სიის მიხედვით, რომლებიც ფიქსირდებიან ფასიანი ქაღალდების მფლობელებად“ ოთხი (4) სამუშაო დღით ადრე „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ ან „გამოსყიდვის თარიღამდე“ ოთხი (4) „სამუშაო დღით“ ადრე სამუშაო დღის დასრულებამდე („**სააღრიცხვო თარიღი**“), გარდა იმ შემთხვევისა, როცა „პროცენტის გადახდის თარიღი“ ან „გამოსყიდვის თარიღი“ ემთხვევა არასამუშაო დღეს საქართველოში, რა დროსაც გადახდა განხორციელდება „პროცენტის გადახდის თარიღის“ ან „გამოსყიდვის თარიღის“ შემდგომ პირველივე „სამუშაო დღეს“. წინამდებარე „პირობების“ მიზნებისათვის, „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ მიერ გადახდის განხორციელების დღე მიიჩნევა გადახდის დღედ და, შესაბამისად, „ემიტენტის“ ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად, მიუხედავად იმისა, თუ როდის ჩაირიცხება თანხა “ობლიგაციონერის“ ანგარიშზე.

(ბ) პროცენტის დარიცხვა

პროცენტის დაანგარიშება მოხდება შესაბამის „პროცენტის დარიცხვის პერიოდში“ არსებული ფაქტობრივი კალენდარული დღეების შესაბამისად, შემდეგი წესის საფუძველზე: 30/360 ISMA, ასევე ცნობილი როგორც „30/360 ევროპული ან ევრობონდების საბაზისო დღეების დათვლის კონვენცია (DCC)“ = მრიცხველი / 360
მრიცხველის ფორმულა:
1. თუ D1=31, მაშინ D1=30
2. თუ D2=31, მაშინ D2=30
3. თებერვლის ბოლო დღე ცალკე არ განისაზღვრება
4. მრიცხველი = (D2-D1)+30*(M2-M1)+360*(Y2-Y1),
სადაც „D“ ნიშნავს დღეს, „M“ - თვეს და „Y“ - წელს.

პროცენტის დარიცხვა მოხდება წინა „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ ან „ანგარიშსწორების თარიღიდან“ (წინამდებარე „პირობების“ მიზნებისათვის „ანგარიშსწორების დღე“ ნიშნავს თარიღს, როცა „ობლიგაციის“ თითოეული მფლობელი ახორციელებს შესაბამისი თანხების გადახდას „ობლიგაციების“ მიღების სანაცვლოდ) შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ ან „გამოსყიდვის თარიღამდე“ (ამ თარიღების გამოკლებით). ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, თუ „პროცენტის გადახდის თარიღი“ გადაიწევს შემდგომ „სამუშაო

დღემდე“, პროცენტის დარიცხვა მოხდება ამ თარიღამდე (მისი გამოკლებით) და, შესაბამისად, ამ პერიოდში ფაქტობრივი დღეების რაოდენობა იქნება „პროცენტის დარიცხვის პერიოდზე“ მეტი. რადგან შემდგომი პერიოდი გამოითვლება ბოლო (გადაწეული) „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღის გამოკლებით), ამ პერიოდში ფაქტობრივი დღეების რაოდენობა იქნება „პროცენტის დარიცხვის პერიოდზე“ ნაკლები, თუ შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღი“ დაემთხვევა სამუშაო დღეს.

თუ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით გადასახდელი პროცენტის თანხა, რომელიც გამოიანგარიშება წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად, არ იქნება 0.01 დოლარის/ევროს ჯერადი, ამგვარი ციფრი დამრგვალდება უახლოეს 0.01 დოლარის/ევროს ჯერად რიცხვამდე (0.005-0.009 დოლარის/ევროს დამრგვალება მოხდება ზემოთ).

„ობლიგაციებზე“ პროცენტის დარიცხვა შეწყდება მათი „გამოსყიდვის თარიღიდან“, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სათანადო მტკიცებულების წარდგენის საფუძველზე დადასტურდება, რომ მოხდა ძირი თანხის უსაფუძვლოდ დაკავება ან მის გადახდაზე უარის თქმა, და ამ შემთხვევაში პროცენტის დარიცხვა გაგრძელდება „ობლიგაციების“ გამოსყიდვამდე ან „გადახდისა და კალკულაციის აგენტისთვის“ გამოსყიდვისათვის საჭირო თანხების გადახდის შესახებ შეტყობინების „რეგისტრირებული მფლობელებისათვის“ გაგზავნამდე.

„**პროცენტის დარიცხვის პერიოდი**” ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება „პროცენტის გადახდის თარიღზე“ და სრულდება შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს, პირველი პერიოდის გარდა, როცა „პროცენტის დარიცხვის პერიოდი“ იწყება „ანგარიშსწორების დღეს“ და სრულდება შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს, და ასევე ბოლო პერიოდის გარდა, როცა „პროცენტის დარიცხვის პერიოდი“ ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება „პროცენტის გადახდის თარიღის“ ბოლოს წინა დღეს და სრულდება „გამოსყიდვის თარიღზე“ (ამ თარიღის გამოკლებით).

2.8. **ანგარიშსწორება და გადახდები;**

(ა) „ობლიგაციების“ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგი პირობების დაცვით:

(i) „ობლიგაციების“ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა უნდა განხორციელდეს იმ „ობლიგაციების მფლობელებისათვის“ და „ანგარიშის მწარმოებლ(ებ)ისთვის“, რომლებიც აღრიცხულნი არიან ამგვარი გადახდის თარიღამდე 4 „სამუშაო დღით“ ადრე, სამუშაო დღის დასასრულს (18:00) („სააღრიცხვო თარიღი“). გადახდები უნდა განხორციელდეს შესაბამის ემისიის ვალუტაში იმ საბანკო ანგარიშზე, რომელიც აღრიცხულია „სააღრიცხვო თარიღისათვის“. „ობლიგაციონერებმა“ და “ანგარიშის მწარმოებელმა“ უნდა უზრუნველყონ „დეპოზიტარისთვის“ განახლებული, სრული და სწორი ინფორმაციის მიწოდება მათი საბანკო ანგარიშების შესახებ, რომელზეც მოხდება „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი სახის გადახდა. არც „ემიტენტი“, არც „ცენტრალური დეპოზიტარი“ და არც „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ არ იქნება პასუხისმგებელი გადახდის არ / ვერ განხორციელების შემთხვევაში, თუ „ობლიგაციონერი“ ან/და „ანგარიშის მწარმოებელი“ „ცენტრალურ დეპოზიტარს“ დროულად არ მიაწვდის მისი საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციას, ან „ემიტენტის“ ან „ცენტრალური დეპოზიტარის“ მოთხოვნის მიუხედავად, „სააღრიცხვო თარიღისათვის“ ვერ უზრუნველჰყოფს ამგვარი ინფორმაციის განახლებას.

(ii) თუ „ობლიგაციონერის“ ან " „ანგარიშის მწარმოებლის“ ზემოაღნიშნულ ქვეპუნქტში მითითებული საბროკერო ანგარიში არ არის გახსნილი „კალკულაციისა და გადახდის აგენტთან“, განხორციელებული გადახდებიდან შესაძლოა დაიქვითოს საბანკო მიმსახურების საკომისიოები. თუ „ობლიგაციონერის“ ან „ანგარიშის მწარმოებლის“ საბანკო ანგარიში არ არის შესაბამის ემისიის ვალუტაში, ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი ვალუტის კონვერტაციის ხარჯების გამოკლებით.

(iii) ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული პროცესები და შეზღუდვები დამატებით დგინდება კანონმდებლობით, ასევე მის საფუძველზე „დეპოზიტარისა“ და სხვა შესაბამისი ფასიანი ქაღალდების მონაწილეთა მიერ შემუშავებული წესებითა და პროცედურებით და „კალკულაციისა და გადახდის აგენტთან“ გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

(iv) „ემიტენტი“ ვალდებულია, არაუგვიანეს შესაბამისი გადახდის თარიღამდე 1 (ერთი) „სამუშაო დღით“ ადრე „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ საბანკო ანგარიშზე განათავსოს შესაბამისი თანხები დოლარში ან ევროში (თითოეული შესაბამისი „ობლიგაციის“ ვალუტის გათვალისწინებით) და მისცეს „კალკულაციისა და გადახის აგენტს“ დავალება აღნიშნული თანხსების გადარიცხვაზე. „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ უფლებამოსილია, მაგრამ არა ვალდებული, „ემიტენტის“ მიერ „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ საბანკო ანგარიშზე საკმარისი თანხების განთავსების შემთხვევაში, შესაბამისი დავალების გარეშე მოახდინოს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ვადამოსული გადასახდელების (საპროცენტო სარგებლის ან/და ძირი თანხის) გადარიცხვა „დეპოზიტარის“ მიერ „კალკულაციისა და გადახდის აგენტისთვის“ მიწოდებულ „ანგარიშის მწარმოებელთა“ ანგარიშებზე, მათ სახელზე არსებული ფასიანი ქაღალდების პროპორციულად, რის შესახებაც ინფორმაციას მიაწოდებს „დეპოზიტარს“; ხოლო, „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მითითების შესაბამისად, „ემიტენტის“ მიერ „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ საბანკო ანგარიშზე საკმარისი თანხის განუთავსებლობის შემთხვევაში, აცნობოს აღნიშნულის თაობაზე „ემიტენტს“, „ობლიგაციების მფლობელებსა“ და „დეპოზიტარს“.

(ბ) **აგენტების დანიშვნა:** „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, „განთავსების აგენტები“ და „ცენტრალური დეპოზიტარი“, და მათი შესაბამისი საკონტაქტო ინფორმაცია, მითითებულია „პირობების დოკუმენტში“. „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, „განთავსების აგენტები“ და „ცენტრალური დეპოზიტარი“ მოქმედებენ მხოლოდ როგორც „ემიტენტის“ აგენტები და წინამდებარე „პროსპექტისა“ და შეთავაზების მიზნებისათვის არ კისრულობენ რაიმე ვალდებულებას, ან არ ასრულებენ აგენტის ან ტრასტის ფუნქციას ან ურთიერთობას, „ობლიგაციონერის“ ან/და „ანგარიშის მწარმოებლის“ წინაშე ან მათ სასარგებლოდ. „ემიტენტი“ იტოვებს უფლებას, ნებისმიერ დროს და „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ თანხმობით შეცვალოს ან შეწყვიტოს „კალკულაციისა და გადახდის აგენტთან“, „განთავსების აგენტებთან“ ან/და „ცენტრალურ დეპოზიტართან“ ხელშეკრულება/მათი თანამდებობაზე ყოფნა და დანიშნოს დამატებითი ან სხვა „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, „განთავსების აგენტები“ ან „ცენტრალური დეპოზიტარი“, იმ პირობით, რომ „ემიტენტს“ მუდმივად უნდა ჰყავდეს (i) „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ და (ii) „ცენტრალური დეპოზიტარი“, რაც თითოეულ შემთხვევაში უნდა დამტკიცდეს „ობლიგაციონერების“ მიერ. ნებისმიერი ამგვარი ცვლილების ან აგენტების საკონტაქტო ინფორმაციის ნებისმიერი ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს „ობლიგაციონერებს“ „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე შეტყობინების გამოქვეყნების გზით

(დ) **საგადასახადო კანონმდებლობას დაქვემდებარებული გადახდები:** ყველა გადახდა, ნებისმიერ შემთხვევაში, ექვემდებარება საქართველოს საგადასახადო ან სხვა კანონმდებლობას, რეგულაციებს და დირექტივებს.

(ე) **გადახდის დაგვიანება / არასამუშაო დღეები:** „ობლიგაციების მფლობელებს“ არ ექნებათ უფლება მიიღონ რაიმე პროცენტი, პირგასამტეხლო ან სხვა თანხა „ობლიგაციასთან“ დაკავშირებული ვადამოსული თანხის დაგვიანებით მიღებისთვის, თუ გადახდის დღე არ ემთხვევა „სამუშაო დღეს“. ვადამოსული გადახდა უნდა განხორციელდეს მომდევნო „სამუშაო დღეს“.

2.9. **ფასიანი ქაღალდების მფლობელთა წარმომადგენლის მითითება; ამ წარმომადგენლობის პირობებისა და იმ ვებ-გვერდის მითითება, სადაც ინვესტორები შეძლებენ წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების გაცნობას:**

ტრანზაქციის სტრუქტურა არ ითვალისწინებს ფასიანი ქაღალდების მფლობელების წარმომადგენლის ინსტიტუტს.

2.10. **ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევის ნებისმიერი შეზღუდვის აღწერა:**

მსგავსი შეზღუდვა დაფიქსირებული არ არის.

3. საჯარო შეთავაზების პირობები

3.1. შეთავაზების პირობები, მოსალოდნელი გრაფიკი და შეთავაზებაში მონაწილეობისათვის საჭირო პროცედურები

3.1.1. პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შეთავაზება

შეთავაზება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით და ამ ემისიის პროსპექტით გათვალისწინებულ პირობებს.

3.1.2. ემისიის/ შეთავაზების ჯამური ოდენობის საორიენტაციო მაჩვენებელი:

შეთავაზებული „ობლიგაციების“ ჯამური ოდენობა იქნება 60,000,000 აშშ დოლარი ან მისი ექვივალენტი ევროში.

3.1.3. პერიოდი, რის განმავლობაშიც იქნება შესაძლებელი ემისიით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შეძენა, ასევე მასში მონაწილეობის მისაღებად საჭირო პროცესის აღწერა.

პროსპექტის მოქმედების ვადად განისაზღვრება წინასწარი პროსპექტის დამტკიცებიდან 12 თვე, თუმცა არაუგვიანეს 2026 წლის 24 ნოემბრისა. შეთავაზების პროცესი წარიმართება ქვემოთ განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად:

შეთავაზების პროცესი წარიმართება ქვემოთ განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად:

(ა) „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესი

„განთავსების აგენტი“ განახორციელებს „ობლიგაციების“ შეთავაზებას „ემიტენტის“ სახელით, „ემიტენტთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. შეთავაზების დაწყებამდე, „ობლიგაციებისადმი“ ინტერესის უზრუნველყოფის მიზნით, „განთავსების აგენტს“ და/ან მის უფლებამოსილ შუამავალს/შუამავლებს უფლება აქვთ დამტკიცებული წინასწარი „ემისიის პროსპექტი“ გაუგზავნონ პოტენციურ „ინვესტორებს“.

პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ მათი ინტერესი „ობლიგაციების“ შესყიდვისადმი გამოხატონ „განთავსების აგენტისთვის“ განაცხადის/შეტყობინების მიწოდების გზით. ამგვარი ინტერესის გამოხატვა შესაძლებელია ელექტრონული კომუნიკაციის ან „განთავსების აგენტის“ მიერ აღიარებული ნებისმიერი სხვა საშუალებით. „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხად(ებ)ის მიღების საბოლოო თარიღი განისაზღვრება ემიტენტის და „განთავსების აგენტის“ შეთანხმებით, რომელიც არ უნდა იყოს შესაბამისი განაცხადის/შეტყობინების მიწოდებიდან 4 სამუშაო დღეზე ნაკლები. თუ ამგვარი საბოლოო თარიღი არ არის „სამუშაო დღე“, წინა „სამუშაო დღე“ ჩაითვლება განაცხად(ებ)ის მიღების საბოლოო თარიღად.

„ობლიგაციებზე“ დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი დადგინდება პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში. ამგვარი საბოლოო საპროცენტო განაკვეთი აისახება საბოლოო „ემისიის პროსპექტში“.

თუ პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში გამოხატავენ ინტერესს შეიძინონ წინასწარი ან საბოლოო „პროსპექტით“ შეთავაზებულზე მეტი ოდენობის „ობლიგაციები“, ამგვარი მოთხოვნა დაკმაყოფილდება ნაწილობრივ, ინვესტორების მიერ წარდგენილ განაცხადებში მითითებული რაოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, როგორც ამას გადაწყვეტს „ემიტენტი“ თავისი შეხედულებისამებრ. ამასთან, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ამგვარ პოტენციურ ინვესტორს უფლება აქვს უარი თქვას ან გააგრძელოს „ობლიგაციების“ შესყიდვის პროცესში მონაწილეობა. „განთავსების აგენტს“ ამგვარი გადაწყვეტილების თაობაზე უნდა ეცნობოს წერილობით, ელექტრონულად ან სხვა ფორმით დაუყოვნებლივ (არა უგვიანეს იმ „სამუშაო დღის“ 14:00 საათისა (თბილისის დროით), რომელიც მოსდევს იმ დღეს, როცა ინვესტორს ეცნობა მისი განაცხადის კორექტირების („ობლიგაციების“ რაოდენობასთან მიმართებით) თაობაზე. ამგვარი გადაწყვეტილების „განთავსების აგენტისთვის“ შეუტყობინებლობა უფლებას აძლევს „განთავსების აგენტს“, თავისი შეხედულებისამებრ,

განიხილოს ინვესტორის თავდაპირველი განაცხადი (მოთხოვნილი „ობლიგაციების“ სრულ რაოდენობასთან მიმართებით) ან უარი თქვას განაცხადზე.

პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესის დასრულების შემდეგ, „განთავსების აგენტი“ გააკეთებს განცხადებას შეთავაზების დასრულებასთან დაკავშირებით და შეატყობინებს იმ ინვესტორებს (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად), რომელთა განაცხადები (მათ შორის, „ობლიგაციების“ რაოდენობის მხრივ კორექტირებული განაცხადები) დაკმაყოფილდა. ამგვარი შეტყობინება უნდა შეიცავდეს მითითებას „ობლიგაციებზე“ დასარიცხ საპროცენტო განაკვეთზე და იმ „ობლიგაციების“ რაოდენობაზე, რომელთა მიმართაც პოტენციური ინვესტორების შესყიდვის მოთხოვნები დაკმაყოფილდა. შეთავაზების დასრულების შესახებ განცხადების გაკეთებისთანავე, პოტენციური ინვესტორების ის განაცხადები, რომლებიც დაკმაყოფილდა, იქნება გამოუხმობადი და სავალდებულო ძალის მქონე ამგვარი ინვესტორებისათვის („**შემსყიდველი ინვესტორები**“).

„შემსყიდველმა ინვესტორებმა“ „ობლიგაციების“ შესაბამისი რაოდენობის შესასყიდად საჭირო თანხები სრულად უნდა განათავსონ საბროკერო ანგარიშზე „გამოშვების თარიღამდე“ არა უგვიანეს 2 „სამუშაო დღისა“. „შემსყიდველმა ინვესტორებმა“ ამგვარი საბროკერო ანგარიშები უნდა გახსნან „განთავსების აგენტთან“. „ემიტენტი“ შესყიდული „ობლიგაციების“ მიწოდებას განახორციელებს „გამოშვების დღეს“ იმავე საბროკერო ანგარიშზე. საგამონაკლისო შემთხვევებში, ანგარიშის მწარმოებელს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ მისცეს უფლება „შემსყიდველ ინვესტორს“, რათა მან „ობლიგაციების“ შესასყიდად საჭირო თანხები განათავსოს „განთავსების აგენტთან“ გახსნილ „ემიტენტის“ანგარიშზე (განთავსების აგენტთან გახსნილი „შემსყიდველი ინვესტორის“ საბროკერო ანგარიშის ნაცვლად). ამ შემთხვევაში, „ობლიგაციების“ მიწოდება განხორციელდება „დეპოზიტართან“ ან სხვა „ანგარიშის მწარმოებელთან“ გახსნილ „ინვესტორის“ ანგარიშზე.

იმ შემთხვევაში, თუკი პირველადი განთავსების პერიოდში ინვესტორი „ობლიგაციებს“ შეიძენს მათი გამოშვების თარიღის შემდეგ, იგი ვალდებული იქნება ობლიგაციის ნომინალურ ღირებულებასთან ერთად გადაიხადოს მათი შეძენის თარიღისთვის დარიცხული კუპონიც.

გამონაკლისის სახით, „ემიტენტი“ და/ან „განთავსების აგენტი“ ემიტენტის წინასწარი თანხმობის შემთხვევაში უფლებამოსილია პოტენციური ინვესტორებისთვის (მათ შორის და არა მხოლოდ, „შემყიდველი ინვესტორებისთვის“) დაადგინოს გარკვეული შეღავათები ვადებთან ან პირობებთან დაკავშირებით.

„ობლიგაციების“ განთავსების შემდეგ, „ობლიგაციების მფლობელები“ უფლებამოსილნი არიან ფლობდნენ „ობლიგაციებს“ ჩანაწერის ფორმით „დეპოზიტართან“ თუ თავად არიან ცენტრალური დეპოზიტარის სისტემის მონაწილეები ან სხვა „ანგარიშის მწარმოებელთან“ გახსნილ ანგარიშზე.

იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციები“ გადატანილი იქნება სხვა „ანგარიშის მწარმოებელთან“, „ობლიგაციების მფლობელებმა“ უნდა უზრუნველყონ, რომ შესაბამისი „ანგარიშის მწარმოებელი“ „გადახდის და კალკულაციის აგენტს“ მოთხოვნისთანავე უმოკლეს ვადებში მიაწვდის ინფორმაციის „ობლიგაციონერების“ და მათი საგადასახადო სტატუსის შესახებ.

(ბ) ცვლილებების განხორციელება შეთავაზების მიმდინარეობისას

თუ შეთავაზების პროცესში (დროის მონაკვეთი შეთავაზების დაწყებიდან „გამოშვების თარიღამდე“) „ემიტენტი“ გადაწყვეტს შეცვალოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით (ცვლილებები დაექვემდებარება ეროვნული ბანკის მიერ თავიდან დამტკიცებას, რაც არ ნიშნავს, რომ აუცილებლად მოხდება მათი დამტკიცება), მაგალითად, ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, ფასი, საპროცენტო განაკვეთი, შეთავაზების პერიოდი და ა.შ., „ემიტენტმა“ ინვესტორებს უნდა განუსაზღვროს სულ მცირე 14 (თოთხმეტი) დღის ვადა მათი მოთხოვნის გაუქმებისათვის. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ, „ემიტენტს“ უფლება აქვს გააგრძელოს შეთავაზება შეცვლილი პირობებით.

თუ ინფორმაცია რომელიმე მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით შეიცვლება, ინვესტორებს, რომლებმაც შეისყიდეს „ობლიგაციები“, უფლება აქვთ გააუქმონ ამგვარი ნასყიდობა და მოითხოვონ „ობლიგაციების“

დაუყოვნებლივ გამოსყიდვა მათი ძირი თანხისა და ნებისმიერი დარიცხული პროცენტის სანაცვლოდ. ინვესტორები („ობლიგაციების მფლობელები“), რომლებიც არ გააუქმებენ „ობლიგაციების“ შესყიდვას, დაექვემდებარებიან შეთავაზების შეცვლილ პირობებს.

თუ შეთავაზების პროცესში შეიცვლება რაიმე არაარსებითი ინფორმაცია, „ემიტენტმა“, შესაბამისი ცვლილების „ემისიის პროსპექტში“ შეტანამდე, უნდა შეატყობინოს „ობლიგაციების მფლობელებს“ და მიაწოდოს მათ დოკუმენტი, რომელიც ასახავს ამგვარ შეცვლილ ინფორმაციას.

3.1.4. **მითითება, რა დროს და რა გარემოებებში არის შესაძლებელი გაუქმდეს ან შეჩერდეს შეთავაზება და არის თუ არა შესაძლებელი შეთავაზების გაუქმება გაყიდვების დაწყების შემდეგაც;**

იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციების“ ან მათი ნაწილის გასხვისება ან განთავსება ვერ მოხდა შესაბამის მფლობელებზე, „ობლიგაციები“ ჯერ დაუბრუნდება „კომპანიას“ და შემდეგ კი გაუქმდება.

3.1.5. **განმცხადებლების მიერ გადახდილი ზედმეტი თანხის დაბრუნების შესაძლებლობის აღწერა:**

იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის მიერ შეთავაზების ეტაპზე გადმორიცხული იქნება იმაზე მეტი თანხა, ვიდრე ეს მიემართება მისთვის გადაცემული ობლიგაციების რაოდენობას, იგი უფლებამოსილია მიმართოს „განთავსების აგენტს“ და ეს უკანასკნელი თანხის დაბრუნებას უზრუნველყოფს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

3.1.6. **ფასიანი ქაღალდების საფასურის გადახდის, ფლობის გადაცემის და მიწოდების მეთოდებისა და ვადების აღწერა;**

ფასიანი ქაღალდების საფასურის გადახდის, ფლობის გადაცემის და მიწოდების მეთოდები და ვადები გაწერილია 3.1.3 (ა) „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესის პუნქტში.

3.1.7. **იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორებს უფლება აქვთ გააუქმონ თავიანთი განაცხადი, იმ პერიოდის მითითება, რომლის განმავლობაშიც განაცხადი შეიძლება გაუქმებული იყოს ინვესტორის მიერ:**

ინვესტორებს არ აქვთ „განთავსების აგენტისთვის“ გაგზავნილი ოფიციალური განაცხადის გაუქმების უფლება.

3.1.8. **შეთავაზების შედეგების გასაჯაროების საშუალებებისა და დროის მითითება:**

განთავსების ანგარიშის ეროვნულ ბანკში წარდგება ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში.

3.2. **განაწილებისა და წილების მიკუთვნების გეგმა**

3.2.1. **პოტენციური ინვესტორების სხვადასხვა კატეგორიები, რომელთათვისაც ხორციელდება ფასიანი ქაღალდების შეთავაზება.**

„ობლიგაციების“ ბუნებიდან გამომდინარე, მისი შეთავაზება იგეგმება „ფასიანი ქაღალდების კანონით“ ნებადართულ ყველა პირზე.

3.2.2. **ფასიანი ქაღალდის შეძენაზე/გამოწერაზე განაცხადის განმახორციელებელი პირებისთვის მათზე განაწილებულ რაოდენობასთან დაკავშირებით შეტყობინების გაგზავნის პროცესი, ამასთან იმის მითითება, შესაძლებელია თუ არა ამ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის დაწყება ასეთი შეტყობინების გაგზავნამდე.**

პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესის დასრულების შემდეგ, „განთავსების აგენტი“ გააკეთებს განცხადებას შეთავაზების დასრულებასთან დაკავშირებით და შეატყობინებს იმ ინვესტორებს (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად), რომელთა განაცხადები (მათ შორის, „ობლიგაციების“ რაოდენობის მხრივ კორექტირებული განაცხადები) დაკმაყოფილდა. ამგვარი შეტყობინება უნდა შეიცავდეს მითითებას „ობლიგაციებზე“

დასარიცხ საპროცენტო განაკვეთზე და იმ „ობლიგაციების“ რაოდენობაზე, რომელთა მიმართაც პოტენციური ინვესტორების შესყიდვის მოთხოვნები დაკმაყოფილდა. შეთავაზების დასრულების შესახებ განცხადების გაკეთებისთანავე, პოტენციური ინვესტორების ის განაცხადები, რომლებიც დაკმაყოფილდა, იქნება გამოუხმობადი და სავალდებულო ძალის მქონე ამგვარი ინვესტორებისათვის.

ვაჭრობის დაწყება დაუშვებელია ამგვარი შეტყობინების მიღებამდე.

3.2.3. **რამდენადაც ემიტენტისთვის ცნობილია, მითითება აპირებენ თუ არა ემიტენტის მენეჯმენტი, დირექტორთა ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერები (პარტნიორები) მონაწილეობა მიიღონ შეთავაზებაში და შეიძინონ ფასიანი ქაღალდები, ან არსებობს თუ არა პირი, რომელსაც სურს გამოიწეროს შეთავაზების 5 პროცენტზე მეტი.**

„ემიტენტისთვის“ ასეთი ინფორმაცია უცნობია.

3.3. **ფასის დადგენა**

3.3.1. **ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ფასის მითითება, ინვესტორზე დაკისრებული ნებისმიერი ხარჯის ან გადასახადის დაკონკრეტებით:**

ობლიგაციების განთავსება მოხდება მხოლოდ ნომინალური ღირებულების 100%-ის ფასად. „ემიტენტი“ არ განიხილავს ფასიანი ქაღალდების სხვაგვარ განფასებას. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო ფასი განსხვავებული იქნება აღნიშნული გაცხადებული ფასისაგან, ინვესტორს შეუძლია გააუქმოს შეძენაზე ან გამოწერაზე გაკეთებული განაცხადი საბოლოო ფასის გასაჯაროებიდან სულ მცირე 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.3.2. **შეთავაზების საბოლოო ფასის დადგენისა და ინვესტორებისთვის მიწოდების პროცესის აღწერა;**

შეთავაზება განხორციელდება ნომინალური ღირებულების 100%-ად და „ემიტენტი“ არ განიხილავს სხვაგვარ განფასებას.

3.4. **განთავსება**

3.4.1. **შეთავაზებაში/განთავსებაში ჩართული იურიდიული კომპანიის ან/და ობლიგაციონერების წარმომადგენლის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია;**

არ არის რელევანტური მიმდინარე ემისიისთვის.

3.4.2. **ანგარიშსწორების აგენტების დასახელება და მისამართი/საკონტაქტო ინფორმაცია:**

შპს „თიბისი კაპიტალი“ (ს/ნ: 204929961)

მის: მარჯანიშვილის ქუჩა 7, თბილისი 0102, საქართველო

ელ. ფოსტა: info@tbccapital.ge

ტელ.: (+995 32) 227 27 97

3.4.3. **ანგარიშის მწარმოებლის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია; ასევე, კონტრაქტის ძირითადი პირობები რაოდენობების, განთავსების საკომისიოს მითითებით. თუ არ ხდება სრული შეთავაზების ანდერაიტინგი, ხელშეკრულებით დაფარული ნაწილის მითითება;**

ანგარიშის მწარმოებელი : შპს „თიბისი კაპიტალი“ (ს/ნ: 204929961)

მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7

ელ. ფოსტა: info@tbccapital.ge

ტელ.: (+995 32) 227 27 97

3.4.4. მითითება, თუ როდის ჩაითვლება განთავსების ხელშეკრულება შესრულებულად;
განთავსების ხელშეკრულება შესრულებულად ჩაითვლება „ობლიგაციების“ განთავსებასთან ერთად, თუკი „კომპანიის“ და „განთავსების აგენტის“ შეთანხმებით არ მოხდა ვადის გაგრძელება.

ობლიგაციების დაბეგვრა საქართველოში

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ძირითადი საგადასახადო საკითხების ზოგად აღწერას. შესაბამისად, აღნიშნული არ წარმოადგენს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული საგადასახადო საკითხების ამომწურავ შეფასებას. ***„ობლიგაციების“ პოტენციურმა შემძენებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ საკუთარ საგადასახადო მრჩევლებთან „ობლიგაციების“ შეძენასთან, ფლობასთან და გასხვისებასთან დაკავშირებით, ასევე – „ობლიგაციებიდან“ პროცენტის, ძირითადი თანხის ან/და სხვა შემოსავლების მიღების შესახებ და ამგვარი ქმედებების საგადასახადო შედეგების თაობაზე.*** *მიმოხილვა ეფუძნება წინამდებარე პროსპექტის შედგენის თარიღისთვის მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც შეიძლება შეიცვალოს აღნიშნული თარიღის შემდეგ. ამ თავში წარმოდგენილი ინფორმაცია და ანალიზი შეეხება მხოლოდ საგადასახადო საკითხებს და პოტენციურმა ინვესტორებმა არ უნდა გამოიყენონ ეს ინფორმაცია ან ანალიზი სხვა სფეროებში, მათ შორის, „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ტრანზაქციების ნამდვილობასთან მიმართებით.*

პროცენტის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან

„ობლიგაციებზე“ გადახდილი პროცენტი რეზიდენტი ფიზიკური პირისთვის, არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის (თუ პროცენტი არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას) თავისუფლდება საშემოსავლო და მოგების გადასახადისაგან იმის გათვალისწინებით, რომ „ობლიგაცია“ არის 2026 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდი.

წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების თარიღისათვის სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“ ითვლება აღიარებულ ორგანიზებულ ბაზრად

„ობლიგაციებზე“ მეწარმე რეზიდენტი იურიდიული პირის (გარდა კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, სესხის გამცემი სუბიექტისა და სადაზღვევო ორგანიზაციის) მიერ მიღებული პროცენტები ჩაირთვება რეზიდენტი იურიდიული პირის მოგებაში და დაიბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით, მხოლოდ შესაბამისი მოგების განაწილებისას.

კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ მიღებული პროცენტი შეიტანება ამ საწარმოების ერთობლივ შემოსავალში და გამოქვითვების შემდეგ დაიბეგრება მოგების გადასახადის 20%-იანი განაკვეთით.

„ობლიგაციების“ რეალიზაციის დაბეგვრა

„ობლიგაციების“ მიწოდებით მიღებული რეზიდენტი ფიზიკურის პირის, არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირის შემოსავალი (ზოგადად სარეალიზაციო და შეძენის ფასებს შორის დადებითი სხვაობა ამ ფასიან ქაღალდზე მიწოდების მომენტამდე დარიცხული და აუნაზღაურებელი პროცენტის გაუთვალისწინებლად საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში) განთავისუფლებულია საშემოსავლო და მოგების გადასახადისაგან (თუ ეს შემოსავალი არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას), იმის გათვალისწინებით, რომ „ობლიგაციები“ არის საქართველოში რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდი.

საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირი (გარდა კომერციული ბანკისა, საკრედიტო კავშირისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა, სესხის გამცემი სუბიექტისა და სადაზღვევო ორგანიზაციისა) ვალდებულია „ობლიგაციების“ რეალიზაციით მიღებულ მოგებაზე გადაიხადოს მოგების გადასახადი 15%-იანი განაკვეთით მას შემდეგ, რაც გაანაწილებს მოგებას.

კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ „ობლიგაციების“ რეალიზაციით მიღებული შემოსავალი შეიტანება ამ საწარმოების ერთობლივ შემოსავალში და გამოქვითვების შემდეგ დაიბეგრება მოგების გადასახადის 20%-იანი განაკვეთით.

გადასახადი ძირი თანხის გადახდაზე

„ობლიგაციების“ გამოსყიდვისას „ობლიგაციონერების“ მიერ მიღებული ძირითადი თანხა არ ჩაითვლება დასაბეგრ შემოსავლად და არ დაექვემდებარება საქართველოში დაბეგვრას იმ პირობით, რომ გამოსყიდვის ფასი ვადის დადგომისას არ აღემატება თავდაპირველი გამოშვების ფასს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

„ობლიგაციების“ რეალიზაცია (მიწოდება) თავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისგან საქართველოში